# ცისკარი 1852

2016/2

ყოველთვიური ლიტერატურული –
საზოგადოებრივი ჟურნალი


მთავარი რედაქტორი
**ამირან გომართელი**

მთ. რედაქტორის მოადგილეები
**ბალათერ არაბული**
**სოსო გოლიაძე**

რედაქტორთა ჯგუფი
**ანდრო ბუაჩიძე**
**თამარ გელიტაშვილი**
**ელზა მეტრეველი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
**ქეთევან მერკვილაძე**
**ნანა ყანდაშვილი**

ჟურნალი გაფორმებულია –
**მარიამ გოგილიძის** და **ვანო კეზუას**
გრაფიკული ჩანახატებით

---

გარეკანის პირველ და
მეოთხე გვერდებზე –
**ნინო ფერაძის**
ნამუშევრების ილუსტრაციები

სარედაქციო საბჭო

**ანდრო ბედუკაძე**
თავმჯდომარე

**ვანო ამირხანაშვილი**
**ნაირა ბეპიევი**
**ლევან ბრეგაძე**
**დავით თედორაძე**
**ზვიად კვარაცხელია**
**ესმა კოკოსკერია**
**გიორგი ლობჟანიძე**
**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**
**ნინო სადღობელაშვილი**
**თამაზ ტყემალაძე**
**თემურ ჭკუასელი**
**ბესიკ ხარანაული**


---


ჟურნალი გამოდის
თბილისის მუნიციპალიტეტის
ფინანსური მხარდაჭერით



მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
https://www.facebook.com/ciskari1852

# სარჩევი


**ოთარ ჭილაძე** 3
ქართველობასა და მწერ-
ლობაზე

**პოეზია**
**მარიამ წიკლაური** 7
*ლექსები*

**პროზა**
**ლადო კილასონია** 16
ძველი სიმღერა. ძმა.
*მოთხრობები*

**პოეზია**
**ემზარ კვიტაიშვილი** 26
*ლექსები*

**ქეთევან შენგელია** 31
*ლექსები*

**პროზა**
**დიმიტრი ლობჟანიძე** 35
მერცხლები ბუდეებს
უბრუნდებიან. *მოთხრობა*

**კრიტიკა • ესეისტიკა**
**ლევან ბრეგაძე** 54
ქართული ნონფიქშენი

**კლერ გოლი** 62
ფრაგმენტები მოგონებების
წიგნიდან *„არავის ვპატიობ“*
ჯეიმს ჯოისის პორტრეტი.
მარკ შაგალის პორტრეტი.
*თარგმნა*
**მანანა პაიჭაძემ**

**ანდრო ბუაჩიძე** 82
პოეტურ-პროზაული
დიაგონალი

**ახალი თარგმანები**
**ვლადიმერ მაიაკოვსკი** 87
*ლექსები*
*თარგმნეს*
**ზაალ ებანოიძემ** და
**კონსტანტინე კიკნაძემ**

**ლეონარდო შაშა** 95
დამხობა. *მოთხრობა*
*თარგმნა*
**მაია ჯავახიძემ**

**ქართველი მწერალი**
**ოსურ ენაზე**
**ოტია იოსელიანი** 102
ხელისგულისტოლა
ზღაპრები.
*თარგმნა*
**რაზიათ ქუმარიტოვმა**

**არტრევიუ**
**ალინა ქადაგიშვილი**
ჩვეულებრივი ვარსკვლავები. 111
გალერეა „მაგის“ 115
ყელსახვევების გამოფენა.

**მარიკა კახაძე**
ფერში გამოხატული ქარი, 119
ჰაერი და სული.


ხელმოწერების გასაფორმებლად
დაგვიკავშირდით ტელეფონის
ნომრებზე:
591 20 25 40;
599 56 56 44;
591 30 75 09

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



# ოთარ ჭილაძე

## ქართველობასა და მწერლობაზე

**(ჩანაწერებიდან)**

•

ებრაელები, როგორც კი სახელმწიფოს აღდგენის საშუალება მიეცათ, ოცდახუთსაუკუნოვანი განშორების შემდეგ, კვლავ დაუბრუნდნენ სამშობლოს. ჩვენ კი, როგორც კი გაგვიჩნდა სახელმწიფოს აღდგენის შანსი, სამშობლოს ბედის ანაბარა ვტოვებთ და გავრბივართ... უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობების მოსაპოვებლად, რის გამოც სამშობლოსთან ერთად ვკარგავთ ღირსებასაც – ხოლო უღირსი ადამიანი გინდა შაშხით გამძღარა და გინდა რკოთი, დიდი განსხვავება არ არის, არც მისთვის, არც სხვისთვის.

•

ნელ-ნელა ვეჩვევით იმ აზრს, რომ ქართველი ერი საქართველოშიც კი არ არის საჭირო; რომ ქართველის სმენა „ბიგ-ბენის“ ხმას უკეთ აღიქვამს, ვიდრე, ვთქვათ, სიონის ზარისას...

•

რატომ გარბიან საქართველოდან ქართველები? მარტო ეკონომიური სიდუხჭირის ბრალია? პოლიტიკური მოსაზრებებით სტოვებენ სამშობლოს? მე მგონი, უფრო სერიოზულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ქართველებს მობეზრდათ ქართველობა. დაიღალა. გაწამდა. ქართველობა, როგორც ადრე გვითქვამს, მხოლოდ ეროვნება არ არის – გარკვეული თვალსაზრისით სასჯელიცაა და, რაც ყველაზე ძნელი ასატანია, სასჯელია ჩაუდენელი დანაშაულისათვის. მხატვრულად რომ ვთქვათ, ქართველი ძირგახვრეტილი ნავის მგზავრია და, გადარჩენა თუ უნდა, განუწყვეტლივ წყლის სახაპავი უნდა ეჭიროს ხელში – ერთი წამითაც თუ მოხუჭა თვალი, ნავი წყლით აივსება. შიმშილიცა და წყურვილიც ზეზეურად, ფაცი-ფუცით უნდა მოიკლას, ფსკერზე რომ არ აღმოჩნდეს ნავიანად – ეს ნავი მისი სამშობლოა, საქართველო, რომელსაც საუკუნეების მანძილზე უბურღავდნენ ძირს აშკარა თუ შენიღბული მტრები. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაზე ვერაგული გამოსავალი ნახა საქართველოს მოსასპობად – ქართველი „გაანთავისუფლა“ ქართველობისგან, ანუ თანდათანობით დაუჩლუნგა, მოუსპო ეროვნული ღირსების გრძნობა. აქედან გამომდინარე, ქართველის „გადაჯდომა“ ძირგაბურღული ნავიდან (საქართველოდან!) სხვა, უფრო „საიმედო“ ნავში (რუსეთი, კვიპროსი, გერმანია, შვედეთი...), სამშობლოს ღალატად კი არ ითვლება, არამედ გადარჩენად, „ხალხში გარევად“. გაქცეულებს არა თუ რცხვენიათ, უკაცრავად, გამომწვევადაც

უჭირავთ თავი – აი, როგორი ჭკვიანები, როგორი მოხერხებულები აღმოვჩნდით ჩვენო! დარჩენილებს დასცინიან კიდეც, რას უდგეხართ, წამოდით, მაგ ძირგახვრეტილი ნავიდან დამლუპველი წყლის ხაპვას, აქ საპირფარეშოების გადამრჩენელი სიბინძურის წმენდა სჯობს, რადგან სოსისი, ლუდი, მანდ რომ აღარც გვესიზმრებოდა, განაღდებული გექნებათო... მაგრამ, ეს რა სათქმელია იმ შვებასთან შედარებით, რაც მარად უბედურ, მარად მებრძოლ, მარად მისახედ სამშობლოსგან განთავისუფლებასა და მარად ბედნიერ, ყოველმხრივ უზრუნველყოფილ, ყველანაირად დაცულ ხალხებში გარევას მოსდევს...

•

...ასეთები ვართ ქართველები. ჩვენი ბავშვის კუილშიც მელოდია გველანდება. ამის გამოცაა, ალბათ, ჩვენი ბავშვები ბავშვობაშივე რომ კარგავენ ყველა კარგ თვისებას, უფრო ზუსტად, ბავშვობაშივე ამოწურავენ ხოლმე თავიანთ შესაძლებლობებს და მერე მთელი სიცოცხლე უფერული, შეზღუდული, უპერსპექტივო ცხოვრებით ცხოვრობენ. ნიჭს წინააღმდეგობა ანვითარებს. ჩვენ კი ვცდილობთ, ნებისმიერი, ბუნებრივი წინააღმდეგობაც კი მოვუშალოთ რამენაირად, ნაცნობ-მეგობრობით, ქრთამით, მოსყიდვით, საჩუქრებით... ყველაფერი, რაც ჩვენს ხელთაა და შედეგიც არ აყოვნებს – ნიჭიერი, მაგრამ განუვითარებელი, ანდა არასწორად განვითარებული ბავშვები გვრჩება ხელთ. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ამ სავალალო და სამარცხვინო ჩვევას თუ მოთხოვნილებას ასე იოლად ვერ მოვიშორებთ.

•

გუშინ საღამოს, ერთ-ერთ ჩაბნელებულ სადარბაზოში რომ შევდიოდი ხელისცეცებით, პიანინოს ხმა გამოდიოდა ვიღაცის ბინიდან – აშკარად ბავშვი უკრავდა, ალბათ სანთლის შუქზე. არ შეიძლება იმ ბინაში ცუდი ადამიანები ცხოვრობდნენ. აი, ისინი არიან ნამდვილი ქართველები, ჭირში გაუტეხელნი და ღირსეულნი...

•

თუ დანარჩენ კაცობრიობას ძმის მკვლელობა ადევს ცოდვად, ჩვენ ქართველებს – ჩვენი განსაკუთრებული ცოდვა გვაქვს – მამის მკვლელობა! ბევრი რამ ამ ცოდვის გამო მოგვდის და კიდევ დიდხანს ვერ ამოვალთ, ალბათ, ამ ცოდვისგან, თუკი საერთოდ ამოვალთ როდისმე.

•

ილიას ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, არ ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში ისეთი პერიოდი, მის შემოქმედებას მნიშვნელობა დაეჰკარგოდეს რომელიმე ჭკუათამყოფელი ქართველისათვის; არ ყოფილა, ილიას შემდეგ, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მწერალი, რომელსაც არ განეცადოს როგორც მისი პოეზიის, ისევე პროზის კეთილისმყოფელი გავლენა; ილიას ფენომენი უფალივით მრავალმხრივია და განუყოფელი, ანუ, განუყოფლად იყოფის მხოლოდ, ესე იგი, ერთსა და იმავე დროს, დიდი მწერალიცაა და დიდი მოღვაწეც.

ილია ჭავჭავაძე ჯერ ისევ ჩვენთან არის, ჩვენ შორის ტრიალებს, მაგრამ ყველას როდი შეუძლია მისი დანახვა.

•

როცა ილია ჭავჭავაძე „საახალწლო მოლოცვას“ წერდა (იმედია, ყველას წაკითხული გვაქვს), მიუხედავად იქ აღწერილი ეროვნული სიბნელისა, სიძაბუნისა, ქვეყანას, ხალხს მაინც მისალოცად ჰქონდა საქმე: ნელა, მაგრამ აშკარად ილვიძებდა, გამოდიოდა საუკუნოვანი ძილიდან, გონებას იკრეფდა, უკვე არჩევდა ღამურას მერცხლისგან და, მართალია, ჯერ აღიარებისა ეშინოდა, მაგრამ უკვე იცოდა, ვინ იყო მისი „გაიძვერა-მოყვარე“. ეს კი, მართლაც რომ, მოსალოცია და ბევრსაც ნიშნავს ხალხისთვის, რომელიც ახლა კი არ იდგამს ფეხს, საუკუ-

ნეებში გამოვლილი და ძალით შეჩერებული გზის გაგრძელებას აპირებს ისევ. ოღონდ, ახალი გზისა კი არა, რომელსაც „გაიძვერა-მოყვარე“ სთავაზობს, არამედ – ძველისა, რომლითაც აქამდე მოაღწია და რომელმაც უნდა გადაიყვანოს ხვალინდელში, მომავალში, თუკი საბოლოოდ გამოერკვევა ძილიდან, თუკი აღიდგენს მახსოვრობას და გაახსენდება, რისთვის მოავლინა განგებამ საერთოდ ამქვეყნად, „ჰარი ჰარალეს“ სამღერლად, თუ თავისი განსაკუთრებული, გამორჩეული სახის გამოსაძერწად – ხმლით, ბარით, გუთნით, (...), ქაფჩით, კალმით... სულერთია – რითი, ყველა იარაღი ერთნაირად მისაღებია, როცა შენი ყოფნაარყოფნის საკითხი წყდება...

დღეს გაცილებით უარესი მდგომარეობაა. უფრო სწორად, დღეს პირიქითაა – კი არ ფხიზლდება – შეგნებულად ბრიყვდება, ძილიდან კი არ გამოდის, უფრო ღრმად ეფლობა ძილში, როგორც კამეჩი – ტალახში, მერცხალს ღამურა ურჩევნია და არავის დანახვა არ უნდა, გაიძვერა-მოყვრის გარდა, რომელიც ყველაფერს პირდება და არაფერს აძლევს, ანუ ყველაფერს ართმევს, ფუჭი დაპირებების სანაცვლოდ...

რა შეიძლება ვუსურვო ამ დღეში მყოფს? ვუსურვებდი, უპირველეს ყოვლისა, დაებრუნებინოს წიგნის სიყვარული და პატივისცემა, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა და რაც, ცოდნასთან ერთად, ღირსებისა და სიამაყის გრძნობას უჩენდა. წიგნშია მისი უკვდავების საიდუმლო. ეს მარტო მე ვიცი? არა, მტერმაც იცის და იმიტომაც გვართმევს ხელიდან წიგნს...

•

მწერალი დიდს პატარაში ეძებს, მაღალს – მდაბალში, ლამაზს – მახინჯში და, თუკი ზედმეტი მკრეხელობა არ იქნება მისგან, ქრისტეს – იუდაში. მაგრამ ამით სრულებითაც არ მინდა იმის თქმა, თითქოს არასოდეს არსებულა და არც ახლა არსებობს კორუმპირებული, სულმოკლე, უნებისყოფო, ზნეწამხდარი, პატივმოყვარე პოლიტიკურ ელიტასთან მარად შეხმატკბილებული მწერალი. მწერალიც, უპირველეს ყოვლისა, ჩვეულებრივი ადამიანია და არც მისთვისაა უცხო ადამიანური მანკიერებანი. ასე რომ, არა მარტო გარდასულ ეპოქებში, დღესაც მრავლად არიან ხელისუფლების მიერ „არჩეული“ და „დანიშნული“ მწერლები, რომლებმაც კოლეგებზე უკეთ იციან, როდის როგორ მოიქცნენ, ვის შეასხან ხოტბა, რას დაუკრან ტაში, რა დააბრალონ სხვებს და რა დაიბრალონ თავად. მაგრამ ერთია კონკრეტული მწერალი და მეორეა ზოგადად მწერლობა, უზუსტესი საზომი მისი შემქმნელი ხალხის, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი შესაძლებლობებისა. აქედან გამომდინარე, ვისაც მართლა სჯერა, რომ ქართული მწერლობა მხოლოდ მთაწმინდაზე განისვენებს, სხვა რომ არაფერ ვთქვათ, მისთვის უბრალოდ არ შეიძლება რაიმე აზრი და გამართლება ჰქონდეს ეროვნულ მოძრაობას, საერთოდ, მშობლიური ხალხის წარსულსა და მომავალს. მწერლობა არა მარტო სახეა ხალხისა, არამედ სულიცაა. არა მარტო ნაყოფია რაღაცისა, არამედ რაღაცის შექმნის პროცესიც. რაც შეეხება მთაწმინდას, ის მხოლოდ სიმბოლოა ქართველი ხალხის უკვდავებისა და, ღმერთმა ნუ ქნას, ერთი დღე მაინც არ არსებობდნენ ამ სიმბოლოს მიწიერი განმასახიერებლები, გნებავთ, მსახურები – ცოცხალი, მოქმედი ქართველი მწერლები, რომლებიც, ადვილი შესაძლებელია, თავად ვერ გახდნენ მთაწმინდაზე დაკრძალვის ღირსნი, მაგრამ ვალდებულნი არიან, თავიანთი კატორღული შრომით, ყოველდღიურად დაადასტურონ ამ სიმბოლოს ცხოველმყოფელობა, დაადასტურონ ჯერ კიდევ რომ არ დაუკარგავს ამ სიმბოლოს ზემოქმედების მაგიური ძალა, ჯერ კიდევ რომ არ ქცეულა სამუზეუმო ექსპონატად. მაგრამ, თუკი ღმერთი გაგვიწყრა და, როდისმე მაინც, სიმბოლოს ამარაღა დავრჩით მართლა, ეს იგივე საერთო, სახალხო სიკვდილი იქნება.

•

პოლიტიკოსი მომენტის, სიტუაციის თავადია, მწერალი კი – მარადისობის მსახური.

•

პოეტის გამარჯვება „მეტოქეთა“ დათრგუნვას კი არ ნიშნავს წიგნების რაოდენობით (სამწუხაროდ ამის მაგალითებიც ბევრია ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში), არამედ – მისი ერთადერთობის, მისი განუმეორებლობისა და, რაც მთავარია, ლიტერატურაში მისი აუცილებლობის დამტკიცებას, თუნდაც ერთადერთი ლექსის მეშვეობით.

•

აკაკის წიგნს შვიდი თვის განმავლობაში მთელს საქართველოში 38 ხელისმომწერი შეუგროვებია.

•

ხვალ შობაა – ინდაურის ყიდვა მაქვს დაქადნებული, არა და ფული არ არის! მაგრამ მაინც უნდა მოვახერხო რაღაცა – ინდაურის გულისათვის არ ღირს შვილიშვილების თვალში დამცირება!

•

მართლა სისტემათა მონაცვლეობის მტკივნეულ პროცესთან გვაქვს საქმე, თუ არაჩვეულებრივ, უფრო სწორად კი, ჩვეულებრივ, წინასწარ დაგეგმილ ანგარიშსწორებასთან. მაინც ვერავითარი ჭუჭყი ვერ წაბილწავს ჭეშმარიტი მწერლის ღირსებას, ვერავითარი გაჭირვება ვერ შეურყევს რწმენას მარადისობის ქვეშევრდომს, რომელიც, უსინათლოდ და უპუროდ დარჩენილიც, მომავალზე ფიქრობს, ასე და ამგვარად, კეთილსინდისიერად იხდის ვალს, როგორც წინაპრის, ისევე შთამომავლობის წინაშე. ამდენად, ჩემი აზრით, ცოტა უხერხულიცაა ალბათ იმის კითხვა, „თუ როგორ უნდა იქცეოდეს მწერალი ამ აუტანელ, ჯოჯოხეთურ ყოფაში“. ეს, რასაკვირველია, ჩვენმა მტრებმაც იციან და ამიტომაც ცდილობენ ასე თავგამოდებულნი, მაინც და მაინც დღეს, მწერლის სახელის დაკნინებასა და გაუფასურებას...

•

„ჯოჯოხეთურ, აუტანელ ყოფაში“... ხელოვანმა, უფრო კონკრეტულად კი, მწერალმა, გიჟის ხალათი კი არ უნდა ჩაიცვას, არამედ, თუკი იქამდე ეცვა, უნდა გაიხადოს, ანუ, თავი კი არ უნდა მოიგიჟიანოს, ვთქვათ, ჰამლეტივით, ჭკუას უნდა მოუხმოს, ძალა მოიკრიფოს, ნებისყოფა დაძაბოს და მთელი არსებით უკანასკნელ წამამდე დარჩეს მონაწილე ამ გაურკვეველი (ჯერჯერობით გაურკვეველი, კიდევ უფრო ზუსტად, თანამედროვეთათვის გაურკვეველი) პროცესისა, გადარჩენის პროცესია ის, თუ დაღუპვის, შობისა თუ სიკვდილისა. რასაკვირველია, მწერლის როლი ცხოვრებისეულ პროცესებში უმნიშვნელოა, მისი შესაძლებლობებიც უაღრესად მწირია, მაგრამ მისი მოვალეობაა, გნებავთ, მოწოდებაა განუსაზღვრელად დიდიცა და მნიშვნელოვანიც. მწერალი არც მოძღვარია, არც მხედართმთავარი, არც ჯადოქარი მკურნალი და არც სასწაულმოქმედი ეკონომისტი. ფუტკრისა არ იყოს, ისიც მხოლოდ „თაფლსა“ ქმნის, ოღონდ, ნამდვილი თაფლისგან განსხვავებით, მისი შექმნილი პროდუქცია ყოველთვის ტკბილი არ არის. მაგრამ თუკი მას მხატვრული, და აქედან გამომდინარე, ზნეობრივი ღირებულება გააჩნია, საუკეთესო, მე ვიტყოდი, ერთადერთი მალამოა ადამიანის სულის სამკურნალოდ.

•

ერთ რამეს ვინატრებდი მხოლოდ – ოდესღაც, საუკუნეთა მიღმა, ისევ ამ მიწაზე და ამ ცის ქვეშ, ვიღაცამ, სულერთია ვინ, ოღონდ ჩემი ვინაობისა და ხელობის მცოდნემ (შეიძლება დამფასებელმაც), ჩემს საფლავს ჩასძახოს: იძინე მშვიდად, ჯერ ისევ ვარსებობთ, ისევ ვიბრძვით, ისევ ხალხი გვქვიაო!



# მარიამ წიკლაური

## ალარც...

არც შროშანი ღელეთა,
ალარც მზეთა ზვირთები,
ალარც სათამამონი
და თავხედი ფიქრები.
ალარც... ალარც... ალარც შენ,
ჩემი გულის არჩივო,
არც ის ვიცი, რაცა მკლავს,
როგორ გადავარჩინო.
რამდენს მერქაგრეხილნენ
წლები – თეთრი ვაცები,
სულ თავს ეძებ, თუმც იცი,
ვერსად გადააწყდები.
ჩიტი ოქროსნისკარტობს,
აქ იყავო ოდესღაც...
და სიცოცხლეც, ხმატკბილი,
კი არ იყო... მოგესმა...

●

სიხარულის, მინდა, გითხრა,
სულ დარდისა გამომდის,
ჩიტიც ძველებურად მღერის,
მზეც მზისფერად ამოდის.
აქ ყვავილი იშლება და
იქ მთები ჩანს სამოთხის,
მოვა დღე და მაინც სევდის
სალამურად გამომთლის,
ამაკვნესებს ორთავ სოფლის
გაღმითა თუ გამოღმით...

სიხარულის საფრთხობელას
დაჰხვევია ქარები,
დავილალე სუყველაფრის
ბედზე გადაბრალებით.
სიხარულის სალამურო,
სად დაგკარგე ან როდის...
მზეც ამოდის, ჩიტიც უსტვენს,
მე არცერთი არ მომდის...

●

იერუსალიმ,
ეს ცხელი ქარი იმიტომ მიყვარს,
იქროლებს ბევრს და ვიცი, მოვა მაინც შენამდე.
ჩემი სუნთქვაც მოილოცავს შენი ქარის სახლს,
ჰაერის ტაძარს, ნიავის მლვიმეს, ხორშაკის მიწურს.
მერე შენგან წამოვა და ჩემს ეზოსაც ისე მოაგნებს,
როგორც წერილი, როგორც სიტყვა
მიდის უბრალოდ ღვთისგან კაცამდე.
ჰოდა, მიყვარს ეს ჰაერი, ეს ქარიც მიყვარს –
გამჭვირვალე ამბორებით სავსე ხურჯინი,
ანგელოზის მხარზე მსუბუქად დაკიდებული,
შენი ბავშვობის პერანგივით, იერუსალიმ,
ჩემს პატარა გულში ჩაკეცილი...
ვამზეურებ და იმხელაა, ცა ჩაეტევა,
ვკეცავ და თავის თავსაც აღარ ემჩნევა არსად...

## ძლევა

უდაბნოს სული ვარ –
სხივებით მსხმოიარე,
ნაჟღერი მდუმარების ხელით,
ქვიშიან ბორცვებზე ქარი კი არ ზუის,
მოქცევის სისავსეს მღერის.
დღემდე მამჩნევია
უნამოდ მომთვარული
უფლის ნაბიჯების ჩქამი,
ეს ხმები მიწის და ცის შუა დარგული,
ნაკონი ჟამების გვარლით.
მე მზეს შევეფიცე,
არ ვტეხ ცეცხლის აღთქმას,
მტვრის ფრთებით შევძელი ფრენა,
სიზმრების გადაღმაც ვისწავლე გახედვა,

ვისწავლე სიცოცხლის ენა.
ეს ჩემი გვალვაა –
ჩემი სიმწუხარე,
ვის უკვირს აქ ქვიშის ალხი?!
ცათაგადაღმელო ცვარო, უწვიმარო,
დაბადებამდეც რომ მახლდი.
ყველა გზას,
ყველა ჩქამს,
ყველა ქარს გინახავ,
შენში გახმიანდეს მინდა,
ისევე ლამაზად, მიმწუხრს რომ უხდება
მზის ჩასვლა მეწამულ რინდად.
მწიფარებს უდაბნო – დრო ჩემში ჩაგუბდა,
აქ მოვინაყოფე ჟამი,
ამ უსასრულობის ბაღებში შემოდი,
ათასწლებს უსწორე წამი.
აქ გულიც შლილია – სივრცეთა ნადიმებს
ესწრება დრო – ღმერთის კბილა,
შემოდი, სიჩუმის ხმა ნუ შეგაშინებს,
აქ სიკვდილს სიცოცხლე სტკივა.
ამ ღვთიურ მირაჟებს ხსოვნათა ნათრთოლით
არ მოეძებნება ტოლი,
აქ მზეა წვიმაც და
აქ მზეა ქარიც და
აქ მზეა მზისფერი თოვლიც.
ამ სიუდაბნოვეს – ჩემს გულში ჩატეულს,
უძველეს და უცნობ წყევლას,
როგორ ენატრება
შენი სიყვარულით
ყველა სიყვარულის ძლევა.

## აუყრიათ ტანი ფიჭვებს

აუყრიათ ტანი ფიჭვებს,
ისე აუყრიათ ტანი,
მგონი თოვლსაც ვეღარ მისწვდე,
ტოტზე რომ დებს ეს ზამთარი.
აუყრიათ ტანი ფიჭვებს,
მალე გაზაფხულიც მოვა,
განთიადზე ყური იჭერს
ჩიტის ჟღურტულს ზამთრის გლოვად.
მალე მოსდებს ქალაქს ფიჭვი
სიყვარულის მწვანე ჯანღებს,

მტვრის მარმაშებს, წყალზე მიჯრილს,
ცრემლად ატანს სანიალვრეს.
აუყრიათ ტანი ფიჭვებს,
მზე მიზეზობს, თოვლიც დნება,
გაზაფხული ფრთხილად მიჩვევს,
მირჩევს შენს წილ მორინდებას.
აუყრიათ ტანი ფიჭვებს,
კოლიბრივით სწრაფობს ფიქრი,
ვერასოდეს მოგიბინდებ
თუნდ, უთვალავ ზამთრის იქით.

## რა შეგვიძლია სხვა?!

რა შეგვიძლია სხვა?! ვმარადისობთ,
სივრცის და ჟამის ფრთებს ვშლით და ვკეცავთ
და წამისხელა უსასრულობით
ბედნიერები ვართ მე და ზეცა –
მარადი ბრმები, რომ ვგრძნობთ ერთმანეთს,
სიყვარულივით რომ გვტკივა ეჭვი,
რომ აბორგებულ წარმავალობას
ლამის ღმერთივით ცოცხლები შევრჩით.
როგორ ვირწმუნეთ, რაც არ გვინახავს,
როგორ მივენდეთ უჩინარ ბილიკს,
არც მოვქანცულვართ სულარსებობით,
ამ ერთგულებით მეტრფე თუ ივლის.
ორთავეს შენკენ გვიჭირავს თვალი,
დაბადებამდე შობილთა ჟინით
და ჟამინდელი ხსოვნის წყალობით
ვიხსენებთ პირველსულების ჟივილს.
არც ენას ვიჩლექთ მიამიტურად,
შენზე ვჩურჩულებთ ათასი დილა,
რომ არ შევაკრთოთ ვარსკვლავთა ბალი,
რომ არ დავაფრთხოთ ის, ვისაც სძინავს.
რომ ჩვილებს მშვიდი სიზმარი ჰქონდეთ,
რომ უძლებთ მამის სახლისკენ ევლოთ,
თითქოს სამოთხის ფუტკარი ზუის
და ყვავილის მტვერს ქარს ატანს მდელო.
სევდის ფოთლიდან ცრემლიც გვდის ლეშხად
და დრტვინავს ცეცხლით მიწისქვეშეთიც,
შენ ყოველ დილით გვმოწმობ და ჩვენში
მლვიძარების მზედ მშვიდად ეშვები.
ვინ იცის, როგორ გტანჯავს სიმცირე,
საჩვენოდ სავალ ჟამის და სივრცის,
ვინ იცის... მაგრამ სულ ვერთმანეთობთ,
სიკვდილ-სიცოცხლის პერანგებს ვიცვლით.

ვითომ ვერც ვამჩნევთ, სინათლეს შენსას
ჩვენხელა ჩრდილი ლაქად რომ სცხია,
დაგვაქვს სიცოცხლე სასახლესავით,
შენს მოლოდინში მუდამ კარლია...

## ნატრულო

ბინდის ლურჯ რტოზე იძინებს
ჩემი ფრთათეთრი პეპელა,
მზეც ჩადის, ღრუბლის ბაღებში
წითლის ფოთოლი ეპნევა.
დარდის ქვაც ნელა მიგორავს,
ხავსს არ იკიდებს სიპზედა,
საწუთისოფლოს დღესავით
ვკიდივარ სხივის წკიპზედა.
გზებიც, ნამზერით დაღლილი
ფრთად მოიკეცეს ნისლებმა,
ნატრულო, დღესაც შენს ნაცვლად
მწუხრის ყვავილი მისმენდა.

## არაგვო

*„რატომ არ მოველ წვიმადა“*

არაგვო, შენამც დიოდე,
ჩქერით მისკვნილო ჩქერზედა,
ნეტა მეც წყალად მაქცია,
მადინა მიწის მკერდზედა.
ნისლის თეთრონად ფრთაშლილი
გადამაჭენა მთებზედა,
ყვავილებს ნამად მადინა,
ცვარად – მზეკაბანს ქერზედა.
ცა-მიწის შუა მატარა,
ანგელოზს ვეცხო ფრთებზედა,
მზის ოქროს სხივზე მაბრწყინა,
ბალღს ვედებოდე ტერფზედა.
უჩემოდ ბალახს შიოდეს,
ტყე მღერდეს სევდის ხმებზედა,
ვეცვარებოდე კოკასა
ლამაზი ქალის მხრებზედა.
წვიმად ვდიოდე – ვმალავდე
წადილს ნანდაურთ ცრემლზედა,
გულს ვუგრილებდე საფლავებს,
დარდით დასულებს ძვლებზედა.
ღრუბლის კოტორად ქცეული

ვეკიდო ხატის წვერზედა,
ქარი მცვარავდეს დროშებზე,
ლაშარის ზარის ძელზედა.
ჟამთუწინარეს ნადენო,
ჩქერით მისკვნილო ჩქერზედა,
სიკვდილს გამსხლიტა ხელიდან,
როგორც შენ სხლტები ქვებზედა.
მეც მოდიდება ვიცოდე,
თავს არ ვკმარობდე ერთზედა,
ჩემი სათავეც, შენსავით,
ეკიდოს მაღალ ღმერთზედა –
ამშრალს ხმელეთის პირიდან
კვლავ მოსვლად გამაქეზებდა,
არ დამაჩნევდა ნაჭდევსა
სამარის განაკერზედა.

## ზამთრისპირული

ისევ მოდგება ზამთარი,
როგორც მომდგარა ადრე,
შემოდგომის ცეცხლს ჩააქრობს,
მზეს გასხლავს, დარგავს ავდრებს.
გახედავს მთვარის ნაბეჭარს –
ღამის ბაკმიან სამხრეს,
ცას დაიმონებს, დაღრუბლავს
სინათლეს, ბნელით ნამღვრევს.
მე და ობოლი ბალახი
ვგავართ სიკვდილის ნამღერს,
ვითმენთ, ჩვენც ჩვენი ღვთისა ვართ –
მიწისპირს გადავარღვევთ,
თოვლს გულისპირზე დაგვიდნობს,
მზის გეში ყველგან გვაგნებს.
შემოვიცილებთ გვამიდან
ქვესკნელის ქერქს და სახვევს,
ღვთის სტუმარივით მოვდგებით
კაცის და ჩიტის სახვნელს,
ამოვალთ, მწვანედ მოვსკდებით,
დროს სახელს გადავარქმევთ.
შენამც იხარე, ზამთარო,
თეთრად ურწიე აკვნებს,
ჩვენ არაფერი გაგვაქრობს –
მიწაზე ქრისტედ ნაგებს...

## მრცხვენია

რომელი რუდაქი მე ვარ,
ემირმა მომართვას ოქრო
და ჩემი ნამღერი ლექსით
ქარებმა უდაბნო მორთონ?!
რომელი დერვიში მე ვარ,
სახელად საიდი აბუ,
რომ ჩემი ნაფცქვენი კიტრის
განღმრთობის გაძლევდეთ საბუთს?!
მეგონა, სამეფო მქონდა
ნათქერი ქარფიქრთა რბევით,
ფასკუნჯებს გაედოთ ფრთებზე
იქაურ ღამეთა თევა.
ვიშლიდი სამშობლოს გულზე
ლანდისფერ მდინარის ნაწნავს
და მზემდე გაჩენილ ნათლის
ხნულებში ვაპნევდი მარცვალს.
და მაინც დამადნა თავზე
თოვლივით დროცა და ჟამიც,
სარძევე კბილივით მიჩანს
საწუთროს გამსხლტარი წამი.
რომელი მისანი მე ვარ,
ეს გვალვა ვაქციო წვიმად,
ზეცამდე ვაწვდინო ჩემი
ცეცხლოვან ყვავილთა წირვა?!
სიძველის ძვალით რომ წყალი
ავძრა და დაგვდინდეს თქეში,
რომელი სალოსი მე ვარ,
სიწმინდედ განვიმქვრე ღმერთში?!
რომელი მგოსანი მე ვარ,
სამზღვარი გადავვლო რაშით?!
ყელამდე ჩამხრჩვალი ვდგავარ
ღმერთის და მოყვასის ვალში.
საკუთარ მშვიდობის დღისთვის
ფერნაცვალ ომებით ვიბრძვი,
მერე რა, თუ დღემდე ვეძებ
სათავეს, ჟამინდელ სიბრძნის.
ვინც ჰპოვა, ნეტავი იმას,
ვინც იერთმანეთა ტანჯვით,
მორჩილად მოვყვები შენსკენ
ჩემსავე გაცრეცილ აჩრდილს.
ვილევი... და ვხედავ უკვე
თავსაც რომ ვერაფრით ვყოფნი,
რომელი მოძღვარი მე ვარ,
სამყოფი რამ მქონდეს სოფლის...

შენ უნდა მიკმარო ისევ,
შენ უნდა მეძიო მარად,
უხილავ გრძნობათა კარი
ცროლივით* გამქრალა სანამ.
თავადვე მედება ალი
სანთლის თუ ცის ცეცხლი მრისხავს?!
გიხმობ და მრცხვენია, ღმერთო,
ასეთი შეშლილი დღისა.

## დამბადე, დედი

ოდესღაც მიწის ფესვიდან გავჩნდი,
მზის ბორჯიდანაც გავჩნდი, ეტყობა,
მათ შორის მდგარი ლურჯი უფსკრული
ჩემი სულივით აღარ მეთმობა.
ბალახმაც მშვა და წყლის ფესვიდანაც
ამოვიბწკალე ჩქერთა ჩელტებად,
დაღლილი დედა, ვინ იცის, რომელ
ღვთისგან ითხოვდა ჩემთვის შენდობას.
გადავეხვიე ჰაერის სუროს
სხივის კულულზე, თოთო ვარსკვლავად,
სივრცემ მაწოვა ძუძუ, დედა რომ
მარილს ფქვავდა და სკნელებს ართავდა.
მგონი, თოვდა და სითეთრეც თოვლის
საბრალო დედას ვეგონე შვილი,
ახლაც ჩემს ნამყოფ სიზმრის აკვნებში
ფიფქად დაფრინავს ბავშვობის ჩრჩილი.
ეტყობა, ცეცხლის ნეკნიდან გავჩნდი
და ჩემსავე ბედს ვგავდი, ეტყობა,
ყვავილის ჩითში ვეწვინე ნიავს,
ჩიტის ხმით ნამის ნანას მეტყოდა.
მანანავებდა ჰაერში ქარი
გადაზნექილი კენწეროდ ბალის,
ვმწყემსავდი ველზე ბებერ ფასკუნჯებს
და ელვას ხელებს ვუშვერდი ბალღი.
გავუჩნდი მთებში თეთრ ნისლის ჩრდილებს,
ბურუსს გავუჩნდი მჭვირვალ წვიმებად,
რომ არ ვტკენოდი ღამეს სინათლედ,
განთიადმა მშვა სხივის მწირველად.
დედილო, ეგებ შენ მიმახვედრო,
ასე მოსული როგორ წავიდე,
როგორ დავწიო დაბლა, მიწისკენ,
ჩამოხუნძლული მწიფე წამისხე?

* **ცროლი** – მთა ხევსურეთში.

როგორ ვეზარდო სიხარულს ჩირთად,
სიმშვიდეს როგორ ვეშვილო, დედი,
ნუთუ ესაა სულ არჩევანი –
უკვდავებაზე შეყრილი ფეტვი...
საით გაფრინდნენ ის ფასკუნჯები,
ან ელვამ საით უწია კიდეს?
დედი, დამბადე, გთხოვ, ბედნიერი,
სიცოცხლისათვის დამბადე კიდევ.
გთხოვ, მაპოვნინო ის წამიც, როცა
ყველა ვჩნდებოდით პირველად ღმერთში
და გულისფეთქვა ყრმა სიყვარულის
ერთმანეთივით გვეჭირა ხელში.

## ღამემაც იცის ძახილი

დაჭრილა ნათლის ირემი –
დღე – სინათლისგან იცლება,
გავა, გატოპავს ღამეში,
ჩქამი შავ ჩქერზე მიწყდება.
იმის ნაძოვზე მოდგება
ბნელი და დაიბინადრებს,
რა ქნას, ბრალია სიბნელეც,
მასაც აქვს თავის სიმართლე.
მასაც გული აქვს, უფეთქავს
ათას ვარსკვლავად ცაზედა,
ღამემაც იცის ძახილი
შემკრთალი ჩიტის ხმაზედა.
მთვარის სხივზე რომ ჩადნება,
ჩაიწურება სიზმრებად,
მასაც თუ უჭირს საკუთარ
თავში უფალის მიგნება?!
ისიც თუ წვალობს, არა სურს
საჩვენოდ დარდის გამხელა.
ერთით მეტი მქნა, რო ღამის
იქითაც გადამახედა...



# ლადო კილასონია

*წიგნიდან „მინიმალიზმის ძიებაში“*

## ძველი სიმღერა

ეგ ყველას გვქონია – ტაქსიში, სამარშრუტოში, ტელევიზორში მოვისმენთ შემთხვევით რამე სიმღერას, ჩაგვრჩება და მერე მთელი დღე ვღიღინებთ ჩვენთვის.

მე სიმღერა არ შემიძლია, არც სმენა მაქვს, არც ხმა და კარგად ვიცი, ათი კაციც რომ მღეროდეს და მე მეთერთმეტე ვიყო, ჩემი საქმე მოსმენაა. მაგრამ არის ერთი სიმღერა, რომელსაც უკვე წლებია ვღიღინებ ეგრე, განსაკუთრებით კი ნასვამზე და ვინც კარგად მიცნობს და დაინახავს, რომ ოდნავ ჩავხარე თავი და ხმადაბლა, ჩემთვის ავაყოლე: «Эх, дороги... Пыль да туман, Холода, тревоги Да степной бурьян»[1], გაიცინებს და მეტყვის:

– კაი რა, როდემდე უნდა იმღერო ეგ?!

მე კიდევ არაფერს ვუპასუხებ და გავაგრძელებ: «Знать не можешь Доли своей: Может, крылья сложишь Посреди степей»[2].

ეს სიმღერა 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგაა დაწერილი, საბჭოთა ჯარებს უკვე კარგა ხნის აღებული რომ ჰქონდათ ბერლინი და სადღაც იქ, ბერლინის გადაბუგულ, დანგრეულ ქუჩებში ბაბუაჩემი ექვთიმე დააბიჯებდა, სახლში დაბრუნებაზე ოცნებობდა და თან მორიგ ბრძანებას ელოდა.

მუსიკა ანატოლი ნოვიკოვისაა, ტექსტი – ლევ ოშანინის. სიმღერით კი ვინ აღარ მღერის, ცისფერთვალება ოლეგ დალიდან დაწყებული, შავბაკებიანი მუსლიმ მაგომაევით დამთავრებული, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მაგარი მაინც „ქართული ხმების“ შესრულებაა – ღონიერი, გუნდური, ნელ-ნელა რომ იკრებს ძალას.

მიყვარს ეგ სიმღერა, მართლა წლებია ვღიღინებ და არ მბეზრდება, ერთი იმიტომ, რომ მგონია, კარგადაა დაჭერილი ჯარისკაცური რამეები: მონატრება, სევდა, შიში, ომის უაზრობა, სადღაც უცხო მიწაზე საფუძვლიანად ამოვარდნილი, დაკარგული ახალგაზრდობა. მეორე კიდევ, ეს სიმღერა ერთ ამბავს მახსენებს: მგონი, 2014 წელი იყო და პორტუგალიაში ჩავედით სამნი – მე, ჩემი ძმაკაცი ნიკა და მისი ძმაკაცი ავთო. მე ყველაზე პატარა ვიყავი – ოცდათი წლისა, ნიკა – ოცდათვრამეტის, ავთო კი ორმოცდაორის. ორივე ჩემი მეგზური ძველი სპორტსმენი იყო – უკვე ჩასუქებული, დიდი, ღონიერი კაცები.

მე და ნიკა წლებია ვძმაკაცობდით. ნიკა ორთაჭალელი იყო, ძველი მოკრივე, დაბალი, მხრებგანიერი, სქელი, ღო-

[1] ეჰ, გზებო... მტვერი და ნისლი და თოში და შფოთვა და გვიმრა ტრამალის.

[2] ვერ გაიგებ, რა გელის: იქნებ თავიც წააგო ამ ტრამალებში.

ნიერი კისრით, გადაპარსული თავით, პატარ-პატარა იარებით დასერილი სახით და ოდნავ წინ გამოწეული, ოთხკუთხედი ყბით. ჰყავდა ცოლი, სამი შვილი და მაგრად უყვარდა დალევა და ჩხუბი.

– თვეში ერთხელ მაინც რო არ ვიჩხუბო, თავი მკვდარი მგონია, – მითხრა ერთხელ, როდესაც ვსვამდით და თავის დაბეგვილი ხორცივით უფორმო, დიდ მუშტებს დახედა.

ავთოს ნიკასგან ვიცნობდი. ძველი რაგბისტი იყო, უკვე შეჭაღარავებული, ჩალისფერთმიანი, ცისფერთვალება ბიძა, დღემდე ონდავ წელში მოხრილი დადიოდა და შარვლის ჯიბიდან წვრილ ვერცხლისფერ ხაზად მოუჩანდა დანის სამაგრი.

ავთოს ამბები თბილისშიც გამეგო და ნიკაც მიყვებოდა: ადრე მარტოსული ყაჩაღი, თავზეხელაღებული და უშიშარი, თავისით რომ უყვართ საქმეების კეთება, ახლა ქალაქგარეთ ცხოვრობდა მოხუც დედასთან ერთად, სოფლის დიდ, კარგად მოწყობილ სახლში. არც ცოლი ჰყავდა, არც შვილი და თითქმის აღარც ერთი ძმაკაცი აღარ შემორჩენოდა.

– ერთხელ ეგ მაგისმა ძველმა ბრატმა მომიყვა, აღარ ძმაკაცობენ ეხლა, – მითხრა ადრე ნიკამ, – რუსეთში ვიღაც ტიპს ფული უნდა მიეცა, არ აძლევდა და შეუვარდა ეს სახლში. კორპუსში ცხოვრობდა მეშვიდე სართულზეო. მარა ამ მასტს რაღაცნაირად მოუხერხებია და თავისიანები გაუფრთხილებია და, რო შეუვარდა სახლში, ეს მაგის ბრატებიც ამომყვნენ დასაბრედადო, ექვსნი იყვნენ, იარაღებითო, ამას კიდე მარტო მაკაროვი ქონდაო და სახლში რო შემოცვივდნენ, ფანჯარა გააღო, დაავლო ამ მასტს ხელი და ფანჯარაში გადაკიდა, მესვრით და ჩავაგდებო! ფულიც თავისი ხელით გამოუტანეს, ის მაგათი ბრატი კარნახობდა გარედანო, მაგიდაზე დაუდეს, ქვემოთ, ეზოში ჩავიდნენ და იქ გაჩერდნენ, ისე რო დაენახაო. მაშინ შემოათრია ეს ტიპი ფანჯრიდან უკან, დააბა, პირი აუკრა, ფული დაითრია, სხვენში ავარდა, სახურავ-სახურავ იარა, სხვა პადიეზდიდან ჩავიდა და მოხიაო!

ავთო თავისებური ტიპი იყო, ყველაფერზე განსხვავებული, ცოტა უცნაური აზრი ჰქონდა და ამ აზრს ბოლომდე აწვებოდა.

დალევა სამივეს გვიყვარდა, მე კარგი სიმთვრალე მქონდა, ნიკას – ცუდი, ავთოს – ძალიან ცუდი. ნიკა თვითონ თუ არავის აუშარდებოდა, მაგრამ შემთვრალზე მაგარი მოურიდებელი ხდებოდა და არავისთან დაიხევდა უკან, ავთო, პირიქით, დალევდა, დამძიმებული, სქელი ქუთუთოები ცისფერ თვალებზე ჩამოაწვებოდა, ტუჩებზე თხელ მბრწყინავ ფენად გადაეკვრებოდა სისველე, ნიკასავით წინ გამოეწეოდა ყბა, ამოგხედავდა ეჭვიანად ქვემოდან და, რაზე აგიშარდებოდა, ვერასოდეს მიხვდებოდი, მაგრამ, რაც უნდა მოგსვლოდათ, მეორე დღეს არაფერს გააგრძელებდა.

ავთოს და ნიკას ერთად დალევა და თბილისელი ყაჩაღების გახსენება უყვარდათ. დაუჯდებოდნენ ერთმანეთს პირისპირ და წამოვიდოდა ჯიუტი, უშიშარი, დაუნდობელი ბიჭების უსასრულო ქარავანები, სანთლებივით რომ აენთნენ და ეგრე სანთლებივითვე მალე რომ ჩაიწვნენ.

მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ სიმთვრალეში ავთო რატომღაც სულ ნიკას დაჩაგვრას ცდილობდა, გამოუძებნიდა ხოლმე რამეს და მიაწვებოდა, ნიკა კიდევ არ უთმობდა და იყო ერთი ახსნება და გაწევა-გამოწევა, ოღონდ ხელით ჩხუბს ორივე ერიდებოდა. მეორე დილას კი ისევ ძმაკაცები იყვნენ.

თუმცა ამჯერად გამიმართლა, ლისაბონში საქმეზე ჩავედით და არც ავთო და არც ნიკა არ სვამდნენ. ჩვენი სასტუმრო ოკეანის პირას იყო, ბოლო სართულზე დიდი ღია აივანი იყო, გადაიხედავდი იქიდან და მარცხნივ ქვის ძველი ფორტი იდგა, რომლის შავ კედლებზე ტალღები იმსხვრეოდა, მარჯვნივ კლდოვან შე-

მაღლებაში გაქრილი გზატკეცილი მიიკლაკნებოდა და მოსახვევში იკარგებოდა, წითელი კრამიტით გადახურული სახლების იქით კი ქვიშიანი ნაპირისკენ ნელა, შხუილით მოგორავდა უსასრულო, მზეზე მბრწყინავი ოკეანე.

ჩვენი პლაჟი, ცნობილი თურმე თავისი დიდი ტალღებით, ზამთარ-ზაფხულ სავსე იყო სერფერებით. გამოხვიდოდი გამთენიისას, გაჰყვებოდი იმ ფართო ქვის ბილიკს, თეთრ კანტად რომ გასდევდა სანაპიროს და შორს, პორტში იკარგებოდა, და მუქი ლურჯი ცა ჰორიზონტის სიღრმიდან გაბაცებას დაიწყებდა თუ არა, შიშველი ფეხების ტყაპუნით ჩამოირბენდნენ მომდგარ, სქელ საცურაო კოსტიუმში ჩამჯდარი, დაკუნთული შავი სხეულები იღლიაში ამოჩრილი ცხვირწაწვეტებული დაფებით, შევიდოდნენ უზარმაზარ შავ წყალში, ცხენებივით შემოასხდებოდნენ დაფებს და ბასრი ცხვირებით ჭრიდნენ პატარ-პატარა ტალღებს.

მეც ვცადე – დაფა და კოსტიუმი ვიქირავე და ღირსეული სახით მივადექი ოკეანეს, მაგრამ არათუ ტალღის დაჭერა, დაფაზე დადგომაც კი ვერ შევძელი, ვიწექი ზედ და ისე ვეფიცხებოდი მზეს, როგორც აუზის შეზლონგზე გაწოლილი გოგო.

თუმცა სერფერების ყურება მომწონდა: გარუჯულები, ხმელები, დაკუნთულები, ტივტივებენ დაფებზე მშვიდად გადამსხდარები, ტალღას ელოდებიან, იჭერენ, ხელებს ამუშავებენ, მერე უცებ ფეხზე წამოდგებიან, მუხლებში მოხრილები და ხელგაშლილები მოჰყვებიან წყლის თეთრქოჩრიან ბორცვს, იქამდე, სანამ შიგნით არ ჩაიმალებიან.

ერთიცაა, ვზივარ ეგრე ღია კაფეში ჩემთვის, ლუდს ვწრუპავ, მზეს ვეფიცხები, ვუყურებ წყალზე მოტივტივე სერფერებს, გოგოებს ვაყოლებ თვალს, რომ ვხედავ, მოდის ავთო. აფორიაქებული ჩანს, თმა გასჩეჩვია, ჩუსტები ხელში უჭირავს, შავი მაისურიდან წვრილად სცვივა ქვიშა, სწრაფი ნაბიჯით მოუყვება ქვის ბილიკს და აქეთ-იქით იყურება.

– ავთო! – დავუძახე და ხელი ავუწიე.

დამინახა, მოვიდა, მაგრამ არ დაჯდა.

– დათუშ, ცოტა დრო გაქვს? – მკითხა.

– კი, – ვუპასუხე მე.



– წამო რა, გამომყევი.

– წამო, მაგრამ სად?

– წამო და გზაში მოგიყვები.

გავყევი.

– კაროჩე, დათუშ, – დაიწყო მოყოლა ავთომ, – აი, ახლა, ვიღაც ტიპმა დახრჩობას გადამარჩინა და უნდა ვუკისრო უეჭველი! აზრზე ხარ, მითრევდა, – და ხელი მზისგან თეთრად აქერცლილი ოკეანისკენ გაიშვირა, – შევედი, შევცურე, გამისწორდა და ზურგზე გავწექი, მევასება ეგრე და ამას ხო თავისი შიდა დინებები აქვს და, ეტყობა, გამიყვანა, და რო გამოვბრუნდი, ბიჭო, ნაპირი მასე შორსაც არ იყო, მარა ვიგრძენი, რო შიგნით და შიგნით მიმათრევს წყალი. იტოგში, გავცურე და წინ თითქმის ვერ წავედი, კიდე გავცურე და ისევ, ბოლოს ვიგრძენი, რო ვსიო, გამომეცალა ძალა, ცოტა შორს ვიღაც ტიპები იყვნენ და დავუძახე, მარა ისე კი არა, პანიკაში რო კივიან და რამე, არა! მარა დავიძახე, რა! ეეეე-მეთქი, მიშველეთ! ვერ გაიგეს, კიდე ავაქნიე ხელები და კიდე დავუძახე, და რო არ გამოიხედეს და კაროჩე, მეთქი, – ვსიო, მორჩა რა, ვიღაც ტიპი შემოვარდა, მაღალი, გამხდარი, სიმპატიჩნი მასტი იყო და გამომიყვანა და ცოტა აზრზე რო მოვედი, ხელებით რაც შემეძლო ავუხსენი, მეთქი აქ იყავი და მოვალ, აი, ახლავემეთქი, წრეზე მოატარა ხელები ავთომ, – და წამო რა, ძმობას გაფიცებ, კაი ვისკის დავითრევ, მივიდეთ იმ ტიპთან და სალამოსაც რესტორანში დავპატიჟებ!

სუპერმარკეტი ჩვენი სასტუმროს უკან იყო. ავთომ ორი ბოთლი მართლა მაგარი ვისკი იყიდა.

– პროსტა, ახლა რო არ დავლიო, არ შეიძლება! – მითხრა, ერთ ბოთლს თავი მოხსნა, იქვე მოიყუდა და მომაწოდა.

– აბა, გაუმარჯოს იმ ბიჭს, – „მაზი დავუჭირე“ მე და სამი დიდი ყლუპი გავაკეთე.

– აზრზე ხარ, ტო, – სიცილით მიყვებოდა ავთო უკანა გზაზე, – დღეს დილას დავრეკე სახლში, მეთქი ტრანსატლანტიჩესკი ენერგიას ვიღებ და... ლამის არ წამიყვანა!

გზაში კიდევ ორჯერ მოვიყუდეთ ვისკი. მივედით იმ ადგილას, სადაც ავთო იხრჩობოდა, მაგრამ ის ტიპი ვერ ვიპოვეთ.

– ეგ ბიჭი რო არ ვიპოვო, არ გამოვა! – თქვა ავთომ – წამო რა, დათუშ, აქ უეჭველი ეცოდინება ვინმეს და კითხე რა!

დავიწყეთ სანაპიროზე გამოკითხვა – ჯერ იქვე ვინც იყო, იმათ მივადექით, მერე სერფერებს, ბოლოს სერფერების სკოლასაც, მაგრამ ის ბიჭი ვერსად ვიპოვეთ.

– უნდა ვიპოვო! – ამბობდა ავთო და ვისკის იყუდებდა.

ჩვენს სასტუმრომდე ვიარეთ კითხვაკითხვით და მაინც ვერსად მივაგენით.

საათს დავხედე, ოცდახუთ წუთში ტაქსი მოგვაკითხავდა.

– ავთო, უნდა წავიდეთ!

– შენ და ნიკა წადით, დათუშ! მე ის ბიჭი უნდა ვიპოვო! – მითხრა ავთომ.

– სახეზე გახსოვს?

– ახლა ესე არა, მარა რო ვნახო, უეჭველი ვიცნობ, მაღალი მასტი იყო, სიმპატიჩნი, აი, ასეთი კი არა, – ირგვლივ მოარულ ხალხზე მოატარა ხელი ავთომ, – არა, მაგარი დასტოინი, მოვალ-მეთქი რო ვუთხარი, ხელით მანიშნა არ გინდაო!

ავთო სანაპიროზე დავტოვე, ავედი სასტუმროში, ნიკა ფოიეში მელოდებოდა, გამოვიცვალე და ავთოს ამბავი მოვუყევი.

– მაგარი როჟაა, ეხლაც ეძებს! – დავამთავრე ბოლოს სახეგაბრწყინებულმა.

– ხო, პროსტა, ცოტა ფრთხილად ელაპარაკე, – გამაფრთხილა ნიკამ, – მართლა კაი კაცია, მარა ეჭვიანია, ბოლომდე არავის არ ენდობა, მაგიტომაც დარჩა ეგრე მარტო.

– ძმაკაცები?

– ყავს, მარა, ხო გითხარი, ბოლომდე არავის ენდობა.

– რატო?

– თავისმა ბავშვობის ძმაკაცმა გაწირა მაგრა, საქმის ფული მოქესტა, ამას შეტენა და ვისაც ფული აუწია, იმათ მიუყვანა და იქ, იმათ წინ, საჩვენებლად გაადებილა იარაღის ტარის ცემით.

ამ დროს ტაქსიც მოვიდა.

სასტუმროში ორი საათის შემდეგ დავბრუნდით. ავთო თავის ოთახში დაგვხვდა, ტრუსის ამარა იჯდა ლოგინზე, ფეხები გაეშალა, შუაში კი თითქმის დაცლილი ვისკის ბოთლი ჩაედგა. ვერ ვიპოვეო, გვითხრა, მერე ფანჯარას გახედა და დაბალ ხმაზე წაიმღერა: Эх, дороги...

– Пыль да туман, – უპასუხა ნიკამ, მერე კი დააყოლა, წამო ერთად მოვძებნოთ ის ბიჭიო.

– წამო და სადმე რესტორანშიც დავჯდეთ, – თქვა ავთომ და ჩაცმა დაიწყო.

საღამოვდებოდა, სანაპიროზე რომ გავედით, მაგრამ ის ბიჭი მაინც ვერ ვიპოვეთ.

ბოლოს ბარის წინ ჩამომსხდარ, თმაშეჭაღარავებულ სერფერებს მივადექით, პლასტმასის მაგიდასთან რომ სვამდნენ ლუდს და გამუქებადაწყებულ ოკეანეს გაჰყურებდნენ.

– ეგრე რა იპოვის! – გარუჯული ხელი აიქნია იმათში ერთმა. – იცი, ყოველდღე რამდენი ეგეთი გამოგვყავს?!

– არადა, ძაან გვინდა, რო ვიპოვოთ, აი, ეს კაცი გადაარჩინა და გვინდა დასალევზე დავპატიჟოთ! – ვუთხარი და ავთოზე ვანიშნე.

– ჩვენ დაგვპატიჟეთ მერე, იგივე არ არის?! – სწორი, თეთრი კბილებით შემოგვცინა ხორბლისფერმა, ჭაღარა სერფერმა.

– რაო? – მკითხა ავთომ.

– რა და ჩვენ დაგვიტოვე ეგ ვისკი, მიუვაო! – სიცილით აუხსნა ნიკამ.

და ავთომ პლასტმასის მაგიდაზე დადგა ვისკის ბოთლი.

წამოვედით და იქვე სანაპიროზე იაპონურ რესტორანში შევედით.

– როჟები არიან სერფერები, – თქვა ნიკამ. – აქაურმა რაგბისტებმა მითხრეს, მთელი ახალგაზრდობა მაგათთან გვქონდა სუ ჩხუბიო!

– იქნებიან როჟები, აბა რა, ნახე, ვისი არ ეშინიათ, – უკიდეგანო, შავ ოკეანეს გახედა ავთომ.

გვიან ღამემდე ვსვამდით. მერე ავთო მამამისის ამბავს მოჰყვა.

– გულის პრობლემა ვისაც აქვს, იმან მორფი უნდა ატაროს ჯიბით! ხო შეიძლება, სადმე მარტო მოხვდე და იქ გხიოს, და სანამ სასწრაფო მოვა, მანამდე მორფი შველის, აი, იმ პირველ უდარს აგდებს, გაიგე?! რო მიხვდები, რო მოგიჭირა, დაირტყამ და ერთი ოცი წუთი, დაჟე შეიძლება მეტიც გაქვს. მამაჩემს მორფი რო ქონოდა, შეიძლება დღესაც ცოცხალი ყოფილიყო. ჩვენთან სოფელში მდინარეა... თვითონ უყვარდა ეზოში მუშაობა, ცელვა, მორწყვა, ეგეთი რაშეები. მეც მაგ პონტში მიყვარს, დილას სულ ვცელავ ხოლმე ჩემთან, ნუ, როცა არი, რა. ჰოდა, რო არ მოვიდა სახლში, წავედი და იმ მდინარესთან ვიპოვე, მუხლებში მოხრილი მიწოლილიყო მაღალ ბალახებში – ეტყობა, წყალთან ჩაიკუზა და იქ მოუჭირა. აი, მაგიტომ უნდა გედოს მორფი, როცა გული გაწუხებს!

მივხვდი, მამის გახსენება მოუნდა, მაგრამ ესე პირდაპირ თქმა გაუტყდა.

დალევა განვაგრძეთ. რომ დავთვერით, ლაპარაკი ჭორიკანა კაცებზე ჩამოვარდა.

– ზურგს უკან მოლაპარაკის ყველას დედას შევეცი! – ვთქვი ამაყად მე.

– ბაზარი არაა, ეგ ჩვენ არც ერთს არ გვეხება, მარა რაღაც პონტში ვაბშე ყველას გვეხება, – თქვა ავთომ.

ვუყურებდი, ვუსმენდი და ვხვდებოდი, რომ მომწონდა ეს ბებერი, მარტოდარჩენილი ყაჩაღი, უცნაურად, თავისებურად რომ უყურებდა ყველაფერს, მაგრამ ხანდახან ისეთ სიმართლეს გამოურევდა ლაპარაკში, რომელიც ყველამ ვიცით, თუმცა საკუთარ თავთანაც არ გვინდა ამის აღიარება.

რესტორნიდან მაგარი მთვრალები გა-

მოვედით და ფეხით გავუყევით მთვარის შუქით განათებულ თეთრ ბილიკს. ცოტა რომ გავიარეთ, მე და ნიკა ხის სკამზე ჩამოვსხედით, ავთო ჩვენ წინ ჩაიმუხლა და სიგარეტს მოუკიდა.

ახლა უკვე აღარ მახსოვს, რატომ, მაგრამ ნიკამ ავთოს კაცობის ახსნა მოინდომა ჩემთვის, ბევრი ილაპარაკა და ბოლოს ეგეთი რამე თქვა:

– ვინმე რო იტყვის ავთოსნაირი ვაჟკაცი ბიჭი ვარო, ჯერ ტრაკზე უნდა იბწკინოს!

ავთომ ქვემოდან ამოხედა ნიკას თავისი მღვრიე, ცისფერი თვალებით, ყბა წინ გამოწია, სიგარეტის ნაფაზი ამოუშვა.

– რა პონტში ამბობ მაგას, აბა, მიდი ერთი, ამიხსენი – ჰკითხა და დაიწყო: რატო თქვი? მე ეგ ამ მითქვამს! აბა, რა თქვი? ეგრე ვთქვი, მარა ვაბშე სხვა რამე ვთქვი! მაშინ რატო თქვი ეგრე, არ მითქვამსო?

ფეხზე წამოვდექით, მე ვცდილობდი, ავთოსთვის ამეხსნა, რომ ნიკას ცუდი არაფერი უგულისხმია, პირიქით, გულით შეაქო, მაგრამ არ მისმენდა. უკვე შუბლი შუბლზე ჰქონდათ მიდებული, ველარ ვაჩერებდი, ორივე ჩემზე ღონიერი იყო, როდესაც საიდანღაც გონებაში ავთოს ოთახში მოსმენილი ძველი სიმღერა ამომიტივტივდა. ჯერ მთვარის შუქით განათებულ ოკეანეს გავხედე, რომლის სიღრმეშიც წითლად ღვიოდა დიდი გემი, მერე მოწმენდილი ცისკენ ავწიე თავი და შიშისგან, უმწეობისგან, ნერვიულობისგან ხმამაღლა წავიმღერე:

– Эх, дороги…

და უცებ ერთმანეთზე შუბლმიდებულმა ავთომ და ნიკამ მოჯადოებულებივით მოაბრუნეს თავები ჩემკენ და ერთხმად ამყვნენ:



– Пыль да туман!!!

ეგრევე შუაში ჩავუდექი, აქეთ-იქით გავუყარე მკლავი ორივეს და სასტუმროსკენ დავიძარი სიმღერით. უბრალოდ, იმაში მერხეოდა, რომ ტექსტი არ ვიცოდი ბოლომდე და როგორც კი გავჩერდებოდი, ავთო თავიდან უწყებდა ნიკას: მიდი, აბა, ის შენი სიტყვები ამიხსენიო! მე ორივესთვის მკლავი მქონდა გაყრილი და ვიგრძნობდი თუ არა, რომ სხეულები დაეძაბათ, ისევ სიმღერას ვიწყებდი. და მოკუმული მუშტები იხსნებოდა და ორივე მოჩხუბარი სიმღერით მომყვებოდა გვერდში. ეგრე ვატარე დაახლოებით ერთი კილომეტრი, სანამ სასტუმრომდე არ მივედით, მერე ნიკა ნომერში ავიყვანე, დავაწვინე, ავთოს დავემშვიდობე და ჩემს ოთახში შევძვერი.

დილით კი პახმელიაზე მარტო ჩავიპარე სანაპიროზე – იქ მეთევზეების ძველი ბარი მეგულებოდა, ღრუბლიანი დღე იყო. ვიჯექი ჩემთვის პლასტმასის ნამიან

პატარა მაგიდასთან, ჩუმად ვყლურწავდი იაფფასიან ვისკის და იქვე ხის ფიცარზე დაჭრილი ფორთოხლისგან დაწურულ წვენს ვაყოლებდი. ირგვლივ ბებერი, სახედაღარული საწვიმრიანი მეთევზეები წრუპავდნენ სასმელს, წინიდან კიდევ მომწვანო-მონაცრისფრო ოკეანე მოდიოდა დიდი ტალღებით, რომლებზეც შავად ტივტივებდნენ სერფერები.

– Эх, дороги… Пыль да туман, Холода, тревоги Да степной бурьян! – წავიმღერე უცებ ჩემთვის და გამეცინა.

წინა ღამის ამბავს გაგრძელება არ მოჰყოლია, მგონი, არც ახსოვდა არც ერთს. ავთომ კიდევ სამი დღე ეძება ის ბიჭი, მაგრამ ვერ იპოვა, შემდეგ კი საქართველოში დავბრუნდით.

იმის მერე ბევრი წელი გავიდა. ავთო და ნიკა ცოცხლები აღარ არიან. ნიკა ავარიაში მოკვდა, ავთო კიდევ მამამისივით იპოვეს წყალთან ჩამუხლული – გული გასკდომოდა. დამრჩა მხოლოდ ძველი სიმღერა, მთვრალზე რომ წავიღიღინებ ხოლმე ჩემთვის და სულ ის, პორტუგალიის „პაეზდკა“ და ოკეანის პირას მობარბაცე ორი კაცი გამახსენდება, ჩემი სიმღერით რომ გადავარჩინე ჩხუბს.

## *წიგნიდან „შეშლილის ჩანაწერები“*

## ძმა

კაპიტანმა წელზე ცერად მომდგარი ქამარი შეისწორა, მერე ავტომატს მოაცილა წებოვანი მიწის გოროხები, გაოფლილი ხელები გაუსვა ერთმანეთს, მოღუშულ ნაცრისფერ ცას ახედა, ჩუმად გაიმეორა ის სიტყვები, მესამე ომია, ყოველი ბრძოლის წინ რომ ამბობდა თავისთვის: „და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“, და მხოლოდ ამის შემდეგღა მობრუნდა თავისი რაზმისკენ.

ბიჭები სანგრის მოწითალო, თიხანარევ მიწაზე გაწოლილები ელოდნენ ბრძანებას. გაფითრებული ახალბედები გადიდებული თვალებით უსმენდნენ ავად ჩამოწოლილ სიჩუმეს და მთელი ძალით ბღუჯავდნენ ავტომატებს. ბებერ, გამოცდილ მებრძოლებსაც წასვლოდათ ფერი და თვალებში შიში ჩასდგომოდათ, მაგრამ ეს სხვა შიში იყო, ტყვიის მურტალ წუილს შეჩვეული კაცის შიში. მან კარგად იცოდა: რამდენჯერაც უნდა წახვიდე ომში, ყოველთვის შეგეშინდება, ყოველთვის წაგივა ფერი და ხელებიც ყოველთვის გაგიოფლიანდება, მაგრამ ახალბედის და ომში ნამყოფი კაცის სახე მაინც ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. რადგან ომი აღარ მიდის – ის შენში რჩება, შენს სულში, შენს თვალებში; სადაც წახვალ, ყველგან თან დაგყვება და ამიტომ მას მაგრად ეცოდებოდა თიხნარ მიწას მიკრული ეს პატარა ბიჭები, ბრძანების გაცემამდე ჯერ კიდევ რომ ინარჩუნებდნენ ახალგაზრდობას, ბავშვობას, რომელიც ამ სანგრიდან თავის აწევისთანავე გაქრებოდა და აღარასოდეს დაბრუნდებოდა. ყოველთვის ასე იყო, ყოველი ბრძოლის წინ, გახედავდა ახალბედებს და საკუთარი თავი ახსენდებოდა, მაღალი, კაფანდარა, უწვერული, მოცინარი ბავშვი რომ წავიდა თავის პირველ ომში და ოთხ წელიწადში გამოცარიელებული მოხუცი დაბრუნდა უკან. ისიც გაახსენდა, როგორ უდარდელად იცინოდა თავისი პირველი ბრძოლის წინა ღამეს ლამპის შუქით განათებულ თბილ ხის სახლში, როდესაც ტყვიამფრქვევის ხმა ყრუ კაკანად ისმოდა შორიდან, და როგორ გაუქრა ღიმილი სახიდან, როდესაც ცივ დილას სანგარში შემოძვრა და თბილი ღამის ყრუ კაკანი დაუნდობელ, საშიშ წუილად იქცა, წამდაუწუმ რომ აყრიდა თხრილის მაღალი წვერიდან მწვანე ჩაფხუტებზე წვრილ გოროხებს.

მის გვერდით რაცია რომ აშიშინდა, კაპიტანმა იდაყვში მოხრილი ხელი ოდნავ მაღლა აწია, თქვა, მოემზადეთო! და როდესაც მოწითალო თხრილის გრძელ კლაკნილს გამაყრუებელმა მკივანა სიგნალმა გადაუარა, ხმამაღლა დაიძახა, ღმერთი ჩვენკენო! გულის აჩქარებულ ბაგაბუგში და შეტევაზე გადასული ჯარის ღრიალში წამოიმართა, მიწაყრილი აირბინა, გვამებით მოფენილი ცივი ველის დანისლული სიღრმისკენ გაიქცა, და რუხი კვამლი წუილით დაფლითა ტყვიებმა.

პირველები მისი ძველი თანამებრძოლები დევი და შოთარიონ ბოხი მოკლეს; დევის ოთო ერქვა, ციცქნა, გალეული კაცი იყო და დევისაც მაგიტომ ეძახდნენ ბიჭები – ბავშვი რომ იბადება, ხომ არ იცი, რამხელა და როგორი გაიზრდება და მშობლებს შენთვის დევი რომ დაერქმიათო, შოთარიონს კი შოთა ერქვა და, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ბოხი ხმის პატრონი იყო, ვინც აქამდე შეხვედრია, უცნაურზე უცნაური კაცი, ყოფილი ადვოკატი, სანგარში ჯოკერის თამაშის დროსაც პროფესიული ტერმონოლოგიით რომ ლაპარაკობდა, აქ მოჯოკვრა მიზანშეწონილი არ იყოო.

ის არ გაჩერებულა – სამმა ომმა კარგად ასწავლა: თუ გინდა გადარჩე, მკვდრის გამო არ უნდა გაჩერდე და თუ დაგჭრეს და ბრძოლის ველზე დარჩი, დიდი იმედი ნუ გექნება, რომ შენიანები მოგაკითხავენ, რადგან ხშირად ერთი დაჭრილის გამოსაყვანად რამდენიმე სიცოცხლეა საჭირო. ამიტომ ის არც მაშინ გაჩერებულა, როდესაც მისი რაზმის ყველაზე პატარა და სასაცილო წევრი, ცხრამეტი წლის მეტრნახევრიანი და ქალალდის ნაგლეჯივით მსუბუქი კოწია მოცელა მის ყურთან გაზუზუნებულმა ტყვიამ, მხოლოდ ის გაახსენდა, რომ ბიჭებმა სულ რაღაც ერთი კვირის წინათ წაიყვანეს პირველად ქალებში და მერე სიცილით ჰყვებოდნენ მის ამბავს: გოგო რომ გადაკუზა, ვერ მიწვდა თურმე, ამიტომ მის მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში შემხტარა და ეგრე მიდგომია უკნიდან.

მერე კვამლში დამწვარი ტანკის შავი კონტური გაილანდა, ისიც იქით გაიქცა, ამოეფარა და ტყვიები წვიმის მსხვილი წვეთებივით ატკაპუნდა დაშაშრულ რკინაზე. მხოლოდ ამის შემდეგღა დაიხედა ძირს. მიწაზე ერთმანეთზე გადაწოლილები ეყარა მიტკლისფერსახიანი, გაყინული გვამები, მოგლეჯილი კიდურები, წითელი სარკეებივით ელავდა შედედებული სისხლის პატარა გუბეები. კვამლიდან კი გამორბოდნენ, მისკენ მოიწევდნენ და უხმოდ ან ყვირილით ეცემოდნენ ავტომატიანი ჯარისკაცები.

კვამლი ოდნავ რომ შეთხელდა და მის სიღრმეში ტომრებით და მავთულხლართებით გამაგრებული სანგრები გამოჩნდა, რომლის კედლებში შავ ღრიჭოებად დატანებული ხვრელებიდან ტყვიამფრქვევები ისროდა, კაპიტანმა ტყვია დაუშინა მოწინააღმდეგეს.

მისმა რაზმმა ტანკთან რომ მოიყარა თავი, კაპიტანმა ავტომატს მჭიდი გამოუცვალა, ტყვიების ტკაპუნში გასცა ბრძანებები, და როდესაც მოწინააღმდეგის სანგრებისკენ ნასროლმა ხელყუმბარებმა დაიგრუხუნა და ტომრებს იქიდან ჰაერში მიწის შავი გოროხები ავარდა, ტანკს მოსცილდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ და ადგილზე გაჩერდა – სქელი ნაცრისფერი კვამლიდან მისკენ ნელი ნაბიჯით მოდიოდა მისი უფროსი ძმა, ზუსტად ისეთი, როგორიც ახსოვდა – მაღალი, ხმელი, ბეჭგანიერი, წაბლისფერწვერიანი, იმ, მათი პირველი ომის, დროინდელი მომწვანო, უხეში ნაჭრისგან შეკერილი ფორმით, თავისი გრძელი, მსუბუქი ნაბიჯებით. და კაპიტნის გონებაში ტყვიასავით აზუზუნდა მოგონებები: მზით გამთბარი სახლი და ლობიოს და მჭადის სუნით გაჟღენთილი ბავშვობა, ბუზღუნა და ნაჯაფი, მერქნისხელება მამა, მსუქანი და კეთილი დედა, ზამთრის ცივი ღამეებისას მისი ლამაზი ხმით მოყოლილი ზღაპრები, ღუმლით ჩამთბარი და ჭრაქით განათებული ხის ოთახი, სამ-

ხედრო კომისარიატი, ორთქლში გახვეული ღამის მატარებლის პირველი ბიძგი და ბაქანზე დარჩენილი ერთმანეთისგან უცხოებივით შორი-შორს დამდგარი მშობლები, ორივე შვილს რომ აცილებდნენ ომში და, რა თქმა უნდა, ძმა, რომელიც ყველაფერში ჯობდა: უფრო ღონიერიც იყო, უფრო ლამაზიც, უფრო კარგადაც ცეკვავდა, კარგადაც ისროდა, კარგად ჯირითობდა, ერთხელ რომ ვერ მოერია და უკნიდან მიპარვით დაარტყა მუშტი სახეში, ძირს დააგდო და ის, მიწაზე უღონოდ გაშხლართული ვეება კაცის გაოცებული სახე, აღარასოდეს დაავიწყდა. ძმა, რომელიც თავის პირველ ომში, ათი წლის წინათ ნახა ბოლოს, შემთხვევით გადაეყარა დიდ, ყვითელ გზაგასაყართან, ჩაეხუტა, ღრმად შეისუნთქა მისი ოფლით გაჟღენთილი ფორმის, მისი წაბლისფერი წვერის და მისი ცხენის, ლეგა „დორეულის“ სუნი, მერე კი ჩექმის ბაკუნით გაჰყვა მტვრიან, გატკეპნილ გზას და მხოლოდ ომის დამთავრებიდან სამი წლის ძებნის შემდეგღა მიაკვლია მის საფლავს, უცხო, შორეული ქვეყნის ცივ მხარეში, შიშველი ბორცვის თავზე ჟანგიანი ღობით გარშემორტყმულ სასაფლაოზე მწვანე მაღალ ბალახში სანახევროდ ჩამალულს. და ყოველ წელს, როგორც გინდა გასჭირვებოდა, ძმის დაბადების დღეზე კაპიტანი აუცილებლად ჩადიოდა იმ შორეულ ქვეყანაში, ძმის საფლავს უვლიდა, ნამიანი ტილოთი წმენდდა ქვას, თავისი გრძელი ღონიერი ხელებით ძირკვავდა სარეველას, შრიალით აგროვებდა და რკინის შავ, სანაგვე ყუთში ყრიდა ჩამოცვენილ ხმელ ფოთლებს. მერე კი დიდხანს იჯდა მარტო ძმის საფლავის წინ, უცხო ენაზე ამოტვიფრულ უცხო ქვის ფილებს შორის, თავის დროზე მისი ძმისნაირი ბიჭები რომ იყვნენ, ალბათ.

ტყვიები რომ მოხვდა, ტკივილი არ უგრძნია, უბრალოდ, ბუმბულივით მსუბუქი გახდა და მიხვდა – ომი, რომელიც ეგონა, აღარასოდეს წავიდოდა და ამდენი წელი სენივით იჯდა მასში – გაქრა, ჭრილობებიდან გამოსულ სისხლთან ერთად გაიწრიტა მისი სხეულიდან და ის, უწონო, მოშვებული და დაღლილი, უხმაუროდ დაეცა ყველაზე რბილ მიწაზე, დიდ, მომნუსხველ სიჩუმეში ჩაძირული, და ამ სიჩუმიდან უყურებდა უკვე საბოლოოდ თავისუფალი, როგორ ბრდღვნიდა ტყვიები სხეულებს, როგორ ჩეხავდნენ ადამიანები ერთმანეთს, როგორ უხმაუროდ ფეთქდებოდა ყუმბარები და ჰაერში ფოიერვერკივით იშლებოდა და ქრებოდა მიწის შავი გოროხები.

მერე თავისი პირველი მოკლული გაახსენდა, ათი წლის წინათ რომ მოკლა თავის პირველ ომში, შავულვაშიანი, ბრიალათვალება კაცი, ბრძოლის მერე რომ ეძება, მოძებნა, გაჩხრიკა და დაჭმუჭნილი შავ-თეთრი სურათი უპოვა, რომლიდანაც ფართოთეძოებიანი დიდი ქალი და ორი პატარა ბიჭი იყურებოდნენ, და თვალები დახუჭა.

შეხებამ გამოაფხიზლა, ვიღაცა თმაზე ეფერებოდა. დამძიმებული ქუთუთოები აწია, გაღლაბნილი გამოსახულება ნელნელა გაიყინა – უფროსი ძმა იყო, მისი თავი მუხლზე დაედო, მოღიმარი დაჰყურებდა და თავის დიდ, დაძარღვულ, უხეშ ხელს დაუსრიალებდა თმაში.

– შეენ? – უთხრა კაპიტანმა.

– კი, მე, – ღიმილით უპასუხა ძმამ.

– ესე იგი, არ მომლანდებიხარ?

– არა.

– კი მაგრამ, შენ ხომ…

– მოვკვდი, ათი წლის წინათ, სამი დღის შემდეგ, რაც ბოლოჯერ გნახე იქ, იმ გზასთან.

– აბა, მაშინ?

– რა? – დამწვარ ტანკს გახედა ძმამ.

– აქ როგორ მოხვედი? რატომ?

– რატომ? გახსოვს ის გერმანელები, ბერლინში? – ჰკითხა ძმამ.

– კი, – თქვა კაპიტანმა.

ახსოვდა, როგორ არა, მაშინ ორი დღის უძინარები შევიდნენ ქალაქში, ერთ გადაბუგულ შენობაში გაჩერდნენ და იქ

სარდაფში დამალული სამი გერმანელი ჯარისკაცი იპოვეს, ზუნტლიანები და გაუბედურებულები, კანკალით რომ დანებდნენ ეგრევე. ბიჭებს ზეზეურად ეძინათ, ამათ ღამეს ვერ გავუთენებთო, ამიტომ გადაწყვიტეს დაეხოცათ, მაგრამ მან გადაიფიქრებინა, არ მეძინება, ვუდარაჯებო, გაუთენა და დილას სამივე უფროსობას ჩააბარა.

– აი, სწორედ იმ სამმა გერმანელმა გამომიშვა აქ, იმიტომ, რომ არაფერი არ იკარგება, იმიტომ, რომ ეს შენი უკანასკნელი ბრძოლა იყო. – უთხრა ძმამ და შუბლზე დაადო ხელი, – ახლა კი თვალები დახუჭე.

– ის ზღაპარი გახსოვს? – ჰკითხა უცებ კაპიტანმა.

– რომელი?

– ყველაზე მეტად რომელიც მიყვარდა, დედა რო გვიყვებოდა, ეგ წიგნი არ გვქონდა და მერეც არსად შემხვედრია.

– ზარმაც გონზაზე, არა? – გაეცინა ძმას.

– მომიყევი, რა.

– ოღონდ თვალები დახუჭე, – უთხრა ძმამ.

– კარგი.

– ძალიან დიდი ხნის წინათ, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, ერთი პატარა სახელმწიფოს ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა მოხუცი ქვრივი პანი ბაბაჩკოვა, რომელსაც ჰყავდა ერთადერთი შვილი სახელად გონზა... – ჩაესმა დედის ხმა ბნელში ჩაძირულ კაპიტანს და მოკუმული, მშრალი ტუჩები მწიფე ბროწეულივით გახლიჩა სისხლით მოთხვრილმა თეთრმა კბილებმა.





# ემზარ კვიტაიშვილი

## არ გამაწბილო
*(ვედრება)*

ნუ შეერევი სხვათა ჟინს, მიზანო ჩემო, შორო,
იმდენი ძალა მომეცი, მზეს თვალი გავუსწორო.

გამზადებული სამსხვერპლოდ, თუ ვარ, ისევე მზით ვარ;
მთაზე გასათლელ ლოდების შემაძლებინე ზიდვა.

თავს გიხრი, როდის მქონია მე სათხოვარი ბევრი,
არავის გავჯიბრებივარ, არცა ვარ ენამჭევრი,
არ დამიგდია ვაგლახად ჩემი კალო და კევრი.

ვერც დათვლი, მრავლად არიან, ვისაც რო მე დავტირი,
არ არი ამოსაგდები, ძველი მაქვს ფუძე, ძირი,
გინდაც ვფორთხავდე, დამრჩება მცირედი შესაწირი.

## მოლანდება
*(არეული სურათები)*

აწვერილ ნაძვის კვალდაკვალ ვამბობ,
მიწის მაცოცხლებს წვენი;
კიდევ – წრიალა თვალები, მწვანე,
ცრემლების გადმომცვენი.

ვაჰთუ, გააპოს კლდემ, ალესილმა,
ხომალდი ნისლში შედის...
თვითონ ეშმაკსაც შეაჟრჟოლებდა
ამობრუნება მეტის.

ჟრიალი იცის პერანგმა ჯაჭვის,
კოჟრები გასდევს ნაშრომს;
მადლს არ იშურებს, ეტყობა, ზენა,
ჯერაც არ გამომაშრო.

შენი ძირამდე გამოცლა მსურის,
უკვდავებისა სურავ,
ვიცი, რა მწარეც ექნება გემო,
გულს ჩემსავ მუჭში ვწურავ,
ვერა ბექთარი რომ ვერ აკავებს,
ეგ სიზმარია თუ რა!..
სად მივსრიალებთ, არა აქვს აზრი
საყვედურს და სამდურავს.

ეს შელამებაც აწეწილ სულში
არ ჰგავს სიმშვიდის შემტანს;
სახარბიელო რომ იყოს ჯავრი,
არ მოვიდოდა ჩემთან.

## გამოღვიძება

ვერის ბაღში უკვე შაშვის თამამი ჭახჭახია;
ამ სისხამზე ზამთრის სუსხი გატეხა და ჩახია.

გეგონება, ჰაერს, ნაცვარს, ჭრის მაკრატლის ჭახუნი...
მარადმწვანეს, ადევს, ხეებს ფერი არგასახუნი.

დაძრულია გაზაფხული მორიალე ბგერებად;
მჭახე ჭახჭახს ბელურების ჟივჟივიც გაერევა.

## დაუსრულებელი გლოვა

განალა საკითხავია,
რამ დამცა და მომადუნა...
სიკვდილმა კარი განალო,
შავს მიწაშია დათუნა.

ტანჯვაულევი, ჯანჯალი
გავტყდი გულითაც, ჯანითაც,
ათასი წელიც გავიდეს,
შხამი არ გადის ტანიდან.

რისი ვიყავი მოცილე,
ტკივილო, წარუხოცელო! –

უძალო, დაცალებული,
იცი, როგორაც მოცელო.

ჩავალ იქ, ჩავეკონები
სვეტებს შავეთის ტალანთა...
რას არ მივცემდი, ჩემი მზე
შორიდან რო მომალანდა.

## ზაფხული ზურგზე დამადნა

აგვისტოს კუდს ვიზოგავ (გიჟად ჩამთვლის ზოგი),
მალე რუხ ფერს გადიკრავს თეთრ ღრუბელთა ჯოგი.

ნიაღვარი გუბდება ჩემდა წასალეკად,
მზე, ცხრათვალა, დაცხრება, ზვინებს დადგამს ლეგას,
შემოდგომის ნაღველი დამღლის, გადამჯეგავს.

რაღა გასაკვირია – ხმელს ვემსგავსო მე ხეს,
მეხმა შუა გამაპოს, მკერდი გადამეხეს.

გააქვს ისარს ზუზუნი, დრო ვერ ითმენს ზოზინს;
მიმაქანებს ბოლოსკენ – ბოლო აგვისტოსი.

## შვილიშვილს

ციცქნა ანდრიავ, თუკი შენ ჩამეკარ, ჩამიწექი,
გათავდა, ვერას დამაკლებს ვერც კიბო, ვეღარც ჭლექი.

ცხრა მთის გადაღმა გავტყორცნი, ჯავრი მომძებნის რაღას,
უგუნებობა, მოწყენა – თვალით არ დამენახოს.

სულ მალე გაგიმაგრდება ცახცახა, სუსტი ფრთები,
სვეგამწარებულ მამულის იმედად აენთები.

არ დაიქცევა ქვეყანა ამაზე მეტად, გვრიტო –
ბედნიერების სადგურში ერთხელ მეც შევიჭვრიტო.

იხარე, თაფლად შეგერგოს დედის ძუძუ და ნანა,
მერწმუნე, ცოტა იზრდება დღეს ბიჭი შენისთანა!

## ვნებდები გარდაუვალს

*(ძაანაც არ ვწუხვარ)*

არც დავხედავ – ფეხს ვადგამ, ეკალია თუ ნარი,
ყურადღება მივიპყრო, მე ვინ მომცა უნარი.

გონებავ, რას დახატავ, ჯოჯოხეთში ნადღვებო?
არცა-რა გამომსვლია სხვათა საყურადღებო.

ულვთოდ განაწვალებმა გავწირე, რაც მებადა...
ჩემს მტერს ხილვა ზანდუკში ჩალაგებულ ვნებათა.

განაპირდა ხალისი, გულიც ამან განაპო...
შენ მაკლიხარ, ხელ-ფეხი რომ გამიკრა, კანაფო.

საწვიმარი ღრუბლები დაწყობილან ჯოგებად;
ღვართქაფი მეღირება, აღარ ღირს გატოკება.

## ეს მაჩერებს ქვეყნად

*(გაზაფხულიც ამოიწვერა)*

ამომავალ მზის მარჯანი, ჩამავალისა – ოქრო
ისე მაცოცხლებს, მალაღებს, ნიავს ვედრები, მომქროლს.

დამსხვრეულს, შემოსხივება რაღად მჭირდება სხვათა –
ამას ძველი და ახალი მთვარეც თუ დაემატა.

ცაც მყოფნის გულის მსურველად, ბევრის მსურველი არ ვარ,
ვინც რომ ერთადერთ სიმდიდრედ ვცან შემოდგომის ქარვა,
ვერ მთმობს ის ჩემი მთავარი ხელობაც – ხელმოცარვა.

●

აქ ხარ, ვიდრე შერჩენიათ ნესტოებს სინოტივე;
დაეძალე სიცოცხლის და სიხარულის მოტივებს.

იტრიალე, მოგერევა – რისი ხმალი, რა ლახტი...
ჭურის ღვინო ალაღლაღე ყელში, შესვი, გალაღდი!..

სანანებელს ნუ იქმ, სანამ თვალებს დასდით სისველე;
დაიღლები, მუხის ჩრდილში დაჯექ, ჩამოისვენე.

მზაკვართა გულს გამოღრუტნის ზიზღი და ბოროტება...
შვილიშვილი, ყლორტი შენი, მხარზე აგებლოტება.

მზერის გამაშტერებელი, ძალას მოგცემს იშტარი...
არსადაა სასწაული – ამომავალ მზისდარი.

## ძველი სურათებიდან

არ ლაგდება ეს ქვეყანა, არეულ-აფუნგული...
გუდასტვირის ხმა. წოწოლა ტოკავს ქუდი – კუნკული.

ყურძნით მოპირთავებული, კონწიალობს გიდელი...
შარვლის ტოტი, ცალი – მწვანე, ცალი – სისხლზე წითელი.

შავი, ბაწარგამობმული, ჩაატყავეს ქაცარი...
ცოცხი, ფოცხი, ცელი, ცული – ყველაფერი ცალ-ცალი...
ქვაბში ხარშვა თათარასი და ზარხოშთა ბანცალი.

გრილი, შაბიამნისფერი გვირგვინები სუროთა...
ჩურჩულებენ, აირჩიე, ვისი სული გსუროდა.

მუხლზე ისვამს ქალებს, შიშველს, დიონისე – კოლოსი...
ყველაფერი იწყებოდეს, არ ვარ მომხრე ბოლოსი.

## აჭობებს მოვისვენო

ტანჯვა ტანჯვაზე წამება, კვლავაც მწამს, რაც რო მწამდა,
ვიხსენებ, გამწარებული, რამდენ ზაფხულს და ზამთარს.

ხან – მოსარკული ლაჟვარდი, ხანაც – ღრუბელი ლეგა,
რამდენი დაჭკნა ყვავილი და თოვლი აიფხეკა.

არ დამშრიალებს ალვისხე, ყელგამშრალია სურა,
რამდენი სახე, რომ ენთო, დამიწდა, დაიხურა.

რა სასეირო ეს არი – გული დასერეს ჩემი,
დამამარტოვეს, არც ერთი არაა ხმის გამცემი.

არარასია მომტანი წუთისოფელთან დავა,
აღარაფერი ეშველა საწუხარს მუდმივს, მთავარს.



# ქეთევან შენგელია

•

მიყვარს სიჩუმე და საბძლის ახლოს
ქარწალეგული პურის თავთავი,
ეგ სულერთია ხანდახან თითქოს,
მტყუანი ხარ თუ ცამდე მართალი.

გამთენიისას ასკილის ტოტებს
წაჰკიდებიათ ცეცხლი წითელი,
გულდაცლილი ვარ უშენოდ მაინც,
როგორც ზამთარში ხეზე გიდელი.

ისედაც გიცნობ... რას მეტყვი ახალს?!
ნუ მომიყვები გრძელ-გრძელ არაკებს;
ნუ დამპირდები, რომ არსად წახვალ,
მხოლოდ აწმყოზე მელაპარაკე.

## თებერვლის მოგონება

როცა შინ მხრებით თოვლი შემოგაქვს,
მერე ქუდს იხდი ლამაზად ნაქსოვს,
დავცქერი ხოლმე წითელ ჩემოდანს
და ფლორენციის ქუჩები მახსოვს.

სახლობდა ქარი ყოველ კუთხესთან,
აფრიალებდა უსუსურ ფანტელს
და „უფიცის“ წინ დიად მუზებთან
მეც გაყინული ყვავილი დავდე.

## ვიქტორია

ვიქტორია – „ჩონგუე[1]“ – ცისარტყელას ადგილო,
ზეთის პალმა შრიალებს აბანოზის ხეებთან
და აფრიკის მცხუნვარე ციდან ჩამოქცეული,
მზის სხივები შენს შხეფებს უფსკრულამდე ეხება.
მხეცივით კი ტრიალებს ჩემი შორი დობილი,
თან ხეობის ფსკერისკენ მიაქვს სივრცე ხმაურით,
სიმარტოვით ყოფილა ისიც გულგაპობილი
და აგიჟებს მიდამოს მისი აურზაური.
ვიქტორია – „ჩონგუე[1]“... ეგ ტალღები შფოთავენ,
შენ ვერასდროს იქნები სუსტი, ღონემიხდილი!
ახლობელი ყოფილხარ, გული გვტკივა ორთავეს,
რომ ორივე ძნელია, სიცოცხლეც და სიკვდილიც.

●

მნათობი ისევ დაიწყებს ციმციმს,
ეს დედამიწაც მთვარეს უყურებს,
ვერ ჩააქრობენ, ისედაც იცი,
ღმერთის დანთებულ დიად „შუქურებს“.
გედსაც სჭირდება აბჯარი ზოგჯერ,
ჰოდა, ისხამენ აბჯრებს გედები,
წასკდა ყვავილი აპრილის ნაჭდევს,
მაგრამ მიწისკენ ნუ იხედები.
უსაზღვრო ზეცა, ვიცი, გიზიდავს,
დრო გადის... იქაც მალე ვიქნებით,
აქ დაგინგრიეს ყველა სასახლე,
უხმოდ დადიან ბაღში ნიმფები.

## შროშანი

ვბზრიალებ, მხრებით დამაქვს ზაფხული,
მთვარე გამისხლტა ჭრელი ჭალიდან,
ყვავის შროშანიც, ღმერთის დარგული,
პატარა მდელოს პატარძალი და
აი, მდინარეც... კალაპოტს ავსებს,
მიიკლაკნება, როგორც გზაწვრილი,
დგანან მუხები, ჩიტებით სავსე
და ტოტები აქვთ ცისკენ გაწვდილი.

---

[1] ვიქტორიას ერთ-ერთი ადგილობრივი სახელწოდება, ნიშნავს ცისარტყელას ადგილს.

## სოფელი

ვარსკვლავებისგან დაჭორფლილიყო
აგვისტოს ღამე, ვით ბავშვის ლოყა,
ჩამომეგებე ბარში ბილიკო,
ამავსებინე წყაროსთან კოკა.

სოფელი თავის ზღაპარს ყვებოდა,
არ სჭირდებოდა უცხოს თვალთვალი....
გამთენიისას მშვიდად ეძინათ,
მაგრამ ახსოვდათ მტყუან-მართალი.

●

საღამო მშვიდობისა,
შენ უკვე მოხვედი?
წინასწარ ვიცი, რომ
აღარ დამაძინებ...
შავებში ჩაცმულო,
ჩემო ქალბატონო:
ხან მტანჯავ, ხან მშველი,
მაწამებ, მაცინებ...
საღამო მშვიდობისა,
ამაფორიაქე,
ამაღამ ხომ შევალთ
ოცნების კარავში?!
მოცარტი დაუკრავს
ცრემლებით რეკვიემს,
ორივემ ვიცით, რომ
იწყება თამაში.
ნიღბების საამქრო
მოიწყეს ლანდებმა,
დილამდე ჯერ ისევ მრავალი წუთია,
სახეზე მოირგეს ლითონის ფორმები,
წვეთობით დაადნეს რკინა და თუთია.
ფერადი ქაღალდით მორთეს და მოკაზმეს:
ცისფერი ჩექმები, ეტლები, დარბაზი,
შემოდის ცხენით და ჩირაღდნით პატარა,
ხავერდის ბაფთებით მორთული ჯამბაზი.
იწყება ზეიმი...
დავეძებ მზეჭაბუკს,
დრო გადის, ნიღბები სუყველას დასცვივდა...
ეს ჩემი რაინდიც გაქრა და დაიფშვნა,
თენდება, რა მძიმედ თენდება... აცივდა.
დილა მშვიდობისა,

შავებში ჩაცმულო,
ჩემო ქალბატონო –
ჩემო უძილობავ,
მე გავალ ქუჩაში
და ისევ მკითხავენ:
რატომ დაგჩემდაო
ფერგაცრეცილობა?!

●

მოდის ყვირილა
და გულწასული ყვავილი მოაქვს
ტალღას პატარა...
მზეა დილიდან,
შენ ხომ არ გახსოვს როდის აშენდა
ზედა საქარა?!
მოდის ყვირილა და
ტაძრის ახლოს
„ლოცვანს“ კითხულობს
ზოგჯერ ყმაწვილი...
სანთელი,
ბიჭი,
მდინარე,
ბორცვი –
ჩემი სამშობლოს ერთი ნაწილი.



# დიმიტრი ლობჯანიძე

## მერცხლები ბუდეებს უბრუნდებიან

*რა ამოწყდეს გლეხიკაცი,*
*საქართველო დაძაბუნდეს.*
***არჩილი***

ის იყო ამომავალმა მზემ სოფლის გაღმა აღმართულ ამირანმთას თავზე ცხოველმყოფელი გვირგვინი დაადგა, რომ აივანზე ლუკა გამოვიდა.

ნაადრევად ამდგარი საბია ბაბუა ეზოში დაზგასთან იდგა და ფიცარს აშალაშინებდა. შალაშინი შხუოდა და წვრილად დაკუწულ ანათალს აქეთ-იქით ისროდა. დაზგის ორივე მხარე ძაღლის კუდივით დაგრეხილი ბურბუშელებით იყო მოფენილი. ირგვლივ ფიჭვის სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა. იქვე, ეზოში, გვერდიგვერდ დალაგებულ სკებთან ფუტკრები ირეოდნენ: რიგი თაფლის მოსატანად მიდიოდა, რიგიც საფუტკრეში დატვირთული ბრუნდებოდა.

ლუკამ აივნიდან გადმოხედა ბერიკაცს, მერე კიბე ჩაიარა, მასთან მივიდა და შალაშინის გამოსართმევად ხელი გაუშვირა:

– ბაბუა, ცოტა დაისვენე და მე დავამთავრებ ამ ფიცრის გაშალაშინებას.

– არა, შვილო, მე თვითონ დავასრულებ, ბევრი არაფერი დარჩა გასაშალაშინებელი. შენ, ჯობია, მეგობარს მიხედო. ჰკითხე, რა უნდა, ეგ ბიჭი ასე ადრიანად ტყუილად არ მოვიდოდა, – უთხრა შვილიშვილს ბაბუამ და ეზოში შემოსულს მიუბრუნდა, – განა ასე არ არის, რუხო?

– კი, ასეა, საბია ბაბუა, – მიუგო ბიჭმა და დაუმატა, – მარა მარტო ლუკასთან არ მოვსულვარ.

– აბა, ჩემთანაც გაქვს საქმე?! – გაიკვირვა მოხუცმა.

– ჰო, – ღიმილით მიუგო ბიჭმა.

– ბრძანე, ასეთი რა საქმეა?

– რადა, ამ დილით მწყემსებმა მთიდან ჩამორეკეს ნახირი და ახლა საყავრიას ზეგანზე არიან. მთელი სოფელი იქაა გაკრეფილი და შინ მიჰყავთ თავ-თავიანთი საქონელი. თქვენი მოზვერიც ხომ იმ ჯოგშია?

– კი, კი, ნამდვილად ასეა, – დაუდასტურა მოხუცმა.

– მერე, ბაბუ, შინ არ უნდა წამოიყვანოთ?

– როგორ არა. აბა, რა უნდა ვქნათ!

– ჰოდა, მეც იქ მივდივარ და, იქნებ, ერთად წავსულიყავით.

– კეთილი, – მიუგო ბერიკაცმა და ლუკას მიუბრუნდა: – შვილო, შენ და რუხო წადით, მე კი მოვრჩები ამ ფიცრის გაშალაშინებას და გზაზე წამოგეწ-

ევით. ჰო, მართლა, თოკის წაღება არ დაგავიწყდეს, თორემ იმ მოზვერს უთოკოდ ვერც დავიჭერთ და ვერც შინ წამოვიყვანთ. ხომ იცი, თოკები საბძელში კედელზე ჰკიდია და ყველაზე გრძელი წამოიღე.

ბიჭი საბძელში შევიდა. როგორც ბაბუამ უთხრა, ყველაზე გრძელი და მაგარი თოკი შეარჩია.

მეგობრებს მთელი სოფელი საყავრიას ზეგანზე დახვდა. ზოგი ჯოგში თავის საქონელს ეძებდა, ზოგი კი, უბრალოდ, სეირის საყურებლად მოსულიყო.

ბიჭებს საბია ბაბუა ლამის ფეხდაფეხ მიჰყვა.

მენახირე მაშინვე მასთან გაჩნდა, მიესალმა და ერთგვარი საყვედურით უთხრა:

– დიდი თავნება რამეა ეგ შენი მოზვერი, საბია. მთელი ზაფხული სისხლი გაგვიშრო მაგისმა დევნამ. კი ვიცოდი, რა უხიაგიც იყო, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთი მოურჯულებელი გამოდგებოდა. მთაში რაღაც ერთი კვირის ასულები ვიყავით, რომ თვალსა და ხელს შუა სადღაც დაგვეკარგა, ძლივს ვიპოვეთ ორი დღის შემდეგ. ბიჭებმა თქვეს: ვინ იცის, ამ თავნებას კიდევ რამდენჯერ მოეფთევინება გასეირნება; რომ დაიკარგოს, ჩვენი თავში სახლელი გახდებაო და დააპირეს, სოფელში დაებრუნებინათ, მაგრამ ბოლოს, შენი ხათრით შეიკავეს თავი. არადა, ჯიშიანი ჩანს, მაგას ულლის მეტი ვერაფერი მოარჯულებს, მაგრამ თუ დროზე არ გამოაჩვიეთ, იცოდეთ, ძალიან გაგაწვალებთ!

– მადლობელი ვარ, ჩემო სიმონა, შენიც და შენი მეგობრებისაც. ვიცოდი, რომ კარგად მოუვლიდით და არც გამცრუებია იმედი, მარა ვალში არც ჩვენ დაგრჩებით – რითაც შეგვეძლება, გვიმსახურეთ მე და ჩემი შვილიშვილი. რაც შეეხება ამ უხიაგს, გამოჩვევითაც დროზე გამოვაჩვევთ და არც უქმად ყოფნასაც შევაჩვევთ. მე და შენ ხომ კარგად ვიცით, ჩემო სიმონა, რომ ულელს ამაზე ბევრად ურჩებიც მოუთვინიერებია, – მიუგო მოხუცმა მენახირეს, მერე შვილიშვილს თოკი გამოართვა და მოზვრის დასაჭერად გაემართა.

ბერიკაცს ფეხდაფეხ მიჰყვნენ ლუკა და რუხო.

ბაბუა მშვიდად მიუახლოვდა ჯოგიდან ოდნავ განზე გამდგარ ნამთეურ მოზვერს და ტკბილად შეეხმიანა. პირუტყვმა თავი აიღერა და მოხუცს ისე დააცქერდა, თითქოს, ეკითხებოდა, ვინა ხარ და რა გინდაო. პატრონი კიდევ უფრო მიუახლოვდა და რქაში ხელის ჩავლება დაუპირა, მაგრამ მოზვერმა თავი უკმაყოფილოდ აიქნია, დაიქშინა და განზე ისე დაფეთებული გახტა, თითქოს, გვერდში წვეტიანი რკინა ატაკესო.

საბია შეეცადა, ტკბილად, დაყვავებით მოეგო პირუტყვის გული და უმიზეზოდ გაღიზიანებული დაემშვიდებინა, მაგრამ მისი ყველა მცდელობა ამაო გამოდგა. როგორც კი თოკის ჩასაბმელად მიუახლოვდებოდა, მოზვერი ერთს მოხედავდა და დამფრთხალი გარბოდა.

ამ წვალებაში საბიას სიმონა მიუახლოვდა და ურჩია:

– საბია, ალერსიანი სიტყვებით ტყუილად ცდილობ ამ გადარეულის გულის მოგებას. აკი გითხარი, ეს ისეთი თავნება, ეშმაკი და გაიძვერააა, ამას ქამანდის გარდა, ვერაფრით შეიპყრობ. ქამანდის სროლა კი ყველამ ვიცით, რომ, ღვთის შეწევნით, გვარიანად გემარჯვება. კიდეც წამოგიღია მშვენიერი საქამანდე თოკი, ჰოდა, ისევ მაგით სცადე მისი დაჭერა, თორემ, დამიჯერე, სულ ამაოდ დაშვრები.

– ჩემო სიმონა, ეს მეც ვიფიქრე, მარა მინდოდა, უქამანდოდ დამეჭირა, თუმცა, ვატყობ, მოფერებით არაფერი გამომივა. – მიუგო მოხუცმა, მერე თოკს მარყუჟი გაუკეთა და მოზვრისკენ მშვიდად გაემართა.

როცა დარწმუნდა საბია, რომ მოზვერს თოკის მისაწვდენ მანძილზე მიუახ-

ლოვდა, აკეცილი ქამანდი მთელი ძალით სტყორცნა, მაგრამ პირუტყვმა თვალი მოჰკრა თუ არა მისკენ გამოსროლილ თოკს, განზე გახტა და ყულფი აიცილა.

ასე ზედიზედ სამჯერ განმეორდა.

ხელის მოცარვამ ლამის იყო, სასოწარკვეთილებაში ჩააგდო განთქმული მოქამანდე. რაც თავი ახსოვდა, არასოდეს მოსვლია ასეთი მარცხი. არადა, ატყობდა, უქამანდოდ ვერ დაჯაბნიდა საზაფხულო საძოვარზე თითქმის ექვსი თვის განმავლობაში თავის ნებაზე მიშვებულ გაგარეგნებულ პირუტყვს, თუმცა, ეეჭვებოდა, რომ ქამანდითაც რამეს მიაღწევდა და ეს ვერ მოენელებინა, არადა, ქანცი გასცლოდა მოზვრის დევნაში.

უკვე აღარ იცოდა, რა ექნა. სწორედ ამ დროს მიუახლოვდა ლუკა და მორიდებით უთხრა:

– ბაბუ, მომეცი ეგ ქამანდი, იქნებ მე გამომივიდეს რამე, შენ კი ამასობაში ცოტა დაისვენე.

ლუკას ბაბუასგან ესწავლა ქამანდის სროლა. საბიამ იცოდა, რომ ბიჭი ურიგოდ არ ისროდა ქამანდს, ეიმედებოდა მისი და ამიტომაც არ უთქვამს უარი. ის კი არადა, სწორედ რომ დროულ და საუკეთესო გამოსავლადაც კი მოეჩვენა მისი თხოვნა, რომ თანასოფლელთა თვალში საბოლოოდ არ გატეხოდა სახელი.

ლუკა ვარდიგორაში არ დაბადებულა. იმ ავადსახსენებელ ომამდე სოხუმში, მშობლებთან ცხოვრობდა. ყოველ ზაფხულს არდადეგებს ბაბუასთან ატარებდა და სოფელში შინაურად ითვლებოდა.

დედ-მამის ომში დაღუპვის შემდეგ, თვითონ სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილმა, ბაბუასთან დაიდო ბინა. აქედან გაიწვიეს ჯარში და, როგორც კი სავალდებულო სამსახური მოიხადა, კვლავ ვარდიგორაში დაბრუნდა.

კაცმა რომ თქვას, ბიჭს, ბაბუას გარდა, ახლობელი არავინ ჰყავდა ამ ქვეყანაზე და სხვაგან სად უნდა წასულიყო, მით უფრო, როცა სოხუმში მამისეულ სახლ-კარს უცხო ტომის ხალხი დაჰპატრონებოდა!

ქამანდის ხელში აღების შემდეგ საყავრიას ზეგანზე შეკრებილმა ხალხმა საქონელს თავი მიანება და მოზვრისკენ ნელი ნაბიჯებით მიმავალ ლუკას მიაპყრო მზერა. დიდსა და პატარას ერთნაირად აინტერესებდა, მოახერხებდა თუ არა შვილიშვილი იმას, რაც ვერ შეძლო მისმა ბაბუამ, ცნობილმა მექამანდემ.

ლუკამ ქამანდი აიკეცა და მოზვერს მიუახლოვდა. პირუტყვმა ბალახის ძოვას თავი მიანება და მისკენ მიმავალ ბიჭს ისე გამოხედა, თითქოს ეკითხებოდა, შენ რაღა გინდაო. სანამ პირუტყვი ასე უცქეროდა, ლუკამ გონს მოსვლა არ აცალა და ქამანდი სტყორცნა. თოკი ჰაერში გაიჭიმა და ყველა დარწმუნებული იყო მის წარმატებაში. ალბათ, ამიტომაც აღმოხდა კმაყოფილების ყიჟინა გულდაჯერებულ ხალხს მანამ, სანამ მარყუჟი მოზვერს რქებზე ჩამოეცმებოდა, მაგრამ, ეტყობა, პირუტყვმა ბოლო წუთში იგრძნო საფრთხე, თავი განზე გასწია და ქამანდი მხოლოდ ცალ რქაზე ჩამოეცვა.

ლუკა მიხვდა, რომ ვერ დაიმორჩილებდა ცალ რქაზე ყულფმოდებულ გაურავებულ მოზვერს, თუმცა თოკი მაინც მოსწია. პირუტყვმა საფრთხე იგრძნო, თავი დაბლა დახარა და რამდენჯერმე



გაიქნ-გამოიქნია. რქამ თოკი აისხლიტა და მოზვერი ამჯერადაც იოლად გადაურჩა დაჭერას.

გულდაწყვეტილი ხალხი უკმაყოფილების ნიშნად ახმაურდა, თუმცა ამის გამო ლუკას გული არ გაუტეხავს. პირიქით, უფრო გაუძლიერდა ორთაბრძოლაში გამარჯვების ჟინი და იმას არკვევდა, სად დაუშვა შეცდომა, თან გულმოდგინედ წონიდა, რომელი მხრიდან აჯობებდა მოწინააღმდეგეზე შეტევა.

იმასაც მიხვდა, რომ გამარჯვებულმა მოზვერმა საფრთხე ჩავლილად ჩათვალა და ბალახის ძოვას შეუდგა. ლუკამ მისკენ მისაახლოვებლად ნელ-ნელა და ფრთხილად წაიწია წინ. თოკის მისაწვდენზე მისული ერთხანს დაელოდა და როცა ჩათვალა, რომ მოზვერი, ასე თუ ისე, შეეგუა მის შორიახლო ყოფნას, ბიჭმა ისარგებლა მარჯვე შემთხვევით და პირუტყვს მთელი ძალით სტყორცნა ხელზე აკეცილი ქამანდი.

მოზვერმა მისკენ გაფრენილ თოკს თვალი მხოლოდ იმ დროს შეასწრო, როცა ორივე რქა ერთდროულად მარყუჟში აღმოჩნდა. ლუკამ გონს მოსვლა არ აცალა და თოკი თავისკენ მთელი ძალით მოზიდა. ცხოველი შეეცადა, ხაფანგს როგორმე დასხლტომოდა, მაგრამ ორივე ხელით თოკის ბოლოს ჩაფრენილი ბიჭი ქამანდს თავისკენ მთელი ძალით ეწეოდა, თუმცა, ისე ჩანდა, არც ცხოველი აპირებდა ბედთან იოლად შერიგებას.

რქებზე თოკმოჭერილი მოზვერი რომ დაინახეს, ხალხის ყიჟინამ და აღტაცების შეძახილებმა იქაურობა შეარყია. ამან კიდევ უფრო გაახელა ისედაც გატყიურებულ-გაველურებული ცხოველი, თავი მძლავრად გაიქნია, ბიჭისთვის თოკი რომ ხელიდან წაეგლიჯა და, როცა ეს ვერ მოახერხა, რამდენჯერმე ახტადახტა ადგილზე. თავი ამითაც რომ ვერ გაითავისუფლა, ჰაერს წიხლები მიაყარა, მინდორში გაიჭრა და ქამანდის ბოლოს ჩაბღაუჭებული ბიჭიც თან გაიყოლია.

გაჯიუტებული მოზვერი ხან თავის შეუჩერებელი ქნევით, ხანაც აქეთ-იქით გახტომ-გამოხტომით ცდილობდა, ქამანდისგან თავი როგორმე დაეღწია, მაგრამ ლუკაც არანაკლებ თავგამოდებული ლამობდა, პირუტყვს არც სისწრაფეში და არც სიჯიუტეში ჩამორჩენოდა, რასაც ერთხანს წარმატებით ახერხებდა კიდეც. ალბათ, ამიტომაც გულში იმედს არ კარგავდა, რომ ბოლოს და ბოლოს მოზვერს აიძულებდა, წინააღმდეგობა შეეწყვიტა, ბედს შერიგებოდა და სურდა თუ არ სურდა, ადამიანის გაუტეხელ ძალას დამორჩილებოდა, მაგრამ მოზვერს ჯერჯერობით არაფერი ეტყობოდა არც დაღლის და არც ბედთან შერიგების.

მოზურზურე ხალხს, განსაკუთრებით, დროულ კაცებს, შეეშინდათ, რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდა მოზვერთან სიჯიუტეში გაჯიბრებული ბიჭი. ამიტომაც, თითქმის, ყველანი ხმამაღალი შეძახილებით ურჩევდნენ, თოკისთვის ხელი გაეშვა და უარი ეთქვა გადარეულ მოზვერთან ორთაბრძოლაზე.

ლუკა თვითონაც გრძნობდა, რომ დიდხანს ვეღარ შეძლებდა გაშმაგებულ მოზვერთან ერთად რბოლას. ოდნავ რომ წაბორძიკებულიყო ან სულაც ნალუდარგორმახზე ფეხი წამოეკრა და წაქცეულიყო, მოზვერი სულ მცირე მანძილზე მაინც გაათრევდა და უთუოდ რაიმეს დაიშავებდა. რაც მთავარია, თავსაც შეირცხვენდა, ამასთან შეგუება კი არამც და არამც არ უნდოდა, მით უფრო ახლა, როცა თითქმის შეპყრობილი ჰყავდა გახელებამდე მისული პირუტყვი, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, ბედს რომ არ შერიგებოდა.

ის იყო თოკისთვის ხელი უნდა გაეშვა, რომ ახლომახლო მინდორში განმარტოებულად მდგარი უზარმაზარი ხე დაინახა. სირბილის ეშხში შესული მოზვერი სწორედ იქითკენ მიისწრაფოდა. ლუკამ იფიქრა, ალბათ, უნდა, იმ ხეს მიმანარცხოს და სული გამაფრთხობინოსო.

სეირის მაყურებელი ხალხი დარწმუნ-

და, რომ ორი თითქმის თანაბარად ურჩი ძალა ერკინებოდა ერთმანეთს და უკან დახევას არც ერთი არ აპირებდა. არადა, ხალხს იმის შიში არ ასვენებდა, ბიჭი რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდა.

„წყეულმა მოზვერმა იმ ხეს თუ მიმანარცხა, სიკვდილისგან მამა-ღმერთიც ვერ მიხსნის“, – გაიფიქრა ლუკამ და გადაწყვიტა, ის ხე როგორმე თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ერთხანს მიჰყვა მოზვრის ნებას, ბოლოს კი, როგორღაც მოახერხა, რომ ხე მათ შუა აღმოჩენილიყო, პირუტყვი ხის იქეთა მხარეს მოექცა, თვითონ კი აქეთ, გადმოღმა მხარეს.

სწორედ ეს იყო ლუკას ჩანაფიქრი.

ბიჭმა მთელი შემორჩენილი ძალ-ღონე მოიკრიბა, რამდენიმე ნაბიჯით მოზვერს წინ გაუსწრო და ცხოველსა და ადამიანს შუა ასვეტილ ხეს მოწინააღმდეგეზე წუთიწუთ-ნახევრით ადრე უწია. ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თოკი ხის ერთ-ერთ ტოტზე შემოეხვია, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა ადამიანსა და ცხოველს შორის გამართული ორთაბრძოლის ბედი.

მოზვერმა, რომელიც მოულოდნელად გადააწყდა გადაულახავ წინააღმდეგობას, თავი ვერ შეიკავა, კისერი მოელრიცა და ადგილზე ჩაიჩოქა. ლუკამ ამით ისარგებლა და, სანამ პირუტყვი გონს მოეგებოდა, თოკის ბოლო, რომელიც ხელში ეჭირა, ხეს დამატებით შემოახვია და მაგრად მიანასკვა.

ფეხზე წამომდგარმა მოზვერმა გასაქცევად გაიწია, მაგრამ მიუხედავად თავგამოდებული მცდელობისა, თავი ველარ გაითავისუფლა და იძულებული გახდა, ბედს შერიგებოდა.

ხალხი აღტაცებული იყო ბიჭის სიმარჯვითა და მოხერხებულობით. ყველას უხაროდა, რომ ასე მშვიდობიანად დასრულდა ეს უჩვეულო და სახიფათო შერკინება. ბიჭს გამარჯვებას ულოცავდნენ, საბია ბაბუას კი – სანაქებო შვილიშვილის ყოლას.

საბიას ხმამაღლა სიტყვა არ დაუძრავს, თუმცა, უამისოდაც ყველა ატყობდა, რომ იგი უზომოდ გახარებული იყო შვილიშვილის წარმატებით.

ლუკა წინ გაუძღვა კისერსა და რქებზე თოკჩაბმულ მოზვერს და ბაბუასა და რუხოსთან ერთად ასე გათოკილი წაიყვანა შინ.

მოზვერმა იუცხოვა ბოსელი და ერთხანს არ ისურვა შიგ შესვლა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა, პატრონების ნება-სურვილს დამორჩილებოდა. შინაური ხარის გვერდით, კირკალით დააბეს, ბაგაში თივა ჩაუყარეს და კარი გამოუკეტეს.

– ბაბუ, აწი რა უნდა ვუყოთ ამ მოზვერს? – იკითხა ბოსლიდან ეზოში გამოსულმა ლუკამ.

– რა ვუყოთ, შვილო და, ის, რასაც ამისთანა თავნებებს უშვრებიან – გავწვრთნათ და გავხედნოთ, მერე შევაბათ უღელში და როცა მიწა გვექნება მოსახნავი, მოვახვნევინოთ, თივა გვექნება მოსატანი თუ შეშა, მოვატანინოთ.

– მერე როდის აპირებ ამას? – თავის მხრივ იკითხა რუხომ.

– ალბათ, ამ დღეებში. თუ მოიცლი და მოგვეხმარები, მადლობელი დაგრჩებით, – უთხრა ბიჭს საბიამ.

– გამაგებინეთ და მოხმარებას როგორ დაგზარდებით, – დაჰპირდა რუხო.

●

იმ დღიდან ორ კვირაზე მეტმა გაიარა. ერთ დილას ეზოში ჩასული ბაბუა და შვილიშვილი ზამთრის სამზადისზე საუბრობდნენ.

ბიჭმა იკითხა:

– ბაბუა, როდემდე უნდა გვყავდეს მოზვერი ბაგაზე დაბმული, არ გავხედნოთ?

– კარგია, შვილო, რომ შემახსენე. ყოველ დღე ვაკვირდები და ვინმეს მიახლოებაზე უკვე ადრინდელივით აღარ ფეთდება.

– თუ ასეა, რაღას ველოდებით. მშვე-

ნიერი ამინდია და, მოდი, დღესვე მივხედოთ ამ საქმეს, – ურჩია ლუკამ.

– კეთილი, – დაეთანხმა ბაბუა და დასძინა, – გადადი რუხოსთან და უთხარი, ხელი შეგვაშველე მოზვრის გახედვნაში-თქო.

– ახლავე, – ხალისიანად მიუგო ლუკამ და ის იყო, ეზოდან გასვლა დააპირა, რომ ორღობეში მომავალი რუხოც გამოჩნდა, რომელსაც მხარზე ცალუღელი გაედო.

– რუხო, სიზმარი ნახე, ჯამში ჩაიხედე თუ მართია მკითხავთან იყავი და იმან გითხრა, საბიაანთას წადიო. როგორ გაიგე, მოზვრის გახედნას რომ ვაპირებდით და ცალუღელი გვჭირდებოდა? – ღიმილით ჰკითხა ლუკამ მეგობარს.

რუხომ მხრიდან უღელი ჩამოიღო, ძირს დადო და უთხრა:

– ბიჭო, რა მკითხაობა მჭირდებოდა, აქვე, თქვენ გვერდით არ ვცხოვრობ? ყველაფერი გავიგონე, რასაც შენ და საბია ბაბუა მოზვერზე ამბობდით. ვიცოდი, ცალუღელი რომ არ გქონდათ და უკან რომ არ მივბრუნებულიყავი, წამოვიღე.

– ვიცი, ვიცი, წინდახედული ბიჭი რომ ხარ, – გულწრფელად შეაქო მეგობარი ლუკამ.

– ჯობია, ერთმანეთის ქება-დიდებას მოეშვათ და საქმეს შევუდგეთ. ხარის გამოქნას კაი ხანი სჭირდება, შემოდგომის დღე სულიოდენია და მიხედ-მოხედვაში უცებ გაილევა, – შეახსენა ბიჭებს საბიამ და მოზვრის გამოსაყვანად ბოსელში შევიდა.

რამდენიმე წუთში ყველანი ეზოში იყვნენ. ლუკამ რქებზე ჩაბმულ თოკს ხელი ჩასჭიდა, რათა პირუტყვისთვის გაქცევის საშუალება არ მიეცა, მაგრამ იგი ამას მშვიდად შეხვდა. მოზვერი არც მაშინ განძრეულა, როცა საბიამ ქედზე უღელი დაადგა და არც მერე, ყელთან აპეური რომ შეუკრა. თითქოს, კმაყოფილიც ჩანდა, ეს კაცები უჩვეულო რაღაცებით რომ კაზმავდნენ.

ლუკას აქამდე არ ენახა მოზვრების საუღლედ გამოქნა და შლეიებიც რომ გაუკეთეს, იკითხა, – ახლა რა ვქნათო.

– რა უნდა ვქნათ და აგერ, მორი რომ გდია, – უთხრა შვილიშვილს და საკმაოდ გრძელ, მსხვილ ხეზე მიუთითა, – ის მორი მოვუბათ, მერე ნახნავში შევიყვანოთ. შენ წინ გაუძეხი, რუხო უკნიდან სახრით მიჰყვეს და ქანცის გაწყვეტამდე წინ და უკან ათრევინეთ.

– რომ არ დაგვემორჩილოს?! – სხვათა შორის იკითხა ლუკამ.

– ძალა აღმართს ხნავსო, ხომ გაგიგონიათ? – ერთგვარი მუქარით მიუგო მოხუცმა.

– როგორ არ გაგვიგონია, – მიუგო ლუკამ, რუხო კი თავის დაქნევით დაეთანხმა.

– ჰოდა, თუ არ დაგემორჩილებათ, გვერდებსა და თეძოებზე ზედიზედ თხილის სახრეს რომ შემოჰკრავთ, მიხვდება, რომ იალაღზე აღარ არის და თავის ნებაზე ვერ იკვინტრიშებს. ახლა ჩვენ ხელშია და კეთილი ინებოს, ისე მოიქცეს, როგორც ვუბრძანებთ. სახრეს და ძალას ამაზე ურჩებიც მოუთვინიერებია, – მიუგო მოხუცმა და მერე დაუმატა, – ახლა მეტს ნუღარ დავაყოვნებთ, დროა, საქმეს შევუდგეთ.

ბიჭებმა მოზვერს მორი მოუბეს, ლუკა მოზვერს წინ მოექცა, რუხო კი უკან მიჰყვა და ხმამაღლა დაუტატანა.

მოზვერმა, ალბათ, იფიქრა, ყველაფერი მორჩა, უკვე თავისუფალი ვარო და წინ გავარდა, მაგრამ, როცა აქეთ-იქით შლეიების თოკები დაიჭიმა და უღელიც მკერდზე მიაწვა, არ ესიამოვნა და უკმაყოფილების ნიშნად აკვინტილებულმა წიხლები ჰაერს მიაყარა, მაგრამ რუხომ უკნიდან ჯერ ხმამაღლა შეუძახა, მერე სახრე გადაუჭირა ზურგსა და ფეხებში.

პირუტყვს აეწვა დანარტყამი და ადგილიდან დაიძრა. ბიჭებმა ნახნავში შუადღემდე წინ და უკან ათრევინეს იმხელა მორი, მერე ცოტა ხანს დაასვენეს, თივა

დაუყარეს და წყალიც დაალევინეს.

მოზვერი შესვენების შემდეგაც საკმაოდ დაღლილი ჩანდა და ნება რომ მიეცათ, ალბათ, ადგილიდან ფეხს არ მოიცვლიდა, მაგრამ ბიჭებმა მზის ჩასვლამდე ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს. საღამოს, როცა პირუტყვი, ჩვეულებისამებრ, ბოსელში შეიყვანეს და თივით სავსე ბაგაზე კირკალით დააბეს, ლუკამ იკითხა:

– ბაბუ, ხვალ მოზვერს კიდევ უნდა ვათრევინოთ ის მორი?

– არა, შვილო, უკვე გახედნილია. აწი ჩვენს ნება-სურვილს მშვიდად დაემორჩილება, – მიუგო ბაბუამ.

●

სულ რომ არ მოელოდნენ, ისე ნაადრევად ეწვია შემოდგომა ვარდიგორელებს. ახალმა თოვლმა მთები გადაათეთრა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მალე ბარშიც ჩამოთოვდა.



ერთ დილას ეზოში გამოსულმა საბიამ იქვე დაგდებულ მორს დახედა და გვერდით მდგომ შვილიშვილს შეახსენა:

ლუკა, შვილო, სულ ეს არის ჩვენი შეშის მარაგი. დროულად უნდა ვიზრუნოთ შეშის მოტანაზე, თორემ თოვლს რომ ჩამოყრის, მერე ტყეში შესვლაც გაძნელდება, დამზადებაც და შინ მოტანაც.

– ვიცი, ბაბუ. მე, რუხო და ლეო უკვე შევთანხმდით, ხვალ თუ არა ზეგ აუცილებლად წავალთ ტყეში, – დააიმედა მოხუცი ბიჭმა და მეგობრებთან წავიდა.

ბიჭებს ხან რამ შეუშალათ ხელი განზრახვის შესრულებაში და ხან რამ. მესამე დღეს ჯერ ისევ ბნელოდა, ლუკამ რომ გაიღვიძა. ფარდა გადასწია და გარეთ გაიხედა. ამირანმთის წვერზე უკანასკნელი ვარსკვლავი ქრებოდა. მთასაც და ხეობასაც დილის მქრქალი ნისლი ფარავდა. რაღაცნაირი ზღაპრული ელფერი დაჰკრავდა ყველაფერს. მდინარეც იმ ნისლში ჩაკარგულიყო, თუმცა ხმაზე კარგად ეტყობოდა, როგორი გაავებით ეხეთქებოდა უზარმაზარ ქვებსა და კლდოვან ნაპირებს.

ლოგინიდან სასწრაფოდ წამოდგა. შარვალი ჩაიცვა და აივანზე გავიდა. ცინცხალი დილა იყო. ხელ-პირი დაიბანა. ყინულივით ცივმა წყალმა და მთებიდან წამოსულმა დილის სიომ უცებ გამოაფხიზლა. სანამ შინ შევიდოდა, ბაბუას საგზალიც ჩაელაგებინა ჩანთაში და საუზმეც გაეწყო.

– დაჯექი, შვილო, ისაუზმე, თორემ სადაცაა მეგობრები მოგაკითხავენ, – უთხრა ბიჭს და სკამი გამოუწია.

– მეჩქარება, ბაბუ, თანაც ასე ადრიანად გული არ მთხოვს საჭმელს, – იუარა ბიჭმა, მაგრამ საუზმეს მაინც დასწვდა. ორი ლუკმაც არც ჰქონდა გადაყლაპული, რომ რუხოს ხმა მოესმა: ლუკა, გძინავს?!

– სახლში შემოდით! – შეიპატიჟა გარეთ მომლოდინენი.

– რა დროს სახლში შემოსვლაა, ისედაც დაგვაგვიანდა. სანამ ადგილზე მივალთ, შუა დღე მოვა. მუშაკაცი ახლა შრომით დაღლილი უნდა იყოს, – მოისმა გარედან.

ბიჭმა საუზმეს თავი მიანება და კარისკენ გაემართა. ბაბუა უკან მიჰყვა და მრავალჯერ ნათქვამი კიდევ ერთხელ შეახსენა:

– სანამ კარგად არ მოირგებ ცულის ტარს, ხელს მაგრად ნუ მოუჭერ, თორემ გიხამებს და ხელის გულები დაგიწ-

ყლულდება. დასასვენებლად რომ დაჯდებით, გაოფლილზე დაბამბულის მოხურვა არ დაგავიწყდეს და არ გაცივდე.

– არ დამავიწყდება, ბაბუ და არც გავცივდები, – დააიმედა ბიჭმა მოხუცი და კიბე აირბინა.

– აბა, თქვენ იცით! – ვერ მოითმინა და დარიგება უკან მიაყოლა ბერიკაცმა ბიჭებს, თუმცა შარაზე გასულებს აღარ გაუგიათ მისი სიტყვები.

ჯერ ისევ ბინდბუნდში გახვეული მძინარე სოფელი უკან მოიტოვეს და მზრდლვინავ მდინარეზე გადებულ, მორებზე ფიცრებდაჭედებულ ხიდზე გადაიარეს.

გაღმა გასულებმა მცირე აღმართი აათავეს და გზიდან გადაუხვიეს. სანამ ტყეში არ შევიდნენ, ყურებს უსუსხავდათ მდინარეს ადევნებული ადრიანი დილის ცივი ქარი.

გაყვითლებული ფოთლები სქლად ეფინა ზამთრის საძილედ გამზადებულ მიწაზე. მდუმარედ იდგნენ იდუმალ ფიქრებში ჩაძირული, ნახევრად გაძარცული, ტოტებგანიერი მაღალი წიფლები, მუხები და რცხილები. ტყეს ნახევრად გასცვენოდა ფოთლები, მაგრამ დაბურულ ტყეში მაინც უჭირდა სინათლეს შეღწევა.

ლეომ იქაურობას თვალი მოავლო.

– ახლა რა ვქნათ? – იკითხა ლუკამ.

– რა ვქნათ და საქმეს შევუდგეთ, – მიუგო ლეომ, – ტყე აგერ არის და რაღა შორს წავიდეთ. თითოეულმა თითო ხე მოვჭრათ და დავმოროთ. საქონელიც ხომ აქვეა. აქედან გზამდე მორებს ადვილად ჩავაგორებთ, მერე კი შინ ხარ-ურმით წავიღოთ.

ლეოს რჩევა ორთავეს ჭკუაში დაუჯდა. ბარგი იქვე ხის ტოტებზე ჩამოკიდეს და იქვე მორზე ჩამოსხდნენ. ამასობაში გათენდა კიდეც.

ნამგზავრებს ოფლი შეაშრათ და სიგრილემ შეაწუხათ. ძალადაკარგულ შემოდგომის მზის ნათელი ხშირი ტყის სიღრმეში წიფლების წვეროებს ზემოდან ულიმღამოდ მოძვრებოდა და მიწამდე ძლივძლიობით აღწევდა.

– გვეყოფა დასვენება, თორემ შემოდგომის დღე მოკლეა და ხელის განძრევასაც ვერ მოვასწრებთ, ისე შემოგვაღამდება, – ურჩია მეგობრებს რუხომ და სამივემ ცულებს დაავლო ხელი, ერთმანეთის მახლობლად თითო-თითო ხე შეარჩია და ჭრას შეუდგა.

– ხე რომ წასაქცევად დაიწყებს წიწკინს, ერთმანეთის გაფრთხილება არ დაგვავიწყდეს! – შეახსენა ამხანაგებს რუხომ და მერე ლუკას მიუბრუნდა, – ეს, პირველ რიგში, შენ გეხება, ძმობილო, როგორც ამ საქმეში შედარებით გამოუცდელს.

– ნუ გეშინია, რუხო, ყველაფერი კარგად იქნება, – დაჰპირდა ლუკა მეგობარს და ამორჩეულ ხეს მოსაჭრელად მიადგა.

– ლუკა, სანაფოტე თავიდანვე ფართოდ ამოჭერი, თორემ სიღრმეში რომ შეხვალ, მერე გაგიჭირდება მისი გაფართოება, – ურჩია რუხომ.

– ვიცი, ვიცი, გუშინ ბაბუამაც მითხრა, – მიუგო ლუკამ.

ცულის ყოველი შემოკვრის ხმა თოფის გასროლასავით ისმოდა იდუმალებით მოცულ შემოდგომის ტყეში. ჩიტები წამიერად ფრთხებოდნენ, შორს იხვეწებოდნენ და ვისთანაც ხმა მიუწვდებოდათ, ყველასთან მიჰქონდათ ახალი ამბავი: საქანელას ზემოთ, ზეგანზე, ხეებს ჭრიან და ამ უბედურებას თქვენ მაინც დააღწიეთ თავიო.

ლუკას ეჩვენებოდა, რომ ცულის დარტყმისას ხე მძიმედ დაჭრილი ადამიანივით კვნესოდა. ბიჭს უნებლიედ სევდა შემოაწვა გულზე და ერთხანს შეწყვიტა ხის ჭრა.

– რა იყო, ხომ არ დაიღალე? – ჰკითხა რუხომ და გაუღიმა, – მერე დაუმატა: – არაფერია, ამ საქმეს არ ხარ შეჩვეული და, ალბათ, ამის ბრალია. ცოტა დაისვენე და ჭრა მერე განაგრძე.

– რუხო, დაღლით ნამდვილად არ დავღლილვარ.

– აბა?

– რაღაც გამახსენდა და ფიქრმა წამიღო, – არ დამცინოსო და ჭეშმარიტი მიზეზი არ გაუმხილა მეგობრებს.

– მოგონებებზე ფიქრი სხვა დროისთვის გადავდოთ. უნდა ვიჩქაროთ, რომ საქმეს დროულად მოვრჩეთ!

დრომ სწრაფად გაირბინა, გვარიანადაც დაიღალნენ და მოშივდათ კიდეც.

– კაცო, არ შევჭამოთ რამე? – შეახსენა მეგობრებს ლეომ და პასუხს დაელოდა.

– ლამის არის, შუადღე გადავიდეს. თქვენი არ ვიცი და მე ძალიან მომშივდა, – ლეოს მხარი ლუკამაც აუბა. რუხომ ხეს ცული ერთი-ორჯერ კიდევ შემოჰკრა და ამხანაგებს შეუერთდა.

ერთ-ერთი ხის ქვეშ გაზეთი გაშალეს, სანოვაგე ზედ დაალაგეს და აქეთ-იქით მიუსხდნენ.

ერთხანს უხმოდ შეექცეოდნენ სადილს, ბოლოს რუხომ იკითხა:

– ლეო, არაყი მერე დავლიოთ სადილობას რომ მოვრჩებით, თუ როგორ არის შენი საქმე!

ლეომ უსიტყვოდ გახსნა ბოთლი, ჭიქები შეავსო, მოკლედ თქვა – გაგვიმარჯოსო და გადაჰკრა.

– მაგარია? – ჰკითხა რუხომ.

– დიდებული ორნახადი არაყია, უკეთესს ვერ დალევს კაცი! – უთხრა გულწრფელი მოწონების ნიშნად და ბოლში გამოყვანილი ლორის ნაჭერი დააყოლა.

– აბა, ოთხივე სახარების მადლი შეგვეწიოს, – დაილოცა რუხომაც და დალია. მერე ჭიქა შეავსო და ლუკას მიაწოდა.

ორ-ორი ჭიქა რომ გამოცალეს, ლუკამ იკითხა: მესამე ჭიქაც უნდა დავლიო?

– ამას რა კითხვა უნდა! – მიუგო ლეომ.

– რა ვიცი, მეშინია, არ დამათროს.

– მორჩი, თუ კაცი ხარ! – უთხრა რუხომ, – აიღე და გადაჰკარი. ადიდებულმა ვარდგორულამ ვერ დაგაფრთხო, სამი ჭიქა წყალწყალა არყის დალევის გეშინია?!

ლუკა ახალი ჩამოსული იყო ჯარიდან, ზაფხულში ვარდგორულა უჩვეულოდ რომ ადიდდა. ბიჭებმა ნიძლავი დადეს, ვინც ამ გაგიჟებულ მდინარეს გადაცურავს, იმის პატივსაცემად დღესვე ცხვარს დავკლავთ და „არ ინანოში“ გათენებამდე ვიქეიფოთო.

ზოგმა თავი შეიკავა, ზოგმა კი თქვა – შევალ, მარა ისევ თქვენ დაზარალდებით, რომ დავიხრჩო, ჩემს ქელეხზე სამი ცხვარი რას გეყოფათო.

სანაძლეოს დადებაზე ყველამ უარი რომ თქვა, რუხომ ლუკას მიმართა:

– ჯარიდან შენი ჩამოსვლა არ აღგვინიშნავს, ცურვა თუ არ დაგვიწყებია, ვარდგორულა გადაცურე და ნიძლავის მოგება და ჯარიდან დაბრუნებაც ერთად ავღნიშნოთ.

ყველა ლუკას შეაჩერდა – ერთი ვნახოთ, სოხუმში, ზღვაზე გაზრდილი ბიჭი ამ ჩვენს ვარდგორულასთან შებმას თუ გაბედავსო. ასეთ შეჯიბრში ლუკა სოხუმშიც არაერთხელ ჩაბმულა. სხვაზე ნაკლებ მოცურავედ არ ითვლებოდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ საცურაოდ სრულიად სხვადასხვა იყო ზღვა და მდინარე. მით უფრო უხიფათო არ იყო მთელი კვირის ნაწვიმარი ნიაღვრებისგან ალიახვებულ მდინარესთან შებმა, მაგრამ მეგობარს სიტყვა ვერ გაუტეხა და მდინარეში გადაეშვა. გადარეულმა მდინარემ მაშინ გვარიანად კი აბურთავა, მაგრამ მასთან ჭიდილში თავი არ შეურცხვენია.

უმისოდაც გვარიანად მოშივებულებს არაყმა მადა გაუხსნა და უხვად წამოღებული პურ-მარილიდან ლუკმა არ დარჩენიათ ვინმესთვის მისაწოდებლად...

გაღმა მთის ფერდობებს ქამარივით გაჰკროდა მზის ზოლი. წუთისოფელივით ჩუმად მიიპარებოდა შემოდგომის დღე. ქვემოთ, ხეობაში ავად აღრენილ ვარდგორულას მთებიდან ცივი სუნ

თქვა მოჰქონდა, დაბლა, ვაკე ადგილებს ჩრდილით სუდრავდა მოახლოებული ღამეული ბინდი.

პურის ჭამას მორჩნენ თუ არა, უმალ განაგრძეს ხეების მოჭრა. ცულის ყოველი დაკვრის შემდეგ ახლეჩილი ნაფოტები აკუწული ფრთებივით ცვიოდა მიწაზე. შეშინებული ტყე განგაშის ზარს გადასცემდა გაღმა ფერდობებზე აშოლტილ თანამოძმეებს. მცირე ხნის შემდეგ ექო უკანვე ბრუნდებოდა და გულს უხეთქავდა ჯერ საღსალამათად მდგარ ხეებს: ვაი თუ ამ ბიჭებმა, ჩვენს თანამოძმეთა ჩეხვას რომ მორჩებიან, მერე ჩვენკენ გადმოინაცვლონ და იმათზე უარეს დღეში ჩაგვყარონო.

რუხოს მიერ მოჭრილმა ვეება წიფელმა მეზობელ რცხილებს ტოტები დაასხიპა და დაცემისას, ახლომახლო მიწა შეარყია. დამფრთხალი ჩიტები მშფოთვარე ჟივილ-ხივილით სადღაც გადაიკარგნენ. წაქცეული ხის ადგილას ზეცა გამოჩნდა და ჩამავალმა მზის სხივებმა ტყეში ჩამოიხედა.

ხის წაქცევისთანავე რუხო მის გასხეპვა-გასუფთავებას შეუდგა. ამ დროს ლუკა და ლეო გამეტებით სცემდნენ ალესილ ცულებს ნახევრად გადაჭრილ ხეებს. უნდოდათ, საქმე დაბინდებამდე მოემთავრებინათ: მოჭრილი ხეები დაემორათ, დაბლა, საურმე გზამდე ჩაეცურებინათ და მეორე დღეს შინ მიეტანათ.

სწორედ ამ დროს მოულოდნელად რაღაცამ ისე იჭექა, თითქოს რამდენიმე თოფი ერთად დაცალესო. სანამ ბიჭები გონს მოვიდოდნენ და საფრთხეს გაერიდებოდნენ, ლეოს მიერ ნახევრად გადაჭრილი წიფელა შუაზე გასკდა და, თითქოს, დავლურს უვლისო, თავქვე წაქცევის ნაცვლად, უცებ გვერდით შებრუნდა. ლეომ იყვირა: ბიჭებო, მოერიდეთო, მაგრამ რუხო ძირს დაყრილ განასხეპ ტოტებში გაიხლართა და შორს გაცლა ველარ მოასწრო. წაქცეული ხის წვეროს ერთ-ერთი განივი ტოტი ფეხზე დაეცა და ქვეშ მოიყოლა.

ლუკა და ლეო საშინლად დააფრთხო, შეაშინა და დააბნია უბედურმა შემთხვევამ. რუხო ერთხანს ხმას არ იღებდა. ბიჭებს მკვდარი ეგონათ და თავზარს სცემდათ იმის გაფიქრება, თუ რა ამბავი ატყდებოდა სოფელში, როცა ამ ამბავს შეიტყობდნენ. გულში ორივე ნატრობდა, ნეტავი ეს წყეული ხე მე დამცემოდაო.

სასოწარკვეთაში ჩავარდნილები რუხომ გამოაფხიზლა:

– როდემდე გინდათ, ასე ხელფეხშეკრულებივით იყოთ, მოდით და გამოძრომაში დამეხმარეთ!

მეგობრის ხმის გაგონებამ ბიჭები მიახვედრა, რომ რუხო ცოცხალი იყო და უზომოდ გაიხარეს.

– ტოტს მაღლა ავწევ, შენ კი გამოძრომაში მიეშველე, – უთხრა ლეოს ლუკამ და რტო, რომლის ქვეშაც რუხო მოყოლილიყო, მუხლის სიმაღლემდე ასწია, ლეომ კი მეგობარს მხრებში ხელი ჩაავლო და შეეცადა, გამოეცურებინა.

მართალია, ამას დიდი დრო არ დასჭირვებია, მაგრამ ტოტის სიმძიმისგან ლუკას ძარღვები ლამის დააწყვეტამდე დაეჭიმა, კუნთები დაებერა, სახეზე სისხლი მოაწვა, ძვლებმა ჭახჭახი დაიწყეს და თვალებზე ბინდი გადაეკრა, მაგრამ ბიჭს მაღლა აწეული ხე დაბლა მაინც არ დაუშვია, თუმცა ასე სულ ცოტა ხანსაც რომ გაგრძელებულიყო, ალბათ, ველარ შეძლებდა ტოტის დაჭერას.

სწორედ ამ დროს მოესმა ლეოს ხმა:
– დაუშვი ლუკა, უკვე გამოვიყვანე!

ხეს ხელი გაუშვა თუ არა, უმალ რუხოსთან გაჩნდა და შეშფოთებით ჰკითხა:

– როგორ ხარო, ბიჭო?

– ცუდად, ვერ ვდგები, მგონი, ფეხი მაქვს მოტეხილი.

ლუკა დაიხარა, უკეთ რომ დაენახა. გარეგნულად განსაკუთრებული არაფერი ეტყობოდა, ჩაიჩოქა და იმ ფეხზე ფრთხილად შეეხო, რომელზეც რუხომ უთხრა, მგონი, მოტეხილი მაქვსო. შეეხო თუ არა, რუხომ ლუკას მკერდში ხე-

ლი ჰკრა და გამწარებულმა უყვირა, რას შვრებიო.

ერთხანს ორივენი რუხოს გვერდით გაუნძრევლად იდგნენ. არ იცოდნენ, რით ან როგორ ეშველათ მისთვის. გამოსავალი ისევ რუხომ იპოვა:

– როგორმე დაბლა ჩამიყვანეთ. იქ, გზისპირას, ძველი ქოხია. სანამ ჩემიანებს შეატყობინებთ, მათ მოსვლამდე იქ ვიქნები.

თითქოს ვილაცამ შეკრული ხელ-ფეხი გაუხსნაო, უმალ დაფაცურდნენ ბიჭები. სასწრაფოდ შეკრეს სახელდახელო ჯალამბარი, ზედ თავიანთი დაბამბულები დააფინეს, ფეხმოტეხილი რუხო დააწვინეს და ჯალამბრის თრევით დაღმართს დაჰყვნენ.

ამასობაში დაღამდა კიდეც.

ცივი და ბნელი ღამე იყო. დაბურული ტყე კიდევ უფრო აბნელებდა ღამეულ წყვდიადს. წინ ვერაფერს ხედავდნენ. დანამულ ფოთლებსა და სველ ბალახზე ალაგ-ალაგ ფეხი უსხლტებოდათ. ზოგან დაბლა დახრილი ხის ტოტები სახეში ეხლებოდათ და იძულებული იყვნენ, ნელა და ფრთხილად ევლოთ.

რუხო, როგორც შეეძლო, თავს იკავებდა, მაგრამ ჯალამბრის უსწორმასწორო დაღმართში თრევისას, ეტყობოდა, გატეხილი ძვლები ერთმანეთს ეხებოდა, რაც აუტანელ ტკივილს აყენებდა და ამ დროს ჩუმი კვნესა ამოხდებოდა.

მიუხედავად შემოდგომის ცივი ღამისა, ჯერ მთელი დღის მუშაობით, მერე კი ჯალამბრის თრევით დაღლილები – ლეო და ლუკა – ერთიანად ოფლში ცურავდნენ, მაგრამ წუთითაც არ შეუსვენიათ. უნდოდათ, მეგობარი, როგორმე, მალე ჩაეყვანათ ქოხამდე.

რომელიღაც ღამეულმა ფრინველმა ფრთების ტყლაშუნით გადაუქროლათ და ირგვლივ ჩამოწოლილ წყვდიადს მყუდროება დაუფრთხო.

ამდენ ნჯღრევაში რუხო მოტეხილმა ფეხმა კიდევ უფრო შეაწუხა. ველარ მოითმინა და იკითხა:

– ქოხს ხომ არ ავცდით, ბიჭებო?

– არა, ნუ გეშინია, რამდენიმე წუთში ქოხთან ვიქნებით, – დააიმედა ლუკამ. ლეო, თითქოს ბიჭებს ჯიბრში ჩასდგომიაო, ხმას არ იღებდა. არადა, ჯიბრი არაფერ შუაში იყო. ის თავს დამნაშავედ გრძნობდა, აქაოდა, რუხოს ჩემი მოჭრილი ხე დაეცა და ფეხიც იმან მოსტეხაო.

როგორც იქნა, ჩაამთავრეს გზა, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათი იყო უწამლოდ და უექიმოდ დარჩენილი ბიჭისათვის. ქოხში კიდევ უფრო მეტად ბნელოდა, ვიდრე გარეთ. ლეომ ასანთი გაჰკრა. ბედად, ქოხის ერთ კუთხეში დანჯღრეული ტახტი აღმოჩნდა და რუხო ზედ დააწვინეს. ლუკამ ძველი მესრისა და ფიცრების ნამტვრევები შემოიტანა და ცეცხლი გააჩაღა. ქოხში სითბო დატრიალდა და ირგვლივ განათდა კიდეც.

ავადმყოფს სიმწრისგან სახე გაფითრებოდა. ლეო კედელს მიყრდნობოდა და თვალს არ აცილებდა. უნებლიე მარცხი ვერ მოენელებინა.

„ასე როდემდე უნდა ვიყოთ, არადა, ჩვენ რისი გაკეთება შეგვიძლია. აუცილებლად ექიმი უნდა მოვიყვანოთ", – ფიქრობდა იგი.

თითქოს ნაფიქრს მიუხვდაო, ლუკამ თქვა:

– მე სოფელში წავალ. ლეომ დაბნეულად შეხედა.

– ჰო, წავალ და ექიმს მოვიყვან. აბა, როდემდე უნდა ვიყოთ ასე გულხელდაკრეფილები. ჯერ კი უძლებს ტკივილებს, მარა, რაც დრო გავა, უფრო და უფრო შეაწუხებს. დილამდე დიდი დროა და უწამლოდ და უექიმოდ ძალიან გაუჭირდება.

რუხომ მადლიერებით სავსე თვალებით შეხედა მეგობარს. თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ დროული და საქმიანი ეჩვენა მისი განზრახვა.

ლეო კედელს მოსცილდა და ამ ხნის

განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა.

– მე წავალ ექიმის მოსაყვანად, – თქვა და ლუკას ისე შეხედა, თითქოს ევედრებოდა, მარტო ნუ დამტოვებ რუხოსთანო. ლუკა მიუხვდა, რომ ლეო თავს დამნაშავედ გრძნობდა და ამიტომ ეძნელებოდა მასთან მარტო დარჩენა.

„არა, ჯობია, ეგ დარჩეს და მე წავიდე. ყოველგვარი უხერხულობა დღესვე უნდა გაიფანტოს“. – გაიფიქრა გუნებაში ლუკამ.

– არა, ლეო, მე წავალ. შენ აქ დარჩი და რუხოს მიხედე. ცეცხლი არ გამოანელო. მალე დავბრუნდები ექიმთან ერთად. – თქვა ხმამაღლა და კარისკენ გაემართა.

სანამ ქოხიდან გავიდოდა, რუხომ მიადევნა:

– მთის ძირას მწყემსებს ცხვარი უდგათ. მიდი, უთხარი, რაც შეგვემთხვა და ცხენები სთხოვე შენთვისაც და ექიმისთვისაც. დარწმუნებული ვარ, უარს არ გეტყვიან. ასე უფრო სწრაფად ივლი.

– კეთილი, ყველაფერს ვიზამ, რაც საჭიროა, – დააგდო პასუხი ლუკამ და ქოხი დატოვა.

გარედან იდუმალი ღამე შემოსცქეროდათ. სულ ახლოდან მოისმოდა აზღავლებული მდინარის კლდოვან კალაპოტთან ჭიდილის ხმა.

●

ლუკამ სოფელში თქარათქურით შეაგდო ცხენი. რუხოანთ შეატყობინა მომხდარი ამბავი და ესეც დაუმატა:

– ბაბუა გააღვიძეთ და ჩვენი ხარურემი წაიყვანეთ. მე ექიმის მოსაყვანად მივდივარ, – დაიბარა და ცხენი ჭენებით დაძრა.

ორღობეშიც დაურიდებლად მიაჭენებდა ულაყს. გვერდით დასადევრებული მეორე ცხენიც მიჰყავდა. მათი ფლოქვების ხმაურზე ყეფით დადევნებული ძაღლები ღობეზე გადმოხტომას ვერ ასწრებდნენ. აქა-იქ სახლებში შუქი აინთო. ეტყობოდა, ხმაურზე გამოღვიძებოდათ და აინტერესებდათ, გარეთ რა ხდებოდა.

იმ სახლის ჭიშკარზე, სადაც გოგი ექიმი მდგმურად ცხოვრობდა, რამდენჯერმე მოურიდებლად დააბრახუნა.

გაღებულ ფანჯარაში ჭაღარათმიანი ქალი გამოჩნდა და შეშინებული ხმით გადმოსძახა:

– რომელი ხარ მანდ?

– ლუკა ვარ, ქეთო დეიდა, საბიას შვილიშვილი.

– რა მოხდა, შვილო, ხომ მშვიდობაა?

– გოგი ექიმი მინდა, შინ არის?

– არა.

– სად არის?

– წავიდა.

– სად წავიდა, ავადმყოფთან?

– არა.

– აბა?!

– არ ვიცი, შვილო, როგორც თვითონ თქვა, მგონი, რაიონის ჯანდაცვამ დედაქალაქში ერთკვირიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მიავლინა. – მიუგო დიასახლისმა.

„ფუ! უნახავთ იმათაც კვალიფიკაციის ასამაღლებელი დრო. თუ ექიმმა თავის საქმე არ იცის, ერთ კვირაში რა კვალიფიკაცია უნდა აიმაღლოს“. – წყენით გაიფიქრა ლუკამ, მერე ცხენს წკეპლა გადაჰკრა და მეზობელი სოფლისკენ გაქუსლა.

ვარდიგორიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, სოფელ ნახიდარში ცნობილი ექიმი თამაზ დარახველიძე ეგულებოდა. იმედი ჰქონდა, თუ შინ დახვდებოდა, ავადმყოფთან წაყოლაზე უარს არ ეტყოდა. მართალია, სოფელში ყველას ეძინებოდა, მაგრამ ეს არ ადარდებდა: ერთხელ, სანამ ჯარში წაიყვანდნენ, თამაზ ექიმთან ამაზე უფრო გვიან მივიდა. ბაბუას სჭირდებოდა ექიმის დახმარება. მაშინ იმ დალოცვილმა ისეთი გულისხმიერება გამოიჩინა, არაფრით რომ არ მოელოდა. იცოდა, მისი სოფლიდან როგორ შორს ცხოვრობდა, მაგრამ მაინც არ უთქვამს

უარი ბნელ ღამეში ავადმყოფის დასახმარებლად გაყოლაზე. ლუკა დარწმუნებული იყო, რომ არც ახლა გააწბილებდა.

გვიანი ღამე იყო, მაგრამ ექიმი ფეხზე დაუხვდა და კარი გაუღო თუ არა, მაშინვე იკითხა: – კიდევ ხომ არავინ დატორა დათვმა? – მერე ნაგვიანევი სტუმარი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა, მაგრამ მოსულს გაკვირვება რომ შეატყო, კითხვა მოუნაცვლა:

– საიდან მოდიხარ?

– ვარდიგორიდან, – მიუგომ ლუკამ.

– მეგონა, ვეძიანიდან იყავი. ერთი კვირის წინათ იქაური მონადირე დათვს გადაჰყრია, შებმიან ერთმანეთს, მონადირეს უმარჯვია და ხანჯალი შიგ გულში უტაკებია, თუმცა არც ნადირი დარჩენილა ვალში. ის მონადირეც მაგრად იყო დაბეგვილი. გადარჩა, მაგრამ ერთ-ორ თვეს მაინც მოუწევს ლოგინში წოლა. რომ შემოხვედი, იმის ბიჭს მიგამსგავსე. ვიფიქრე, ნაჭრილობევი ხომ არ გაურთულდა ან დათვმა კიდევ ვინმე ხომ არ დატორა-მეთქი. აბა, ახლა მითხარი, რა გაგჭირვებია?

– მე არაფერი, – რაც უცაბედად ენაზე მოადგა, ის უპასუხა.

– აბა, სხვა ვის უჭირს?

ლუკამ მოკლედ მოუთხრო, რა და როგორ შეემთხვათ, მერე კი დაუმატა:

– თქვენი დახმარება გვჭირდება, ექიმო, ბიჭს ფეხი უნდა ჰქონდეს მოტეხილი.

– გჭირდებათ და დაგეხმარებით კიდეც, – დააიმედა ექიმმა. მერე იქვე, კედელზე ჩამოკიდებული ზურგჩანთა ჩამოიღო, საოჯახო აფთიაქიდან საჭირო მედიკამენტები და შესახვევი მასალა შეარჩია და ჩანთაში ჩაალაგა. ცხადია, არც არტახები დავიწყებია.

ქუჩაში რომ გამოვიდნენ და ლუკამ ცხენი მიუყვანა, ექიმმა რატომღაც იკითხა:

– ფეხმალია?

– არ დაიწუნება, თვითონაც დარწმუნდებით, – მიუგო ლუკამ.

– მაშინ ვიჩქაროთ, ნუღარ დავაყოვნებთ, – თქვა და ორმოცდაათს მიტანებული ექიმი უნაგირზე ჭაბუკური სიმკვირცხლით შეჯდა.

ცხენები ჭენებით დაძრეს.

ლუკა წინ მიუძღოდა, ექიმი ხან გვერდით მოჰყვებოდა, ხანაც, სადაც გზა ვიწრო იყო, უკან მისდევდა. მდინარეზე ხიდი რომ გადაიარეს და პატარა აღმართიც აათავეს, ექიმმა იკითხა:

– ის ქოხი კიდევ შორსაა?

– არც ისე, მალე მივალთ.

– ტყეში უნდა შევიდეთ?

– არა. ქოხი დაბლა, გზისპირასაა.

ლუკას მოეჩვენა, რომ ექიმს კიდევ რალაცის კითხვა უნდოდა, მაგრამ სიბნელეში ქოხიდან გამოსულ შუქს თვალი რომ მოჰკრა, გაჩუმება არჩია.

რამდენიმე წუთში უკვე ადგილზე იყვნენ.

ცხენების ფეხის ხმაზე ლეო ქოხიდან გამოვიდა. მოსულებს ცხენები ჩამოართვა, იქვე მესერზე მიაბა და ავადმყოფთან შეუძღვა.

– როგორ არის? – ჰკითხა ამხანაგს ლუკამ.

– როგორც დატოვე. არ იმჩნევს, მაგრამ ვატყობ, მაგრად აწუხებს.

ექიმი ავადმყოფთან ახლოს მივიდა. ტახტზე ჩამოჯდა და მაჯა გაუსინჯა. მერე ბიჭებმა ფრთხილად შარვალი და ფეხსაცმელი გახადეს. ექიმმა ტერფზე ხელი მოჰკიდა და ფეხი რომ შეატოკა, ვაიო, იყვირა რუხომ.

– წვივის ძვალია გატეხილი, – თქვა და ავადმყოფი კიდევ ერთხელ გულდასმით გასინჯა, მერე ტკივილგამაყუჩებელი ნემსი გაუკეთა და მოტეხილ ფეხზე არტახები დაადო.

ამასობაში ქოხის ეზოში ჭრიალით შემოვიდა ურემი და რუხოს მამა, ანდრია და საბია გადმოვიდნენ.

– ექიმო, ნურაფერს დამიმალავ, როგორ არის ბიჭი? – ჰკითხა შეშფოთებულმა მამამ.

– დასამალი არაფერი სჭირს, წვივის ძვალი აქვს გატეხილი. რაც საჭირო იყო, ყველაფერი გავუკეთე, ერთ-ორ თვეს ყავარჯნების დაჭერა მოუწევს. ძვალი შეუხორცდება და მერე აღარც გაახსენდება ეს ამბავი, – დაიმედა ყველანი ექიმმა.

– ოღონდ, ეს ბიჭი კარგად მყავდეს და ჩემი ოჯახი ვალში არ დაგრჩება, უფალი იყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი, – ისე დალოცა ანდრიამ ექიმი, თითქოს, სუფრასთან მსხდარიყვნენ და სადღეგრძელო ეთქვას.

– ძალიან ნუ გააზვიადებთ ჩემს დამსახურებას. ექიმის მოვალეობაა, ავადმყოფს უმკურნალოს. ახლა კი წავედი და კვირის ბოლოს სახლში მოგაკითხავთ. აბა, ჩემო ლუკა, შენ მომიყვანე და შენვე გამაცილე.

ექიმი და ლუკა ცხენებზე სხდებოდნენ, როცა ავადმყოფი ოთხმა კაცმა ქოხიდან ციმციმაწეული გამოიყვანა და ლოგინდაგებულ ურემზე მშვიდად ჩააწვინა.

●

გამართლდა ექიმის ვარაუდი – რუხო ორი კვირის თავზე ფეხზე დადგა და ყავარჯნებით გაიარა, თუმცა არც მისი გაფრთხილება ავიწყდებოდა – ძალიან ნუ გათამამდები, ფეხს ნაადრევად ძალა არ დაატანო, ბევრი არ იარო და თავი ზედმეტად არ გადაიტვირთოო.

ტყეში მოჭრილი ხეების დამორვას და შინ მოტანას ლუკა და ლეო მთელი კვირა მოუნდნენ. ამის შემდეგ ორ-სამ დღესაც არ გაევლო, რომ მთაში ამინდი შეიცვალა და სწრაფად აცივდა. ხალხი თითქმის აღარ გამოდიოდა სახლებიდან, თუ რამე გადაუდებელი საქმე არ ჰქონდა; ადრინდელივით აღარც სანახშოზე იკრიბებოდნენ. ამას ისიც დაემატა, რომ ელექტროქვესადგურში გენერატორი დაზიანდა და უშუქობის გამო სოფელი ლამის საუკუნისწინანდელ ყოფას დაუბრუნდა: ვარდიგორელებმა დიდი ხნის წინათ სადღაც გადანახული ლამპები მოძებნეს და ამით ანათებდნენ სახლს, უტელევიზორ-ურადიოდ დარჩენილები კი ვერაფერს იგებდნენ, რა ხდებოდა ქვეყანაზე.

ლუკა გალიაში გამომწყვდეული ნადირივით შეკეტილიყო სახლში. ყველაფერი აღიზიანებდა და ნერვებს უშლიდა. მართალია, საღამოობით რუხოსთან გადადიოდა და მასთან საუბარში, ასე თუ ისე, გულს აყოლებდა, მაგრამ საშინელ მოწყენილობას და დეპრესიას თავს მაინც ვერ აღწევდა. იძირებოდა წარსულის მოგონებებში, ახსენდებოდა ომამდელი სოხუმი, სკოლა, კინოთეატრი, ახლობლები, ნაცნობ-მეგობრები, მათთან გატარებული ხალისიანი, ლაღი, უზრუნველი დღეები და უნდოდა, როგორმე გაქცეოდა ამჟამინდელ აუტანელ ყოფას.

ბოლო ხანს სოფლიდან წასვლაზე ფიქრი აეკვიატა და ვერა და ვერ მოიშორა, თუმცა თავს ყველანაირად ატანდა ძალას, ეს აზრი თავიდან ამოეგდო. იცოდა, მისი განზრახვა არ მოეწონებოდა ბაბუას. მოხუცი ცოცხალი თავით არ მიატოვებდა მშობლიურ სოფელს, ლუკას კი არ უნდოდა, უმისოდ სადმე წასულიყო. არადა, აღარ შეეძლო აქ დარჩენა. რაღაცნაირ ციხედ ეჩვენებოდა ეს გამოყრუებული, სამყაროს მოწყვეტილი სოფელი.

„წავალ სადმე, მუშაობას დავიწყებ, ცოტა ფულს დავაგროვებ, მერე ბინასაც ვიყიდი და როცა, ასე თუ ისე, მოვეწყობი, ბაბუას ჩემთან წავიყვან და ორივენი ერთად ვიცხოვრებთ“.

ურთიერთგამომრიცხავი ფიქრებით თავბრუდახვეულმა აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა, თუმცა ყველანაირად ცდილობდა თავის დამშვიდებას, მაგრამ ერთხელ აკვიატებული ფიქრი გულს ულრღნიდა და მოსვენებას არ აძლევდა.

იმ საღამოს, ის იყო რუხოანთგან დაბრუნდა, რომ შავი ღრუბლების წყვდიადში გახვეულ სოფლის ცაზე ელვა რამდენჯერმე ზედიზედ გაიკლაკნა. მერე მეხმაც იჭექა და ისეთი თავსხმა წამოვი-

და, კაცი გარეთ თავს ვერ გამოყოფდა. სხვა დროს მშვიდი ვარდგორულიდან ისეთი ხმაური ისმოდა, კაცი იფიქრებდა, უჩვეულოდ ალიახვებულ მდინარეს მთა და ბარი თან მიაქვსო.

ლუკასთვის ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა, რომელმაც საბოლოოდ გადააწყვეტინა, სოფლიდან გადახვეწილიყო... საბიამ ლამპა აანთო და სუფრა გააწყო. უხმოდ ივახშმეს.

არც ამის მერე ამოუღიათ ხმა. ღუმელში ცეცხლი ენთო და ოთახში სასიამოვნოდ თბილოდა, მაგრამ გარედან შემოსული შხაპუნა წვიმის ხმა უსაშველოდ აღიზიანებდა ისედაც უგუნებოდ მყოფ ლუკას და ყველაფრის მიმართ უარყოფითად განაწყობდა.

– როდემდე უნდა იწვიმოს ამ ოხერმა ასე გადაუღებლად! – წყენით ჩაილაპარაკა ბიჭმა და ფანჯრის მიღმა ჩამოწოლილ ბნელეთს გახედა.

– რას ვიზამთ, შვილო, ასეთია შემოდგომა – ხან იწვიმებს და ხანაც გადაიღებს, ყველა წვრილმანს ნუ გააზარბადიდებ და ერთ ბეწო გასაჭირს უსაშველოს ნუ გახდი. ბოლოს და ბოლოს, ეს წვიმებიც შეწყდება, გამოიდარებს და ამინდი გამოვა, გამოცოცხლდება სოფელი და ხალხი ისევ მოიყრის თავს სანახშოზე, – სცადა შვილიშვილის დამშვიდება ბაბუამ.

– არ გამოიდარებს და კისერიც უტეხია, მე აქ გამჩერებელი მაინც არა ვარ! – ბერიკაცისთვის მოულოდნელად ამოთქვა ბიჭმა ბოლო ხანს გულში ამოჭრილი განზრახვა.

– რატომ, შვილო? – გაოცებით იკითხა მოხუცმა.

– რატომ და... არ შემიძლია ასე ცხოვრება. არც წვიმის გადაღებას დაველოდები და არც თოვლის ჩამოყრას. სანამ გზები ჩაიკეტება, ავდგები და გავეცლები აქაურობას! – მიუგო გაღიზიანებულმა შვილიშვილმა, რომელსაც, ეტყობოდა, უკვე მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება.

საბიას თავზარი დასცა ბიჭის განზრახვამ და ერთხანს ხმა ველარ ამოიღო. აქამდე ეგონა, რომ ბიჭი თუ სადმე წასვლაზე იფიქრებდა, ეს სოხუმი იქნებოდა, სადაც მამისეული სახლ-კარი ეგულებოდა, მაგრამ იქ დაბრუნებაზე ფიქრი ჯერ ძალიან ნაადრევად ეჩვენებოდა. სადმე სხვაგან წასვლას თუ მოინდომებდა, ეს აზრადაც არასდროს მოსვლია.

მოხუცს იმედი ჰქონდა, რომ შვილიშვილი მასთან, სოფელში დამკვიდრდებოდა და ეს სახლ-კარი უპატრონოდ არ დარჩებოდა. მისთვის იმის წარმოდგენაც კი თავზარდამცემი იყო, რომ ლუკა აქაურობას მიატოვებდა და მისი მამა-პაპის კარმიდამოს სხვა დაეპატრონებოდა ან უფრო უარესი – გავერანდებოდა.

– მერე, ვის ამარა ტოვებ ამ სახლკარს და კარ-მიდამოს? – ბოლოს ეს ჰკითხა გაოგნებულმა ბაბუამ შვილიშვილს.

– რატომ ვის ამარა? შენ აქ არა ხარ!

– მე აწი რაღა შემიძლია, შვილო?! ესეც არ იყოს, როდემდე ვიცოცხლებ, ცას ხომ არ გამოვეკერები?!

– როდემდეც გაძლებ.

– მერე ამ სახლ-კარს და კარ-მიდამოს ვინ უპატრონებს? – მოხუცს იმედი ჰქონდა, ლუკა ეტყოდა, ვინ და მეო, მაგრამ ბიჭმა გულში ჩაცემული ხანჯალივით უპასუხა:

– გამოჩნდება, ალბათ, ვინმე, ვინც უპატრონებს.

– მაინც ვინ? – ჩაეძია მოხუცი.

– აკი უკვე გითხარი, ვინმე-მეთქი.

– როგორ, ეს სახლ-კარი და კარ-მიდამო აქამდე იმიტომ მოვიტანეთ მე და ჩემმა მამა-პაპამ, რომ იგი ვიღაც ვინმეს დარჩენოდა?! – საბიასთვის ერთნაირად თავზარდამცემი იყო, ეს ვინმე ვარდიგორელი იქნებოდა, თუ ცხრა მთას იქითა გადამთიელი.

– არ ვიცი, – ჩაილაპარაკა ბიჭმა და პირგამეხებულ მოხუცს თვალი აარიდა.

– აბა, რა იცი, მამა-პაპის ნაშრომ-ნაღვაწი კარ-მიდამოდან გაქცევა-გავერანება?! – მიახალა მოხუცმა.

– მე არაფერი გამივერანებია, – თავის მართლებასავით ჩაილაპარაკა ლუკამ და განრისხებული ბაბუას მზერას თვალი აარიდა.

– მამაპაპურ სახლ-კარს უპატრონოდ რომ დააგდებ, გავერანდება და განიავდება, აბა, რა მოუვა. სოფელ-ქვეყანა დაგცინებს, შეგიცოდებს და დანანებით იტყვის, ეს უნიათო მომავალი თაობა რა იოლად ატანს ქარს წინაპართაგან ნალოლიავებ მამულ-დედულს და სახლ-კარსო.

ლუკა გაჩუმებული იჯდა. ერთხანს მოხუციც დუმდა. მერე ეს ჰკითხა შვილიშვილს:

– ეტყობა, მეც და ჩემს წინაპრებსაც უბედური სვე გვერგო ბედად, რომ ჩვენმა მომდევნო თაობებმა ვერ უპატრონონ ჩვენი დიდი შრომითა და თავდადებით აქამდე მოტანილ სოფელ-ქვეყანას. – თქვა და მერე დასძინა – მაინც საით აპირებ გამგზავრებას?

– ქვეყანა თავფართოა. წასასვლელი ადგილების მეტი რა არის.

– მაინც... სოხუმში ხომ არა?

– სოხუმშიც წავალ, როცა ამის დრო მოვა, მაგრამ...

– მაგრამ ახლა?

– ალბათ, თბილისში.

– თბილისში?!

– ჰო, რა იყო, სხვები თუ მიდიან, მე რა, ვინმემ ხომ არ ამიკრძალა იქ ჩასვლა?!

– ვერავინ ვერავის ვერ აუკრძალავს თავისი ქვეყნის დედაქალაქში ცხოვრებას, მარა ამ სოფელს ვინღა მიხედავს?

– გამოჩნდება, ალბათ, ვინმე...

– რა თქმა, უნდა, გამოჩნდება, აბა, ამ წალკოტს ისე ვინ დატოვებს, მარა ამით შენ რა სარგებელს ნახავ, თუნდაც იქ, შენი ქვეყნის დედაქალაქში, საითკენაც ისე მიგიწევს გული, თითქოს, იქ ვინმე სრა-სასახლეს გახვედრებდეს?

– სხვისი დახვედრებული არც მინდა. მეც სხვებივით ვიმუშავებ და თვითონვე გავიჩენ სახლ-კარს.

– შენ იმ სხვებს ნუ ედრები. დამიჯერე, შვილო, შენთვისაც და ქვეყნისთვისაც ჯობია, აქ დარჩე და შენს სახლ-კარს მიხედო.

– მომბეზრდა ამ გამოყრუებულ სოფელში ველურივით ცხოვრება, როგორ შეიძლება, ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანი ყველა სიკეთეს იყო მოკლებული, ყველაფერი გაკლდეს, ყველაფერი გენატრებოდეს. სხვა რომ არაფერი იყოს, გული გამიწვრილეს ამ გადაულებელმა თავსხმა წვიმებმა, გარეთ ვერ გამიყვია თავი, მომწყინდა კარგამოკეტილ სახლში ჯდომა!

– რა, ქალაქში წვიმა და თოვლი არ მოდის თუ...

– წვიმა და თოვლი ყველგან მოდის, მარა ქალაქში კაცს გასაქანიც მეტი აქვს და ცხოვრების უკეთ მოწყობის შესაძლებლობაც.

– უკეთ მოწყობის შესაძლებლობა იმას აქვს, ვისაც დიდი ფული აქვს. შენ?.

– ხომ გითხარი, მეც ვიმუშავებ და ფულსაც ვიშოვი-მეთქი...

– ღმერთმა გისმინოს, შვილო, მაგრამ, ხომ იცი, ფული ასე ადვილად არ იშოვება... ეს იქით იყოს, მარა მე რას მიპირებ. ამ ხნის მოხუცი, უძლური ბაბუა, უპატრონოდ, ტიალ-ოხერივით მარტო უნდა დააგდო?! – საბიამ იეშმაკა თავისი უძლურებისა და მოხუცებულობის შეხსენებით, იქნებ, ნამუსზე შევაგდო და განზრახვაზე ხელი ავაღებინოო.

– ვინ გითხრა, რომ შენს მიტოვებას ვაპირებ! როგორც კი ქალაქში მოვეწყობი, მაშინვე წაგიყვან და ერთად ვიცხოვრებთ.

– არა, შვილო, მე რაღა საქალაქე წუთისოფელისა ვარ. ესეც არ იყოს, ვინმემ ოქროს სასახლეც რომ მაჩუქოს, აქედან ფეხის მომცვლელი აღარ ვარ! აქ დავიბადე, ჩემი წუთისოფელი აქ გავატარე და აქვე მინდა, დავიმარხო. მით უფრო, რომ დიდი დღე არ მიწერია, ცალი ფეხი სამარეში მაქვს, – სოფლიდან წასვლაზე ცივი უარი უთხრა საბიამ და

მერე დაუმატა: – ეს სახლ-კარი ჩემთვის მარტო ჩვეულებრივი საცხოვრისი, ღამის გასათევი და თავშესაფარი როდია. იგი სამამულო ომში წასული ჩემი ოთხი ძმისა და ახლახან სამშობლოს შეწირული ერთადერთი შვილის, მამაშენის, ფარნაოზის, სამემკვიდროა. იმათგან ომიდან არც ერთი არ დაბრუნებულა. აქა ვარ და, ასე მგონია, დღეს თუ არა ხვალ უთუოდ მოვლენ, კარს შემოაღებენ და შინ რომ არ დავხვდები, მისაყვედურებენ, რად მოგვიშალე და მიგვიტოვე მამა-პაპის ნაფუძარიო.

განა არ ვიცი, რომ ისინი აქ მომსვლელები აღარ არიან... ვინც მომსვლელი იყო, ზოგი ადრე, ზოგიც გვიან დაბრუნდა, მარა იმედს ვერ ვკარგავ და თავს ვიტყუებ. ასე რომ, ეს სახლ-კარი ახლა ჩემსა და შენს უფრო სწორად, შენს იმედზეა, შენს მეტი სხვა პატრონი არა ჰყავს და უმორჩილესად გთხოვ, როცა აღარ ვიქნები, ნურც მოშლი, ნურც გაყიდი და მტრის გულის გასახარად, ნურც მიატოვებ აქაურობას, თორემ, იცოდე, საფლავში გადავბრუნდები და ცოდვა დაგედება! – ისე შეევედრა, თითქოს სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე ყოფილიყო და უკანასკნელ სურვილსა და დიდხანს გულით ნატარებ ანდერძს უზარებდა.

იმედი ჰქონდა, შვილიშვილს სახლიდან წასვლას გადააფიქრებინებდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა. გული ისე უცემდა, ეგონა, სადაცაა გამისკდებაო. ბოლოს თავს მოერია და კარგა ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა:

– წასვლას როდის აპირებ?

– ხვალ დილით. რაც მალე წავალ, ის ჯობია.

მოხუცმა დააპირა, ერთხელ კიდევ ეთხოვა, დარჩი, აქაურობას ნუ მიატოვებო, მაგრამ მიხვდა, რომ განზრახვაზე ხელს ვერ აალებინებდა. შეეშინდა, არ ატირებულიყო და თავისი სისუსტე სხვისთვის, თუნდაც, შვილიშვილისთვისაც არ ეჩვენებინა. უხმოდ ადგა, თავის საძინებელ ოთახში გულდათუთქული შევიდა და კარი შეიკეტა.

ვარდიგორიდან თბილისისკენ ავტობუსი კვირაში ერთხელ, დილით ადრე გადიოდა. ავტობუსმა არ გამასწროსო და ლუკა დილაუთენია ადგა. ბაბუა მუდამ ალიონზე დგებოდა, ეგონა, ამდგარი დახვდებოდა, მაგრამ, როცა, ჩვეულებისამებრ, სასტუმრო ოთახში არ დახვდა, გაიფიქრა:

„წუხელ გვიან დავიძინეთ და, ალბათ, სძინავს. იქნებ, ასე უკეთესიც იყოს“.

ამიტომ არ უცდია მისი გაღვიძება და გამომშვიდობება. ის კი არადა, გულში ესიამოვნა, რომ კიდევ ერთხელ არ უწევდა უსიამოვნო საუბრის გაგრძელება, თუმცა, სანამ სახლს დატოვებდა, ოთახში განგებ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, იქნებ, ფეხის ხმამ გააღვიძოს, გამოვიდეს და გზა დამილოცოსო. გულის სიღრმეში არ უნდოდა, მის უნახავად წასულიყო, მაგრამ მოხუცის საწოლი ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

თავისი საძინებელი ოთახის კედელს ამოფარებული მოხუცი ფანჯრიდან აკვირდებოდა მის ყოველ უმცირეს მოძრაობას და გულში სასოებით ნატრობდა, ნეტავ წასვლას გადაიფიქრებდესო, მაგრამ ლუკას წუთითაც არ უფიქრია თავისი გადაწყვეტილების შეცვლა. კიბე სწრაფად ჩაირბინა, ორღობეში გავიდა და სოფლის ცენტრისკენ მიმავალ გზას ისეთი ჩქარი ნაბიჯებით დაადგა, თითქოს უკან ვინმე მისდევდა და ცდილობდა, მდევარს ხელიდან გასხლტომოდა.

გაჩერებაზე მისულმა ავტობუსის კარი გააღო, სალონში სწრაფად ავიდა და სულ ბოლოს, თავისუფალ სკამზე დაჯდა.

კმაყოფილი იყო, რომ თავის განზრახვას ასრულებდა, თუმცა თავს მაინც მოუსვენრად გრძნობდა. გონებაში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა. უნდოდა, გაერკვია, სწორი იყო თუ არა მისი გადაწყვეტილება.

„მიდიხარ?“ – ფიქრებში გართულს

ცხადად მოესმა მისსავე გულში გახმაურებული კითხვა.

„აბა, რას ვშვრები, ვერ ხედავ, რომ მივდივარ!“

„როგორ ვერ ვხედავ, მარა ერთი ანდაზა გამახსენდა“.

„რა ანდაზა?“

„გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო“.

„ეგ ანდაზა აქ რა შუაშია!“

„იმ შუაშია, რომ თბილისს უმუშევრები აკლია, რომ შენც არ მიემატო? ამაზე იტყვიან, ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიემატაო. გგონია, ჩახვალ თუ არა დედაქალაქში, ფეხქვეშ უმალ ხალიჩებს გაგიფენენ და თავზე ქოჩაბანდს დაგახურავენ?! ვინ გდიხარ, ვის დაჰკარგვიხარ. შენისთანები იქ ისედაც ბლომად ყრიან!“

„ყრიან და ეყარონ, მერე რა... განა არ უთქვამთ: სადაც სოფლის ნახირი, იქაც ბებრის თხაო. თუ ათეულ ათასობით ადამიანი პოულობს რაღაც სამუშაოს, ღმერთი ისე როგორ გაწყრება, ჩემთვისაც არ გამოინახოს რაღაც ადგილი“.

„შეიძლება, მაგრამ აუტკივარი თავი, რატომ გინდა, აიტკივო. ხელობა შენ არა გაქვს და სწავლა-განათლებითაც მაინცდამაინც ვერ მოიწონებ თავს, უამისოდ კი იქ სამუშაოს შოვნა ისევე წარმოუდგენელია, როგორც ცოდვილის სამოთხეში მოხვედრა. იმ დალოცვილ ქალაქში ყველას თავისი თავი გასჭირვებია და ლუკმა-პურს შენ ვინ მოგაწვდის“.

„რად მინდა სხვისი სამადლოდ მოწვდილი ლუკმაპური, ვიმუშავებ და ჩემს საზრდოს მე თვითონ გავიჩენ“.

„ღმერთმა ქნას, მაგრამ, საეჭვოა, ასე მოხდეს. იქ შენსავით ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოხეტებული უამრავი ადამიანი თვეობით ეძებს და ვერ პოულობს სამუშაოს. რატომ გგონია, რომ ჩახვალ თუ არა თბილისში, შენთვის უმალვე ოქროს კლდე დაიქცევა და უფალი ფულების შეკვრას გადმოგიყრის. დედაქალაქში ბედის საძიებლად აღიღარებას, გერჩია, შინ დარჩენილიყავი. იმ შენს პატიოსან მოხუც ბაბუას სახლიც კარგი აქვს, კარმიდამოც, სახნავ-სათესი მიწაც და დიდებული ბაღიც, ეზოში ათიოდე ძირი სკა უდგას და რამდენიმე სული საქონელი ჰყავს. ხელს თუ გაანძრევ, არც პური მოგშივდება და არც წყალი მოგწყურდება. შენ გარდა ვინ ჰყავს იმ ბერიკაცს პატრონი და მიმხედავი და ახლა, როცა რაღაც ორი დღის წუთისოფელი დარჩენია, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე



მოუნაგრებია, იმას შენ უნდა უპატრონო, თუ, რა თქმა უნდა, ჭკუა-გონებას მოუხმობ!“

„ჭკუა-გონების მოხმობაში რას გულისხმობ?“

„რას ვგულისხმობ?“

„ჰო“.

„რას ვგულისხმობ და იმას, უსახლკარო ბოგანოსავით აღიარებას რომ ირჩევ. სანამ დროა, მოეშვი აქეთ-იქით მიდებ-მოდებას და ბაბუასთან დაბრუნდი“.

„გვიანი ხომ არ არის?“

„რა?!“

„უკან დაბრუნება“.

„რატომ?“

„რა ვიცი... რომ დავბრუნდე, განაწყენებული ბაბუა მიმიღებს?“

„მართლაც არა ხარ მიღების ღირსი, თუმც ის კურთხეული ბერიკაცი ხელს ნამდვილად არ გკრავს, ოღონდ აწი მაინც მოიქეცი ჭკუით. კარგად მოუარე ბაბუაშენის სამოთხესავით კარ-მიდამოს და არაფერი გაგიჭირდება.

„თუ დავბრუნდი, მოვუვლი, აბა, რას ვიზამ, მაგრამ...“

„რა მაგრამ! კიდევ რაიმე სისულელე ხომ არ ჩაგიფიქრებია?“

„არა, არა“...

„აბა?“

„მგონი, დამარწმუნე, რომ უნდა დავბრუნდე, მაგრამ მრცხვენია, რა პირით შევხვდე ბაბუას“...

„კიდევ კარგი, სირცხვილის გრძნობა რომ შეგრჩენია! უნდა გრცხვენოდეს კიდეც. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისე როგორ წამოხვედი, ბაბუას არ გამოემშვიდობე. რამე რომ დაემართოს, ყველაფრის მიზეზი შენ იქნები. რაც გინდა, ის მოიგონე, ავტობუსი გააჩერე და ახლავე დაბრუნდი სახლში!“

ამის გაფიქრება იყო და სკამიდან მგელცემულივით წამოიჭრა, თითქმის სირბილით გაიარა სალონი და აღელვებულმა მიმართა მძღოლს:

– გააჩერე ავტობუსი, უკან უნდა გავბრუნდე. წამოსვლისას ფაციფუცში რაღაც საბუთი დამრჩენია სახლში!

მანქანამ შეანელა თუ არა სვლა, კარი გააღო, ძირს ჩახტა და სოფლისკენ ისეთი სისწრაფით მოკურცხლა, თითქოს, დასაჭერად მისდევდნენ და გაქცევას ცდილობდა.

ეზოში რომ შევიდა, ბაბუა ცულით ხელში შეშის დასაჩეხად მიდიოდა. შვილიშვილის დანახვაზე შედგა და ერთხანს ისე შესცქეროდა, რომ ხმა არ ამოუღია. ისიც კი გაიფიქრა, რამე ხომ არ მეჩვენებაო.

– რა მოხდა? – ჩაეკითხა მოხუცი, – ავტობუსზე დაგაგვიანდა?

– არა!

– აბა?

– გადავიფიქრე!

– ეს როგორ?

– უბრალოდ, გადავიფიქრე ქალაქში წასვლა. აქ, შენთან, სოფელში ვრჩები, – მერე ბაბუას ცული გამოართვა და უთხრა, – სახლში შედი, შეშას მე დავჩეხავ და შემოვიტან კიდეც.

დაბნეულ მოხუცს უჭირდა ბიჭის სიტყვების დაჯერება. სიყვარულითა და მადლიერებით აღსავსე თვალებით გახედა, პირჯვარი გადაისახა და ჩაიჩურჩულა:

„უფალო, ამ სახლსა და კარ-მიდამოში ჩემს ნაგრამ-ნაშიერს ნურასოდეს გამოლევ და ნურც წყალობას მოაკლებ!“

მერე აივანზე ავიდა, მდინარის გაღმა-გამოღმა ფერდობებს შეფენილი სოფლის ზემოთ უკიდეგანო ცას სვეტივით შედგმულ ამირანმთას გახედა, რომელსაც შეურყვნელი მარადიული თოვლით დაფარული მხრებიდან ნისლი გადაეყარა და მოკრიალებულ ცაზე ამოგორებული კაშკაშა მზე უკეთესი მომავლის იმედად ქვეყნიერებას მაცოცხლებელ სხივებს აფენდა...



# ლევან ბიებაძე

## ქართული ნონფიქშენი

**(წერილი პირველი)**

ტერმინოლოგიისთვის: ინგლისურმა „ფიქშენმა“ (ქართულად: „შეთხზული“, „გამოგონილი“) წარმატებით ჩაანაცვლა ფრანგული წარმომავლობის „ბელეტრისტიკა“ (ქართულად: „მხატვრული მწერლობა“, სიტყვასიტყვით – „ლამაზი წერილი/წერილობა“), ხოლო „ნონფიქშენი“„ფიქშენის“ საპირისპირო ცნებაა, ანუ ქართულად მას „არაგამოგონილი“, „ნამდვილი“, უცხო სიტყვით – „დოკუმენტური“ შეესაბამება. წარმატებული კი ეს ჩანაცვლება იმიტომ არის, რომ „ბელეტრისტიკა“, რაც, როგორც ვთქვით, „ლამაზ წერილს/წერილობას“ ნიშნავს, იმ აზრს შთაგვაგონებს, თითქოს არაბელეტრისტული (ნამდვილი ამბების ამსახველი, დოკუმენტური) ტექსტი არ შეიძლება „ლამაზი“ იყოს, ანუ ესთეტიკური განსჯის საგანს წარმოადგენდეს, რაც, ცხადია, ასე არ არის – მოსაწყენი ბელეტრისტული (მხატვრული) თხზულებაც ბევრი გვინახავს და უმშვენიერესი დოკუმენტური პროზაც. „ფიქშენი“ და „ნონფიქშენი“ კი ნეიტრალური ტერმინებია – ტექსტისადმი შემფასებლობითი დამოკიდებულების პრეტენზიას არ ამჟღავნებენ.

კარგა ხანია მთელ მსოფლიოში შეინიშნება ნონფიქშენისადმი ინტერესის გაძლიერება. ქართულ მწერლობას ლიტერატურის ამ დარგში ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები აქვს. ჩვენი მწერლობა ნონფიქშენებით იწყება. მის პირველ ნიმუშად უცნობი ავტორის „წმ. ნინოს ცხოვრება“ უნდა ჩაითვალოს, რასაც მოჰყვა ისეთი შედევრები, როგორიცაა იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, იოვანე საბანისძის „აბოს წამება“, გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, გიორგი მცირეს „გიორგი ათონელის ცხოვრება“; „ვახტანგ გორგასლის ისტორია“, „დავით აღმაშენებლის ისტორია“, „ასწლოვანი მატიანე“ და სხვ., რომელთა ავტორები არაჩვეულებრივი ლიტერატურული ოსტატობით მოგვითხრობენ რეგიონული თუ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებზე, ისტორიული პიროვნებების შთამბეჭდავ გარეგნულ და შინაგან (სულიერ) პორტრეტებს ქმნიან. ამ ჟანრის შედევრებს მიეკუთვნება აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, იესე ბარათაშვი-

ლის „ცხოვრება-ანდერძი“, აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, ალექსანდრე ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებანი“...

ნამდვილად მომხდარი ამბების სიტყვის მეშვეობით ასახვა-გაცოცხლება, ანუ ნატურიდან ხატვა, მწერლისგან განსაკუთრებულ უნარებს მოითხოვს, ნონფიქშენში მხატვრული თხზულებებისგან, ანუ ფიქშენისგან, საგრძნობლად განსხვავებული ესთეტიკური პრინციპები მოქმედებს და ამის გათვალისწინება გვმართებს.

ამჯერად რამდენიმე ლიტერატურულ მოვლენაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელნიც ნათლად წარმოაჩენენ ძველი და ახალი დროის ქართული ნონფიქშენის ღირსებებსა და მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებით.

•

ქართული მწერლობის ჩვენამდე მოღწეულ პირველ ძეგლად „წმ. ნინოს ცხოვრება“ უნდა ჩაითვალოს. ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით, იგი „შუშანიკის წამებაზე“ ადრინდელი ჩანს. ეს თხზულება ძალზე თვალში საცემი კომპოზიციით გამოირჩევა. ქართლის განმანათლებლის, კაპადოკიელი ქალბატონის მოღვაწეობას რამდენიმე პიროვნების მონათხრობით ვეცნობით: თავიდან ანონიმი ავტორი ზოგადი შტრიხებით, თეზისურად გვაცნობს წმ. ნინოს 15-წლიან მოღვაწეობას საქართველოში. შემდეგ სნეული ნინო სიკვდილის წინ სალომე უჯარმელისა და პეროჟავრი სივნიელის თხოვნით ჰყვება თავის თავგადასავალს, რაც მას საქართველოში მოსვლამდე გადახდენია. მის მონათხრობს სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი იწერენ და ამ ჩანაწერს გვთავაზობს ჩვენ ანონიმი ავტორი.

მერე ქართლში ნინოს მოღვაწეობის სხვა მომსწრენი, ნინოს პირადად მცნობნი, განაგრძობენ თხრობას რიგრიგობით და მისი მისიონერული მოღვაწეობის სხვადასხვა ეპიზოდებს გვაცნობენ. ესენი არიან: სალომე უჯარმელი (მირიან მეფის ძის რევის ცოლი), სიდონია (აბიათარ მღვდლის ასული), აბიათარი („ჰურია-ყოფილი იგი მღდელი, რომელი იყო მეორე პავლე“), იაკობი (მღვდელი, მერე ეპისკოპოსი), მეფე მირიანი. საბოლოოდ იხატება ჯგუფური პორტრეტი, რომლის ცენტრში დგას ნინო კაპადოკიელი. იქვე არიან ისინიც, ვინც მის შესახებ თხრობენ და ამის მეშვეობით რამდენადმე თავიანთ თავსაც გამოსახავენ.

ამ ყაიდის კომპოზიციას ლიტერატურის თეორიაში თავისი სახელი აქვს: მას კომპოზიციური პოლიფონიზმი ეწოდება. ვნახოთ, რას წერს მის შესახებ ლიტერატურათმცოდნე ოლეგ ხარიტონოვი ნაშრომში „კომპოზიციური პოლიფონიზმი: გენეზისი და სტრუქტურული მოდიფიკაციები“ (2009):

„კომპოზიციური პოლიფონიზმი არის მე-19-20 საუკუნეების რომანის აგების ისტორიულად განპირობებული პრინციპი, თანამედროვე ლიტერატურაში რომანის მასალის ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ხერხი, არაკლასიკური მხატვრული ცნობიერების სტრუქტურისა და შინაარსის ადეკვატური... კომპოზიციური პოლიფონიზმი, როგორც ავტორის – მთხრობელის – პერსონაჟის არაკლასიკური ურთიერთდამოკიდებულების რეალიზაცია, ქმნის თხრობის სუბიექტთა ახლებური სისტემის ორგანიზაციას“ (http://pandia.org/387089/).

კომპოზიციური პოლიფონიზმის ჩასახვის ხანად მიჩნეულია მე-19 საუკუნე, რომანტიზმის ეპოქა, მის ნიშნებს პოულობენ ე. ტ. ა. ჰოფმანთან, მიხაილ ლერმონტოვთან, ვლადიმირ ოდოევსკისთან... იმავე ავტორის (ო. ხარიტონოვის) მიხედვით, „კომპოზიციური პოლიფონიზმის ფორმირება სწორედ რომანტიზმის ეპოქაში ხდება, სიტყვიერების რომანტიკული პარადიგმის ჩარჩოებში, თხრობის კანონებისაგან ტექსტის განთავისუფლებისა და ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიციის მეშვეობით იმის გამოხატვის

კონტექსტში, რასაც მკვლევრები „სუბიექტურობის პრინციპის ემანსიპაციას“ (ს. ს. ავერინცევი) უწოდებენ“ (http://pandia.org/387090/).

კომპოზიციური პოლიფონიზმის ფუნქციის, ანუ სიკეთეების, შესახებ ამავე მკვლევართან ვკითხულობთ:

„კომპოზიციური პოლიფონიზმის, ვითარცა მხატვრული მასალის განლაგება-მოწესრიგების ხერხის, გამოყენებით ავტორი, ჯერ ერთი, აუქმებს „აღქმის ავტომატიზმს“ იმით, რომ არღვევს მკითხველის მიერ ნაწარმოების აღქმის ტრადიციულ ინერციულ სისტემას, ახდენს რა მისი [მკითხველის] აქტიურობის გამძაფრების პროვოცირებას; მეორეც – აღწევს, თუნდაც პირობითად, აღწერილი მოვლენის რეალურობის ეფექტს; და ბოლოს, მესამე – სუბიექტურ თვალსაზრისთა შეკრების გზით ქმნის მოვლენის მრავალგანზომილებიან სურათს, რისი მეოხებითაც ახერხებს გამოსახულების სტერეომეტრული ეფექტის შექმნას“ (http://pandia.org/387090/).

ეს ყოველივე, რაც აქ მე-19-20 საუკუნეების ლიტერატურული ნაწარმოებების მიმართ ითქვა, უცვლელად მიესადაგება ანონიმი ავტორის მიერ 1500 წლის წინათ დაწერილ „ნინოს ცხოვრებასაც“. ანუ „ნინოს ცხოვრებაში“ ჩანასახის ან ტენდენციის სახით კი არ არის მოცემული მე-19-20 საუკუნეების ევროპული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი კომპოზიციური პოლიფონიზმის ხერხი, რომლითაც „გამოსახულების სტერეომეტრული ეფექტი“ მიიღწევა, არამედ სრულყოფილად.

1972 წელს გერმანელ მწერალს ჰაინრიხ ბიოლს ნობელის პრემია მიენიჭა. ამ აღიარებას დიდად შეუწყო ხელი წინა წელს გამოსულმა მისმა რომანმა, რომლის სათაურია „ჯგუფური პორტრეტი ქალბატონით“. ეს სათაური კარგად გამოხატავს რომანის კომპოზიციურ თავისებურებას. წიგნის ერთ-ერთ ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ ეს არის „ბიოლის ერთ-ერთი უძლიერესი ნაწარმოები. წიგნი, რომლის გამოსვლის შემდეგაც ის ნობელის პრემიით დაჯილდოვდა. უაღრესად საინტერესო კომპოზიციის მქონე რომანი – მის გმირ ქალს ჩვენ ხომ მხოლოდ ამ პერსონაჟის ნაცნობ-მეგობართა და მტერთა მონათხრობით ვეცნობით“ (http://www.labirint.ru/books/273947/).

ესეც თითქოს „წმ. ნინოს ცხოვრებაზე“ იყოს ნათქვამი!

ვფიქრობთ, ის ამბავი, რომ თანამედროვე ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთი პოპულარული კომპოზიციური ხერხის ზუსტი ანალოგის მოძებნა ქართული ლიტერატურის უძველეს ძეგლში ხერხდება, საყურადღებო მოვლენაა, ამაღლებს ხანგრძლივი ისტორიის უმდიდრესი ქართული ლიტერატურის პრესტიჟს და საჭიროს ხდის კომპოზიციური პოლიფონიზმის ხერხის ისტორიის კორექტირებას, ანუ ამ ლიტერატურული ძეგლის გაუთვალისწინებლად კომპოზიციური პოლიფონიზმის ხერხის ისტორია და, შესაძლოა, თეორიაც, სრულყოფილად ვერ ჩაითვლება.

•

მსოფლიო ლიტერატურის შედევრის იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ შესახებ ბევრი დაწერილა, მაგრამ მის მნიშვნელობასა და ღირსებებზე საუბარი ვერასოდეს დამთავრდება. ამის დასტურად ერთ-ერთ ბოლოდროინდელ დაკვირვებას შეგახსენებთ.

ლალი დათაშვილმა საინტერესოდ დააწყვილა „შუშანიკის წამების“ ორი ეპიზოდი, რითიც იაკობ ხუცესის ლიტერატურული ოსტატობის მეტად საგულისხმო მხარე წარმოაჩინა. პირველი ეპიზოდია ის, სადაც დედოფალი უარს ამბობს ჯოჯიკისა და მისი ცოლის მიერ შეთავაზებულ საჭმელ-სასმელზე. სავსებით გასაზიარებელია ლალი დათაშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჯოჯიკის ცოლის მიერ ღვინის დაძალება („მიართუა ღვინოი ჭიქითა და აიძულებდა მას, რაითამცა

იგი ხოლო შესუა“) შუშანიკის წარმოდგენაში ზიარების რიტუალთან ასოცირდება. ქრისტეს მოსისხლე მტერთა ხელიდან შუშანიკი ღვინოს ვერ მიიღებს, ღვინოს ვერ ეზიარება, ეს მისთვის სულის წარწყმედის ტოლფასი იქნება. ამიტომ, როცა შუშანიკმა ღვინიანი ჭიქა ჯოჯიკის ცოლს შეალეწა, იგი, იურიდიული გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, აუცილებელი თავდაცვის ფარგლებში მოქმედებდა – სხვანაირად მან ეს ღვინისჭიქიანი დედაკაცი ვერ მოიშორა. არადა, ჯოჯიკის მეუღლე ამას კეთილი განზრახვით იქმს, ვინაიდან შუშანიკი შიმშილობს და ამ დროს უკვე ძალიან დასუსტებულია, ხოლო, თუ ღვინოს გასინჯავს, მერე იქნებ მადა გაეხსნას და შეჭამოს კიდეც რამე.

სავსებით დამაჯერებლად ჟღერს ლალი დათაშვილის განმარტება: „თუ შუშანიკი ეშმაკეულ სახლში ეშმას მსახურთა ხელით მიიღებდა ზიარებას, იგიც სატანისეულ საქმეთა თანაზიარი გახდებოდა, რაც, ალბათ, გაითვალისწინა დედოფალმა და წარწყმედისაგან დაიცვა თავი“ (ლ. დათაშვილი, „საღვთისმეტყველო საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიაში“, 1996, გვ. 16).

მაგრამ მკვლევარი ამით არ კმაყოფილდება, იგი უფრო შორს მიდის და პურ-ღვინის მიღებაზე ცივი უარის თქმის ამ ეპიზოდს მეორე ეპიზოდთან აწყვილებს, რომელიც მალევე მოსდევს ამ ამბის ამსახველ პასაჟს: უმოწყალოდ ნაგვემ დედოფალს ახლა მისი მოძღვარი იაკობი აძალებს ჭამადის მიღებას. ლალი დათაშვილი ყურადღებას ამახვილებს ამ ეპიზოდთა კონტრასტულობაზე. ის წერს: „იგი [დედოფალი] თანხმდება, თუმცა ჩამტვრეული კბილების გამო ვერ ძალუძდა „გემოის ხილვად“. „ფრიადი იძულება“, – განაგრძობს წიგნის ავტორი, – „მცირედ იძულებით იცვლება, დედოფალი ეზიარება, რადგან მოძღვრის ხელიდან მიღებული პურ-ღვინო, სწორედ, ზიარების საიდუმლოს აღსრულებას ნიშნავს“ (იქვე).

მოდით, გავიხსენოთ ეს ადგილი: სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს შუშანიკისთვის საჭმელი მოუტანიათ, „ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი“, – წერს იაკობი, – რაზედაც დედოფალს უთქვამს: „ხუცეს, ვერ ძალ-მიც გემოისხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსრვილ არიან“. ამის შემდეგ იაკობი გვაუწყებს: „მაშინ მოვიღე მცირედ ღვინოი და პური დავალბე და მცირედ გემოი იხილა“.

პირველ ეპიზოდში დედოფალს ფიზიკურად არ უჭირდა პურ-ღვინის მიღება, მაგრამ უარი თქვა ამაზე სულიერი მოტივით. მეორე ეპიზოდში მას ძალიან უჭირს პურ-ღვინის მიღება, მაგრამ ახლა თანხმდება ამას ისევ სულიერი მოტივით!

ჯვარედინი სიმეტრიის, ანუ ხიაზმის, პრინციპით აგებული ამ პასაჟების დაწყვილებით ლალი დათაშვილი „შუშანიკის წამების“ ავტორის მწერლურ ოსტატობასაც წარმოაჩენს.

ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებასაც: არც ერთ ამ ეპიზოდში სიტყვა „ზიარება“ ნახსენები არ არის. არადა, რა ადვილი დასაკავშირებლი იყო ორივე ეს პასაჟი ზიარების რიტუალთან! სიტყვა „ზიარება“ ამ ეპიზოდებში „ჰაერში კიდია“, ხოლო ტექსტში ერთხელაც არ იჩენს თავს. ესეც მწერლის ოსტატობაზე მეტყველებს. სათქმელის ბოლომდე დაღეჭვა სუსტი მწერლების თვისებაა. ამერიკელი მწერალი ჯონ აპდაიკი წერს ერთგან: „ბოლომდე ართქმული, როგორც დაუხარჯავი ენერგია, უკვე გამოთქმულს გადაეცემა – მხატვრული ხერხი, რომელსაც უხსოვარი დროიდან იყენებენ“. ჩვენ დავამატებდით: დიდი მწერლები იყენებენ.

•

მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა შორის მოსახსენებელი გახლავთ იოვანე საბანისძის „აბოს წამებაც“, მრავალი, მათ შორის ლიტერატურული, ღირსებით შემკული ტექსტი. ჩვენ ამჯერად მის

მხოლოდ ერთ ეპიზოდს შევეხებით.

ქრისტეს სჯულზე მტკიცედ მდგარი აბო „ჭკუაზე მოსაყვანად“ უკანასკნელად უნდა მიჰგვარონ საპყრობილედან არაბ ამირას. ხელ-ფეხზე ბორკილდადებული ტყვე შუა ქალაქში გაატარეს ყველას დასანახავად. ნაცნობები ცრემლად იღვრებიან მისი შემხედვარე, ხოლო თვითონ აბო „მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ხედვიდა თვისსა მას გუამსა; და სულითა თვისითა მოგზაურ ქმნული თვით იტყოდა ფსალმუნსა ამას ას და მეთვრამეტესა...“.

ამ პასაჟის გამო გრივერ ფარულავა წერს: „ჩვენ წინაშეა დახვეწილი პოეტური სახე სასიკვდილო ეშაფოტზე მიმავალი კაცის სულის მოძრაობისა (...). მოწამის სულში მთელი არსების შემძვრელი ზმანება დაბორიალობს: იგი ისე მიდიოდა, როგორც ვინმე მიაცილებს სამგლოვიარო პროცესიას, ასევე „ჰხედვიდა თვისსა მას გუამსა“. და ასე, საკუთარი გვამის სულიერ თანამგზავრად „ქმნული თვით იტყოდა ფსალმუნსა“. ეს არის პოეტური ნათელმხილველობის იშვიათი ნიმუში არა მხოლოდ ქართული მწერლობის მასშტაბით“.

მართლაც, უიშვიათესი ფსიქიკური სინამდვილეა გამოსახული სიტყვების მეშვეობით!

გრივერ ფარულავას ამ დაკვირვებას გამოეხმაურა აკაკი გაწერელია:

„აბო წინასწარ ხედავს საკუთარ ცხედარს და მისი, ცოცხალის, სული ლოცულობს თავისსავე გვამზე, რომელსაც ესესაა ფერფლად აქცევენ.

ახალგაზრდა მკვლევარის ეს მიგნება მთელ გამოკვლევად ღირს. ამას ვაცხადებთ სრული პასუხისმგებლობით. ჩვენ არ ვიცით არც ერთი (ვიმეორებთ – არც ერთი!) პასაჟი თვით სტერნთან, თომას მანთან ან ჯოისთან, რომელიც მოტანილი ეპიზოდის მსგავსი ფსიქოლოგიური სიღრმით გადმოსცემდეს პერსონაჟის ცნობიერების ირრაციონალურ ვითარებას. ეს – მხატვრული აბსტრაქციის უკიდურესი ზღვარია, ესთეტიკურად გამაოგნებელი“ („ლიტერატურული საქართველო“, 10.10.1969).

ახლა მე-20 საუკუნეში დაწერილ ერთ წიგნში ჩავიხედოთ.

ნაცისტების მიერ დევნილი, ემიგრაციაში მყოფი შტეფან ცვაიგი თავის უკიდურეს სულიერ შეჭირვებაზე მოგვითხრობს მემუარების წიგნში „გუშინდელი მსოფლიო“. თავისი დროის ერთ-ერთი უპოპულარესი, სვებედნიერი მწერალი ერთბაშად კარგავს ყველაფერს, რაც მისთვის ასე ძვირფასი იყო – სახლ-კარს, სამშობლოს, მეგობრებს... განადგურებულია მისი წიგნების მილიონობით ეგზემპლარი; შტეფან ცვაიგის ნაწარმოებების გამოცემა აკრძალულია არამარტო მის მშობლიურ ავსტრიასა და გერმანიაში, არამედ საფრანგეთშიც, იტალიაშიც, ბევრ სხვა ქვეყანაშიც, სადაც მას ცოტა ხნის წინათ უამრავი მკითხველი და თაყვანისმცემელი ჰყავდა. თუ პრესაში რამე იწერება მასზე, მხოლოდ და მხოლოდ ლანძღვა-გინება... და, როცა იგი ყოველივე ამას გვიამბობს, ასე გვიხატავს თავის სულიერ მდგომარეობას:

„დღეს მე, ვითარცა მწერალი, იმ ადამიანს ვგავარ, რომელიც, როგორც ჩვენი გრილპარცერი ამბობდა, „ცოცხლად მიაცილებს თავის საკუთარ ცხედარს“ („...lebend hinter seiner eigenen Leichte geht“).

სახე თუ ხილვა, ასე რომ დამახსოვრებია შტეფან ცვაიგს და შემდეგ თავისი უმძიმესი სულიერი შეჭირვების დასახასიათებლად გამოუყენებია თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე დაწერილ მემუარებში, ზუსტად ის არაჩვეულებრივი ირაციონალური სახეა, რომელიც იოვანე საბანისძეს თავისი პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად გამოუყენებია ფრანც გრილპარცერზე (1791-1872) თერთმეტი საუკუნით ადრე!

ივანე ამირხანაშვილმა გამოჩენილი ამერიკელი მწერლის, სამეცნიერო ფანტასტიკისა და ფენტეზის ჟანრის საქვეყ-

ნოდ ცნობილი თხზულებების ავტორის რეი ბრედბერის (1920-2012) მოთხრობა „კალეიდოსკოპში“ მიაგნო ზუსტად იმავე ფანტასტიკურ სახეს, რომელიც მე-8 საუკუნის ქართველ მწერალთან გვხვდება:

„ორბიტაზე რაკეტა ფეთქდება და კოსმონავტები ღია სივრცეში გაიფანტებიან. ავტორი აღწერს ერთ-ერთი განწირულის – ჰოლისის განცდებს და წერს: „ის თითქოს განუდგა საკუთარ სხეულს და გვერდიდან შეჰყურებდა, როგორც უცხო საგანს“. ზღვრულ სიტუაციაში მყოფი ადამიანის თვითობიექტივაციის ზუსტად იგივე ფიგურა თორმეტი საუკუნით ადრე აქვს გამოყენებული იოვანე საბანისძეს, რომელიც საწამებლად მიმავალ ჰაბოს შესახებ წერს: „მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თვისსა მას გუამსა“. („სიტუაციის კომპოზიცია აგიოგრაფიაში (მასალები)“, „სჯანი“ 12, 2011, გვ. 9).

რაოდენ თანამედროვედ ჟღერს იოვანე საბანისძის მიერ პერსონაჟის განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად გამოყენებული ეს მხატვრული სახე, კიდევ უფრო ნათლად შევიგრძნობთ, როდესაც ტერენტი გრანელის ამ ლექსს წავიკითხავთ:

*„წუხელ სიზმარში მიმიძლოდა ჩემი ცხედარი,*
*და მივდიოდი, მივკიოდი საშიშ ქარიშხალს.*
*ზარი რეკავდა: სამარადოდ იყავ ნეტარი!*
*წუხელ ანაზდად უკუნეთმა თავი აიშვა.*
. . . . . . . . . .
წუხელ სიზმარში მიმიძლოდა ჩემი ცხედარი“.

•

ქართველ მემატიანეთაგან დიდი მწერლური ტალანტით არიან დაჯილდოებულნი ჯუანშერი (ვახტანგ გორგასლის ისტორიის ავტორი), დავით აღმაშენებლის ანონიმი ისტორიკოსი, ჟამთააღმწერელი („ასწლოვანი მატიანის“ ავტორი)...

ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ისტორიის“ საერთაშორისო მნიშვნელობა სრულიად აშკარაა. იგი საუცხოო წყაროა სპარსეთ-ბიზანტიის დაძაბული ურთიერთობის და ამათ ურთიერთობაში საქართველოს ჩართულობის შესასწავლად. კერძოდ, თხზულებაში მკაფიოდ არის წარმოჩენილი საქართველოს როლი მე-5 საუკუნის ამ უმთავრესი მსოფლიო-ისტორიული მოვლენის, სპარსეთ-ბიზანტიის კონფლიქტის, მიმდინარეობის პროცესში. რაც მთავარია: ამ სამი სახელმწიფოს (სპარსეთის, საბერძნეთის, საქართველოს) ურთიერთობა წარმოდგენილია არა ზოგადი შტრიხებით, არამედ კონკრეტულ, მრავლისმეტყველ დეტალებზე ყურადღების გამახვილებით, რაც ჯუანშერის მწერლურ ნიჭიერებას მოწმობს. ამით ჯუანშერის თხზულება პლუტარქეს ნაშრომებს ემსგავსება (მოგეხსენებათ, პლუტარქეს წიგნები იმით არის ძვირფასი, რომ ისტორიული მოვლენების გადმოცემასთან ერთად ამ მოვლენათა პროტაგონისტების მახვილგონივრულ რეპლიკებსა და მათთან დაკავშირებულ ანეკდოტურ ამბებსაც უხვად შეიცავს).

ვახტანგის პიროვნება ჯუანშერის მიერ დიდი მწერლური ოსტატობით არის დახატული. თხზულების მიხედვით, ვახტანგ გორგასალი გონებამახვილი ადამიანი და ჩინებული დიპლომატია. აღსანიშნავია ერთი პიროვნული შტრიხი, რომელიც ჯუანშერის მიერ დახატულ ვახტანგ გორგასლის სულიერ პორტრეტს შთამბეჭდაობას სძენს: სათანადო ეფექტისა და შედეგის მიღწევის მიზნით ბრძნულ შეგონება-გამონათქვამთა მარჯვედ ციტირება კარგად გამოსდის ვახტანგ გორგასალს – მან იცის სიტყვის ძალა – სიტყვა მისი სანდო იარაღია ადამიანებთან ურთიერთობისას თუ შექმნილი ვითარების დახასიათების დროს. მეფე, ამ თხზულების მიხედვით, ძლიერი სინთეზური აზროვნებით გამოირჩევა, კარგად იცის

ხატოვანი ანალოგიების ძალა და ფასი.

ჯუანშერის თხზულებაში დრამატიზმის მთავარი წყაროა ვახტანგ გორგასლის დამოკიდებულება სპარსეთისა და ბიზანტიისადმი. სპარსეთთან იგი ნათესაურად, სისხლით არის დაკავშირებული, ბიზანტიასთან – სარწმუნოებით, რაც განაპირობებს მისი მდგომარეობის სირთულეს და მისი ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულსაც. ორივე ეს ერთმანეთის მოსისხლე მტერი – სპარსეთი და ბიზანტია – თავგამოდებით ცდილობს ვახტანგის გადაბირებას.

ერთხელაც ვახტანგს შაჰის სურვილს შეატყობინებენ: სათავეში ჩაუდექი სპარსთა და ქართველთა გაერთიანებულ ლაშქარს და ბერძნები დავარბიოთო. ქართველთა მეფეს ბერძნები თავის იმედად ეგულებოდა, მას კი სთავაზობენ საკუთარი ხელით მოუღოს ბოლო თავის მოკავშირეს, რათა შემდეგ პირისპირ შერჩეს სპარსეთს.

ამის გამგონე ვახტანგი თავის მდგომარეობას ასეთი ხატოვანი ფორმულით, ანდაზით (ან ანდაზისებური გამონათქვამით) ახასიათებს: „ამისთვის თქვიან, მჭედელო, გამახუე მახვილი შენი, რათა მსწრაფლ განეწონოს ასოთა შენთა"(„ქართლის ცხოვრება", 1955, გვ. 200). თანამედროვე ქართულით ეს ასე იქნება: „მჭედელო, გალესე შენი მახვილი, რათა [მან] სწრაფად (იოლად) გაკვეთოს შენივე სხეულის ნაწილები".

აი, ასე სხარტად დაახასიათა ვახტანგმა შექმნილი ვითარება ხატოვანი ფორმულის გამოყენებით, ვიდრე შაჰს შემოთავაზებაზე ცივ უარს შეუთვლიდა („მაშინ ვახტანგ დღეთა მიწევნულ იყო ვითარ სამოცისა წლისა და თქუა ესრეთ: „უთხართ მეფესა ხუასროს: პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა, და ეგრე შევედ საბერძნეთად, რამეთუ ძალნი რომელნი იქმნნეს ყოველნი ძალითა ჯუარისათა იქმნნეს. აწ ცხოვრება ჩუენი იყავნ სასოებითა ჯუარცმულისათა"). ვახტანგის ამ უარს საქართველოზე სპარსელების თავდასხმა მოჰყვა. ეს დიდი მეფის ბოლო ომი აღმოჩნდა – მას იგი ემსხვერპლა.

სხვა დროს ვახტანგი სპარსელებმა ბერძენთა წინააღმდეგ საომრად დაიყოლიეს, თუმცა მან მოკავშირის ზურგსუკან სეპარატული მოლაპარაკება გამართა ერთმორწმუნე ბერძენთა კეისართან და დაუმეგობრდა კიდეც მას. ოღონდ კეისარმა მეტისმეტი მოინდომა ვახტანგისაგან – მოსთხოვა, გავაერთიანოთ ჩვენი მხედრობა და სპარსელები, რომლებიც შენთან იმყოფებიან, გავწყვიტოთო. ეს დიდი ვერაგობა იქნებოდა რაინდი მეფის მხრივ, მაგრამ ცივი უარიც არ შეიძლებოდა. ვახტანგმა კეისარს ასეთი პასუხი შეუთვალა:

„რომელი არა შუენის შენსა ღმრთისმოყუარებასა, რომელი შენ არა ჰყო, სხუასა ნუ აწუევ, რამეთუ ღადრობა არა ხელ არს კაცთა პატიოსანთა. დაღათუ აწ შენ მიგცნე სპარსნი, არა უკუე განცრუვდესა სახელი ჩემი?" (იქვე, გვ. 171).

ჩინებული პასუხია: ღვთისმოყვარე კაცი ხარ და აბა შენი თავი ჩააყენე ჩემს მდგომარეობაში, შენ თუ ჩაიდენდი იმას, რასაც მე მთავაზობ? მე რომ ასეთი რამ მოვიმოქმედო, რაღა პატივი უნდა მცეს თქვენისთანა ღვთისნიერმა ადამიანმაო!

ვახტანგ გორგასლის ეს დიპლომატიური პასუხი, ოპტიმალური გამოსავალი მძიმე ვითარებიდან, ამშვენებს მსოფლიოს ისტორიას! ხოლო ვახტანგის ეს სამშვიდობო ინიციატივა, მეტიც – მის მიერ იძულება კეისრისა, მშვიდობიანი გამოსავალი ეძებნა შექმნილი ვითარებიდან, მსოფლიო ისტორიის სამაგალითო ეპიზოდია, წარმატებით დაგვირგვინებული სამშვიდობო საშუამავლო მისიის ჩინებული ნიმუში, კონფლიქტების მოგვარების ტრენინგებზე განსახილავი მაგალითი.

„რომელი შენ არა ჰყო, სხუასა ნუ აწუევ", – ვახტანგის მიერ ერთობ დროულად დამოწმებული ეს ძველისძველი შეგონება, ოდნავ განსხვავებული შინაარსით,

სახარებაშიც გვხვდება („ყოველი, რომელი გინდეს თქუენ, რაითა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ყავთ მათ მიმართ“ [მ., 7, 12], „როგორც თქვენ გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ“ [ლ., 6, 31]), ხოლო შემდეგ საფუძვლად დაედო კანტის ეთიკას, როგორც კატეგორიული იმპერატივი.

განსაცვიფრებელი სიტყვები მოძებნა მეფემ ერთ მეტისმეტად უხერხულ ვითარებაში კეისრის სანუგეშებლად, როდესაც გაუგებრობის შედეგად მის მხედრობასა და ბერძნებს შორის შეტაკება მოხდა (სადაც გამარჯვება ვახტანგის ხალხს დარჩა): „ამისთვის ყო ესე ღმერთმან, რათა ახალნერგნი ესე მოიყვანნეს სარწმუნოებად შიშსა მისსა, ვითარცა იგი უძლებისა შვილისათვის ყო საქმე განსაცხრომელი. ხოლო თქუენ პირმშონი შვილნი ხართ ღმრთისანი, და მარადის მისნი ხართ“ (იქვე, გვ. 176).

სახარების ცნობილი იგავის გამოყენებით ვახტანგი ნუგეშისცემის შედევრს ქმნის! კერძოდ: მართალია, თქვენთან კონფლიქტში ღმერთმა გამარჯვება ჩვენ გვარგუნა, მაგრამ ეს იმისთვის ინება, რომ ღვთის რწმენა განემტკიცებინა ჩვენში, – ანუ პატივი ჩვენ, ქრისტიანებად ყოფნის თქვენზე ნაკლები სტაჟის მქონე, თქვენზე ნაკლებმორწმუნე უძღებ შვილებს გვცა, თქვენ კი, რა გიჭირთ, მისი პირმშონი ხართ, ისედაც სულ მასთან იმყოფებით!

ეს სახიფათო ნუგეშისცემაა. ადვილი შესაძლებელია, იგი ადრესატს ცინიზმად მიეღო და, თუ ასე არ მოხდა, ალბათ, იმიტომ, რომ კეისარს ძალიან ესაჭიროებოდა ქართველების მხარში დგომა.



# კლერ გოლი

## ფრაგმენტები მოგონებების წიგნიდან „არავის ვპატიობ"

*"La Poursuite du vent" – „ქარის დევნა" – ამ სათაურით 1976 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოიცა ცნობილი გერმანელი პოეტისა და მთარგმნელის კლერ გოლის (შტუდერის) ავტობიოგრაფია, რომლის სათაურშიც ვკითხულობთ ეკლესიასტეს სიტყვებს: „...ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა... და ქარის დევნა" (ეკლესიასტე, თ. 1,2 და თ. IV, 16), ქვესათაურად კი „ლიტერატურული სკანდალური ქრონიკა". 1978 წელს ეს ავტობიოგრაფია გამოიცა გერმანიაში – როგორც გფრ-ში (შურცის გამომცემლობა), ასევე გდრ-შიც(რიუტენისა და ლოენინგის გამომცემლობა, ბერლინი). გერმანულ ენაზე წიგნის მთარგმნელია ავა ბელკამპო. საგულისხმოა, რომ გერმანულ გამოცემებში შეცვლილია წიგნის სათაური – "Ich verzeihe keinem" – „არავის ვპატიობ" – რაც, როგორც ვხედავთ, სცილდება ფრანგული დედნის სათაურს, მაგრამ უფრო ზუსტად გადმოგვცემს წიგნში ავტორის მიერ დაცულ ტონალობასა და მის უაღრესად კრიტიკულ, შეუწყნარებელ პოზიციასაც ცხოვრებისეული კატაკლიზმებისა თუ ცალკეული პიროვნების მიმართ.*

*კლერ გოლი (1891-1977) იყო მეტად თავისებური, თამამი და (ხშირად) თავნება ლიტერატორი, რომელმაც შეძლო, საკუთარი გზა გაეკვალა გერმანულენოვან მწერლობაში. თავისი მეუღლის ივან გოლის (1891-1950) მსგავსად, იგი თანაბრად კარგად წერდა გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ცხოვრების უმეტესი ნაწილი კლერ და ივან გოლებმა პარიზში გაატარეს; ასე რომ, ფრანგული მათთვის მეორე დედა ენად იქცა. კლერ გოლს ეკუთვნის რომანები („გერმანელი პარიზში", „ადამიანი იხრჩობა," „არსენიკი, ანუ ყოველი მსხვერპლი თავის მკვლელს კლავს," „მოპარული ცა" და სხვა), ნოველები („ქალები ილვიძებენ," „შუშის ბაღი," „ცხენის დღიური," „ჩინური სამრეცხაო"...), ლექსების კრებულები („ლირიკული ფილმები," „ქვად ქცეული ცრემლები," „ივანის დატირება," „წმინდა ფრანცისკის ახალი ყვავილები"...).*

*კლერ და ივან გოლები დადაიზმის, სიურრეალიზმისა და ექსპრესიონიზმის სა-*

თავეებთან იდგნენ. მათ მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ჯეიმზ ჯოისთან, შტეფან ცვაიგთან, ჰანს არპთან, ტრისტან ტცარასთან, მარკ შაგალთან, ფრანც ვერფელთან, ალმა მალერ-ვერფელთან, პოლ ელიუართან, ანდრე ბრეტონთან, რაინერ მარია რილკესთან, სალვატორე დალისთან, ჰერმან ბროხთან, რომენ როლანთან, ჟან კოკტოსთან, პაბლო პიკასოსთან, ელზე ლასკერ-შიულერთან, ერიკ სატისთან და მრავალ სხვა გამოჩენილ პიროვნებასთან.

კლერ გოლის ავტობიოგრაფიის კვალდაკვალ ცოცხლდება XX საუკუნის 10-იანი-60-იანი წლების ლიტერატურული მიუნხენი, ციურიხი, ბერნი, ბერლინი, ლაიფციგი, ჟენევა, პარიზი, ნიუ-იორკი...

ყოველი ფაქტი თუ შეხვედრა ამა თუ იმ პიროვნებასთან კლერ გოლს ორი კუთხით აქვს გადმოცემული – თავისი და ივან გოლის პოზიციიდან. სწორედ ივან გოლია, ანდრე ბრეტონთან ერთად სიურრეალიზმის პირველი მანიფესტის ავტორი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლექსი, აგრეთვე, სატირული რომანები, ესეები, მეტად საინტერესო დრამები („მეთუსალემი,“ „მელუზინა,“ „უკვდავი,“ „ჩაპლინადა“ და სხვა). ივან გოლი ტრაგიკული ბედის ფიგურა იყო. 1920 წელს გამოქვეყნებულ ლექსების კრებულში ''Menschheitsdämmerung'' („კაცობრიობის დაღუპვა“) იგი თავის თავზე წერს: „ივან გოლს არა აქვს სამშობლო; ბედით ებრაელი, შემთხვევის ძალით საფრანგეთში დაბადებული, ბეჭდიანი ქაღალდით კი გერმანელად აღრიცხული.“ 1949 წელს კი, თავისი სიცოცხლის დამლევს, უკვე მძიმედ დაავადებულ ივან გოლს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ჟან სან-ტერი კვდება ფრანგული გულით, გერმანული სულით, ებრაული სისხლითა და ამერიკული პასპორტით.“ Jean Sans Terre – ივან გოლის უკანასკნელი ლექსების კრებულის მთავარი გმირიც არის და მისი სათაურიც, რაც თარგმანში ნიშნავს – „უმიწაწყლო ჟანი“, ანუ – უსამშობლო ჟანი“ (ჟანი – იგივე ივანი).

როგორც უკვე აღვნიშნე, კლერ გოლის ავტობიოგრაფია პირველად 1976 წელს გამოიცა პარიზში ფრანგულ ენაზე. კლერ გოლი, იმხანად უკვე მოხუცი და ავადმყოფი, თავად აპირებდა ამ წიგნის თარგმნას გერმანულ ენაზე, მაგრამ აღარ დასცალდა – 1977 წლის 30 მაისს იგი პარიზში გარდაიცვალა. ხოლო გერმანული თარგმანის ავტორის ავა ბელკამპოს სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან თავის თარგმანში აბსოლუტური სიზუსტით შეინარჩუნა კლერ გოლის ინდივიდუალური სტილი.

ფრაგმენტებს კლერ გოლის ავტობიოგრაფიიდან „არავის ვპატიობ“, რომლებიც მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს, შეიძლება ეპიზოდებიც ეწოდოს, ეპიზოდები მისი მოგონებებისა, ცხოვრებისა... ორი დიდი ეპიზოდი, რომელსაც ახლა გთავაზობთ, პორტრეტულ ჟანრს განეკუთვნება. ეს გახლავთ პორტრეტები მარკ შაგალისა და ჯეიმზ ჯოისისა. თუ რა როლი და ადგილი მიუძღვის ამ ორ ფიგურას (მეტადრე კი ჯოისს) კლერ და ივან გოლების ცხოვრებაში, ამას თავად ტექსტიდან შეიტყობთ. მე კი მანამდე მინდა მოგითხროთ პატარა ეპიზოდი იმაზე, თუ როგორ გაიცნეს კლერ შტუდერმა და ივან გოლმა ერთმანეთი. მათ გაცნობას ხელი შეუწყო რომენ როლანმა.

1917 წლის იანვარში კლერ შტუდერმა, როგორც პაციფისტმა, პროტესტის ნიშნად გერმანია დატოვა. გული საფრანგეთისკენ მიუწევდა, მაგრამ, რადგანაც შვეიცარიის ვიზის მიღება გაცილებით უფრო იოლი საქმე იყო, ამიტომ მანაც ეს გზა აირჩია: კლერ შტუდერი გატაცებული იყო პიერ-ჟან ჟუვის პოეზიით, ზოგი რამ თარგმნილიც ჰქონდა.

*იმხანად კი სიერის ერთ-ერთ სასახლეში თავშესაფარი ჰქონდათ პიერ-ჟან ჟუვსა და რომენ როლანს. კლერ შტუდერიც სწორედ მათ საზოგადოებაში მოხვდა.*

*როდესაც რომენ როლანმა შეიტყო, რომ კლერი ჟენევის უნივერსიტეტში აპირებდა სწავლას, მან უთხრა: „მე გაგატანთ სარეკომენდაციო წერილს ერთ პაციფისტთან. იგი არის ჟურნალის "Demain" („ხვალ") გამომცემელი (იგულისხმება ანრი ჟილბო). სხვათა შორის, ამ ჟურნალის ბოლო ნომერში დაბეჭდილია ვინმე ივან გოლის მშვენიერი ლექსი, რომელიც მე მეძღვნება."*

*ასე მოხვდა კლერ შტუდერი ჟენევაში, სადაც ანრი ჟილბომ იგი გულთბილად მიიღო და თავისი მეგობრები, მათ შორის ლუნაჩარსკი, გააცნო.*

*„ჟილბოს ერთადერთი მეგობარი, რომლის გაცნობაც იმხანად ვერ შევძელი, იყო რუსი ემიგრანტი გვარად ლენინი. იგი მაშინ უკვე ციურიხში გადასულიყო საცხოვრებლად", – ერთგვარი „სინანულით" აღნიშნავს კლერ შტუდერი.*

*მან ივან გოლის მისამართიც ანრი ჟილბოსგან შეიტყო. გოლი ლოზანაში ცხოვრობდა, და, მიუხედავად დოქტორის სამეცნიერო ხარისხისა, ლოზანას ქუჩებში გაზეთებს ყიდდა.*

*კლერ შტუდერმა მას ჯერ წერილი მისწერა, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ გადაავიწყდა ამ პიროვნების არსებობა, ერთ მშვენიერ დღეს კი კლერ შტუდერის ჟენევის ბინის კარზე ზარი დაირეკა. კარი რომ გააღო, მის წინ ახალგაზრდა ენერგიული მამაკაცი იდგა.*

*„თქვენ ხართ ჩემი ბედისწერა!" – აღმოხდა მამაკაცს.*

*„ჩემი ბედისწერა კი თქვენ ნამდვილად არ ხართ!!" – იყო კლერ შტუდერის პასუხი.*

*ამ კითხვა-პასუხის პასუხად იქცა ივან გოლისა და კლერ შტუდერის დიდი რომანი.*

*ლექსი, რომელსაც ახლა წაიკითხავთ, ივან გოლმა ამ რომანის საწყის ეტაპზე უძღვნა კლერ შტუდერს:*

***მე კი არ ვცოცხლობ,***
***არამედ მიყვარს***

*ყველა ფორიდან გამოჟონავს ჩემგნით*
*სიყვარული.*
*ჩემი კუნთები ნაკვებია შენი*
*სიყვარულით.*
*მხოლოდ სისხლის წითელი*
*უჯრედებიღა მაქვს*
*სიყვარულისგან.*
*თმაც დამეხვია სიყვარულისგან.*
*ყველა ენაზე ვმღერი, რომ შენ*
*მიყვარხარ.*
*და გამუდმებით ვცეკვავ*
*სიყვარულისგან.*
*იქნებ, ავად ვარ სიყვარულისგან?*
*ან, იქნებ და, ჯანმრთელი ვარ*
*სიყვარულისგან?*
*მე კი არ ვცოცხლობ, არამედ მიყვარს.*
*და ვერც მოვკვდები, რადგან*
*მიყვარხარ.*

***1917 წ., ჟენევა***
***მთარგმნელისაგან***

# ჯეიმზ ჯოისის პორტრეტი



*1918 წელი. ციურიხი*

გოლი აუარება ხალხს იცნობდა და მათთან გამოსაუბრების თითქმის მაგიური ნიჭი ჰქონდა. გოლის ვიტალურობამ და ადამიანებთან ურთიერთობით ტკბობის უნარმა ნელ-ნელა მეც მაიძულა, ალმომეფხვრა სწრაფვა მარტოობისაკენ. ერთ-ერთი პირველი ღირსშესანიშნავი პიროვნება, რომელიც მან გამაცნო, იყო ჯეიმზ ჯოისი. ჩვენ მას 1918 წელს ციურიხში შევხვდით.

ჯოისი თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა მეშჩანურ, უგემოვნებო ავეჯიან ბინაში. მისი შვილები, ათი-თორმეტი წლისანი, იატაკზე დახოხავდნენ და ამგვარად გადადიოდნენ ოთახიდან ოთახში. ნორას, მის მეუღლეს, სამზარეულოს მიღმა, საერთოდ, არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ბინა მილაგებული იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დროებით თავშესაფარს ჰგავდა, რომელშიც ჯოისი მეტისმეტად ტლანქად მოძრაობდა. მან დატოვა ტრიესტი, რომელიც იმხანად ჯერ კიდევ ავსტრია-უნგრეთს ეკუთვნოდა, რათა არ მოხვედრილიყო ინტერნირებულთა სიაში, ვითარცა მტრულად განწყობილი უცხოელი. მაგრამ წასვლამდე ტრიესტის სამხედრო უწყებამ წერილობით ჩამოართვა ფიცის ტოლფასი დაპირება, რომ ის არასოდეს მიიღებდა მონაწილეობას მტრულ აქციებში. იმ ბურლესკული ტონის მიხედვით, როგორითაც ჯოისმა ეს ეპიზოდი გვიამბო, ადვილად წარმოვიდგინე, რომ იგი სიამოვნებით დაივიწყებდა ყოველივეს, რასაც კი მოსთხოვდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ არ შეეწუხებინათ ისეთი მეორეხარისხოვანი მოვლენებით, როგორიც არის პირველი მსოფლიო ომი მსხვერპლითურთ. „სულაც არ მსურს, რომ დამხვრიტონ სულელური იარაღით“, – თქვა მან. „ქვეყნად რომ მხოლოდ ჩემნაირი ხალხი არსებობდეს, ომი საერთოდ არ იქნებოდა. მე ინდივიდუალისტი-პაციფისტი ვარ.“

მეუღლეც დაეთანხმა და ქმარს დააცადა, რომ მისთვის ადგილი დაეთმო სუფრის გასაწყობად. „მე ჩემი საკუთარი ომები მაქვს წასამართავი“, – საიდუმლოდ გაგვანდო ჯოისმა.

ჯოისი ისევე იყო წინააღმდეგი ომისა, როგორც გადასახლებისა, მღვდლებისა, მოსამართლეებისა, მეფეებისა, პაპისა, კაიზერისა, პროლეტარიატისა და სხვა მსგავსისა, რაც კი მის სიმშვიდეს არღვევდა. „მოსეს წყევლა ორივე ბანაკზე ვრცელდება“, – დაწერა მან ერთ-ერთ ჰუმორისტულ ლექსში, რომელშიც ჯოისი მონაცვლეობით წარმოჩინდება, ვითარცა ყბედი, ბრძენი, გონებასუსტი და დინჯი გონი.

„რატომ უნდა ვიბრძოლო მე იმ ქვეყნისათვის, რომელშიც ჩემს წიგნებს წვავენ?“ – ალმოხდა მას.

„პირიქით! სანამ ისინი (ორივ ბანაკი) ერთმანეთს ემუქრებიან, მე ჩემს კონტრშეტევას მოვამზადებ. ამას 1912 წლის იმ წყეული დღიდან ვაკეთებ, რაც დუბლინში ერთმა ასანთის ღერმა ჩემს სტივენ დედალოსს ცეცხლი წაუკიდა“.

შემდეგ იგი ათასგვარი მინიშნებით იწყებდა საუბარს იმ ტექსტის შესახებ, რომელზეც იმხანად მუშაობდა, მაგრამ რომლის არც ფორმისა და არც შინაარსის გამხელა არ სურდა. ამასთან ჯოისი ჩურჩულებდა, გეგონებათ ჯაშუშებით იყოო გარემოცული, რომლებიც ყოველ სიახლეს ჩასაფრებოდნენ. ზოგჯერ მეზობელ ოთახში გავიდოდა, ჩახედავდა თავის ხელნაწერს და უკან მობრუნებისას გოლს ჰკითხავდა რომელიმე გერმანული სიტყვის წარმოშობას ანდა რომელიმე გამოთქმის ზუსტ მნიშვნელობას. ჯოისმა საოცრად ბევრი ენა იცოდა: იტალიური, გერმანული, ფრანგული, თურქული, არაბული, შვედურიცა და, ვგონებ, სანსკრიტიც... იგი აგროვებდა სიტყვებს, გამოთქმებს, გინებებს; ამ უკანასკნელთა დიდი მარაგი უნდა დაგროვებოდა მამამისისაგან, რომელსაც თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი სამიკიტნოებში გაეტარებინა. აღტაცებითა და დიდი აღმაფრენით ამჟღავნებდა თავის ცოდნას ლანძღვაგინებათა დარგში... იგი აანალიზებდა სალანძღავ ტერმინებს, განმარტავდა მათ ისტორიულად, გრამატიკულად, ფონეტიკურად. ჯოისს ყველაფერი აინტერესებდა: თეოლოგია, სამართალი, ბიოლოგია, ფილოსოფია, ენის ისტორია, ლეგენდები, გენეალოგია, გერბები, მუსიკა, გრეგორიანული საგალობლები და ოპერა. მაგრამ მე მეჩვენებოდა, რომ ეს ყოველივე მისთვის მხოლოდ თამაში იყო. როცა მას უსმენდი, შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ყოველი ადამიანური მცდელობა მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდა, კერძოდ კი – შესაძლებელი გაეხადა ჯეიმზ ჯოისისათვის, ჩაევლო რაიმე სიტყვათ თამაშისათვის თუ სასხვათაშორისოდ ნასროლი მინიშნებისათვის, რასაც საქმიანი თავის დაქნევით ადასტურებდა. მისი მეუღლის, ნორას კომპეტენციას ეს ყოველივე იმდენად აღემატებოდა, რომ იგი ტაშის დაკვრასაც ვერ ბედავდა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თავისი მეუღლის საზრიანი მიგნებების ვერც ერთი მარცვლისა ვერა გაეგო რა. სიცოცხლის ბოლომდე დარწმუნებული იყო იმაში, რომ გახლდათ ცოლი ენის სერიოზული მასწავლებლისა, რომელსაც მხოლოდ ხანდახან თუ გაუჩნდებოდა წერის სურვილი.

ჯოისი ციურიხში არცთუ ისე ცუდად ცხოვრობდა. ჯოისს მეფურად აფინანსებდა მაკკორმიკი, მდიდარი მემკვიდრე სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფაბრიკისა, რომელიც მისსავე სახელს ატარებდა. მაგრამ, ვიდრე ჯოისი ამ ყოველთვიურ შემოსავალს მიიღებდა, მან გაჭირვებაც გამოიარა. მისი ქალიშვილი ლუჩია დაიბადა ტრიესტის ღარიბთა ლაზარეთში. გაჭირვების წლებმა ჯოისის ისედაც სქელი კანი ჯავშნად აქცია.

გოლი იმდენად იყო აღფრთოვანებული ჯოისით, რომ მას თვით პოლიტიკურ გულგრილობასაც კი აპატიებდა ხოლმე. ჯოისთან პირველი შეხვედრებიდან ჩემდათავად მასზე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ბუზებზე მონადირე გენიოსი ყოფილიყო, რომელიც თავის ტყვეებს მოხსენებას უკითხავდა ყველა იმ უმსგავსო ქმედებაზე, რასაც იგი მათ მიმართ შემდგომ გამოიყენებდა.

*(1920 წლის ზაფხული, ვილ-დ, ავრე)*

ბაღში წამოწოლილი მზის აბაზანას ვიღებდი, როდესაც ჩემკენ მომავალი უცნაური ფიგურა შევნიშნე, რომელსაც პანამა ირიბად ეხურა. ეს ჯეიმზ ჯოისი იყო. უკან მობარბაცებდნენ მისი ვაჟი ჯორჯი და ქალიშვილი ლუჩია, რომელიც წარამარა აწვალებდა თავის ნაწნავებს. ამ პროცესიის ფინალურ ნაწილს ჯოისის მეუღლე ნორა ამშვენებდა.

„პარიზში ბინა მჭირდება", – თქვა ჯოისმა ყოველგვარი შესავლის გარეშე.

ეს გახლდათ ჩემი მარტვილობის დასაბამი. 1920 წლის ზაფხულში საფრანგეთში ჩამოსვლისთანავე ჯოისი თავისიანებთან ერთად დაუყონებლივ ვილ-დ'ავრესაკენ გაეშურა, სადაც გოლი და მე არდადეგებს ვატარებდით.

„ავეჯიანი ბინა", – ხაზი გაუსვა მან – „მას შემდეგ, რაც ირლანდია მივატოვე, დაძინებას მხოლოდ იმ საწოლებში მივეჩვიე, სადაც ჩემამდე სხვებსაც მოუდენიათ ოფლი".

მივხვდი, რომ მას ყოველივე განცდილისათვის რევანშის აღება სურდა. მანამდე თავს ყველაზე კარგად გრძნობდა ისეთ ნახევრად მიხრწნილ ქალაქებში, როგორიც იყო რომი და ტრიესტი. მას უყვარდა ის ნანგრევები, სადაც მოგონებებისაგან მოქურუხებული მოსახლეობა თავისი დღევანდელი მარცხისათვის მუდამ გამართლებას ეძებდა. ჯოისს შეეძლო, გაწელვით ეცხოვრა; შეეძლო, შეეკრიბა თავის გარშემო მასავით უმუშევარი მეგობრები და წაეკითხა მათთვის ძველი ტრაქტატები ბოტანიკასა თუ მიწათმზომელობაში მხოლოდ იმ მიზნით, რომ თვალი გაედევნებინა რომელიმე ერთი სიტყვის განვითარებისათვის.

„საქმე წინ მიიწევს", – საიდუმლოდ გამანდო ერთხელ, თუმცაღა მისთვის არაფერი მიკითხავს.

უკვე ციურიხში შევამჩნიე, რომ ჯოისი თავის სამუშაოზე მუდამ ისე ლაპარაკობდა, როგორც რაღაც საიდუმლოზე; თითქოს ვინმე ანარქისტი ასაფეთქებელი ნივთიერების ახალ ფორმულას ამზადებსო.

ყველანი სენ-კლუს პარკში გავეშურეთ სასეირნოდ. ჯოისს დიდად სიამოვნებდა, როცა მისი ოჯახის წევრები სუფთა ჰაერს ჩაისუნთქავდნენ ხოლმე. ზოგჯერ იქამდეც კი მიდიოდა, რომ ფიაკრს ქირაობდა, მეუღლესა და ბავშვებს ჩასხამდა და ბულვარზე ასეირნებდა. ასეთ წუთებში ეტლის კოფოზე წამოსკუპებული ჯოისი შეზარხოშებული პროვინციელი ნოტარიუსივით იწყებდა ხოლმე ჟესტიკულირებას და მეეტლეს დამაბნეველ დარიგებებს აძლევდა.

„ყველაფრისათვის ვიზრუნებ, რაც გჭირდებათ", – დაპირდა გოლი.

„გერმანელი გამომცემელიც მჭირდება ჩემი „ულისესათვის", – მიუგო ჯოისმა.

როგორც ბაზელის რაინის გამომცემლობის პარიზელმა კორესპონდენტმა, გოლმა ჯოისს კარგი რეკომენდაცია გაუწია და ვერც კი გაითვალისწინა, რომ გამომცემელი ამგვარ წინადადებას შიშით უარყოფდა.

„ამ პორნოგრაფიულ და დამახინჯებულ ნაწერს ჩვენს კრებულში ადგილს ვერ მივუჩენთ".

იმისათვის, რომ გამომცემელი დაეყოლიებინა, გოლი მას სამსახურიდან წასვლით დაემუქრა. ჯოისმა კი მიიჩნია, რომ ეს სულ მცირედი ნაწილი იყო იმისა, რაც მისთვის შეეძლოთ გაეკეთებინათ.

შემოდგომას ჯოისი პარიზში დასახლდა და გოლის მონობის ხანაც დაიწყო.

როგორც კი ჯოისს რომელიმე სიტყვის ეტიმოლოგიასა თუ თარგმანში ეჭვი შეეპარებოდა, დაუყოვნებლივ თავის გულისხმიერ მდივანს იმოწმებდა. რადგანაც იგი ტელეფონს არ წყალობდა, ჯოისი წერილებს თითქმის ყოველთვის პნევმატური ფოსტით აგზავნიდა; მისი წერილები არცთუ დიდად იყო გადატვირთული ზრდილობიანი მიმართვის ფორმებით: „სასწრაფოდ მოდით, გელოდებით!" და გოლიც პირველსავე ტაქსში ჯდებოდა იმისათვის, რომ ჩამდგარიყო ადამიანის სამსახურში, რომელსაც იგი „მეოცე საუკუნის ჰომეროსს" უწოდებდა.

„ამ საღამოს ჯოისთან ვვახშმობთ", – ხშირად გამომიცხადებდა ხოლმე გოლი, სამუშაო სხდომებიდან შინ დაბრუნებული.

„ისევ „სევილიელი დალაქით" უნ-

და გაგვაბედნიეროს?“ – ამოვიოხრებდი ხოლმე.

ჯოისი ჭამის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, როიალს მიუჯდებოდა და როსინის რომელსამე არიასაც დააბრაგუნებდა ხოლმე. წლების მანძილზე ეს გახლდათ „სევილიელი დალაქი“, მოგვიანებით კი დიდი არია „ვილჰელმ თელიდან“, რამეთუ ჯოისი სიგიჟემდე იყო გატაცებული ირლანდიელი ტენორით ო’სალივანით. ეს უკანასკნელი პარიზის ოპერაში „ვილჰელმ თელის“ – ოცდაათ წარმოდგენაში გამოვიდა და ჯოისიც ყოველ საღამოს ოპერისაკენ მიეშურებოდა, რათა ო’სალივანისათვის კდემამოსილი აღფრთოვანებით მოესმინა. ყოველივე ირლანდიული მას შეუდარებლად მიაჩნდა. ხოლო, რადგანაც მისი მეგობარი ო’სალივანი „ვილჰელმ თელში“ ბრწყინავდა, ჯოისისათვის ეს ოპერაც ყველა დროის შედევრად იქცა. ჯოისთან გატარებული საღამოები საშინელ ტვირთად მაწვებოდა. მას გასაოცარი ნიჭი ჰქონდა, მოეძია პარიზის ყველაზე უფრო ბნელი ბინები. რამდენადაც დიდ ყურადღებას აქცევდა კარგ ჩაცმულობას, იმდენად ნაკლებად ზრუნავდა ნივთიერ გარემოცვაზე.

უაღრესად ელეგანტური, წაწვეტებულ ლაპლაპა ფეხსაცმელებში გამოწყობილი გვევლინებოდა ჯოისი თავისი დამტვერიანებული სალონის შუაგულში. როგორც კი შევიდოდით, იმთავითვე გოლს დაეპატრონებოდა ხოლმე და ოთახის ერთერთ კუთხეში გაიწევდა, რათა მისთვის ნაშუადღევს დაწერილი გვერდები ეჩვენებინა. მეც სხვა არაფერი მრჩებოდა, თუ არა ნორასთან ერთად სამზარეულოში გავსულიყავი, სადაც ის ოხვრა-ხვნეშით რაღაც რთულ კერძს ამზადებდა.

ერთხელ ნორა ისეთი შეწუხებული მომეჩვენა, რომ ჩემდა უნებურად ხელი გადავხვიე და ვკითხე:

„რა მოხდა, ნორა?“

„ის წერს, წერს, განუწყვეტლივ წერს“, – ჩაიჩურჩულა მან და თავიც გააქნია.

„ეს ბუნებრივია“, – ვუთხარი. – „ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მწერალია“.

ნორამ კიდევ ერთხელ მძიმედ ამოიოხრა.

„ნუთუ არ გესმით“, – დავურთე მე, – „თუ რა ბედნიერი ხართ, რომ გენიოსთან ცხოვრობთ?“.

„რა თქმა უნდა, კლერ, ყველა ამას მეუბნება, მაგრამ მას გენიალობისას ვერაფერს ვამჩნევ და არც მესმის, რას წერს“.

გვერდით ოთახში ლუპით ხელში ჯოისი თავის ხელნაწერს უკირკიტებდა. ვიდრე იგი სამუშაოდ მიუჯდებოდა წითელი ხის საშინელ მაგიდას, პლუშის გადასაფარებელს ფრთხილად აკეცავდა ხოლმე. გადასაფარებელი რომ არ დაეზიანებინა, პირდაპირ ხეზე წერდა.

„აი, შეხედეთ“, – თქვა ნორამ, – „ისევ წერს“...

ნორა ცოლებს შორის „ყველაზე არაპოეტური“ იყო, როგორც მას გოლმა თავის ერთ-ერთ წერილში უწოდა. მიუხედავად ამისა, ჯოისი მისი ერთგული იყო, – მას ნორასათვის არც ერთხელ არ უღალატია.

ბურჟუას არ აქვს ოჯახის მიღმა თავგადასავლები; მხოლოდ თავის წარმოდგენაში თუ დაუშვებს ამას, სადაც სექსი და ცოდვა დიდ როლს ასრულებს. არც ვიცი ყოველდღიურ ცხოვრებაში ოდესმე თუ დაუსვამს ჯოისს საკუთარი თავისთვის ამგვარი შეკითხვები. მე ვერც წარმომედგინა ჯოისი შიშველი ანდა აქტის პროცესში.

„საბრალო ჯეიმზე“, – ამოიოხრებდა ხოლმე ნორა, – „მას არასოდეს ესმოდა ქალების“.

ჭამის დროს ჯოისი ან სდუმდა, თანაც ისე, რომ არც ერთი სიტყვითაც არ მიმართავდა ხოლმე არავის, ანდა მიმოაბნევდა თავის უდარდელად-აღტაცებულ

შენიშვნებს, რომლებისაც თვით მის ზოგიერთ მთარგმნელსაც კი არა გაეგებოდა რა. მისი ყოველმხრივ გაფანტული აზრები არასოდეს ეხებოდა ზოგად საუბარს. იგი ჰგავდა ქალს, რომელსაც უნარი არ შესწევს, ფანქრით დახაზოს პულოვერის უმარტივესი ქარგა, მაგრამ რომელიც ყველაზე რთულ ნიმუშსაც კი თვალდათვალ მოქსოვს. ის, რასაც ჯოისი ქსოვდა, ეს იყო სიტყვები ქაღალდზე, მათი თანდათანობითი გარდასახვა და გადართვა, ორაზროვანი ცნებები, ალიტერაციები, წინადადებების მელოდია, ქვედატონები. მაგრამ მათი ხმამაღლა წარმოთქმისას ჯოისის ნახტომები გერმანულიდან იტალიურზე ანდა ინგლისურიდან დანიურზე მსმენელებში შემაწუხებელ დუმილს იწვევდა, მისი ჰუმორისა არა მესმოდა რა და, დარწმუნებული ვარ, ჯოისის გარდა არც არავის შეეძლო გულიანად გაეცინა მის ხუმრობებზე.

მიუხედავად ამისა, ჯოისი დიდი ხნით ადრე ემზადებოდა თავისი ხუმრობებით მსმენელებზე ეფექტის მოსახდენად. მე იმ საღამოს ვესწრებოდი, როდესაც ჯოისი თავის უკანასკნელ ნაწარმოებს – „ფინეგანის ქელეხს“ საბოლოოდ აშალაშინებდა. ჭამის დროს კრინტიც არ დასცდენია. შემდეგ კი წუთიერი სიჩუმე იმისათვის გამოიყენა, რათა ხელი აეწია და სკამის საზურგეს მიყრდნობოდა. „ვიპოვე ის სიტყვა, რომელსაც ვეძებდი...“ წინასწარ ტკბებოდა იმ მოულოდნელობის ეფექტით, რომელსაც თავის მსმენელებზე მოახდენდა.

“The” – თქვა მაშინ.

ჩვენ გავრცობას ველოდით, მაგრამ ჯოისს თავისი უკანასკნელი სიტყვა უკვე ეთქვა. „ასომთავრულით თუ პატარა ასოთი დაწერილი?“ – ჰკითხა გოლმა.

“The” – ძალიან მარტივად, როგორც Le ფრანგულში“.

რადგანაც მე ვმწერლობ, შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ამ კომედიით ჯოისმა გაგვაცურა. შესაძლოა, შთაგონება მაშინაც ეწვიოს შემოქმედს, როცა ის თეფშს დაჰყურებს; მაგრამ ეს იდეა მით უფრო საეჭვოა, როდესაც საქმე ნაწარმოების დაბოლოებას ეხება: ბოლო გვერდის უკანასკნელი სიტყვა რომანის პირველ სიტყვას შეესაბამება.

ჭამის შემდეგ ნორამ სუფრა აალაგა და მუქი მწვანე პლუშის გადასაფარებელი, რომელიც ჯოისის ბინის ყველაზე საპატიო ატრიბუტი სჩანდა, კვლავ გადააფარა მაგიდას. ზოგჯერ ჯოისი თავის ცოლს ეხმარებოდა სუფრის ალაგებაში, ამასთან ისეთი სახის გამომეტყველება ჰქონდა, გეგონებათ მღვდელია ან ნაკურთხ სეფისკვერებს არიგებსო ზიარებაზე.

„განვიმუხტოთ“, – შემოგვთავაზებდა ხოლმე ამის შემდეგ ჯოისი. უმეტესად თავისი ლექსების რეციტაციას იწყებდა. ამ ხელოვნების ნიჭი კი როდი ჰქონდა. მისი ლექსები საშუალო დონისა იყო, მაგრმ იგი თავს დიდი ხნის მანძილზე ლირიკოს პოეტად მიიჩნევდა. „მუსიკაზე რას იტყოდით?“ – იკითხავდა ხოლმე შემდგომ. ჩვენს თანხმობას არც დაელოდებოდა, ისე დაიწყებდა ღიღინს და საცეკვაოდ გამიწვევდა; უმეტეს წილად ფოქსტროტს ცეკვავდა ხოლმე, თანაც საზარელი გრაციით. მაგრამ თავს კარგ მოცეკვავედ და მომღერლად მიიჩნევდა და ყოველნაირად ცდილობდა, თავის მსმენელ-მაყურებელში აღტაცების გრძნობა გამოეწვია.

ამ საცეკვაო ინტერმეცოს შემდეგ ჯოისი ინსტრუმენტს მიუჯდებოდა და თავისი ბელკანტოთი გვაწამებდა. ხმა საკმაოდ კარგი ჰქონდა, მაგრამ გარდამავალ ბგერებს ისეთი თვითკმაყოფილებით იღებდა, რომ ამის გაძლება თითქმის შეუძლებელი იყო.

ჯოისს ორი მდივანი ჰყავდა, რომელთაც იგი უსირცხვილოდ ამუშავებდა: გო-

ლი და მოგვიანებით სემიუელ ბეკეტი. იგი მათ გარჯას უსასყიდლოდ იყენებდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჯოისი მათ ცოტაოდენი პატივისცემით მაინც ეპყრობოდა. მთარგმნელები და მეცენატები ვალდებულნი იყვნენ, ოსტატის სამსახურში ჩამდგარიყვნენ. რადგანაც ჯოისი რუსულის გარდა ყველა იმ ენას ფლობდა, რომლებზეც მისი წიგნები ითარგმნებოდა, იგი მთელ სამუშაოს თავად მეთვალყურეობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავის ყველა მდივანს ავალებდა, სხვებისათვის კონტროლი გაეწიათ.

ჯოისი თაყვანისმცემლების უანგარო თავგანწირვას ოსტატურად იყენებდა. თავისი სექტის ხელშეუვალი ღმერთის მსგავსად, ჯოისი მსახურებს ზედმიწევნით ზუსტად მონიშნულ დავალებებს უნაწილებდა. სტიუარტ გილბერტი ყოველ დილით მოდიოდა მასთან ფრანგულ თარგმანზე სამუშაოდ, როდესაც გერმანელი მთარგმნელი კვლავ გოლს მოუხმობდა თავისთან, ხოლო ხუთშაბათობით კი ყველანი პოლ ლეონთან იყრიდნენ თავს, რათა კრიტიკულად გადაეხედათ მთელი კვირის ნამუშევრისათვის.

ჯოისი საკმარისად კარგად ფლობდა ენებს იმისათვის, რომ თავად ეთარგმნა თავისი ნაწარმოებები, მაგრამ იმდენად დიდი ხელოვანი იყო, რომ არ შეეძლო ერთ ტექსტს დამონებოდა, თუნდაც ეს ტექსტი საკუთრივ მისი ყოფილიყო. იგი უცილობლად აჰყვებოდა ამ ტექსტში ბევრი რამის შეცვლისა და გადასხვაფერების ცდუნებას. მას სჭირდებოდა ყურმოჭრილ მონებსავით ერთგული ადამიანები, რომლებიც მის ტექსტს ფრანგულ თუ გერმანულ ენებზე გადაიტანდნენ, ვიდრე იგი თვით მოკიდებდა მას ხელს, რათა ხელახლა განეცადა ყოველი გამონათქვამი, ყოველი მიმართება, რაც მასთან შესაძლოა პარალელურად ოთხ, ექვს ან ათ შრესა თუ დონეზე ყოფილიყო განფენილი.

დიდ თავსატეხს წარმოადგენდა მისთვის სხვადასხვა დიალექტისა თუ სლენგისათვის დამახასიათებელი გამონათქვამი, რადგანაც ჯოისი სიტყვებს მათი საერთო ჟღერადობის მიხედვით არჩევდა ანდა მისტიკურ დამატებით მნიშვნელობას ანიჭებდა უპირატესობას, ამდენად, მის მთარგმნელებს ზოგჯერ ახალი სიტყვებით უნდა შეეთხზათ იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ მელოდიაც და მინიშნებებიც.

ჯოისი გლაუკომით იყო დაავადებული, თვალის გუგის ერთგვარი გამკვრივებით და მართლაც დიდი ტანჯვა გამოიარა. ჯოისმა დაახლოებით ოცდახუთი ოპერაცია გადაიტანა და რეგულარულად დადიოდა გერმანიაში თვალის ექიმთან, რომელიც მეტად რთულ მკურნალობას უნიშნავდა. თავისი ძალზე წვრილი ნაწერის გასარჩევად ჯოისს უშველებელი ლუპა სჭირდებოდა. მიუხედავად მისი სათვალის სქელი შუშებისა, რომელთა დანახვაზეც მე ცუდად ვხდებოდი, იგი იმდენად უმწეოდ გრძნობდა თავს ქუჩაში, რომ შინიდან ყოველი გასვლისას თანმხლები უნდა ჰყოლოდა.

ერთხელ მან ზარი დარეკა ჩვენი ბინის კარზე კონდეს ქუჩაზე და გაცილება ითხოვა. ჯოისი გაწბილებული დარჩა, როდესაც შეიტყო, რომ გოლი შინ არ იყო.

„კაპუცინების ბულვარზე უნდა ვიყო“, – თქვა მან, – „ეს ძალზე მნიშვნელოვანია“.

და მეც გავყევი. ჯოისი ჩაცმულობით ვოტანს წააგავდა, უხეში მაუდის კეპით, ცალი თვალი ისე აეხვია, თითქოს სახის ერთი ნახევარი ნასროლ ტყვიას წაეშალა. მე გვერდით მივყვებოდი და ვცდილობდი საუბარი წამომეწყო, მაგრამ სიტყვაც ვერ დავაცდენინე; იგი თავის ფიქრებში იყო გართული. გამვლელების ყურადღებას არ

გამორჩენია უცნაური წყვილი. მე ნაბიჯს ავუჩქარე, მან ფეხი ვერ ამიწყო, რადგანაც გიგანტური ზომის მოსასხამი ბოჭავდა და მისგან მოზომილ სიარულს მოითხოვდა. მისთვის ნაბიჯის აწყობა წამებად მექცა. „ეს ძალზე მნიშვნელოვანია...“ – დრო-დრო იმეორებდა ჯოისი. და ამასთან, „მეოცე საუკუნის ჰომეროსი“ მხოლოდ და მხოლოდ ლოიდის საერთაშორისო ბანკისკენ მიეშურებოდა, რომელიც კაპუცინების ბულვარზე მდებარეობდა.

გზად სულ იმას ვფიქრობდი თუ რატომ მძულდა იგი. რაღა თქმა უნდა, მხიბლავდა მისი გულჩათხრობილი და ამავდროულად ჯიუტი ხასიათი, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ეს მის ცუდ მხედველობასთან იყო დაკავშირებული, რადგანაც თითქმის ველარაფერს ხედავდა, თავს ხმის მიმართულებით ატრიალებდა და ისე იქცეოდა, თითქოს ხედავდა. ამგვარი იძულებითი ზრდილობიანობა ბევრ სმენადაქვეითებულთანაც შემიმჩნევია, რომელთაც კითხვაზე მცდარი პასუხის გაცემას ურჩევნიათ, გაიღიმონ და თავი გააქნიონ.

ჯოისს არ ჰქონდა დაქვეითებული სმენა, მაგრამ იგი პრინციპულად არავის უგდებდა ყურს. ზოგჯერ მის პირს განიერი ღიმილი მოაქცევდა, რომელსაც მოსაუბრეებში მეგობრული განწყობილების შეგრძნება უნდა გამოეწვია. რატომ და ვისთვის თამაშობდა ჯოისი ასე? ვეკითხებოდი ხოლმე მაშინ ჩემს თავს. იგი მისდევდა რაღაც პირად სტრატეგიას, რომელიც უკარნახებდა, გაეღიმა ანდა მიბრუნებოდა მოსაუბრეს, მაგრამ თითქმის ყოველთვის უდროო დროს. მის საზოგადოებაში თავს ყოველთვის შებოჭილად ვგრძნობდი; და მაინც, რამ განაპირობა ჩემში ამგვარი ანტიპათიის გაღვივება ამ გენიალური ადამიანის მიმართ? ნუთუ იმან, რომ წესიერად არასოდეს მოუქცევია ჩემთვის ყურადღება? ჩვენ შორის არასოდეს ყოფილა ჭეშმარიტად ადამიანური დამოკიდებულება. და განა ვისთან ჰქონია? იგი ყველას იყენებდა მადლობის უთქმელად, მადლიერების ჟესტის გამოუყენებლად. აბა, როგორ უნდა მოეგო ქალის გული, თუკი მის არსებობას არ აღიარებ? მისი ერთადერთი სიყვარული მისი ქალიშვილი ლუჩია იყო.

ჯოისის ეგოცენტრული ნარცისიზმი სრულად გამოაშკარავდა, როდესაც 1932 წელს მის დაბადების დღეს დავურეკე. ამ დღეს მას 50 წელი შეუსრულდა. მისი ხმის პირველივე ბგერის გაგონებამ მიმახვედრა, რომ ძალზე აბნეული ყო.

„მადამ“, – მითხრა მან, – „ფრიად მოხარული ვიქნებოდი, თქვენი მიღება რომ შემძლებოდა, მაგრამ ამწუთას ვერავის ავიტან. საშინელ მდგომარეობაში ვარ“.

„მე საქმის კურსში ვარ, ოსტატო, მამა თქვენი...“ და, რადგან არ ვიცოდი, თუ როგორ გამომეთქვა მისთვის სამძიმარი, დავაყოლე: „ის საკმაოდ ხნიერი იყო...“

„ეს არ გახლდათ ჩემი წუხილის მიზეზი. მამაჩემი ოთხმოცი წლისა გარდაიცვალა, ეს სავსებით ნორმალურია. მაგრამ მე ის ძალიან მიყვარდა და ვერც შევძელი მისთვის ბოლო პატივი მეცა. ჩემმა მეუღლემ და შვილებმა გამიწიეს წინააღმდეგობა“.

„ნუთუ მართლა“, – ვთქვი, უფრო იმ მიზნით, რომ მეტი რამ შემეტყო ამის შესახებ.

„თავად მე ირლანდიაში თავს უსაფრთხოდ ველარ ვგრძნობ. განა არ დაწვა ამ ხალხმა, ვიდრე მე იქ ვიყავი, დედალოსის სრული გამოცემა? თქვენ მიხვდებით, რომ ამგვარ ვითარებაში ჩემთვის ყოვლად შეუძლებელი იყო იქ გამგზავრება“.

კავშირი ამ ორ ფაქტს შორის მხოლოდ მისთვის იყო გასაგები. ბოლოს და ბოლოს, დაწვეს მხოლოდ მისი წიგნი და არა მისი პიროვნება.

„რა თქმა უნდა“, – მივუგე. – „რამდენი ხანი არ გენახათ მამათქვენი?“

„ოცი წელი. გაზომეთ ჩემი სასოწარკვეთილება“.

„წერილებს ხომ წერდით ერთმანეთს?“

„რაღა თქმა უნდა, გარდა ამისა, მამაჩემს რეგულარულად საჩუქრებსაც ვუგზავნიდი“.

„მესიე ჯოის, თქვენი ბრალი როდია, მამათქვენის ნახვა რომ ველარ შეძელით. ეს ვითარებამ განაპირობა“.

სატელეფონო ხაზზე სიჩუმე ჩამოვარდა.

„გისმენთ“, – დავიძახე.

„დიახ, მესმის. ნუ გამიბრაზდებით, თქვენი მიღება რომ არ შემიძლია...“

„მე მხოლოდ მინდოდა მეკითხა, როგორ გრძნობთ თავს დღეს, როდესაც ორმოცდაათი წელი შეგისრულდათ“.

„ამწუთას ეს ჩემთვის სრულიად უმნიშვნელოა“.

როდესაც „ულისეს“ გერმანული თარგმანი გამოიცა, ივანმა მას სამახსოვრო წარწერა სთხოვა.

„თქვენ ძალიან რთული რამ მთხოვეთ“, – მიუგო ჯოისმა, – „ქვეყნად არაფერია ისეთი რთული, როგორც წიგნზე წარწერის გაკეთება“.

ბოლოს და ბოლოს სადილის შემდეგ თავისთან გვიხმო. „მოვიფიქრე, – და შიდა თავფურცელზე დიდი დაკვირვებითა და სიბეჯითით წააწერა: „კლერ და ივან გოლებს“, შემდეგ ხელიც მოაწერა.

იგი არავის არაფერს აჩუქებდა ხოლმე, არც აზრებსა და არც მინიშნებებს. არასოდეს საუბრობდა თავის გეგმებზე.

როცა ჯოისი თავის არჩევანს რომელიმე გეგმაზე შეაჩერებდა, მას ჯერ მეთოდურად დაამუშავებდა, შემდეგ თავის თანაშემწეებს მისცემდა ხოლმე ზუსტ დავალებებს. იგი თავის მშველელებს იყენებდა, როგორც ქვეით ჯარს, რომლის ერთადერთი ოცნება იყო, გამარჯვება მოეტანა თავისი გენერლისთვის. იქნებ, ეშინოდა, რომ მის იდეებს სხვები დაეპატრონებოდნენ? დარწმუნებული ვარ, რომ არა. უბრალოდ, მას აზრადაც არ მოსვლია, თავისი პრობლემები სხვებისათვის გაეზიარებინა. ვიდრე ნაშრომი დასრულდებოდა, იგი იმდენ ცვლილებას განიცდიდა, რომ ჯოისი თავისი აზრების დინების დაოკებასაც ახერხებდა, რათა ეთქვა: „მე ამასა და ამას ვაკეთებ“. უმალვე გადახაზავდა, ჩაამატებდა ანდა შეამოკლებდა რაიმეს... რომანი მსუნაგ რვაფეხას წააგავდა, რომელიც ყოველ წუთს სახეს იცვლიდა და რომლის გამომზეურებაც შეუძლებელი იყო, განსაკუთრებით კი ადამიანის მიერ, ვინც არავის უმხელდა თავის აზრებს, მაგრამ რომელიც ისე იქცეოდა, თითქოს მთელ მსოფლიოს სცოდნოდა მისი განზრახვა.

არასოდეს შევხვედრივარ უფრო ბნელ ნიჰილიზმს, ვიდრე ეს ჯოისისთვის იყო დამახასიათებელი. დამაქცეველი, სრულიად სტერილური არსება, რომლის გენიაც სტუდენტურ ოინებში ამოიფრქვეოდა ხოლმე. მისი მრავალმხრივი სწრაფვა ცოდნისადმი, მისი ერუდიცია, რომელიც მოიცავდა რელიგიას, ასტროლოგიას, იურისპრუდენციას, ფსიქოანალიზსა და ლინგვისტიკას, მწარე სიცილში ვლინდებოდა. ჯოისთან ადამიანი მარცხდება ან ძალზე დიდ, ან ძალზე პატარა უნივერსუმში. იგი ვერასოდეს ახერხებს ყველაფრის დანახვასა და გაგებას, იკარგება ცოდნის განუზომლობაში, ხოლო წყლის წვეთიდან გამოედინება მომდევნო უსასრულობა. ამასთან, ყოველგან ვხვდებით ერთმანეთში გადახლართულ ორაზროვნებებს, გააზრების იმგვარ საშუალებას, პაროდიებსა და არაარტიკულირებულ სიტყვებს, როგორიცაა, მაგალითად, შუასაუკუნეების ირლანდიური წიგნის მხატვრობა. ჯოისის ქვეცნობიერება ურთიერთქმედებდა ყველა მისთვის ცნობილ ენასა და კულტურასთან, რომელთა ნაყოფის მომავალსაც ის კრეფდა. „ფინეგა-

ნის ქელეხში“ ყოველივე ამის გამოძახილს ვაწყდებით. ეს ნაწარმოები იმდენად წარმოუდგენლად მრავალფეროვანია, რომ ვერავინ ბედავს მისი ერთ თავზე მეტის თარგმნას. ჯოისს სურდა შეექმნა ახალი ენა, რომელიც ყველა ერთმანეთზე დახვავებული მეცნიერების ერთგვარი სარკასტული გამოძახილი გახდებოდა.

ერთ დღეს ჯოისმა ყველანი შეგვკრიბა „ფინეგანის ქელეხის“ კითხვაზე. თავი საოპერო თეატრის სცენაზე ეგონა და, ამდენად, ტექსტსაც მრავალ ტონალობაში კითხულობდა, როგორც ფსალმუნს, ეჭვგარეშეა, რომ, ალბათ, მთელ თავის ნიჭს იმას მოახმარდა, დიდი ტენორი გამხდარიყო. და ეს ოცნებაც თავისი უკანასკნელი ტექსტით აღისრულა. სიტყებისაგან ათქვეფილი ხილფაფა, რომელსაც ის დეკლამირებდა, შუალედურ ადგილს იკავებდა ლიტერატურასა და სიმღერას შორის. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ჯოისი ჩვენი გაოგნებით ერთობოდა. ისევე, როგორც აბსტრაქტული ნახატისა თუ საოპერო ტექსტის შემთხვევაში, „ფინეგანის ქელეხში“კონკრეტული არაფერი იყო გასაგები. სიტყვათა ეს მორევი შთანთქავს ყოველგვარ ინტერპრეტაციას. ჯოისის გენიამ სრულქმნა პოვა დახვეწილ და დამცინავ მასკარადში.

რამდენადაც უფრო ცნობილი ხდებოდა, იმდენად მეტ მარცხს განიცდიდა პირად ცხოვრებაში. ეს მისი თვალებით დაიწყო. შემდეგ კი ჯერი მის ქალიშვილზეც მიდგა. ლუჩია ცეკვის გაკვეთილებს იღებდა პარიზში. როცა ოცდახუთი წელი შეუსრულდა, მან თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად მოგზაურობა ინატრა და მშობლებმაც სადგურში გააცილეს. უცებ ლუჩიამ ბარგი ბაქანზე დააგდო და ტირილი აუვარდა; მოულოდნელად სხვადასხვა მიზეზის გამო მატარებელში ჩაჯდომა აღარ მოინდომა და ჯოისიც ცდილობდა მის დამშვიდებას. მაგრამ ლუჩია ტირილით ძირს დაენარცხა. როდესაც ჯოისი შეეცადა, წამოეყენებინა, ლუჩია წამოვარდა და გაიქცა. წინგაშვერილი ხელით ცდილობდა უსინათლო მამა, ქალიშვილს დაწეოდა, თან კი ბარგსა და ტვირთმზიდავებს ეჯახებოდა. ლუჩიას შეშლილობის ნიშნები დაეტყო.

ჯოისი ალმერთებდა თავის ქალიშვილს. შვილის ავადმყოფობამ მამაზე ძლიერ იმოქმედა. ჯოისის მეტაფიზიკური ნიჰილიზმი სასოწარკვეთილებად იქცა. დაიჩემა, რომ ლუჩიას თავად მოარჩენდა: აგულიანებდა მას, ხატვა დაეწყო და წიგნის მკინძავის ხელობა ესწავლა. ლუჩიას ეკუთვნის ჯოისის ბევრი ნაწარმოების ილუსტრაცია. ჯოისმა, რომელმაც, რილკეს მსგავსად, საკუთარ თავზე დაკვირვება უარყო, თავისი ქალიშვილი ც.გ. იუნგს მიანდო. მაგრამ არაფერმა უშველა, ლუჩიას მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ბოლოს ჯოისი იძულებული გახდა, დათანხმებულიყო ლუჩიას გადაყვანაზე ივრში, ექიმ დემას კლინიკაში; კლინიკაში, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ ანტონი არტოც მკურნალობდა.

ჯოისი დიდ იმედებს ამყარებდა თავის ვაჟზე – ჯორჯზე, რომელსაც რუსულის სწავლა ურჩია, რადგანაც თვითონ არ ფლობდა ამ ენას. იგი ჯორჯის სიმღერის გაკვეთილებში, რომლებსაც ეს უკანასკნელი საუკეთესო პროფესორებთან იღებდა, დიდძალ თანხას იხდიდა. მაგრამ ჯოისის ოჯახს უბედურება თავს დასტრიალებდა – ქალიშვილი შეიშალა, ვაჟი კი გაულოთდა.

გოლის გარდაცვალების შემდეგ ჯორჯი ციურიხში ვინახულე.

„ნებისმიერ თანხას გადაგიხდით, თუ იმ წერილებს მიპოვით, რომლებიც გოლმა მამათქვენს მისწერა“, – ვუთხარი.

„წერილებს? ახ, ისინი... ისინი დიდი ხანია, რაც გავყიდე“.

*1939 წელი, პარიზი*

ბევრმა ჩვენმა მეგობარმა ევროპა უკვე დატოვა, ზოგიც წასასვლელად ემზადებოდა. ჩვენ ირგლივ უცნაურმა სიცარიელემ დაისადგურა. თვით ჯეიმზ ჯოისმაც მოუკლო ჩვენთან სიარულს მას შემდეგ, რაც მისი „ულისეს“ ფრანგული თარგმანი მზად იყო.

1939 წლის 12 თებერვალს დილით გოლმა შემახსენა, დღეს ჯოისს 57 წელი შეუსრულდაო. ნაშუადღევს, 5 საათზე ჩვენ ყვავილის ქოთნით ხელში ვიდექით მის კარებთან. დიდხანს უშედეგოდ ვრეკეთ ზარი. როგორც იქნა, მოახლე ქალმა გაგვიღო.

„მესიე ჯოისი არავის იღებს“, – გვითხრა, – „ის ავად არის“. ჯოისს უკვე დიდი ხანია კუჭის კიბო აწუხებდა.

„თუ შეიძლება უთხარით, რომ მესიე და მადამ გოლები მოვიდნენ“, – ჩააჯინდა ივანი.

მოგვესმა ფლატუნი. ჯოისი საშინაო ფეხსაცმელსა და აბრეშუმის ხალათში გამოწყობილი, რომელსაც მუდამ ატარებდა, ლოღვით მოვიდა კარებთან. მე ყვავილები მივაწოდე.

„შემობრძანდით, ჩემო მეგობრებო“, – თქვა მან. – „მე ძლიერ ავად ვარ, მაგრამ სწორედ ახლახანს ჩემი ლონდონელი გამომცემლის, ფეიბერ და ფეიბერისაგან დიდებული საჩუქარი მივიღე: “Anna Livia Plurabelle”-ის პირველი ეგზემპლარი. წუხელის ბალიშის ქვეშ მედო“.

რადგანაც კითხვა აღარ შეეძლო, წიგნს მხოლოდ ეფერებოდა და თავქვეშ წიგნამოდებულს ეძინა. ჩვენ მისი დახუთული ბინის სასტუმრო ოთახში ვისხედით და საუბარიც წამოვიწყეთ.

„ახლა კი უნდა მიგატოვოთ“, – სულ მალე თქვა მან. ხელი ჩამოგვართვა. – „უნდა ჩავიცვა და ივრიში გავემგზავრო“, – განგვიმარტა. – „ლუჩიას შევპირდი, რამდენიმე ირლანდიურ ნანას გიმღერებმეთქი“.

ეს ტრაგედიის მწვერვალი იყო: ბრმა მიდიოდა შეშლილის სანახავად, რათა ჩაეძინებინა იგი ძველისძველი სიმღერებით.

(დასასრული)
*1947 წელი, პარიზი, კონდეს ქუჩა*

ავეჯიდან ბევრი რამ გაქრა, ასევე სურათებიც, კონებად შეკრული, რომენ როლანისა, რაინერ მარია რილკესი, ჰერმან ბროხის, მთელი კორესპონდენცია ჯეიმზ ჯოისთან, რომელიც „ულისეს“ თარგმანს ეხებოდა, და ასევე ძვირფასი წერილი, რომელშიც ჯოისი პირველად გვატყობინებდა თავისი ქალიშვილის, ლუჩიას სულიერი აშლილობის ამბავს.

ნაცისტებმა მე წარსული მომპარეს, გოლს კი მისი ხელნაწერები, მისი ლექსები და არქივი.

„ჩვენი დაბადება შემთხვევითობაა, ჩვენი სიკვდილი კი გარდუვალობა. ამ ორ მოვლენას შორის მოქცეული ჩვენი სიცოცხლე იქცევა ბედისწერის, ოცნების, სიზმრებისა და სომნაბულიზმის ერთ დიდ მონაკვეთად. და მხოლოდ სიტყვებს ძალუძთ, გადაარჩინონ დრო დავიწყებისაგან. მხოლოდ მათ ძალუძთ, ცოტათი მაინც ფხიზლად გვამყოფონ შემდგომში“.

# მარკ შაგალის პორტრეტი



გოლი მაკლერების ფირმის დირექტორი რომ ყოფილიყო, ალბათ დიდძალ სიმდიდრეს მოიხვეჭდა კიდეც. როგორც კი რომელიმე მხატვარი ან მწერალი პარიზში ჩამოვიდოდა, უმალვე გოლს მიმართავდა თხოვნით, მისთვის ბინა მოეძებნა. ამგვარადვე მოურიდებლად შაგალიც მოვიდა ჩვენთან.

მე მხატვარი ვარ, რუსი ემიგრანტი ცოლითა და ქალიშვილით, წარიდგინა მან თავი. მდიდარი არ ვარ, რადგან ყველაფერი მომპარეს... რაც მჭირდება, არის პატარა ატელიე, თანაც იაფი...

მარკ შაგალი კლოუნის როლს ასრულებდა და დასცინოდა თავის უკულმართ ბედს, რომელიც მას მხრებზე ტვირთად აწვა. ფულის გარდა არაფერი იყო ისეთი, რაც მას აბუჩად არ აეგდო.

ყველა ჩემი სურათი ბერლინში, ჰერვართ ვალდენს დავუტოვე. ის კი არაფერს მიბრუნებს. არაფერს, გესმით, არაფერს!

შაგალმა ბერლინის გავლით იმგზავრა და ამაოდ ცდილობდა უკან დაებრუნებინა თავისი ნახატები, რომლებიც მან ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე საკომისიო გადასახადის შესანახად ვალდენს ჩააბარა. ხელოვნების საგნებით მოვაჭრე და ჟურნალ ერ შტურმ-ის (ქარიშხალი) გამომცემელს (ანუ ვალდენს) მიაჩნდა, რომ მას ყველაფერი ანაზღაურებული ჰქონდა, რასაც ის ასაბუთებდა კიდეც. შაგალმა ვალდენი ვერც ხვეწნა-მუდარითა და ვერც თავისი ცნობილი შარმით ვერ მოალბო. მან ასორმოცდაათი სურათი მომპარა, ჩიოდა შაგალი, რომელსაც ხანგრძლივი პროცესის შემდგომ სამი თუ ოთხი ნამუშევარი დაუბრუნებია.

ნუთუ ხელწერილი არ გამოართვით? ჩავეძიე მე.

პარიზში მხოლოდ თაგვის სორო მქონდა, ბერლინში კი ესეც არ გამაჩნდა. აბა, სად უნდა შემენახა სურათებით დატვირთული ერთი ურემი? უკვე იმითაც ბედნიერი ვიყავი, რომ ვალდენმა თავის სარდაფში კუთხე გამომიყო. ნუთუ ამისათვის ხელწერილი უნდა მომეთხოვა? სხვასაც რომ თავი დავანებოთ, იგი ისე კეთილად იყო ჩემდამი განწყობილი; სასტუმროსა და რესტორნის ფული მან გადამიხადა...

რადგანაც ვალდენი იმ იშვიათ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელნიც ავანგარდს მხარში ედგნენ, არც ერთი ხელოვანი არ იყო დაინტერესებული მასთან მიმართებაში ფორმალური მხარეებისათვის მიექცია ყურადღება.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მე, შაგალი, პატარა ვიტებსკელი ებრაელი, ეჭვქვეშ ვაყენებ ცნობილი ჰერვართ ვალდენის სიტყვას, თითქოს ამ გამოჩენილი ადამიანისაგან მოვითხოვდე ნოტარიალური წესით დამოწმებულ სრულ სიას ჩემი ნამუშევრებისა? ჩვენ, მხატვრები, უკვე იმითაც ვკმაყოფილდებით, თუკი საერთოდ ვინმე ზრუნავს ჩვენზე...

ხშირად შემინიშნავს, რომ ხელოვანნი, როგორც კი დიდებას მოიხვეჭენ, ყოველგვარ თანაგრძნობასა და ხელგაშლილობას კარგავენ, კარიერის დასაწყისში კი, ყველაფრის გადატანა უხდებათ. მათ, ჯერ უცნობებს, მათხოვრის როლის თამაში უწევთ, მათ უარით ისტუმრებენ, ძარცვავენ და ამცირებენ. ასე გრძელდება ათი, ოცი, ორმოცი წელი, და თუკი ამის შემდგომ წარმატებას აღწევენ, მაშინათვე წარბშეუხრელად შურს იძიებენ.

ვალდენი ამბობს, მოდა შეიცვალაო, თქვა ერთხელ შაგალმა, მართალია, რომ ექსპრესიონისტების ნამუშევრები აღარ იყიდება?

პიკასომ კლასიციზმისკენ იბრუნა პირი, უპასუხა გოლმა, და ყველა კითხულობს, კიჩს ხომ არ დაუბრუნდა, რადგანაც თავადვე შეცდომად აღიარა თავისი

კუბიზმი. მნახველი სულაც ვერ ერკვევა იმ გარდატეხებში, რაც ხელოვნების სფეროში ხდება. მნახველი ხელოვანისაგან აღსარებას მოელის; ამიტომ უმჯობესია ხელოვანმა აღიაროს: მე თქვენ გაბიაბრუებდით... ბურჟუები მართალნი არიან. კლასიკაზე მაღლა არაფერი დგას. ამასობაში კი, მოღალატეებს ითვლიან: პიკასო, დერენი, ვლამინკი ტრადიციას დაუბრუნდნენ.

ოჰ, აღმოხდა შაგალს, კუბიზმი დასრულდა, ექსპრესიონიზმიც აღსრულდა; რაღაც ახალი ხომ უნდა მოიძებნოს...

შაგალი ერთხანობას დალეზიას მოედნის მახლობლად გარაჟის მაგვარში ბინადრობდა, მაგრამ შემდგომ უკეთესი ნავსაყუდელი მონახა ბულონში. ყოველ კვირადღეს დავდიოდით სტუმრად მის ახალ ატელიეში. იგი გოგოლის მკვდარი სულების ილუსტრაციებზე მუშაობდა ამბრუაზ ვოლარის დაკვეთით. ვოლარი კი უპირატესად სეზანისა და სხვა იმპრესიონისტების ნამუშევრებით ვაჭრობდა. შაგალს ვოლარი ისეთ ყოველთვიურ ჰონორარს უხდიდა, რომ მხატვარს უდარდელი ცხოვრება განაღდებული ჰქონდა.

ჩვენთან საუბრის უწყვეტლად შაგალი მეწაღესავით აკაკუნებდა და ჭედავდა თავის სპილენძის ფილებს. ბელა შაგალი კი, ორ განსატვირთავ ვარჯიშს შუა, ჩაით გვიმასპინძლდებოდა, ამასობაში შაგალი გოლისა და ჩემი პორტრეტების ესკიზებს ხატავდა.

რუსეთზე მოგონებებმა მწარე განცდა დაუტოვა შაგალს.

ადრე მხატვრები ერთმანეთს ფუნჯებით ებრძოდნენ და საღებავით სავსე ქოთნებს ერთურთს ამხობდნენ თავზე. დღეს კი ეს ყოველივე ბიუროკრატიული აპარატის გზით ხორციელდება. ყოველი მოგზაურობის დაწყებისათვის საჭიროა გარკვეული უწყების ბეჭედი, ხოლო მოგზაურობიდან უკან დასაბრუნებლად პოლიციის ბრძანება. იცით, ვინ ამირჩია ნატიფ ხელოვნებათა კომისრად? თავად მინისტრმა, ლუნაჩარსკიმ.

მას ჯერ კიდევ ომის დროს წვერი მოვწიწკნე! გავაწყვეტინე სიტყვა.

ახლა კი აბსტრაქციონისტებს სურთ მართალნი იყვნენ, განაგრძო შაგალმა. კიჩის მხატვრების დარად ისინიც თავიანთი ხელოვნების დიქტატურაზე ოცნებობენ, რათა აუკრძალონ დანარჩენებს განსხვავებული მანერით ხატვა. კონსტრუქტივისტები, მალევიჩით დაწყებული, სულ ერთიანად ყაჩაღები არიან, მაგრამ ისინი ვერც კი ხვდებიან, რომ ამით თვითონვე კვანძავენ იმ თოკს, რომლითაც მათ ჩამოხრჩობას უპირებენ.

თქვენ რაღა დაგიშავეს?

როდესაც საცხოვრებლად მოსკოვს გადავედი, მათ ჩემი საკლასო ოთახი დაიკავეს და სკოლას სახელი შეუცვალეს. ვიტებსკის აკადემია ახლა სუპრემატისტების აკადემია გახლავთ. მე წევრების სიიდან ამომშალეს, რადგანაც მისაყვედურებდნენ, რომ მხოლოდ ფოლკლორს ვხატავ... ამ ურწმუნოებმა ჯერაც ვერ შეიგნეს, რომ კომუნიზმს ხელოვანი არ სჭირდება და მით უფრო აბსტრაქციონისტი ხელოვანი. ფოლკლორს კი, პირიქით, შეუძლია კომუნისტების თანამედროვე იდეების განვითარება-განვრცობა; მხოლოდ და მხოლოდ წრეები და ოთხკუთხედები რევოლუციონერებს დიდხანს ვერ დააკმაყოფილებთ.

ცოლ-ქმარი შაგალები და ჩვენ ახლო მეგობრები გავხდით. ერთად ვათვალიერებდით ლუარის სასახლეებს, ერთად ვატარებდით არდადეგებს ნორმანდიაში, სიზის ტყეში. შაგალი იდეალური მეგზური იყო, გამრთობი, ინიციატივით აღსავსე და მომაჯადოვებელი მოსაუბრე. თავის დაუშრეტელი, ტიპურად ებრაული ჰუმორით იგი გვიამბობდა იმ ძველ ამბებს, რომლებიც გეტოებში იყო გავრცელებული და რომლებიც მიზნად ისახავდნენ პოგრომების სამუდამო დავიწყებას.

შაგალი აღმერთებდა თავის პატარა ქალიშვილს იდას, იდა კი მამამისს ტირანივით ეპყრობოდა ყველა იმ საშუალებით, რაც კი შვიდი წლის ბავშვის არსენალში მოიძებნება. შაგალი მას ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად ემორჩილებოდა, თვით მაშინაც, როდესაც ველოსიპედზე შემომჯდარი იდა განუწყვეტლივ გარშემო უვლიდა მამას.

შაგალის ძირითადი პრობლემა იყო და რჩებოდა ფული. მას დუხჭირი სიყრმე ჰქონდა გამოვლილი და მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ვერა და ვერ მოიცილა სილატაკის შიში. ვერც წარმა-

ტებამ და ვერც დიდებამ ვერ განდევნა ბოლომდე მისი გულიდან დაურწმუნებლობის გრძნობა. შაგალი კმაყოფილებით წარმოაჩენდა თავის თავს როგორც მუყაითს, ქარაფშუტასა და ღრუბლებში მეოცნებეს, და მალავდა იმ მთრთოლვარე აღელვებას, რომელიც მაშინათვე დაეუფლებოდა ხოლმე, როგორც კი საუბარი ფულს შეეხებოდა.

საქვეყნოდ გავრცელდა ერთი ამბავი, რომელიც სინამდვილეშიც მომხდარა და მომდევნო თაობებსაც გადაეცა:

შაგალების ოჯახი ნიუ-იორკში ცხოვრობდა XIX ს-ის აპარტამენტში, რომლის ყველა კედელი სარკეებით იყო მორთული. ერთხელ ხელოვნების მოყვარული ერთი ამერიკელი ძალზე დაინტერესდა შაგალის ერთ-ერთი ნამუშევრით და იკითხა მისი ფასი.

რა ფასი? ჩაეკითხა შაგალი.

თქვენი სურათის ფასი.

აჰა, გავიგე! თქვენც ჩემსავით პოეტი ყოფილხართ, ბატონო ჩემო, და ალბათ გესმით, თუ რამდენ დარდად, რამდენ უძილო ღამედ უღირს მხატვარს ამგვარი სურათის გულიდან მოწყვეტა. აი, ამ ფასად უჯდება თავისი ნამუშევარი ხელოვანს...

მე გასაყიდ ფასს ვგულისხმობ, სიტყვა გააწყვეტინა ამერიკელმა. რას მოითხოვთ ამ სურათში?

მე? მე არაფერს მოვითხოვ! მხოლოდ კეთილგანწყობას, მხოლოდ მეგობრულ თანაგრძნობას...

როგორ? ნუთუ თქვენს სურათებს საერთოდ არ ჰყიდით? იკითხა ამერიკელმა.

მაპატიეთ, ჩემო ბატონო, თქვენ მე მაცბუნებთ... მე არ ვარ მიჩვეული ამ ტიპის შეკითხვებს. იქნებ ჩემმა მეუღლემ შეძლოს თქვენთვის ამომწურავი პასუხის გაცემა, იგი ფინანსურ საკითხებში ჩემზე გაცილებით უკეთ ერკვევა.

რვეულით ხელში სცენაზე ბელა გამოდის და მუშტარიც მას მიმართავს. ვიდრე ბელა თავის უბის წიგნაკს ფურცლავს, შაგალი გულმოდგინედ აკვირდება ზოგიერთ თავის ნამუშევარს, და ერთ-ერთის ჩარჩოს მზრუნველად და საფუძვლიანად აცლის მტვერს.

მუშტარი შაგალთან ზურგით დგას, მაგრამ ამავე დროს სარკეში ხედავს, თუ რას ანიშნებს ოსტატი თავის მეუღლეს: შაგალი ათივე თითს ფარჩხავს.

ათი ათასი... ყოყმანით ამბობს ბელა.

და ამერიკელი ხედავს სარკეში, რომ შაგალი მუშტებს კუმშავს და შემდეგ სწრაფად, ორჯერ ზედიზედ ათივე თითს უჩვენებს.

•

გოლის დაკრძალვის შემდეგ (1950 წ. 27 თებერვალი) მე რამდენიმე კვირის განმავლობაში ძირს დანარცხული ტირილითა და გოდებით ვგლოვობდი მას. ოტელ დორსეს მოახლე გოგონა თვალს არ მაცილებდა იმის შიშით, რომ ფანჯრიდან არ გადავმხტარიყავი. ყველა მხრიდან სამძიმრის წერილები მომდიოდა. ერთ-ერთი ყველაზე უფრო გულში ჩამწვდომი წერილი შაგალისაგან მივიღე; შაგალისაგან, რომელსაც მსგავსი ბედი ეწია. ბელა და შაგალი არდადეგებს ამერიკის ერთ-ერთ სოფელში ატარებდნენ. ბელა ყოველდღე ახლომდებარე ტბაში ცურაობდა. ერთ დღეს მას ანგინა შეეყარა, რომელიც სისხლის მოწამლვაში გადაიზარდა. შაგალი სოფლის აფთიაქისაკენ გაექანა, რომლის მარაგიც, სამწუხაროდ მხოლოდ სასაქმებელი ფხვნილებით და მზის სიდამწვრისაგან დამცველი ზეთებით ამოიწურებოდა. იმხანად პენიცილინი ახალი პრეპარატი იყო და მისი შოვნა მხოლოდ წინასწარი შეკვეთით შეიძლებოდა. მაგრამ როდესაც ეს წამალი თვითმფრინავით ჩამოიტანეს, უკვე დაგვიანებული იყო.

ბელა 1944 წლის 2 სექტემბერს საღამოს 6 საათზე გარდაიცვალა, მას ჯერ კიდევ 49 წელი არ შესრულებოდა.

შაგალმა ნიუ-იორკის ლინკოლნის ცენტრში საპატიო ყარაული დააყენა ბელას ცხედართან. შაგალი, რომელიც მე ვნახე, იყო მოტეხილი, წყობიდან გამოსული და ტრაგიკული.

გარკვეული ხნის შემდეგ კი მან თავისი სულიერი წონასწორობა აღიდგინა ერთ ახალგაზრდა, წარმტაცად ლამაზ ინგლისელ ქალთან. ვირჯინია დანტეს ბეატრიჩეს წააგავდა და შაგალზე ოცი წლით უმცროსი იყო. თავდაპირველად ვირჯინიას ფუნქციები სახლის დალაგებით შემოიფარგლებოდა, შემდგომ მისი

გავლენა სამზარეულოზეც გავრცელდა; ბოლოს კი მან თავისი ადგილი შაგალის საწოლშიც დაიმკვიდრა...

ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ისინი სამხრეთ საფრანგეთში, ვანსში დასახლდნენ. ვირჯინიას მალე დავუმეგობრდი, მან სამხრეთში დამპატიჟა, რათა დამხმარებოდა ჩემი სასოწარკვეთილების განქარვებაში. შაგალის რეაქციამაც არ დააყოვნა: რატომ დაპატიჟე? ბუზღუნებდა იგი გაღიზიანებული. ეს აუარება ფული მიჯდება...

თუმცა მის სუფრასთან მე მხოლოდ ქაშაყით მიმასპინძლდებოდნენ, ალბათ, შაგალის მამის საპატივსაცემოდ, რომელიც ვაჭარი იყო და ქაშაყს ტონობით ყიდდა.

ადრე, როდესაც ჩვენ ყველანი ერთად ლუარის სასახლეებს ვათვალიერებდით და სიზის ტყეში ვატარებდით არდადეგებს, შაგალი ღარიბი იყო, მაგრამ იგი ყველაფერს და მათ შორის თავის ცარიელ ჯიბესაც დასცინოდა. წარმატებასთან და სიმდიდრესთან ერთად შაგალს სიძუნწეც ეწვია და მისი საფულე მისივე ტირანი გახდა.

ვანსში ჩემი სტუმრობისას ვირჯინია ხშირად შემოდიოდა ჩემს ოთახში.

ყოველ საღამოს საოჯახო ხარჯების ჩანაწერი უნდა წარვუდგინო; ყოველ დანახარჯზე მეკამათება: ფქვილი, ზეთი, ყავა... ჩიოდა ვირჯინია.

და მართლაც, ჩაის სმის დროს შაქარი ძალზე მომჭირნედ უნდა გვეხმარა.

მე მისი მოახლე ვარ, განაგრძობდა ვირჯინია, მისი მდივანი, მისი მენატურე ქალი, მისი მძღოლი, მისი ბუხჰალტერი... მიუხედავად იმისა, რომ მილიონები აქვს, საჭმლის საყიდლად არასოდეს მაძლევს საკმარის თანხას.

ჩემს მკერდში თავჩარგული, იგი დასტიროდა იმ საოჯახო შევიწროებას, რომელიც ყოველდღე მეორდებოდა. სხვათა შორის, ვირჯინიამ შაგალს ვაჟიშვილი, დავიდი, აჩუქა, რომელიც შაგალმა თავისად ცნო. დავიდ შაგალი დღეს ფოტოგრაფია.

თითხნია თვალთმაქცობაში ნობელის პრემია რომ ყოფილიყო დაწესებული, შაგალი უდაოდ მისი ლაურეატი გახდებოდა. ამ დარგში იგი ბუნებით დაჯილდოვებულთა რიცხვს განეკუთვნებოდა. საზოგადოებაში შაგალი გაოცებულ ვუნდერკინდს განასახიერებდა, რომელიც გამაოგნებლად განალდებულ ილეთებს გვიჩვენებდა: იგი თამაშობდა ბრიყვ მეოცნებეს, რომელიც ყოველივე უმწეო მიწიერზე მაღლა იდგა... ყოველ დილით ის იღვიძებს როგორც გულუბრყვილო, მარადიული ბავშვი გაჩენის დღეს, ბავშვი, რომელიც ნუგეშის ცემასა და შექებას საჭიროებს.

და ეს წარმოდგენა უკვე საუზმისას იწყებოდა. შაგალი თავის ქნევითა და ხელების გრეხით მიუჯდებოდა ხოლმე სუფრას და თავისი სლავური აქცენტით დაიწუწუნებდა:

უნიჭო ვარ!

კი მაგრამ, შაგალ, თქვენ ნიჭიერზე მეტი ხართ, ვეუბნებოდი მაშინ, თქვენ გენიოსი ხართ.

ეს ასე არ არის, მომიგებდა იგი და მიმითითებდა მოლბერტზე დადგმულ სურათზე, რაზეც იგი იმხანად მუშაობდა. მე უნიჭო ვარ, აბა, ერთი შეხედეთ ჩემს დავითს, იგი არ არის ნამდვილი...

როგორც მეთევზე ცდილობს დაიჭიროს თევზი, ისე ცდილობდა შაგალი ქათინაურის დაჭერას, მაგრამ არა ანკესით, ან ხოლიხით, არამედ მასიური სასროლი ბადით, ყველა კუთხე-კუნჭულს რომ ედება.

მხატვრობა – ქიმიაა!

ერთ დღეს შაგალს მატისი ესტუმრა. იგი საკმაოდ ტანადი და ჩაფსკვნილი იყო. მგზავრობისაგან დაღლილი მატისი ერთ-ერთ სავარძელში ჩაენარცხა, და სავარძელიც მისი წონისგან უმალ მოურიდებლად ჩატყდა.

იმედია, არაფერი იტკინეთ! დაიძახა შაგალმა და დაუსრულებლად ბოდიშს იხდიდა ძვირფასი ოსტატის წინაშე, ამასთან, ოთახში როკვით მიმოდიოდა.

მატისი მძიმედ აიკრიფა.

მე მხოლოდ ატელიესა და მხატვრობაზე ვფიქრობ, განმარტა შაგალმა. ჩემი ძველი ავეჯის განახლება კი მავიწყდება. ხვალვე ნიცაში გავემგზავრები და ახალ ავეჯს ვიყიდი.

გამოეთხოვა თუ არა მატისი, შაგალმა განა თქვა: მადლობა ღმერთს, არ დაშავდაო, არამედ განრისხებული მომიბრუნ-

და და ჩაისისინა: ესეც ასე, ახლა სავარძელიც შესაკეთებელი გამიხდა...

ეს მისთვის ჩვეული მდგომარეობა იყო: ის ზედამხედველობდა და ანგარიშობდა ყველაფერს, ყველაფერზე შენიშვნებს იძლეოდა. ოდესღაც შაგალს სული გააჩნდა. ახლა კი, ის მხოლოდ ვაჭარია, რომელიც თავისებურ დიპლომატიას ეყრდნობა, რითაც მთელი დორსეს სანაპირო დაჩრდილა და, თავისი კარიერით თავბრუდახვეული შაგალი იმაშიაც იყო დარწმუნებული, რომ პიკასოსა და მიქელანჯელოსაც დაჩრდილავდა.

ერთ მშვენიერ დღეს ვირჯინიამ ამას ველარ გაუძლო, პირველსავე მატარებელში ჩაჯდა და გაიქცა. და რადგანაც არ იცოდა, თუ საით წასულიყო, ჩემს კარზე დარეკა.

შაგალთან ველარ ვძლებ, სთქვა მან.

გინდა მიატოვო?

ყოველ შემთხვევაში, სიმშვიდე მინდა და ცოტა ხნით თავი უნდა გავარიდო.

შემდგომში ვირჯინია საცხოვრებლად გადავიდა ერთ ბელგიელ ფოტოგრაფთან, რომელიც მან შაგალის ქალიშვილის, იდას ქორწილში გაიცნო. ეს ფოტოგრაფიც ზუსტად შაგალის ხნისა იყო. ამდენად ვირჯინიას წუხილის მიზეზი არა ასაკი, არამედ ხასიათი იყო.

ვირჯინიას გაქცევის შემდეგ შაგალი შეშლივით დაეძებდა მას მთელს კოდაზურში; მან კითხვა-კითხვით შემოირბინა ყველა სასტუმრო, კაფე, ღამის ბარი. მიუხედავად იმისა, რომ შაგალმა ცა და მიწა შეძრა, მას მაინც არ დაუკარგავს გონება იმდენად, რომ ჩემთვის პარიზში დაერეკა. რა თქმა უნდა, ის სასოწარკვეთილი იყო, მაგრამ მას არ დავიწყნია, თუ რა ღირდა სატელეფონო საუბარი.

მე კი, ჩემი მხრივ, მათი განშორების მიზეზისა არა ვიცოდი რა. დრამას ჰქონდა ადგილი თუ მშვიდობიან შეთანხმებით გადაწყვეტილებას? ვირჯინიას ჩემთან ამაზე დაწვრილებით არაფერი უთქვამს.

მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც შაგალი სენტ-ონორეს მოედანზე შემთხვევით შემხვდა, მომეცა საშუალება, უფრო დეტალურად ჩამეხედა მისი ტვინის მექანიზმში.

როგორც იქნა, მადამ გოლ! დაიძახა მან ჩემი დანახვისთანავე, დანარჩენი სიტყვები კი, ხვნეშა-ქოშინში ჩაიხრჩო.

როდის აქეთია, რომ მადამ გოლს მეძახით?

თქვენ უბიძგეთ ვირჯინიას გაქცევისაკენ, მე ვიცი...

ნუ ყვირით ასე ხმამაღლა ქუჩაში, შაგალ! ჩვენ მეძველმანეებად ჩაგვთვლიან!

მეძველმანეებად... ჩემთვის სულ ერთია!

მოდით თითო ფინჯანი ჩაი დავლიოთ ლატენვილში. იქ მიამბობთ თუ რა გაქვთ ჩემი საწინააღმდეგო.

შაგალს ბალანი აეშალა, იგი გაფითრდა, თავი მხრებში ჩარგო.

ვირჯინია თქვენს გამო გამექცა! მაგრამ შემდეგ თავი მეტნაკლებად ხელში აიყვანა და კაფეში გამომყვა. ეჭვგარეშეა, რომ მას მამაკაცთა უმრავლესობის მსგავსად ისეთი ახსნა-განმარტების მოსმენა და გაგება სურდა, რომელიც მის მამაკაცურ თავმოყვარეობას გადაარჩენდა.

მე არც კი ვიცოდი, რომ მას ამ ფოტოგრაფის ნახვა სურდა, ვთქვი მე. ვირჯინია ჩემთან მოვიდა როგორც გაჭირვებაში ჩავარდნილი მეგობარი.

შაგალმა შვებით ამოისუნთქა მას შემდეგ, რაც ყველაფერი ვუამბე ჩემი უნებლიე მონაწილეობის შესახებ ამ თავგადასავალში, რომელიც ჩემი თვალთახედვის არეს მიღმა მოხდა.

რას იტყვის ხელოვნების ისტორია იმაზე, რომ ვირჯინიამ შაგალი ვინმე ფოტოგრაფის გამო მიატოვა?

შაგალი რამდენიმე წუთით მომავალი საუკუნის ხელოვნების სახელმძღვანელოებზე ფიქრში გაერთო.

ეჰ, ყოველ შემთხვევაში მე მას ყველა ჩემს სურათზე საკუთრების უფლება ჩამოვართვი, – განაცხადა მან შემდგომ.

ყველაფერი ჩემს ვაჟს, დავიდს, დარჩება, როდესაც იგი სრულწლოვანი გახდება.

საბრალო ვირჯინია, ვთქვი მე.

რას ქვია, საბრალო? ხომ ყავს თავისი ფოტოგრაფი, რომელიც მას სურათებს უფასოდ გადაუღებს.

ხოლო მისი საბოლოო ფრაზა იყო:

როცა წარმოვიდგენ, რომ მან წასვლამდე ჩემს ხარჯზე გაიკეთა ყველა კბილი...

## სიურრეალიზმის სათავეებთან

გოლისა და ჩემი სიცოცხლის გზა მუდამ სიურრეალიზმთან იყო დაკავშირებული. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ლუი არაგონსა და შარლ ვილდრაკს, დავუმეგობრდით ელიუარს, სუპოს, რენე კრეველს, ანდრე მასონს, ანტონენ არტოს, მოგვიანეთ კი სალვადორ დალისაც.



რაც შეეხება ანდრე ბრეტონს, სულ მალე ის ნაპერწკალი გაღვივდა, რამაც ბოლოს აფეთქება გამოიწვია. საბოლოო განხეთქილება ჩვენს შორის ჩამოვარდა 1924 წელს „შანს-ელიზეს თეატრში.“ ანტიკური დრამების მსგავსად აქაც ყველაფერი ქალის, გერმანელი მოცეკვავის ვალესკა გერტის გამო დატრიალდა, რომელიც დადაიზმის ბერლინის პერიოდის აყვავების ხანაშიც მონაწილეობდა. მან მოისურვა პარიზშიაც შეესრულებინა თავისი თავაწყვეტილი ცეკვები და გოლს სთხოვა, თავდებად დადგომოდა მის წარსულს. გოლიც სიამოვნებით დათანხმდა და ვალესკა გერტმა პარიზის ყველა ღობესა და კედელზე გააკვრევინა აფიშები „სიურრეალისტური ცეკვის საღამოს“ განაცხადით.

სიტყვა „სიურრეალიზმი“ უკვე დიდი ხანია რაც ინტელექტუალების წრეში ტრიალებდა, მაგრამ ვერავინ გეტყოდათ, თუ რას ნიშნავდა იგი სინამდვილეში. „სიურრეალიზმი“ გამოიგონა აპოლინერმა, რადგან მან პირველმა იხმარა იგი თავისი პიესის „ტირესიას კერტების“ ქვესათაურად. პიესისა, რომელიც ავტორმა სიურრეალისტურ დრამად მონათლა. გოლმა ეს იდეა 1919 წელს კვლავ აიტაცა და ერთ-ერთ მანიფესტში განაცხადა, „სიტყვის სიურრეალიზირება უნდა მოხდესო.“ ანდრე ბრეტონი, რომელსაც აგრეთვე სწორედ ამ ცნებით უნდოდა დიდების მოხვეჭა, გააფთრდა, როდესაც ნახა ვალესკა გერტის აფიშები; მან ფიცი დადო, შური ეძია იმისათვის, რასაც ბოროტად განზრახულ კონკურენციად და სირცხვილად მიიჩნევდა.

გამოჩნდა თუ არა ვალესკა გერტი სცენაზე, სიურრეალისტებმა ყურის წამლები სტვენა ატეხეს და სცენას ლაყე კვერცხები დაუშინეს. მაყურებელთა დარბაზში აუწერელი დავიდარაბა ატყდა. ბრეტონი სკამზე შეხტა და ხმამაღლა განაცხადა, რომ სიტყვა „სიურრეალიზმის“ ხმარების უფლება მხოლოდ და მხოლოდ მას ჰქონდა. ის, ვინც ჩვენს წინაშე ჟესტიკულირებდა, უკვე პოეტი კი არა, არამედ საფაბრიკო მარკის ექსკლუზიური მფლობელი იყო.

„ბრეტონ,“ დაუყვირა გოლმა, „კეთილი ინებეთ და ვალესკა გერტს ცეკვის საშუალება მიეცით!“

ამ გაბედულმა გამომწვევმა შეგონებამ ანდრე ბრეტონი წონასწორობიდან გამოიყვანა.

„თქვენ კი, ჩემო ბატონებო,“ განაგრძო გოლმა, „მეტი თავაზიანობა გმართებთ“...

გოლს ფრაზის დამთავრება არ დასცალდა, რომ ბრეტონის მოციქულები, რომელთაც თავად ბრეტონი მოუძღვოდა წინ, ჯოხების ქნევით დაესივნენ. მე

ორივე მოქიშპე მამაკაცს შუაში ჩაუვარდი და არც კი გამიცნობიერებია, რომ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე გაბედული და მამაცური ნაბიჯი გადავდგი, თუმცაღა სიკვდილივით მეშინოდა, რომ რკინის ბუნიკიანი ჯოხის დარტყმა კბილებს ჩამილეწავდა. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს პიჯაკის ლაცკანებში სწვდნენ, თანაც ისე, რომ მე წინ და უკან მაბურთავებდნენ, თუკი რისხვისაგან გაბერილ მათ გულმკერდსშუა არ ვიყავი ჩაჭყლეტილი. უცებ გოლის მუშტი ბრეტონს სახეში მოხვდა. ბრეტონის სიმწრის ყვირილის გაგონებისთანავე ვალესკა გერტი, რომელიც აქამდე მედგრად აგრძელებდა ცეკვას, მარილის სვეტად იქცა. მაყურებლები გარს შემოეხვივნენ ბრეტონს, რომლის თვალიც წამზე უსწრაფესად შეშუპდა და ასახა ფერთა მთელი გამა – წითელიდან იისფრამდე და იისფერიდან მუქლურჯამდე. ბრეტონი დაბარბაცდა და დარწმუნდა რა იმაში, რომ მის უკან მდგომი რამდენიმე მისივე მეგობარი მზად იყო დაეჭირა იგი, ჯვარცმულივით ხელებგაშლილი მათ მკლავებში ჩაესვენა. მაყურებელთა დარბაზში შემოიჭრა ბრეტონის ყვირილით შეშფოთებული პოლიციელთა დაცვა. როგორც კი ბრეტონმა პოლიციელები დალანდა, ერთი ნაბიჯი წინ გადადგა და შთამბეჭდავი მიმიკით წარმოთქვა: „ბატონებო, ყოველივე ეს თქვენ არ გეხებათ!“



გოლმა და ბრეტონმა ერთმანეთს ომი გამოუცხადეს, რაც თითქმის ოც წელიწადს გაგრძელდა. კრივში აღმოცენებული ია ლიტერატურულ დუელად გაიფურჩქნა. გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ბრეტონი გამოსცემდა თავის ჟურნალს „სიურრეალიზმი რევოლუციის სამსახურში“ გოლმა საკუთარი ჟურნალი გამოუშვა მოკრძალებული სათაურით „სიურრეალიზმი.“ გოლის ჟურნალის თანამშრომლები იყვნენ რენე კრეველი (მოგვიანებით რ. კრეველი ბრეტონის „დასში“ გადავიდა – მ. პ.), მარსელ არლანდი, რევერდი, დელონე და ჟან პენლევე...

***მთარგმნელის მინაწერი:***

*კლერ და ივან გოლები დაკრძალულები არიან პარიზის პერ ლა შეზის სასაფლაოზე, შოპენის სამარხის გვერდით, საფლავის ქვაზე კი მარკ შაგალის მიერ შესრულებული მათი პორტრეტია გამოსახული.*

*გერმანულიდან თარგმნა და*
*წინასიტყვაობა დაურთო*
***მანანა პაიჭაძემ***



# ანდრო ბუაჩიძე

## პოეტურ-პროზაული დიაგონალი*

შოთა იათაშვილის ლექსების ციკლი „პოეტური გამოცდილების სიმწარე“ თვითონ მისივე ადრეული ნიმუშებისგანაც განსხვავდება. შეიძლება ეს განსხვავება არ არის ისეთი რადიკალური, რომ სრული მეტამორფოზა ვუწოდოთ, მაგრამ მაინც განსხვავებაა. ლექსწერის რა ნიშნებმა იჩინა თავი? -კომპაქტურობამ, ლაკონიზმმა, შტრიხებით ხატვამ, კინაღამ ვთქვი, შავ-თეთრი შტრიხებით-მეთქი. უნდა მეთქვა, დიახ, ეს მართლაც შავ-თეთრი შტრიხებია, ნახშირია ან მუქი ფანქარი. შოთა ხატავს შავ-თეთრ სურათებს. ფერწერული ეფექტის პოეტი არც ადრე ეთქმოდა მას, მაგრამ ახლა მისი ნამუშევრები აშკარად განიძარცვა ფერადოვნებისაგან, განიძარცვა სიტყვაუხვობისაგან, დეტალებისაგან, ცალკეული აღწერითობისაგან. უფრო თამამად ვიტყოდი: შოთას ლექსი განიძარცვა ისეთი მხატვრული აქსესუარისგან, რომლის გარეშე არსებობაც შესაძლებელია. ეს ოსტატობის მაღალი დონეა. შოთა იათაშვილმა დაიტოვა აუცილებელი, მთავარი შტრიხი, ან უფრო სწორი იქნება რომ ვთქვათ, ის ახლა ავლებს იმ შტრიხს, რომელიც ერთადერთია და შეუნაცვლებელი. მან მოიშორა ზედმეტი დეტალები, ზიგზაგები, ლაბირინთები. ისინი მას ადრე აშკარად სჭირდებოდა, ვინაიდან მათი მეშვეობით ქმნიდა შენობას, რომელიც იდგა მიწაზე, ახლა კი ის აშენებს სახლს, რომელიც ჰაეროვანია და მაინც ძალზე მკვიდრად დგას. ის ახლა უფრო მეტს ამბობს, ვიდრე ლაპარაკობს, უფრო მეტს ანათებს, ვიდრე ასხივებს, უფრო მეტს პოულობს, ვიდრე ეძებს... ე.ი. შოთა იათაშვილმა მიაგნო რაღაც ისეთს, რაც არ ჩანს, მაგრამ არსებობს, რაც გარდაისახება ლექსად და არც ასე სახეცვლილი იჩენს თავს.

ადრე თუ არსებობდა ეს „რაღაც“? ამ წიგნის ანოტაციაში ზვიად რატიანი წერს: „მან შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე მიაგნო და მონიშნა თავისი პოეზიის ხატი, მოდელი, რომლისკენაც მომდევნო წლებში უნდა ევლო. ის ამ მოდელს დროგამოშვებით უბრუნდება, ხოლო შუალედებში თითქოს იკვლევს მისკენ მიმავალ, ერთმანეთისგან განსხვავებულ, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ გზებს, რათა ყოველ ჯერზე სხვადასხვა მხრიდან მიაკითხოს მას“. მე მჯერა ზვიად რატიანის, ვინაიდან მეც ასე ვფიქრობ – არსებობდა.

მახსენდება შოთას ადრეული ლექსები, სადაც იყო ხატვა. ვფიქრობ, რომ გარკვეული კონფიგურაციით ახლანდელი ნიმუშებიც ძველის მსგავსია, მაგრამ,

* წიგნი გამოსცა გამომცემლობა „ინტელექტმა“ (2016)

როგორც უკვე ვთქვი, მაინც განსხვავებულია. აი, ვთქვათ, ლექსი, რომელსაც ჰქვია „დიაგონალი“:

*როცა იცი, რომ წინ აღარ უნდა*
*იყურებოდე*
*და არც უკან მიხედვაში დევს რაიმე*
*აზრი,*
*გვერდით კი უკვე არავინ გიდგას,*
*სწორედ მაშინ გაგახსენებს ეს*
*ცხოვრება,*
*რომ არსებობს დიაგონალიც.*

ხომ შეიძლება იფიქრო, რომ ეს შიშველი, ჩვეულებრივი აზრია და მეტი არაფერი. მაგრამ არა! ასე არ არის. ეს არის ბეწვის ხიდზე გავლა. ეს არის ის, რაც უნდა იყოს. რა ქმნის აქ პოეზიას? პარადოქსული აზრი, რიტმი, აზრის მდინარება და ფინალი ანუ ბოლო ფრაზა, რომელიც მოულოდნელად ანათებს მთელ ტექსტს. მნიშვნელობა აქვს სათაურსაც. ეს სათაური ხაზს უსვამს ლექსის ორაზროვნებას.

რითი განსხვავდება კონკრეტულად ეს ლექსი ძველი ლექსებისგან? იმით, რითაც ამ ციკლის სხვა ლექსები – სიტყვათა უკიდურესი შემჭიდროებით. ეს სიმჭიდროვე აფართოებს სივრცეს. სივრცე იტევს შინაარს ანუ იმას, რაც არ ითქმის, მაგრამ იგულისხმება. შოთა იათაშვილი ბუნებრივად და ძალდაუტანებლად მივიდა ქვეტექსტის ტექნიკამდე. „აისბერგის პრინციპი“ პოეზიაში მარადიულია. თუ ზუსტად აგნებ იმ სიტყვებს, რომლებიც გადმოსცემენ აზრს, სხვა სიტყვები აღარ გჭირდება.

ეს ლაკონიზმი ათავისუფლებს ლექსს აღწერითობისა და თხრობითობისაგან. რა თქმა უნდა, ლექსი თხრობითი და აღწერითი კომპონენტებისაგან ბოლომდე ვერ გათავისუფლდება, მაგრამ პროზაული ნარატივისგან უნდა გათავისუფლდეს. ასეთ დროს სულ მცირეოდენი სიტყვიერი წანაცვლებაა საჭირო და პროზა პოეზიად იქცევა. ეს კი უკვე ოსტატობაა, იმპულსური რხევით წარმოქმნილი ოსტატობა. ამ მცირედი წანაცვლების ტექნიკას სწორედაც რომ მცირედნი ფლობენ.

ერთხელ, მახსოვს, ერთი მხატვარი საუბრობდა მეორე, ძალიან საინტერესო მხატვარზე, საუბრობდა იმაზე, რომ დაესწრო ამ საინტერესო მხატვრის მუშაობის პროცესს და გაკვირვებული დარჩა. გაკვირვებული დარჩა იმით, რომ საინტერესო მხატვარი უცნაურად ავლებდა ხაზებს. როგორც ჩანს, მას ნამუშევარი უკვე ზედმიწევნით ზუსტად ჰქონდა წარმოდგენილი და თეთრი სიცარიელის სხვადასხვა ურთიერთდაპირისპირებული წერტილებიდან აჯვარედინებდა გადამკვეთ ხაზებს. ძალიან მალე სიცარიელი ამეტყველდა, რაც იმის დასტური იყო, რომ ყოველი ხაზი სწორად იყო გავლებული.

ასე არის შოთასთანაც. ეს სწორად გავლებული ხაზების წიგნია. ამიტომ ამ ლექსების მიღმა მოძრავი პოეტი ცოცხალია და მეტყველი.

დიანა ანფიმიადის ლექსების წიგნი „ჩრდილის ამოჭრა“ კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად ინდივიდუალურია პოეზიაში საიხლეთა ძიება. „სიახლეთა ძიებას“ ვუწოდებ, ისე კი, რეალურად, ეს ძიება საკუთარი თავის, საკუთარი ხმის ძიებაში დახარჯული დროა. დრო აქ შემთხვევით არ მიხსენებია, სწორედ დრომ უნდა გამოკვეთოს პიროვნების ცხოვრებისეული გამოცდილების ხარჯზე გამოვლენილი სახის კონტურები.

დიანა ანფიმიადის პიროვნულ-შემოქმედებითი სახე უკვე მკაფიოდ იკვეთება. მას აქვს თავისი ლექსიკა, თავისი სტროფიკა და სალექსო ტექნიკა. ეს ტექნიკა უკვე მისი ლექსის განუყოფელი ნაწილია. ის აღარ აღიქმება, როგორც გარეგანი კონსტრუირება, რაღაც ისეთი ფაქტორი, რაც შინაარსთან არ არის დაკავშირებული.

დიანა ანფიმიადი სათქმელს ძალდაუტანებლად ამბობს. არის რაღაც თამაშის

მსგავსი ელემენტი მის ლექსებში. თითქოს სწორედ სიტყვებით თამაში ითრევს და ასე შედის ლექსის სივრცეში. რაც შეეხება პროზაული ნაკადის შეჭრას პოეზიაში, ესეც შეუმჩნეველია მის ნაწარმოებებში, არსებობს, მაგრამ შეუმჩნეველია. პროზაულობა დიანა ანფიმიადთან ყველაზე მეტად თხრობაში ვლინდება. ის მეტწილად ამბის მთხრობელია. ეს ამბავი კი ორიოდე სიტყვით ვერ გადმოიცემა, გაშლას და ვრცელ თხრობას მოითხოვს.

იქნებ სწორედ ეს თხრობის ინტონაცია ანიჭებს მის ლექსებს ბუნებრიობას. იქნებ ეს ინტონაცია იკრებს ყველა სხვა კომპონენტს თავის ირგვლივ და ძალდაუტანებლობას და სიმსუბუქეს ანიჭებს ამ ნაწარმოებებს, რომელთა წარმომავლობა არცთუ ისე იოლი გასარკვევია. ყოველ შემთხვევაში, ღირს ამაზე დაფიქრება. დიანა ანფიმიადის წიგნი „ჩრდილის ამოჭრა“ ამგვარი ფიქრისთვის ნამდვილად განგვაწყობს.

ორიგინალურია ირაკლი კაკაბაძის წიგნი „სამწერტილები“. აქ სრულიად განსხვავებულია ე. წ. დიზაინიც და მასთან შეთანხმებული შინაარსიც. იაპონური სამყარო თავისი განწყობისმიერი და ფორმისმიერი თავისებურებებით. „თავისებურება“ აქ ძალზე ზოგადი სიტყვაა, უფრო ზუსტად და კონკრეტულად კი უნდა ითქვას სრულიად გარკვეული სახის ორიგინალობა, თვითმყოფადობა. აი, ვთქვათ, ასეთი ლექსი:

*შემომცქერიან უჯრებიდან*
*მიტოვებული მშობლებივით*
*ჩემი ლექსები...*

აქ არამარტო ლაკონიზმია, არამედ მახვილგონიერებაც, ამ ლექსში საყოველთაოდ ცნობილი ე. წ. „აისბერგის პრინციპია“ თვალშისაცემი. აქ არის პოეტისთვის ნიშნეული კრიზისის პერიოდი, როცა საკუთარი ლექსების მიმართ გაუცხოების გრძნობა ეუფლება ადამიანს. ის ამ ლექსებს, როგორც საკუთარ მშობლებს, ისე უყურებს და ეს შედარება უკვე მრავალმნიშვნელოვანია.

*ყივის მამალი*
*სოფელი დიდი ხნის*
*გაღვიძებულია*
*საკვამურებს ასცდა*
*კვამლი რძისფერი....*

ეს გრავიურაა, იაპონური გრავიურა, რომლის მკაფიოდ გამოხატული ნახატი ნაშუადღევის სურათს გვთავაზობს. თითქოს ეს სურათი ნაცნობია, მრავალგზის განმეორებული პეიზაჟი. მაგრამ არა! ამ პეიზაჟში არის ძველიც და ახალიც, აქ არის ჯანსაღი, ნათელი, სიცოცხლის ძალით შეძრული დღე, რომელიც კამკამებს და მარადიულობის შთაბეჭდილებას აღძრავს. ეს ნათელია, სიმბოლური აზრით დატვირთული ნათელი.

კატო ჯავახიშვილის „იავნანა კაცებისთვის“ მრავალფეროვანი წიგნია. ამ ლექსების მიღმა XXI საუკუნის ადამიანი დგას. მთავარი სწორედ ეს არის: თანამედროვე ადამიანი დღევანდელი ფიქრით, სწრაფვით, ყველა იმ სატკივრით, რაც დღევანდელ საქართველოში მაცხოვრებელ ადამიანს გააჩნია. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ფორმას შინაარსი ქმნის და ეს შინაარსი უნდა იყოს შთაგონებული დღევანდელი ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოხატვის მცდელობით. სხვაგვარად წარმოუდგენელია ცოცხალი წიგნის შექმნა, არადა, კატო ჯავახიშვილის წიგნი მართლაც ცოცხალი წიგნია. ამ სიცოცხლეს განაპირობებს მისი ლირიკული გმირის ფსიქოლოგია.

*მე ვფიქრობ ღამეულ ძიებებზე და*
*მე ვფიქრობ ყველა მიტოვებულ*
*ქალზე და*
*მე ვფიქრობ ყველა ლოდინით*
*გადაღლილზე და*
*მე ვფიქრობ ყველა გზააბნეულზე და*
*გზაში დაკარგულებზეც ვფიქრობ და*
*იმათზეც, ვინც საკუთარი თავი ვერ*
*დაიცვა,*
*ვერც შეიყვარა, ვერც დაიბრუნა.*

ლირიკული გმირის ფსიქოლოგიას ამ მონაკვეთში თანაგრძნობა ასაზრდოებს. აქ თანაგრძნობა ქმნის მის პიროვნულ სახეს. პოეტური ვნებათაღელვაც აქედან მოდის. პოეტი ფიქრობს ყველა იმ ადამიანზე, ვისაც უჭირს. ფაქტობრივად, პოეტი ცდილობს ისე წარმართოს თავისი პოეტური შთაგონება, რომ სხვაზე ფიქრი, ცხოვრების სირთულეებთან შეჭიდებული ადამიანების შემწეობით აღძრული გრძნობა იქცეს ლექსის დაწერის წინაპირობად. ცხადია, ამგვარი მიმართება საკუთარ შთაგონებასთან ცხოვრებისეული გამოცდილებით არის ნაკარნახევი. პოეტი ფიქრობს იმათზეც, ვინც საკუთარი „თავი ვერ დაიცვა, ვერ შეიყვარა, ვერ დაიბრუნა“. მრავალი რამ ემუქრება ადამიანს და, რა თქმა უნდა, შეიძლება თავი ვერ დაიცვას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც ვერ შეიყვარეს საკუთარი თავი.

აი, აქ უკვე თავს იჩენს სრულიად უცნაური, ფსიქოლოგიურად იშვიათი მდგომარეობა, როცა ადამიანი კარგავს თავის პიროვნულ საწყისს, კარგავს რწმენას, სასოებას, ღირსების გრძნობას. ეს ისეთი დანაკარგია, რომლის დაკარგვასაც ძნელია შეურიგდეს ადამიანი. არსებობს სხვაგვარი დანაკარგებიც. საკუთარი თავის დაკარგვა მრავალნაირი არსებობს, მაგრამ ყველა ერთი ნიშნით მჟღავნდება – საკუთარი პიროვნებისადმი გაუცხოების ნიშნით. ამგვარი გაუცხოება არანაირ სქემაში, არანაირ ფორმაში არ შეიძლება ჩაეტიოს. საერთოდ, კატო ჯავახიშვილი ადამიანის ისეთ სულიერ მდგომარეობას ეხება, რომელსაც ფორმულა ვერასდროს იტევს:

ყველა საბედისწერო შეხვედრაზე ვფიქრობ, რადგან
ხშირად ისეთი არაა, როგორი ფორმულაც
გამოვიყვანეთ და ხშირად ის სულ სხვა გზებს გვთავაზობს
მე ვფიქრობ ზუსტად ამ ფორმულებსაცდენილებზე,
საკუთარ თავებს კიდეც დაუშავეს,
საკუთარი თავები კიდეც არ დაინდეს,

საკუთარი თავები კიდეც დაკარგეს...“

მსჯელობა კატო ჯავახიშვილის პოეზიაში ზოგჯერ ინარჩუნებს თავის ბუნებრივ პოეტურ სახეს ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახეობრივი აზროვნების გაგრძელებაა ან კიდევ შიშველ მედიტაციად იქცევა და ასუსტებს მხატვრულ მუხტს. ბუნებრივია, ვრცელი ლექსის ყოველ მონაკვეთზე ლირიკული მუხტის შენარჩუნება ძნელია, აქ მხოლოდ სახეობრიობაზე არ არის საუბარი. არ უნდა დაიკარგოს ექსპრესია, შთაგონება, ენერგია, არ უნდა შეგვრჩეს ხელთ ჩვეულებრივი საუბარი, რომელსაც აღარ ექნება გადამდები ძალა. ამას, ვფიქრობ, ითვალისწინებს პოეტი, რაც ჩანს კიდეც.

დათო ქარდავას მოთხრობების წიგნს „ესავის ხელები“ ნინო სადღობელაშვილის აზრი ახლავს: „გროტესკი, რომლითაც დათო ქარდავას ნოველებია გაჯერებული, არამხოლოდ ახალისებს მკითხველს, არამედ უტოვებს სრულიად განსაკუთრებულ ფიქრს, სევდასაც და სწორედ ამის გამო თავი შეიძლება რამდენჯერმეც წაგაკითხოთ. კიდევ რა გამოარჩევს ამ კრებულს? – სინამდვილე, გაუყალბებელი ამბები, რომლებსაც, ცხადია, ავტორი იგონებს, მაგრამ „გამომგონებლობის“ასეთი ოსტატობით ხდებიან ისინი ნამდვილი და დასაჯერებელი“.

სავსებით ვეთანხმები გამოთქმული აზრის ავტორს. აი, ვთქვათ, დათო ქარდავას მოთხრობა „ამინდის კაცი“. ახალი ტიპის მედროვე ვასილ ჭარბაძე ძველი თაობის პროფესიონალს სანდრო გიგიაძეს ჩასჩიჩინებს: „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! ჩვენ უნდა შევქმნათ სინოპტიკოსის, ამინდის კაცის ახალი სახე... ამაში მედია-საშუალებები დაგვეხმარებიან“. ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტში მომუშავე ეს ორი კაცი თანამედროვე ბიუროკრატიულ ვითარებას გადმოგვცემს. მედროვე ჭარბაძე, რომელიც სულმო-

უთქმელად ლაპარაკობს და სხვას გონზე მოსვლას არ აცლის, ქმნის თეორიებს იმის თაობაზე, რომ თურმე ქვეყნის გამართულ მუშაობას სწორედ ამინდის კაცები, სინოპტიკოსები განაპირობებენ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ საზოგადოება არ იცნობს ამ ამინდის კაცებს, ფაქტობრივად, გმირებს და ეს საზოგადოების ბრალიც არის და თვითონ დეპარტამენტის თანამშრომლებისაც. ამ ნათქვამს ჭარბაძე მოაყოლებს შემდეგს: ერთ-ორ საათში რადიოდან ჟურნალისტი შემოივლის და შეკითხვებს დაგისვამს, შენ კი, ბატონო სანდრო, უნდა უპასუხო, ოღონდ არასტანდარტულად, რადგან დროა დავამსხვრიოთ სტერეოტიპებიო.

სანდრო, როგორც ავტორი გვატყობინებს, ყურადღებით უსმენდა ახალ უფროსს, თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა, მაგრამ რაღაც მაინც აშინებდა და აკრთობდა მთელ მის არსებას და ეს შიში, რა თქმა უნდა, არ ყოფილა უსაფუძვლო. კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი: ჭარბაძე თანამშრომლების შემცირებას აპირებს და საკუთარივე ხელით აწერინებს მათ განცხადებას. ისინიც, ცხვრებივით მორჩილნი, წერენ სამსახურიდან განთავისუფლების განცხადებას იმის ფარული იმედით, რომ თავმჯდომარე ბოლო წუთებში დაინდობს თითოეულ მათგანს, მაგრამ არა! ყველაფერი შეიძლება მოხდეს ამის გარდა. დანდობა, ცხადია, არ იქნება.

ნინო სადღობელაშვილის აზრი ეჭვშეუვალია – დათო ქარდავასთან აშკარად არის გროტესკი – ჭარბაძის პერსონაჟი აშკარად გროტესკული შტრიხებით არის დახატული. და ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ეს შტრიხები უაღრესად ცხოვრებისეულია და მეტყველი. კვლავ მოვიხმოთ ჭარბაძის გროტესკული სახისთვის გამოყენებული ერთი შტრიხი: „ჭარბაძე გულს გადაუხსნის თანამშრომლებს და ატყობინებს, რომ „სრულყოფილებამდე ბევრი უკლია, რომ მეტეოროლოგიაში არაფერი გაეგება, რომ პროფესიით მენეჯერია და ეკონომიკის თეორიას სწავლობდა იელისა და ბაზელის უნივერსიტეტებში, ხოლო მარკეტინგს, სოციალურ მეცნიერებებსა და მართვის ტექნოლოგიებს – ბუდაპეშტის, ცენტრალური ევროპისა და ქალაქ ბოხუმის რურის უნივერსიტეტებში. ისიც უნდა ითქვას, რომ მეტეოროლოგიაზე მისი წარმოდგენა ძირითადად ტელევიზორიდან მიღებულ ინფორმაციას ემყარება“.

ვფიქრობ, აქ ყველაფერია ნათქვამი. გროტესკი ბოლომდე ისხამს ხორცს და სრული სახით წარმოგვიდგება. ჭარბაძე მენეჯერია და მეტეოროლოგიისა არაფერი გაეგება, არადა, თანამშრომლებს, ძველ მეტეოროლოგებს, თანმიმდევრობით ათავისუფლებს სამსახურიდან.

# ვლადიმერ მაიაკოვსკი



*კომუნისტური იმპერიის ბანკებში შეტანილმა მაიაკოვსკის „პოეტურმა ანაბრებმა“ რომ თავი გაიუფასურა, ამ დროს სამზეოზე ამოსვლა დაიწყო „უძრავმა კაპიტალმა“ – პოეტის ჭეშმარიტმა ლირიკამ... სწორედ რომ ჭეშმარიტი ლირიკის კუთვნილებად მიგვაჩნია ქართულად დღემდე ჯერ კიდევ ნაკლებად გახმაურებული ეს ლექსები.*

## ხაკისფერი ხალათი

შავ შარვალს შევკერავ
ჩემი ხმის ხავერდით,
ხაკისფერ ხალათის მასალად ჩამოვჭრი
სამ არშინს დაისზე... ნევაზე გავედი –
დონჟუანი მდედრების რემაში გამოვჩნდი.

დე, მიწამ იყვიროს, სიმშვიდე დამფრთხალი
ატროვებს ბუნებას – მეც არანაკლებად
თავხედად გავკილე მზის ბოლო ფართხალი,
პრიალა ასფალტზე ვაბიჯებ – ღამდება.

ზეცა რო ლურჯია, ამაზე ვინ დავობს
ან მიწა რომ მიყვარს – ვის უნდა ავუხსნა;
მე ლექსებს გაჩუქებთ – მხიარულ „ბი-ბა-ბოს“
და მახვილს – დუმილს რომ კბილები გაუხსნათ.
ქალებო, სად მეძებთ, მე აქ ვარ, მოვედი,
ზოგ თქვენგანს ხო, მჯერა, დის გრძნობაც განაზებთ,
ღიმილებს, თქვენ ნასროლ ღიმილებს, პოეტი
ვარდებად დავიბნევ ხაკისფერ ხალათზე.

## ᲚᲘᲚᲘᲩᲙᲐ!

*წერილის მაგიერ*

თამბაქოს ბოლი ამძიმებს ფარდებს,
ოთახი –
ტანზე კრუჩენიხის წყვდიადის მოცმა,
მახსოვს –
პირველად მიგიყვანე
სარკმელთან აქ მე
და მერე ხელზე გაშმაგებით დაგიწყე კოცნა.

დღეს ზიხარ კუშტად –
რკინის გული სითბოთი ვერ ძგერს,
ვიცი, საცაა გამომაგდებ,
ლანძღვაც მეყოფა,
წინა კარებთან მოცახცახე დიდხანს ვერ შევძლებ
პიჯაკის მჩატე სახელოში ხელის შეყოფას.

გამოვვარდები
და ჩემს სხეულს დავაგდებ გზაზე,
დავკარგავ ჭკუას
მე ველური – უფსკრულის კერძი;
არა, არ გვინდა ეს, ძვირფასო,
ნუ ვიზამთ ასე,
მშვიდად დავშორდეთ
დღეს ერთმანეთს – ამასაც შევძლებთ,

ეს სიყვარული,
სულ ერთია,
ტვირთია შენთვის,
თავს ვერ დაიძვრენ, ნუ გარბიხარ –
წაგყვება ყველგან;
ხმის დაკარგვამდე ვიღრიალებ,
რაც სიტყვით ვერ ვთქვი
და ამოვანთხევ საყვედურებს,
გულში რომ ფეთქავს,

ხარი რო შრომით დაიქანცება,
ტბორებს დაეძებს –
ჩაწვება და შვებას ნახულობს,
შენს გარდა არ მაქვს სხვა გასაქცევი
და შენს სიყვარულს
ტირილითაც ვერ ვიმსახურებ.

ბებერი სპილოც თვალს მოატყუებს,
ვარვარა მზის ქვეშ
ცხელ ქვიშაზე გაიშოტება,
შენ გარდა სხვა მზე
მე არ მაბრუებს,
მაგრამ არ ვიცი,
ვისთან ხარ და მიწევს გოდება.

ბევრი პოეტი
ამ წამებას გვერდს აუვლიდა
და საყვარელ ქალს დიდებაზე,
ფულზე გაცვლიდა.
მე კი არ მჯერა,
შენ გარეშე შვება თუ არის,
რომც არსებობდეს – მაინც არ მინდა.

უარი – ხრამში გადაჩეხვას,
შხამსაც – ასევე
და საფეთქელთან რევოლვერის
სასხლეტს უარი;
შენ, შენ მბრძანებლობ მხოლოდ ჩემზე
და თვალს ასველებ,
სხვა იარაღის შიში
ცრუ არის.

ხვალ დაივიწყებ,
რომ გვირგვინი თავად დამადგი,
ავარვარებულ სიყვარულის ფერფლად დამტოვე;
ატაცებული კარნავალის დღეთა ნავარდი
ჩაანაკუწებს ჩემს წიგნებში ჩემს სიმარტოვეს,

ჩემი სიტყვების მშრალი ფოთლები
გიმძიმებს სუნთქვას ? –
ჩერდები და ზეცას შეჰყურებ;
და ფურცელ-ფურცელ
გიახლოვდები
და ვეფინები შენს ნაფეხურებს.

## ფრაგმენტები

I

ვუყვარვარ? არა? – ვემკითხავები ჩემ თავს
და ვიმტვრევ თითებს და იქით-აქეთ ვისვრი;
და მიხაკები მაისის თვეში თენთავს
ვარდის გვირგვინებს შეტბორებულებს ნისლით.
მინდა, ჭაღარა აღმოაჩინოს ჩემი
დალაქის ხელმა – დგას საამისო ჟამი;
ვინ მომაშავებს ახლა ამნაირ ზეიმს
და საორჭოფო გონიერების ამინდს.

II

უკვე ღამის ორია, დაწექი და იძინებ,
ცაში ირმის ნახტომი ვერცხლისფერი თვალია;
მე შენ არ შეგაშინებ ტელეგრაფის ციმციმით –
შენი გამოღვიძება ცოდვაა და ბრალია.
„ინციდენტი დამთავრდა“ – ამ დროს ასე იტყვიან,
ნავი შეყვარებულთა უკვე დამსხვრეულია;
ანგარიში გასწორდა, შუბლზე სიმწრის ხვითქია
და წუხილის ყულაბა მოტირალი გულია.
გინდა ახლა, სამყაროს დუმილს ყური ათხოვო,
ღამე ცაზე ვარსკვლავებს მიჯრით ჩამოარიგებს;
ძილ-ბურანშიც საუბრობ და სიტყვით იახლოვებ,
ჩავლილ საუკუნეებს და მტვერწაყრილ თარიღებს.

III

ვიცი სიტყვების ძალა, სიტყვის ნობათს მივყვები,
ამ სიტყვებს ვერ ეკარება ახლო ლოჟების ტაში;
მუხის კუბოებს მოთხრიან ხშირად ასეთი სიტყვები
და მერე მუხის ფეხებით დააბიჯებენ ხალხში.
ხანდახან იჭვით უმზერენ გამომცემელი მამები,
მაგრამ არც ამას შეიმჩნევს, თავს აამგზავრებს მითებს;
გადაიტანა რამდენი გაუსაძლისი წამები –
კვლავ პოეზიას ულოკავს მაზოლებიან თითებს.
დროდადრო მართლა აკლდება ძალა და უფერულდება
და ჩამოვარდნილ ფოთოლად ფეხში გასრესა ელის,
მაგრამ კვლავ უნარჩუნდება თავდაპირველი უფლება
ადამიანის ტუჩებით, სულით, სხეულით, ხელით.

## წერილი ამხანაგ კასტროვს, პარიზიდან სიყვარულის არსზე

უნდა მაპატიოთ,
ამხანაგო კასტროვ,
ჩვეული
გულუხვობით,
თუ რამე გეწყინა,
რომ, ნაწილ სტრიქონებს,
პარიზისთვის
გავხარჯე რაც რო,
ხელახლა
ლირიკას შევწირავ.
წარმოიდგინეთ,
შემოდის ქალი
ლამაზი
და დარბაზს
ჟრჟოლამ დაუარა;
ხმა დავიმორჩილე
და მშვიდად ვუთხარი –
არ ვიცი,
სწორად ვუთხარი თუ არა:
– მე, ამხანაგო,
რუსეთიდან ვარ
და ჩემს
ქვეყანაში მიცნობენ ძალიან,
შენზე უკეთესი
მინახავს სხვაც,
შენზე უკეთესი
რამდენი ქალია.
გოგონებს
პოეტები უყვართ –
ხმაში რო
სათქმელი
დაივანებს,
მე მხოლოდ
კბილებში
გამოვცრი სიტყვას –
შენ მხოლოდ
მოსმენა დაივალე.
ვერა, ვერ წამისწრებ
უკეთურ საქმეზე,
და უხამს გრძნობებზე... –
არა ვარ ჩვეული;
მე გულში
იმხელა

ტრფიალი დავთესე,
რომ ფეხებს ვამძიმებ
ჩემივე სხეულით.
არ მჯერა ქორწილის –
მეუღლე მეუღლეს
გადაიყვარებს და
გაცურავს ნისიად,
სადაც რო
წავასწრებ,
შევუღრენ –
ამგვარი გვირგვინი
ნაფურთხის ღირსია.
წვრილმანებს მივსდიოთ,
აღარ ღირს,
ხუმრობა მხარს უკან დავტოვოთ,
მეოთხე ათეულში
გადავდგი
ფეხი და
დამეტყო, ბატონო.
სიყვარული არაა –
რო დუღდე წყალივით,
არც ნაკვერჩხალივით
დაწვაა,
სიყვარული მთებია
და მთებს რო აივლი
შენს თავზე ასეთ დროს
სხვა ცაა.
გიყვარდეს –
ეს ნიშნავს,
რომ უცხო ეზოში
შევარდი
და გვიან ღამემდე,
პრიალა ნაჯახით
ხის ჩეხვას შემორჩი –
შენივე კუნთების
ვარჯიშით გაერთე.
გიყვარდეს –
ეს ნიშნავს
დახიო უძილომ
ზეწარი
და ეჭვით
გადაწვდე კოპერნიკს,
და არა
ამ ქალის
მეუღლეს უმზირო

მეტოქის თვალებით
          და გახდე მგმობელი.
ჩვენთვის სიყვარული
          არაა სამოთხე,
არც ფუფუნებაა – ხმაურის ზვავია,
გვეძახის დაღლილებს,
          ხელახლა წამოვდგეთ,
გულები ასეთ დროს
          ჩამქრალი ძრავია.
პარიზი... მოსკოვთან გამწყდარი კავშირი –
მიზეზის გარკვევა
          ძნელია:
გვაშორებს ფიქრი და
          მანძილი,
აგერ ჰე,
          რამდენი წელია.
ხანძარმა თავისი
          სიმაღლე გვაჩვენა, –
ცას, ვარსკვლავებიანს
          თვალებით მოვები;
არ დამბედებოდა
          პოეტად გაჩენა,
მე ვარსკვლავთმრიცხველად
          თავს დაგახსომებდით.
ქუჩების ხმაური ჯამდება, –
          ტრანსპორტი მოძრაობს მზერაში,
დრო გამყავს,
          დავდივარ, ღამდება,
დრო გამყავს ლექსების წერაში.
შეხედეთ ავტოებს,
          დარბიან,
არ ელით დაცემა მიწაზე,
ესმით ამ ჭკვიანებს –
          ხარბია
კაცები –
          აზარტი იტაცებთ.
იდეამ მოპირა
          და ხილვამ მოპირა
და ფიქრის
          სამყარო
                    გაივსო ჭერამდე,
დათვიც რო გამოჩნდეს
          აქ ახლა ბობლინა,
მწამს ისიც
          მიბაძავს შევარდენს.

და აჰა,
ღარიბულ ბარამდეც მივიდა
ამგვარი სიმდიდრე
და იწყებს ნათებას;
ასეთ დროს
ნავარდით
ამოდის პირიდან
სიტყვა და კომეტად ცას მიემატება.
და კუდით
მესამედს დაეტყო დამღად,
ხანძრად რო ელვარებს,
იმისი თმებია;
იასამანის თალარიდან
წყვილები ახლა
ამ სასწაულის
მოწმე ხდებიან:
აწია,
წაუძლვა, შესძინა ძალა,
ვისაც რომ,
ესაა,
სისუსტემ დარია
ხელი და დუშმანის
გაგორდა ქალაც –
მზეზე რო ელვარებს
კომეტა – ხმალია.
გულს ვუსმენ
ასეთ დროს
დამფრთხალს,
მწუხარეს უფრორე
და ცოტა მხიარულს,
ვუსმინო სიყვარულს –
მზად ვარ,
უბრალოს
და ადამიანურს.
ესეც ქარიშხალი,
ხანძარი,
წყალი,
აწვება ნაპირებს
და ანგრევს მიჯნებს,
აპირებთ
ალუდგეთ ძალით? –
მობრძანდით,
სინჯეთ!

*თარგმნეს* ***ზაალ ებანოიძემ*** *და*
***კონსტანტინე კიკნაძემ***



# ლეონარდო შაშა

## დამხობა

როგორც ყოველთვის, სახლში ზუსტად რვაზე დაბრუნდა. ბანქოს მორიგი ხელისას ორასი ლირა წააგო.

მოთამაშეები დაწყვილდნენ. მას მეწყვილედ ნიკოლა სპიტალე შეხვდა, რომელიც ბანქოს ყველა სხვა სახეობაში ჩემპიონი იყო, განსაკუთრებით კი კუარანტაში[1], მაგრამ პერდივინჩიში[2] შეეძლოთ მისთვის საბანი ამოეგოთ და შუქიც ჩაექროთ, რადგანაც, როგორც თვითონ ამბობდა, იმ თამაშის დროს ძილი საშინლად ეკიდებოდა – თვალები ებინდებოდა, კარტს ცარიელი და შორეული მზერით დასცქეროდა.

ორად ორი თამაშია, რომელიც არ მომწონს, ხალისი მეკარგება და მათზე უარს ვამბობ. მას კი, პერდივინჩიში ლამისაა ფეხზე ჩამოეძინოს. ძალიან ცუდად თამაშობს და მაინც არც ერთხელ არ უთქვამს უარი. მიკელე ტრიკოს ორი საათის განმავლობაში დაგროვილი ბოლმა ახრჩობდა, მიდიოდა და ფიქრობდა თავის მეგობარ ნიკოლაზე; ისე იყო ამ ფიქრებში გართული, რომ თავიდან ვერც კი შენიშნა ის სიბნელე და სიჩუმე, სახლში რომ დახვდა. შედიოდა და თან ყველგან შუქს ანთებდა. მხოლოდ ბოლოს, სამზარეულოშიღა შეამჩნია, რომ თავისი ცოლი შინ არ იყო.

– ფილომენა! – ერთი დაიძახა და საძინებელი ოთახიდან რაღაც ყრუ ხმა, შემოესმა. მერე შიგ შევიდა. საწოლის ქვემოდან კვლავ გაიგო ფაჩუნი.

„აქ ხომ არ შეძვრა, ნეტა?! – გაუკვირდა მიკელეს. გადასაფარებლის კიდე ასწია; კატა იყო. მანაც საცოდავად დაიკნავლა – მშიერივით.

„სად წავიდოდა?... მერე ამ დროს... დედამისთან ხომ არ დაუძახეს?!“ – და წარმოიდგინა, როგორ იწვა სასიკვდილო სარეცელზე თავისი სიდედრი, ეს ჯანმაგარი ბებერი, ანჩხლი და შხამიანი ენის პატრონი, საშინლად კერპი და ჭირვეული... უკვე დროც იყო.

„ერთი, ვნახო“ – გადაწყვიტა მიკელემ. შებრუნდა, შუქი ყველგან ჩააქრო, კიბეც ჩაიარა, კარიც ორჯერ გადაკეტა.

„კარგი რომ არაფერი მელის, ნამდვილად ვიცი, გაციებასთან ერთად ეს უძილობაღა მაკლდა“ – და მიკელე სოფლის მეორე ბოლოში, სიდედრის სახლისკენ გაეშურა.

ბებერი მშვენივრად იყო, ყვავივით ცოცხლად გამოიყურებოდა: წვრილი

---

[1,2] ბანქოს თამაშის სახეობები.

თვალები უელავდა, ნისკარტიც მზად ჰქონდა. მიკელეს კარი გაუღო თუ არა, იქვე, ბაქანზე დარჩა, კიბეზე ამოსვლა არც დააცადა, იქედან იკითხა მისი მისვლის მიზეზი.

– ფილომენა აქ არის?

– არა! – თქვა ქალმა. – კარი მაგრად გაიხურე, არ იკეტება! – მოუჭრა მოკლედ.

– სახლში არ არის: სად იქნება, სად ვეძებო? – არ მოეშვა მიკელე.

– ეკლესიაში ნახე! – თქვა ბებერმა, თან შებრუნდა და შუქიც ჩააქრო.

– ეკლესიაში? რა უნდა ეკლესიაში ამ დროს? რა უნდა ხდებოდეს ეკლესიაში ღამის ცხრა საათზე? – მიკელემ კარი ისე გაიჯახუნა, კინაღამ ჩამოაგდო.

წმინდა ფილომენას სახელობის ეკლესია მისი სახლიდან სულ ორ ნაბიჯში იყო, მას კი მთელი სოფელი უნდა გამოევლო სიდედრთან რომ მისულიყო, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, როგორ აწვებოდა თავში სისხლი მის ყოველ დანახვაზე.

„იმას ვუჩვენებ სეირს, სიცოცხლის ბოლომდე ეკლესიაში წასვლა რომ აღარ მოუნდეს!“.

ეკლესიის წინ ხალხი ჯგუფად იდგა.

„რამე დღესასწაული ხომ არ არის ნეტა, რამე ახალი ღვთისმსახურება ხომ არ შემოიღეს ან ღამის მესა; აღარ იციან კიდევ რა მოიგონონ“.



ახლოს როცა მივიდა, კარაბინიერებიც შენიშნა.

„რაღაც დიდი დღესასწაული უნდა იყოს, ვინ იცის?! არქიეპისკოპოსიც მოსულია“.

– ტრიკო! – შემოესმა ამ დროს. ბრიგადირი იყო.

– დიახ! – გამოეპასუხა გალიზიანებული ტრიკო და მზად იყო, თავისი ჯავრი ბრიგადირზეც კი ეყარა.

– თქვენც ამ რევოლუციაში იღებთ მონაწილეობას, არა? წმინდა ფილომენას იცავთ?“ – ჰკითხა მუქარანარევი ირონიით ბრიგადირმა.

– რა რევოლუცია? რა წმინდა ფილომენა?

– რა, არაფერი იცით, ხომ? – თქვა ბრიგადირმა ირონიულად, მუქარით, ეჭვით.

– საერთოდ არაფერი, – თქვა ტრიკომ და ისეთი გულწრფელი ჩანდა, რომ ბრიგადირს ეჭვი მაშინვე გაუქრა.

– ეკლესიაში ქალები არიან, – თქვა მან – არ უნდათ გამოსვლა, ეშინიათ, რომ საკურთხევლიდან წმინდა ფილომენას ქანდაკებას ჩამოდგამენ. იმუქრებიან, იქამდე არ გამოვალთ, სანამ არქიეპისკოპოსი არ დაიფიცებს, რომ ქანდაკება თავის ადგილზე დარჩებაო.

– აი, თურმე, რა ხდება. ეს წმინდა ფილომენას ამბავი უკვე კარგა ხანია გრძელდება, მაგრამ მღვდლებს ამის უფლებას ვინ მისცემს? ეკლესიაა და წმინდა ფილომენას სახელობისაა, სოფელია და ფილომენებითაა სავსე, დღესასწაულია, და ისიც წმინდა ფილომენასთვისაა, თანაც ერთი კვირა გრძელდება: ბაზრობაო, მსვლელობაო, ცხენოსნების ტურნირიო, როგორც ერთ დროს, მაშხალების ისეთი ბათქაბუთქია, სახლები ზანზარებენ, თაფლიან ტკბილეულსაც აცხობენ და უცებ ეს ბრძანება, რომ წმინდა ფილომენა არც კი არსებულა, თურმე.

– წავალ და ჩემს ცოლს წამოვიყვან. – უთხრა მიკელემ ბრიგადირს.

– აბა, სცადეთ, იქნებ გამოგივიდეთ რამე... ნეტავ,

ყველა მათგანის ქმარი მოვიდოდეს და სათითაოდ წაიყვანდეს ამათ სახლებში... ეს სერიოზული ამბავია, ჩემო მიკელე, – თქვა ბრიგადირმა. მერე მეკავშირესავით, მეგობრულად გაუღიმა. ეგონა, რომ ქალების ამ პროტესტში კომუნისტებიც იყვნენ გარეული, სწორედ იმ დილას ჩამოაღებინა აბრა, რომელიც გარიბალდის ქანდაკების ფეხებთან დაედო ვიღაცას. უზარმაზარი წითელი და შავი ასოებით ეწერა: "Martylogium Romanum: Apud Septempedanos, in Piceno, sanctae Philomenenae Virginis". ყოველი ასო მტკაველის სიგრძე იყო. ეს აბრა ადრეც ენახა, მაგრამ ეკლესიის ეგონა – მესის შეხსენება ან კიდევ მკრეხელობის წინააღმდეგ წამოწყებული რაიმე მოძრაობა. ისიც კი ეგონა, ეს უცნაური ადგილი, გარიბალდის ფეხებთან, სწორედ არქიეპისკოპოსის ახირებააო, მაგრამ სწორედ არქიეპისკოპოსმა დაურეკა დილის თერთმეტი საათისთვის, რაც ფრიად უჩვეულო რამ იყო და გაანდო ბრიგადირს, რომ არმიის ეკლესიასთან კავშირზეც გასჩენოდა ეჭვი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა, თუმცა ბრიგადირმა იმაზე მიანიშნა, რომ არმიაში – მეთაურიდან მოყოლებული – არც ლათინური იცოდა ვინმემ და არც ის ამბები, რაც სანტა ფილომენას ეხებოდა. აბრა მაინც ჩამოიღეს, ხოლო მისი ავტორობა, არქიეპისკოპოსმაც და ბრიგადირმაც, ურთიერთშეთანხმებით, უკვე კომუნისტებს მიაწერეს, თუმცა ამ ბოლო შემთხვევის შემდეგ ბრიგადირმა შვებით ამოისუნთქა: ფედერტერას[1] მდივანმა – მიკელე ტრიკომ, როგორც ჩანდა, მართლაც არაფერი იცოდა მიმდინარე ამბებზე.

მიკელე ეკლესიაში შევიდა – თუ ამას შესვლა ერქვა; კარს როგორც კი გასცდა, მაშინვე კამბალასავით კედელზე ააკრეს.

„ღმერთო, ნუთუ ამდენი ქალია სოფელში?"

ქალების და ბავშვების ამ აურზაურში თავისი ცოლი როგორ უნდა ეპოვა? თანაც ეკლესიაში თითქმის სრული სიბნელე იყო: მხოლოდ საკურთხეველთან დანთებული რამდენიმე სანთელი და ზეთის ლამპარი ბჟუტავდა Via Crucis-თან[2]. ეს კარგი აზრი მოსვლიათ ბრიგადირს თუ არქიეპისკოპოსს, შუქი რომ გამოურთავთ და საწყალი კაცი ცოლის წასაყვანად რომ მოვა, თავისი ფარნით უნდა იყოს შეიარაღებული. თითქოს სიბნელე საკმარისი არ იყო, ამას თან ერთვოდა ძუძუთა ბავშვების ტირილი, სველი ტანსაცმლის, მჭახე ოფლისა და ბალახის სუნი.

„ახლა კი წავედი, ერთ ლუკმას სადმე გზაზე გადავყლაპავ და მერე – სახლში, საწოლში... ის კი, შიმშილი რომ შეაწუხებს და ძილი მოუნდება, მოვა, აბა, სად წავა. აი, მაშინ კი ვუჩვენებ..." – მაგრამ ბრაზი მოერია; მისი ცოლი, მაინცდამაინც მისი ცოლი იყო გარეული ამ პროტესტში სანტა ფილომენას დასაცავად.

წინ გაძვრა.

– გამატარეთ, ღმერთო ჩემო! – მისმა შეძახილმა ისეთი განცვიფრება და შიში გამოიწვია, რომ მის ირგვლივ ადგილი გამოთავისუფლდა და მიკელეს წინ წაწევის საშუალება მიეცა. სველი სახეები მორევის კედლებივით იწეოდა აქეთ-იქით. მათ შორის ერთი ნაცნობი შენიშნა – თავისი ძმისშვილი ფილომენა, რომელსაც მკერდზე ბავშვი აეკრა.

– ფილომენა სად არის? – ჰკითხა მას.

– წინ, ქოროსკენ.

„მაინცდამაინც წინ, პირველ რიგში გამოიჭიმა", – გაიფიქრა – „თითქოს თეატრში იყოს". – მერე ძმისშვილს მიუბრუნდა – გაიყვანე გარეთ ბავშვი, ვერ ხედავ, რომ სული ეხუთება?

მის სიტყვებს ქალებმა უსიამოვნო ჩურჩულით უპასუხეს. მისი ძმისშვილი კი არც განძრეულა.

მიკელემ გაჭირვებით გაიკვლია გზა ქოროსკენ. მოაჯირთან როცა მიაღწია,

[1] მიწის მშრომელთა გაერთიანება.
[2] მაცხოვრის გოლგოთისკენ მიმავალი გზაზე თოთხმეტი გაჩერება.

იქ ცოტა შეისვენა, ქანცგაცლილი ზედ მიეყუდა. ზემოდან წმინდა ფილომენა დასცქეროდა: ისეთი მზერა ჰქონდა, ქანდაკებებს რომ აქვთ ხოლმე – საითაც არ უნდა გაიწიო, მაინც შენ რომ გიყურებენ, მაგრამ თბილად, ტკბილად. ისე არა, როგორც მამაზეციერი მონრეალის ტაძარში – გიყურებს და ადგილზე გაქვავებს.

„აღარ არის სანტა ფილომენა და არც არასდროს ყოფილა!“ – ამ აზრით წერტილი დაუსვა გულის სიღრმიდან მომდინარე რაღაც ბავშვურ გრძნობას – ღვთისმოწიწებას, შიშს; საკურთხეველთან ზურგით შებრუნდა და პირველ რიგებს დააკვირდა. თავის ცოლს ვერ ხედავდა. სანთლის შუქის ძუნწ და მოციმციმე სინათლეზე თვალის გუგებში სახეები აუთამაშდნენ. ორპირი ქარი უბერავდა (ვინ იცის, იქნებ ესეც არქიეპისკოპოსის სტრატეგიის ნაწილი იყო) და სანთლების ალი ისე ბჟუტავდა, ეს-ესაა ჩაქრებაო; ქარის ტალღა კი ტანსაცმელსა და სხეულს შორის აღწევდა. ტანზე ოფლი იყინებოდა.



უცბად თავისი ცოლიც შენიშნა, სახეზე მგლოვიარესავით შავი თავსაფარი შემოეხვია და შიშჩამდგარი თვალებით მას მისჩერებოდა.

„ეგონა, რომ ვერ დავინახავდი“. – მიკელე მას მიუახლოვდა, ბრაზი ახრჩობდა, მაგრამ გარეგნულად სრულიად მშვიდი ჩანდა.

– სახლში წავიდეთ! – თქვა მან.

– არ შემიძლია. – უპასუხა ფილომენამ – აქ დავრჩები, სანამ არქიეპისკოპოსი არ დაიფიცებს, რომ წმინდა ფილომენა საკურთხეველზე დარჩება.

– წავედით-მეთქი, გეუბნები!

– არ მოვდივარ!

– აჰა, არ მოდიხარ?.. – თქვა მიკელემ. მის ტონში მუქარა კი იგრძნობოდა, მაგრამ სინამდვილეში არ იცოდა, რა ექნა. ისეთ სიტუაციაში იყო მიმწყვდეული, საიდანაც, გამოსავლის ძიებაში, ძნელია დრამასა და ფარსს შორის არჩევანის გაკეთება. ცოლის ამგვარი აჯანყება სამყაროს მისეულ ხედვაში ღრმა უფსკრულს აჩენდა; იმ ხედვაში, რომელშიც ორივე მოხვდა: მაიორი გერმან ტიტოვი, რომელმაც დედამიწის ორბიტას შემოუფრინა და აწ განსვენებული მიკელე ტრიკოც, რომელიც 1929 წელს გარდაიცვალა ოთხმოცდაათი წლის ასაკში; პაპის არა მარტო სახელს ატარებდა მისი შვილიშვილი, არამედ, ზოგადად, წარმოდგენებს ქალების შესახებ და კონკრეტულად კი ცოლებზე, რომელსაც თავად პაპა, გარიბალდის კონკორდატთან გადმოსვლის პერიოდიდან ისე მკაცრად იცავდა, რომ ამის შესახებ ნათელი მოგონება დაუტოვა არა მხოლოდ ოჯახს, არამედ მთელ სოფელს. მოხუცი ხშირად ამბობდა, რომ ქალები მხოლოდ ერთ რამეში იყვნენ კარგები. მართალია, ის ერთი რამ თავად უკვე აღარ შეეძლო, შვილიშვილმა კი არც იცოდა, რა იყო ის ერთი რამ; სადმე ახლომახლო თამაშობდა და სულ მზად იყო პაპამისისთვის ჩიბუხი დაეტენა ან ერთი ჭიქა წყალი მიეტანა.

– არ მოვდივარ! – თქვა ისევ ფილომენამ.

– დედაშენი... – თქვა მიკელემ. უცებ მოიფიქრა, პატარა ტყუილი ეთქვა, რომლითაც ერთდროულად იძიებდა შურს სიდედრზეც, ასე რომ ექცეოდა და ცოლზეც, ამ აჯანყების გამო.

– დედაჩემი რა? – შეშფოთდა ფილომენა.

– არაფერი, – თქვა მიკელემ და თავი ისე უხერხულად მოაჩვენა, თითქოს ცუდი ამბავი აქვს და არ უნდა ერთბაშად მიახალოს, ფრთხილობს.

– არა, არაფერი...

– რა მოხდა? – თითქმის დაიყვირა ფილომენამ და ერთბაშად წამოხტა.

– არაფერი, ხომ გითხარი... ისე, შეგიძლია დარჩე, იქ უკვე ექიმიც არის და მღვდელიც...

– ექიმი? მღვდელი?.. ესე იგი მძიმედ არის?

– პატარა ინსულტია, უბრალოდ სიტყვა წაერთვა, – და გაიფიქრა: – ნეტავ მართალი იყოს!

ფილომენა გვერდით მსხდომ ქალებს მიუბრუნდა და მათ მიმართა:

– გაიგეთ? დედაჩემს ინსულტი აქვს, უნდა წავიდე!..

რიგი გადაკვეთა – წავიდეთ! – უთხრა ქმარს, მერე წმინდა ფილომენასკენ შებრუნდა და პირჯვარი გადაიწერა, პატიება სთხოვა, სანამ ისევ გზას განაგრძობდა.

მიკელემ კვლავ წმინდანს შეხედა: თეთრი ტუნიკა, ოქროს სარტყელი, ხელში პალმის მწვანე ტოტი.

„Qui vadis[1] გამოცხადება გეგონება“.

გამოსვლა უფრო ადვილი აღმოჩნდა; მიკელეს ცოლი მიდიოდა და თან თავს იმართლებდა;

– დედაჩემს ინსულტი აქვს, უნდა გავიქცე... – ქალები კი თანაგრძნობით უთმობდნენ გზას. სანამ კართან მივიდოდნენ, მიკელე ისევ შეჩერდა, რომ უკანასკნელად გაეფრთხილებინა თავისი ძმისშვილი ფილომენა, რომელიც ისევ იქ იდგა, მოტირალ ბავშვს არწევდა და თან იავნანას დასჩურჩულებდა.

– ღმერთო, მაღალო! წმინდა ფილომენას სადიდებლად ეს ბავშვი აქ მოგიკვდება, – უთხრა მოურიდებლად და ამით იქ მყოფთა საშინელი აღშფოთება გამოიწვია.

– შე წყეულო! – დაუყვირეს მას ქალებმა.

– წყეულნი თქვენ ხართ, თქვენ, პაპის წინააღმდეგ რომ მიდიხართ! – დაიყვირა მიკელემ და მაშინვე ცოლს მიჰყვა – კარში გაუჩინარდა. ეკლესიის ზღურბლზე სულის მოსათქმელად შეჩერდა, ოფლში იწურებოდა და ყურები ეწვოდა.

– გილოცავთ! – თქვა ბრიგადირმა, – მოგიხერხებიათ.

– კი, მოვახერხე – თქვა მიკელემ, მაგრამ ნამდვილი ჯოჯოხეთია... მხოლოდ ერთი გამოსავალია, თავიანთ წვენში მოიხარშონ...

– ჰო, მეც მასე ვფიქრობ, მაგრამ ბრძანებებს დაველოდები... ვნახოთ.

– აბა, წარმატებებს გისურვებთ, – დაემშვიდობა მიკელე ბრიგადირს.

– წავედით, დროზე! – სული ეყრებოდა ფილომენას.

– რა, ახლა აჩქარდი ხომ? – იკითხა მიკელემ და ისე მისდევდა უკან ფილომენას, თითქოს სასეირნოდ იყო გამოსული.

– რა თქმა უნდა, დედაჩემი...

– ისე, რატომ არ წამოიყვანე? ისიც გაიფიცებოდა წმინდა ფილომენასათვის... იქნებ მართლაც დამართნოდა ინსულტი იმ სიცხეში...

– ესე იგი მომატყუე?

– რა, რომ სისხლი ჩაექცა? რა თქმა უნდა. ასე იმიტომ ვიფიქრე, რომ ზუსტად ეკლესიაში მოსვლამდე ვნახე და ჩემზე უკეთესად გრძნობდა თავს.

– გინდა რომ მოკვდეს, ხომ? საცოდავი მოხუცი... და... რა დაგიშავა? – ტირილნარევი ხმით ჰკითხა ფილომენამ.

– შენ ჩემზე უკეთ იცი, რაც დამიშავა, მაგრამ ახლა სხვა რამეზე უნდა ვილაპარაკოთ. იმაზე უნდა ვილაპარაკოთ,

[1] გადმოცემის მიხედვით, წმ. პეტრეს, მას შემდეგ რაც მემარტინოს ციხიდან გაიქცა და რომი დატოვა, ქრისტე გამოეცხადა, „Domine, quo vadis? – სად მიდიხარო, ჰკითხა წმ. პეტრემ იესოს, – რომში. რომ მეორედ გამაკრან ჯვარზეო – უპასუხა მან. დარცხვენილი პეტრე დაბრუნდა რომში და იქ აწამეს.

რაც შენ გამიკეთე დღეს საღამოს. თავში როგორ მოგივიდა და ამ აურზაურში როგორ გაერიე, ხომ იცი, მე რასაც ვფიქრობ ამაზე?

უკვე სახლში იყვნენ და ფილომენამ ვახშმის მოსამზადებლად სამზარეულოში დაიწყო ფუსფუსი. ამჯერად უფრო სწრაფად მოძრაობდა, ვიდრე ჩვეულებრივ.

– სულაც არ არის აურზაური, აურზაური ის არის, შენ რომ აკეთებ. ჩვენ ჩუმად ვმოქმედებთ; უნდათ, რომ წმინდანი წაგვართვან, ჩვენ კი ეკლესიაში ვდგავართ და ვდარაჯობთ.

– უსწვალელი ხარ, გაუნათლებელი... ძროხასავით.

– მე ვიცი, რომ წმინდა ფილომენა მართლაც არსებობდა. ის იცავდა აქაურობას და სასწაულებიც მოახდინა, სწორედ მის პატივსაცემად ალავლენდნენ მესასაც და სამდღიან მსახურებასაც...

– აბა, ეს რაღას ნიშნავს? ვიღაცას კატაკომბებში საფლავის ქვა უპოვია და არასწორად ამოუკითხავს, რომ მის ქვეშ განისვენებდა ვინმე ქალწული ფილომენა; ესე იგი ფილომენაზე ყველაფერი ტყუილი ყოფილა, წარწერა სულ სხვა რაღაცას ამბობდა...

– ეს შეუძლებელია... სასწაულები? სასწაულებს სადღა წაიღებ?

– სად და... – მიკელემ პირზე ხელი მიიფარა, რომ ის მძიმე სიტყვა, რის თქმასაც აპირებდა, არ წამოსცდენოდა. – კარგი, თავი დავანებოთ. პრობლემა იცი რა არის? შენ და ის უბედურები, ახლა ეკლესიაში რომ არიან, ხართ თუ არა ნამდვილი კათოლიკეები?

– რა თქმა უნდა, ვართ!

– ჰოდა, როდესაც გეუბნებიან, რომ წმინდა ფილომენა არ არსებობს და არც არასოდეს უარსებიაო, დაიხურეთ ქუდები და გამობრძანდით, ნულარ აცეცებთ თვალებს აქეთ-იქით. არქიეპისკოპოსი თუ გეუბნებათ, რომ, ვინც ქრისტიან დემოკრატებს არ მისცემს ხმას, ის ჯოჯოხეთში მოხვდებაო – გჯერათ, მაგრამ თუ გეუბნებათ, რომ წმინდა ფილომენა არ არსებობსო – უკვე აჯანყებას აწყობთ... გაგიჟდება პირდაპირ ადამიანი!

– შენ საერთოდ არაფერი არ გესმის! – თქვა ფილომენამ.

– ეს მე არ მესმის არაფერი? – იფეთქა მიკელემ. – მე? მე იმდენი მესმის და ისე ვსვამ საკითხს, რომ შენ, როგორც კარგი კათოლიკე, უნდა ჩაეჭიდო... ახლა კი ასე დავსვამ – ჩემებურად და გეტყვი, რომ სრული უვიცი ხარ, ხოლო ეს ამბავი, რაც ხდება, ქვებსაც კი გააცინებს!

ფილომენა ადუღებულ ქვაბში კომბოსტოს ფურცლებს ყრიდა და უხმოდ ტიროდა, დასტიროდა თავის ხვედრს, რომ მის ურჯულო ქმარს არც ღმერთის სწამდა და არც წმინდანებისა სჯეროდა.

– შენ შენი უცოდინრობა დაიტირე, რომელიც სიკვდილზე უფრო შავბნელია!

– სასწაულები! – შეეკამათა ფილომე-



ნა – სასწაულებს ვერავინ უარყოფს.

– ეს კი ყველაზე კარგი რამეა. ისე, კარგად მახსოვს, დედაშენს სიზმარში წმინდა ფილომენა გამოეცხადა, რომელსაც ხელში სამი რიცხვი ეკავა, ბებერმა ითამაშა და ტერნო მოიგო. წმინდა ფილომენა, რომელიც ლოტოს რიცხვებს აუწყებს – მარტო ეს არის სასაცილო, მაგრამ უარესიც მოხდა – ერთი მღვდელია, იმასაც წმინდა ფილომენა გამოეცხადა და ამ გამოცხადების გამო ლამის წმინდანად შერაცხეს. ფრანგი იყო, სახელი აღარ მახსოვს...

– აი, ხედავ, რომ წმინდა ფილომენა არსებობდა?

– ოჰ, ეს ვინ არის! წმინდა ფილომენა არ არსებობდა! ვერ გაიგე?! თავად პაპიც ამას გეუბნება... რა ინტერესი უნდა ჰქონდეს პაპს, რომ სიმართლე არ გითხრათ, რა?!. ის, რომ აურზაური ატეხოს?... წმინდა ფილომენა არ არსებობს, კარგ!.. კმარა!.. საინტერესო, იცი, რა არის, რომ არ არსებობს და არც არასდროს უარსებია, დედაშენმა, იმ მღვდელმა, კიდევ სხვა ბევრმა მღვდელმაც და სხვა ქალებმაც კი თავიანთი თვალით ნახეს, როგორც მე შენ გიყურებ ახლა!

– არის! – კლდესავით მტკიცედ თქვა ფილომენამ.

– არ არის და არც ყოფილა! – განაცხადა მიკელემ – მას დაამხობენ საკურთხევლიდან და ფილომენას ნაცვლად სხვა წმინდანს დადგამენ, შენ კი კვლავ განაგრძობ სანთლების დანთებას ეკლესიაში, მესასაც დაესწრები და ზუსტად იმას მისცემ ხმას, ვისაც ეპისკოპოსი გირჩევს... დედაშენი კი სხვა ტერნოს მოიგებს – იმ ნომრებს, რომელსაც ახალი წმინდანი უკარნახებს... ასე იქნება, სანამ კიდევ არ მოვლენ და არ გეტყვიან, რომ ვიღაცამ სწორად ვერ ამოიკითხა და ...

მიკელე სამზარეულოდან გავიდა და მაგიდას მიუჯდა, ელოდა ფილომენა როდის მოუტანდა კომბოსტოს და მოხარშულ კვერცხს. როგორც ყოველ საღამოს, ახლაც ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, გადაშალა, სულ გადავარდნოდა გულიდან, რომ იმ უაზრო საუბრის ნაცვლად – ქალებთან ლაპარაკს რა აზრი აქვს, შეაყარე კედელს ცერცვი – წყნარად შეეძლო „უნიტა“ წაეკითხა. სათაურს თვალი გადაავლო: ***მთელი მსოფლიოს დამკვირვებლებმა დაარეგისტრირეს. „ნოვაია ზემლიაზე“ აფეთქდა ახალი საბჭოთა სუპერყუმბარა. საყოველთაო განიარაღება – რაც საჭიროა, საჭიროა! ახლა ეცოდინებათ, რომ ჩვენი ყუმბარა მათ ყუმბარაზე მაგარია! სკკპ XXII ყრილობაზე გადაწყდა სტალინის მავზოლეუმიდან გამოსვენება.***

– სათვალე! – დაიყვირა მიკელემ, – სათვალე მომიტანე! – წვრილი ნაწერის წასაკითხავად უკვე სათვალე სჭირდებოდა. ფილომენამ სასწრაფოდ სათვალე მოუტანა.

მიკელე თავჩარგული კითხულობდა. კომბოსტოს კერძს ორთქლი ასდიოდა. *გაგრძელება გვ.9. სვ.3.* მიკელე გაზეთს გაშმაგებით აქნევდა მეცხრე გვერდის მესამე სვეტის ძებნაში. აი, ისიც: „...თუ მომხდარი სტალინის ბრალია... რომ მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მავზოლეუმში სტალინის ცხედრის დატოვება... გადაწყვეტილება კენჭისყრაზე დადგა. დელეგატები წითელ მანდატს მაღლა სწევენ. წინადადება, სტალინის ცხედრის მავზოლეუმიდან გამოსვენების შესახებ, ერთხმად იქნა მიღებული...“

მიკელე ტრიკომ მთელი ძალით აიქნია გაზეთი ჭერისკენ, ფურცლების ნაწილი იატაკზე დაცვივდა, ნაწილი კი იქვე, საკერავ მანქანაზე.

– რა მოხდა? – იკითხა ფილომენამ.

მიკელემ კომბოსტოს ჩანგალი დაასო. ცოლი უყურებდა და ღელავდა, რომ ის ისევ წმინდა ფილომენას ამბავს დაუბრუნდებოდა.

– არაფერი, – თქვა მიკელემ, – არაფერი.

*თარგმნა*
***მაია ჯავახიძემ***



# ოტია იოსელიანი
# ОТЪИА ИОСЕЛИАНИ

## ხელისგულისტოლა ზღაპრები

### ბუ და ბულბული

მთელი ღამე თაგვებსა და ვირთაგვების ჭერაში გართული ბუ საამო სტვენა-გალობამ შეაშფოთა. ბულბულის წკრიალი სმენას სტაცებს და ნადირობა ავიწყდება, სანახევროდ მშიერი რჩება.

მიფრინდა ვარდის ბუჩქთან და ბულბულს უსაყვედურა:

– რაა, რომ მთელი ღამე თავს არ დებ? მე დღე მძინავს, შენ დღისით საკვების ძებნას უნდები, დაღამდება და დილამდე გალობ და გალობ.

– მე ამის ნიჭი დამამადლა გამჩენმა და ჩემი საქმე ხომ უნდა ვაკეთო?

– ნიჭი კი, მარა... არასდროს ისვენებ? მეც... კი, შენს სიმღერას რა სჯობს, მაგრამ სმენას ატკბობ, ნადირობის ჟინს მართმევ, უმადობას მმართებ და ვშიმშილობ.

– ასე რომ არ ვქნა, მღრღნელებს ხომ მთლიანად მუსრს გაავლებ?

– მერე, მაგას რა სჯობს!

– კი, მაგრამ მერე რაღას ჭამ? შიმშილით ხომ მთლად სული გაგძვრება?!

ბუ დაფიქრდა: ბრძენი ბრძენია, ჭკუის სწავლა იმასაც სჭირდება.

## АРМЫТЪÆПÆНЫЙАС АРГЪÆУТТÆ

### УЫГ ÆМÆ БУЛÆМÆРГЪ

Æгас æхсæв мыстыты æмæ уырыты ахсынил йæхи ирхæфсæг уыджы зæрдæхцон ‘хситытæ æмæ зарджытæ сызнæт кодтой. Булæмæргъы цъæхснаг хъæлæсмæ хъусынил фæвæййы, цуан кæнын æй æрбайрох вæййы æмæ æрдæгххормæгтæй аззайы.

Батахти уардийы къутæры цурмæ æмæ булæмæргъæн бауайдзæф кодта:

– Цы хабар у, æгас æхсæв дæ сæр куы нæ æвæрыс? Æз боны фынæй кæнын, ды боны хæринаг агурынæн бахъæуыс, æризæр вæййы æмæ райсоммæ зарыс æмæ зарыс.

– Мæнæн ацы курдиат бахæс кодта ме ‘сфæлдисæг æмæ йæ ма хъуамæ æххæст кæнон?

– Курдиат о, фæлæ... никуы улæфыс? Æз... дæр, дæ зарджытæм хъусынæй хуыздæр та цы ис, фæлæ уыдонмæ хъусгæйæ мæн æрбайрох вæййы цуан кæнын, гуыхæлдзинад мыл бафты æмæ фылдæр стонгæй зайын.

– Афтæ куыннæ кæнон, уæд ды æппæт æхсынджытæн сæ кой дæр куы фесафдзынæ?

– Гъемæ, уымæй хуыздæр цы ис!

– О, фæлæ стæй та цы хæрдзынæ? Стонгæй уæд бынтондæр дæ уд куы схаудзæнис?!

Уыг ахъуыды кодта: зонынджын зонджын у, зонд амынд уый дæр куы хъæуы.

## შაშვი და ყვავი

ბუჩქებში მომღერალ შაშვს ხის კენწეროდან ყვავმა გადმოსძახა:

– ვერ ვიტყვი, რომ ცუდად გალობ, მაგრამ უნდა გაჩუმდე.

– თუ ცუდად არ ვგალობ, რატომ უნდა გავჩუმდე?! – გაუკვირდა შაშვს.

– იმიტომ რომ, როცა შენ მღერი, მე აღარავინ მისმენს.

– ამიტომ მე არ უნდა ვიგალობო და შენ უნდა იყრანტალო?! – აჭახჭახდა შაშვი.

## ბუ და კოდალა

კოდალამ, ტყეს რომ გულდაგულ უმკურნალა, დაღლილმა ბებერი ცაცხვის ფუღუროს საძრომზე დააკაკუნა.

– ვინაა, რომ მყუდროებას მირღვევს? – გაანჩხლდა ბუ. – არ იცით, რომ ბრძენი ვარ!

– ვიცი, ბრძენთა ბრძენი ხარ, მაგრამ ამდენი არაფრის მაქნისი რომ აღმა-დაღმა დაფრთხიალობს, დაწრიალობს, უსტვენს და გარეწრობს, გამოდი და დაარიგე, ჭკუა ასწავლე, ფუღუროში ნუ იმალები.

– ვინც ჭკვიანია და სიბრძნე უნდა, ფუღუროშიც მომძებნის და ვისაც არაფრის გაგონების და გაგების უნარი არა აქვს, დღე და ღამე რომ უქადაგო და ეჩიჩინო, მაინც სულელად დარჩება! – გამოსძახა ბუმ.

## დათვის სიმღერა

ბობმორა, გაზულუქებულ დათვს უჭამია, უსვამს, სკა გაუძარცვავს, თაფლი უსვლეპია, გამტყვრალა, ტყეში აღმა-დაღმა დაბაჯბაჯებს და დაღრიალებს:

– დათვი ვარ და რა დათვი ვარ!
სულ მალაყებს გადავდივარ.
დარდი გულს არ ეკარება,
მიყვარს ლხინი, დროსტარება.

## ГÆРКЪÆРАГ ÆМÆ ХАЛОН

Къутæртæм зарæггæнæг гæркъæрагмæ бæласы цъуппæй халон æрдзырдта:

– Нæ зæгъдзынæн, æмæ æвзæр зарыс, фæлæ хъуамæ ныссабыр уай.

– Æмæ уæдæ кæд æвзæр нæ зарын, уæд цæмæн хъуамæ ныссабыр уон?! – бадис кодта гъæркъæраг.

– Уымæн æмæ, ды куы зарыс, уæд мæнмæ ничиуал фæхъусы.

– Æмæ уый тыххæй ныр æз хъуамæ мауал зарон, æмæ ды хъуамæ уасай?! – æмæ та райхъуыст йæ цъæхснаг хъæлæс гæркъæрагæн.

## УЫГ ÆМÆ ХЪÆДХОЙ

Хъæдхой, хъæды бæлæстæн зæрдиагæй хосгонд куы фæцис, уæд-ма фæллад-фæлмæцыдæй зæронд сусхъæды мæрамæ бабырæныл æркъуыцц-къуырцц кодта.

– Чи у, уый, мæ сабырдзинад мын чи халы? – Рахъæр кодта уыг.

– Нæ йæ зонут, æмæ куырыхон дæн!

– Зонын æй зонын куырыхон кæй дæ, фæлæ аййас магусатæ, ницæйæгтæ дæлæмæ-уæлæмæ куы рабыр-бабыр кæнынц, куы хъеллау кæнынц, æхситтытæ æмæ фыдмитæ кæнынц, рахиз æддæмæ æмæ сын бафæдзæхс, зонд сын бацамон, мæрайы ма ʻмбæхс, рахиз!

– Зæндджын чи у æмæ зондамынд кæй хъæуы, уый мæ мæрайы дæр хорз æрцагурдзæн, фæлæ исты базоныны æмæ фехъусыны æвзыгъддзинад кæмæ нæй, уымæн æхсæвæй-бонæй куы амонай, уæддæр сæлхæрæй баззайдзæнис! – Рахъæр кодта уыг.

## АРСЫ ЗАРÆГ

Бомбора, хивæнд арс бахордта, банызта, мыды чыргъæды ныппырх кодта, мыд быныстæрд бакодта æмæ знæтæй хъæды дыууæрдæм богътæ кæнын систа:

– Æз арс дæн æмæ цахæм арс!
Иудадзыг къуылдымтыл хизын.
Маст зæрдæмæ æвваxс нæ уадзын,
уарзын цæл кæнын, рæстæг æрвитын.

უქეიფოდ არად ვღირვარ,

დათვი ვარ, დარდიმანდი ვარ!

გამოცვივდნენ დაზაფრული ტყის ბინადარნი და აყვირდნენ:

– რა ამბავია, რა გაღრიალებს, ხიდან ხომ არ ჩამოვარდი და კისერი მოიტეხე, ან დაჭრილი ხომ არ ხარ!

– რა, არაფერი მიჭირს, მხეცივითა ვარ და ვმღერი.

– ეს სიმღერაა? დაგვზაფრე ხალხი!

– არ ვიცი რაა, ჩემი გულის ჭიას კი ვახარებ და...

– შენი გულისას ახარებ, მაგრამ რას გვერჩი, თავს რომ გვაბეზრებ და ჩვენი გულის ჭიას ჰკლავ?!

## ᲙᲣ

მართალია, კუ კი ვარ, ფეხებს ძლივს დავათრევ, დავღოღავ, მაგრამ ჩემი საქმე ვიცი. ჩემი სახელი მაქვს, ჩემი კარი და ციხესიმაგრე, გამოზომილი, პერანგივით მორგებული, არც მეტი, არც ნაკლები. ერთი ვარ და ერთოთახიანი მაქვს.

ოროთახიანი რომ მქონდეს, რომელში ვიცხოვრო, ორად ხომ არ გავიყოფი და გავორდები.

გაორებული ვიგინდარა ხომ დაღუპულია.

არიან მხეცები, დარბიან, დაძვრებიან, იპარავენ, იგლიჯებიან, ძარცვავენ და უშველებელ ბუნაგებში ეზიდებიან, რომ როგორმე ამოავსონ. მე, გზაში დაგდებულიც რომ ვიპოვო, ხელს არ ვახლებ, სად შევინახო! სხვისი არაფერი მინდა. ჩემსას კი არავის გავატან. ტურა-მელა კი არა, მგელი რომ მგელია, ვერაფერს დამაკლებს. ირბინონ, იძუნძულონ, იავკაცონ, რაკი მეტი ჭკუა არა აქვთ. მე ნელ-ნელა ვივლი და ბოლოს ვნახოთ, ვინ რასთან და ვისთან მივა.

არ ვიცი, ბაბუისაგან თუ ბაბუის ბაბუისაგან მაქვს გაგონილი: თუ გეჩქარება, ნელა იარეო!

კი, ამას ჩემი წინაპარი... ვინც კეთილსინდისიერად იცხოვრა, ის იტყოდა.

Ракалдысты сæ ахстæттæй, лæгæттæй хъæды цæрджытæ æмæ хъæрахаст систой:

– Цы хабар у, цæуыл богътæ кæныс, кæд бæласæй миййаг æрхаудтæ æмæ дæ бæрзæй асаст, кæнæ миййаг цæф фæдæ!

– Цытæ дзурут, æппындæр ницы кæнын, æнæниз сырд дæн æмæ зарын.

– Æмæ уый зарæг у? Тасы бын нæ куы фæкодтай, уæд!

– Сымахæн нæ зонын, нæ зонын, фæлæ мæ зæрдæйæн æхсызгон у æмæ...

– Зæрдæйы хъæлдзæг кæнын дæр хорз у, фæлæ дын мах та цы кæнæм, куы нæ фæлмæцын кæныс, уæд махæн дæр нæ зæрдæты дæ богътæй хъæлдзæг кæныс?!

## УÆРТДЖЫНХÆФС

Бæгуыдæр, уæртджынхæфс дæн, мæ къæхты тыххæйты ласын, уæззаугай хилын, фæлæ мæ хъуыддаг хорз зонын. Мæхи ном мын ис, мæхи дуар æмæ мын мæхи фидар мæсыг ис, мæхиуыл барст, хæдонау мæхи аккаг, нæдæр фылдæр, нæдæр къаддæр. Иунæг дæн æмæ мын иу уатон хæдзар ис.

Дыууæ уатон мын куы уаид, уæд дзы кæцыйы цæрдзынæн, дыууæ дихы мыййаг куы нæ ауыдзынæн, кæнæ дыууæ куыннæ фестдзынæн.

Фæдыууæгонд ницæйаг, уый бынсæфт куы у.

Ис ахæм сырдтæ, ратæх-батæх кæнынц, рабыр-бабыр кæнынц, давынц, стигъынц, исынц æмæ сæ се 'стыр лæгæттæм æнтъухынц, цæмæй сæ истæмæйты байдзаг кæной. Æз, фæндагыл дæр исты æппæрстæй куы ссарын, уæддæр æм нæ февналын, кæм æй хъуамæ бафснайон! Никæмæй мæ ницы хъæуы. Мæхион та дæтгæ никæмæн ракæндзынæн. Тъура-рувас нæ фæлæ мын бирæгъ дæр ницы ракæндзæнис. Дугъ кæнæд, гæппытæ кæнæд, фыдмитæ кæнæд, кæд æндæр зонд нæй сæ сæрты, уæд. Æз уæззаугай, сындæг цæудзынæн æмæ фæстагмæ фенæм, чи кæдæм æмæ кæйонг бахæццæ уыдзæнис. Нæ зонын дадайæ æви дадайы дадайæ фехъуыстон: кæд тагъд кæныс, уæд сындæггай цу, зæгъгæ!

О, афтæ загътаид мæ фыдæл... кæцы фæцард хæрнамысджынæй.

ოტია იოსელიანი
**ОТЪИА ИОСЕЛИАНИ**

## სპილო და მელა

ეშმაკმა ჭკვიანმა მელამ იფიქრა: ლომი რომ მსხვერპლს ძვალ-რბილიანად ნთქავს და კბილის გასაკრავს არაფერს გვიტოვებს, მეფედ რომ ბალახის მჭამელი სპილო იყოს, ხომ ავშენდით, მძორი თავზესაყრელად გვექნებაო.

მიადგა ვეება სპილოს და ეუბნება:

– თუ მეფობა ძალა და ღონეა, შენა გაქვს, შენი მომრევი ცხოველებში არავინაა. ლომს რომ ხორთუმი დაავალო და მიწას დაანარცხო, ან ფეხი დაადგა, გათავებულია მისი არსებობა.

თუ სადმე სამართალია, მბრძანებელი შენ უნდა იყო.

– ძალა და ღონე კი, მაგრამ მე კეთილი ვარ.

– მერე, მაგას რა სჯობს!

– გულჩვილი ვარ, სისხლის დანახვაზე ვიზაფრები.

– აბა, ავი, გულღრძო, სისხლისმსმელი და უსამართლო გჯობს?!

– უსამართლო არა, მაგრამ სამართალმაც რომ მოითხოვოს, სისხლს მაშინაც ვერ დავღვრი.

ამიტომ სჯობს, ახლა შენ წახვიდე და როცა ქათმის, ბატის, ბაჭიებისა და ვირთაგვების ჭამას გადაეჩვევი, როცა ჩემსავით ბალახის ჭამას დაიწყებ, მერე მოდი და მაშინ გადავწყვიტოთ: მეფედ სპილო უნდა იყოს თუ ლომი!

## ПЫЛ ÆМÆ РУВАС

Хинæйдзаг зондджын рувас ахъуыды кодта: домбай йæ амæттаджы æдфыд, æдыстæджытæ куы аныхъхъуыры æмæ дзы махæн æппындæр куы ницыуал фæуадзы, паддзахæй кæрдæгхæрæг пыл куы уаид, нæ хъуыддаг, æвæдза, хорз уаид, холы нæм хæрх уыдзæн, зæгъгæ.

Балæууыд гуымир пылы раз æмæ йын дзуры:

– Кæд паддзахиуæг тых æмæ хсар у, дæумæ сты, дæуæй тыхджындыр цæрæгойты ‘хсæн ничи ис. Домбаймæ дæ хæтæлфындзæй куы февналай æмæ йæ зæххыл куы ныххуырсай, кæнæ йыл къахæй куы ныллæууай, йæ кой дæр нал уыдзæн.

Кæд искуы рæстдзинад ис, паддзахиуæг ды хъуамæ кæнай.

– Тых æмæ хсар мæм бæгуы ис, фæлæ æз хæларзæрдæ дæн.

– Æмæ, уымæй хуыздæр цы ис!

– Тæригъæдгæнаг дæн, туджы фендæй скарз вæййын.

– Уæдæ, æвзæр, тугцъир æмæ хæрам дæуæй хуыздæр у?!

– Хæрамдзинад нæ, фæлæ рæстдзинад дæр куы дома, уæддæр туг нæ ныккалдзынæн. Уый тыххæй ныр хуыздæр уыдзæнис, ацæуай ды æмæ кæрчыты, хъазты, тæрхъусы лæппынты æмæ мыстыты куы нæ уал хæрай, æмæ мæнау кæрдæг хæрын куы байдайай, гъеуæд иу æрбацу æмæ уæд аскъуыддзаг кæндзыстæм: сырдты паддзахæй пыл хъуамæ уа æви домбай!

## მგელი და დათვი

უღრან ტყეში, პანტის ძირას, დათვი იწვა და თვლემდა.

საიდანღაც მგელი გამოძუნძულდა.

– ოო, რა კარგი ჰქენ, რომ გამოჩნდი. დანაყრებული ვარ, მოდი, ვიმუსაიფოთ, შენ დღე და ღამე დაძრწიხარ და იცი ტყეში რა ხდება.

– რა მემუსაიფება, შიმშილით სული მძვრება!

– მაგის დარდი ნუ გაქვს. აგერ, ხეზე ავალ და პანტას დაგიბერტყავ.

## БИРÆГЪ ÆМÆ АРС

Тархъæды, кæрдойы бын, арс хуыссыдис æмæ рæдзæ-мæдзæ кодта.

Кæцæйдæр бирæгъ сиргæ æруади.

– Ой, цы хорз у æмæ кæй фæзындтæ. Хорз æфсæст дæн, рауай æмæ мын истытæ аныхæстæ кæн, ды æхсæвæй, бонæй рахаубахау кæныс хъæдты æмæ йæ зоныс кæм цы хабар цæуы.

– Цæй ныхæстæ мæ æндавы, фырстонгæй мæ уд куы хауы!

– Уый мæт дæ ма уæд. Мæнæ бæласыл схилдзынæн æмæ дын кæрдотæ æрцæгъддзынæн.

– პანტა და მაჟალო კი არა, ისე ვარ დამშეული, მთელი მსუქანი ცხვარი არ მეყოფა.

– ამიტომაც ხარ მუდამ მშიერი! – თათი ჩაიქნია დათვმა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა, მგელთან მასლაათს ისევ თვლემა ამჯობინა.

– Кæрдо æмæ мын цъæх фæткъуы цы баххуыс кæндзæн, тынг стонджы мын у, æнæхъæн нард фыс дæр мын фаг нæу.

– Гъе уымæн дæ æдзух æххормаг! – Йæ дзæмбы атылдта арс æмæ йæ иннæ фарсыл æрзылди, бирæгъимæ ныхас кæнынæй рæдзæ-мæдзæ кæнын хуыздæр уыдзæнис, зæгъгæ.

## ბებერი მგელი

ერთი რუხი მგელი დაბერდა, დაჩაჩანაკდა, მუხლმა უსუსტა, კბილებიც კი დაუცვდა და გადაწყვიტა: მეყო მგლობა, ბოროტებას დავანებებ თავს და სიკეთის გზით ვივლი:

ვიმარხულებ, მოვინანიებ, ვინძლო გატეხილი სახელი მოვიშორო და ზნეკეთილისა დავიმკვიდროო.

უნდა ტყის ბინადართ ამცნოს, მგლობას თავი დავანებე, ნურაფრის შიში გექნებათ, ცა ქუდადაც თქვენი იყოს და დედამიწა ქალამნადო.

გაიგეთ, დაიჯერეთ, რომ აღარავის ვერჩიო.

მაგრამ, ვის გინდა რომ გააგებინო. დაინახავენ თუ არა, ყველა თავქუდმოგლეჯილი კისრისტეხით გარბის.

– ნუ გეშინიათ, ის აღარა ვარ, რაც ვიყავი, ის აღარა ვარ, რაც გახსოვართო!

– მაშინ, ვინ ხარო? – მოაძახეს.

– მგელი ვარ, მაგრამ რაც ვიყავი, ის აღარაო.

– მაშინ, ვინ? კურდღელი, შველი, ჯეირანი თუ ირემიო?

– მგელი, მაგრამ კეთილი, მარხული, ლმობიერი...

შეჩერდნენ და დააჩერდნენ. არავითარი ისა და ესა, ხედავენ – მგელია. მოკურცხლეს და გაუჩინარდნენ. დადის საწყალი, დაძუნძულებს და დაყმუის:

– გაიგეთ, ის აღარა ვარ. გაიგონეთ, მგელი ვარ, მაგრამ ის, რაც ვიყავი, აღარა ვარ, სათნო ვარ, ალალ-მართალიო!

ვინ დაგიჯერებს; მგელი იყო და იძახო – მგელი არა ვარო!

## ЗÆРОНД БИРÆГЪ

Иу бурхуыз бирæгъ ныззæронд, ныхъуырттæг ис, йæ уæрджытæ слæмæгъ сты, йæ дæндæгтæ дæр азгъæлдысты æмæ аскъуыддзаг кодта: æгъгъæд мын у бирæгъдзинад, фыддзинадыл мæ къух сисдзынæн æмæ хæрзиуæгады фæндагыл цæудзынæн; ком дардзынæн, æрфæсмон кæндзынæн, чизоны мæ бон суа мæ фыдном фæивын æмæ хорз ном райсын.

Хъуамæ хъæды цæрджытæн фехъусын кæнон, бирæгъдзинадыл мæ къух систон, ныр мацæмæйуал тæрсут, арв дæр æппæтæй сымах фæуæд æмæ зæххыцъар дæр.

Байхъусут мæм, бауæндут мыл, никæйуал бахъыгдардзынæн.

Фæлæ, дæ куыд фæнды æмæ йæ бамбарын кæнай. Куыддæр мæ дардæй суынынц афтæ алчидæр йæ уд лидзынмæ ратты.

– Ма тæрсут, уый нал дæн, цæйхуызæн уыдтæн, уый нал дæн, цахæмæй мæ хъуыды кæнут, зæгъгæ!

– Уæдæ, чи дæ? – Æрбахъæр æм кодтой.

– Бирæгъ дæн, æрмæст цы уыдтæн, уый хуызæн нал дæн.

– Уæдæ, чи дæ? Тæрхъус, сæгуыт, дзæбидыр æви саг, зæгъгæ?

– Бирæгъ дæн, фæлæ хæларзæрдæ, марходарæг, фæлмæнзæрдæ...

Фæлæуудысты æмæ йæм нымдзаст сты. Ницыхуыз уый æмæ ай, уыдтой – бирæгъ у. Алидзынц æмæ уайтагъд æрбатары вæййынц.

Цæуы дарддæр зæронд бирæгъ æмæ ниуы:

– Байхъусут, раздæры хуызæн нал дæн, бауырнæд уæ, бирæгъ дæн, æрмæст ныр рæдау дæн, æнæхин!

Фæлæ кæй бауырндзæн: бирæгъ уай æмæ дзурай – бирæгъ нæ дæн, зæгъгæ!

## ვეფხვი და წრუწუნა

იყო ერთი წრუწუნა და სორო იქვე, მბრდღვინავი ვეფხვის ბუნაგთან ჰქონდა.

როცა მძვინვარე ნადირის ღრიალს გაიგონებდა, სოროდან გამოძვრებოდა და შიშისაგან გულგახეთქილ, კისრისტეხით გაქცეულ ცხოველებს სიბრალულით გასძახოდა:

– რა გჭირთ, რა გაშინებთ, სად გარბიხართ! უკან, უკან მოიხედეთ და დააკვირდით. კატა რატომ გგონიათ, ერთი კეთილი, ჩვეულებრივი ვეფხვია. გაიგონეთ, გაიგეთ, კატას ჰგავს და მეტი არაფერი. რა ხანია მაგის ბუნაგის წინ ვცხოვრობ და თათი არ დაუკარებია, ის არაა თქვენ რომ გგონიათ, დაიჯერეთ, რომ არაა კატა! – გულდაწყვეტილი თავს სინანულით იქნევდა:

– ეს გაუგებრები, ტყუილად იხეთქავენ გულს და კისერს იტეხავენ. რა ვუყო, რა ვუშველო, რით გავაგებინო, როცა ვყვირი და ვეძახი – სად გარბიხართ, თქვე უბედურებო, რამ დაგაფრთხოთ და დაგზაფრათ, რამ დაგაბრმავათ, თვალი გაახილეთ... თქვენ კატისა სთქვით, თორემ ვეფხვს რა სჭირს საშიში და თავზარდამცემი?! სიცოცხლეს რად იმწარებთ! გონს მოეგეთ, თქვე უგუნურებო, თქვენა... – ვერავის რომ ვერაფერს აგებინებდა, ხელჩაქნეული სოროში ბრუნდებოდა და ბუზღუნებდა: გული არ მითმენს, თორემ მაგათზე ყველაფერი ახია, რომ კატას და ვეფხვს ერთმანეთისგან ვერ არჩევენ და ანსხვავებენ.

## მელა და ტურა

მთის ერთ ვიწრო ბილიკზე მელა და ტურა კინაღამ ერთმანეთს შეასკდა.

– როგორ გაბედე, რომ გზა არ დამითმე! – გაჯავრდა მელა.

– დამეთმო, ეკალ-ბარდებში გადავსულიყავი და ტყავი დამეხია? რომელი ლომი და ვეფხვი შენ ხარ!

## СТАЙ ÆМÆ МЫСТЫ ЛÆППЫН

Уыдис иу мысты лæппын æмæ йын хуыкком уыд, богътæгæнаг знæт стайы лæгæтмæ æввахс.

Знæт сырды богътæ иу куы фехъуыс-та, уæд-иу хуыккомæй рабырыдис æмæ-иу фыртæсæй зæрдæскъуыд, сæрбихъуыраæйттæгæнгæ лидзгæ цæрæгойтæм тæригъæдгæнгæ адзырдта:

– Цы уыл æрцыд, цæмæй тæрсут, кæдæм лидзут! Фæстæмæ, фæстæмæ акæсут æмæ йæм лæбынæгæй уæ хъус æрдарут. Гæды йæ цæмæн æнхъæлут, иу хæларзæрдæ, хуымæтæджы стай у. Байхъусут æмæ йæ бамбарут, гæдыйы æнгæс у æмæ æндæр ницы. Кæдæй нырмæ йæ лæгæты размæ цæрын æмæ мæм йæ дзæмбы дæр никуы фæкодта, уый нæу сымах æнхъæл кæмæй стут, бауæндут мыл, гæды нæу, зæгъгæ! – Зæрдæсастæй-иу йæ сæр батылдта.

– Ацы æнæмбарджытæ, бынтон дзæгъæлы зæрдæскъуыд æмæ бæрзæйсаст кæнынц. Цы сын бакæнон, цы сын баххуыс кæнон, куыд сын æй бамбарын кæнон, куы сæм хъæр кæнын æмæ дзурын – кæдæм лидзут, æнамонд фæуой уæ сæртæ, зæгъгæ, цы уæ фæтæрсын кодта, цы уæ бакуырм кодта, уæ цæстытæ байгом кæнут... сымах гæдыйæ зæгъут, æндæра стайæ цы ис тæссаг æмæ æвирхъаудзинад?! Уæхи цæуыл хæрут! Уæхимæ рцыт, сæлхæртæ ... куы никæмæн сæ ницы æмбарын кодта, къухауигъгæйæ иу йæ хуыггомæ баздæхти хъуыр-хъуыргæнгæ: мæ зæрдæ сæм нæ лæууы, æндæра сын хъæугæ афтæ кæны: гæды æмæ стайы кæрæдзийæ куыд нæ хъуамæ æвзарой æмæ хицæн кæной.

## РУВАС ÆМÆ ТЪУРА

Хохы иу уынгæг къахфæндагыл рувас æмæ тъура гыццыл-ма бахъæуа кæрæдзийы скъуырой.

– Ды куыд бауæндыдтæ æмæ мын фæндаг нæ раттай! – Смæсты рувас.

– Фæндаг раттаин, æмæ мæхæдæг сындзкъутæртæм ахызтаин æмæ мæ царм аскъуыдтаин? Кæцы домбай æмæ мын стай ды дæ!

– არა, მაგრამ მელა ვარ!

– მელა რომ ხარ... მე ტურა ვარ!

– მერე, მელა და ტურა ერთია?!

– რაც შენა ხარ, მეც ის ვარ.

– როგორ ბედავ! – აჩხავლდა მელა.

– მეც შენსავით ვთხრი სოროს, შენსავით ვნადირობ, ვიჭერ თაგვებს და ვირთაგვებს; ვიპარავ ქათამს, იხვს და ბატს. სხვა რა, ხორცი არც შენი ვარგა და არც ჩემი.

– მაგრამ ტყავი?..

– რა ტყავი?! – დაიბნა ტურა.

– ტყავი და კუდი... შენი გაქუცული კუდი კუდია? შენი არც ტყავი ვარგა და არც ბეწვი.

– ტყავი, კუდი და ბეწვი კი, მაგრამ...

– შენი არც ტყავი, არც კუდი, არც ბეწვი ვარგა და გზა მე დამეთმო?! და ასეთი ტყავი ეკალ-ბარდებზე დამეხია, ლომსა და ვეფხვსაც რომ შეშურდებათ?!

უგუნურო, შენ რომ არა გაქვს, ვისაც აქვს, იმის ფასი და ღირსება მაინც არ უნდა იცოდე?!

– შენი ტყავი და კუდი ჩემსას დაგლეჯილიც აჯობებს და ჩემს უვარგის ტყავს და გაქუცულ კუდს კიდევ დაფხრეწა და დაგლეჯა უნდა?! – აკივლდა ტურა.

– Нæ, фæлæ рувас дæн!

– Рувас кæй дæ... Æз та тъура дæн!

– Æмæ стæй, рувас æмæ тъура иу сты?!

– Ды цы дæ, æз дæр уый дæн.

– Куыд уæндыс! – Хъæрахаст кæны рувас.

– Æз дæр дæуау къахын хуыкком, дæуау цуан кæнын, ахсын мыстыты æмæ уырыты; давын кæрчыты, бабызты æмæ хъазты, æндæр цы, дзидза нæ дæр дæуон бæззы, нæдæр мæуон.

– Æмæ цaрм та?..

– Цæй царм?! – фæтыхст тъура.

– Царм æмæ къæдзил... Дæ ихсыд къæдзил къæдзил у? Дæуæн нæ дæр дæ царм бæззы æмæ нæдæр дæ хъуын.

– Царм, къæдзил æмæ хъуын о, фæлæ...

– Дæуæн нæдæр дæ царм, нæдæр къæдзил, нæдæр хъуын бæззы æмæ дын фæндаг æз хъуамæ раттаин? Æмæ ахæм цармы сындзкъутæртыл ныскъуыдтæ кæнын кодтаин, домбай æмæ сæм стай дæр хæлæг куы кæнынц!

Æнæзонд, дæуæн куы нæй, уæд кæмæн ис, уый аргъ æмæ лæгдзинад куыннæ хъуамæ зонай?!

– Дæ царм æмæ къæдзил дæуæн скъуыдтæй дæр хуыздæр сты уæд мæ ницæйаг царм æмæ ихсыд къæдзилы ноджы скъуыдтæ æмæ бырæгътæ хъæуы?! – Хъæр кæны тъура.

## ორი მელა

მელა შეხვდა მელას.

– გამარჯობა, დაია!

– გაგიმარჯოს, დაიკო!

– როგორ გიკითხო?

– როგორც მკითხულობ. შენ როგორა ხარ?

– როგორც შენ მკითხულობ.

– მშიერი ხარ თუ მაძღარი?

– მშიერიცა ვარ და მაძღარიც, შენ?

– მეც, მაძღარიც და მშიერიც.

– როგორაა საქმე?

– კარგადაც და ცუდადაც. შენი...

– ასევე, ცუდადაც და კარგადაც.

– შენიანები როგორ არიან?

## ДЫУУÆ РУВАСЫ

Рувас фембæлд рувасыл.

– Дæ бон хорз, мæ хойы къуындзих!

– Æгас цæуай мæ хойы хай!

– Куыддæ дæ?

– Куыддæриддæр мæ фæрсыс, дæхæдæг куыддæ дæ?

– Куыд мæ дæхæдæг фæрсыс.

– Стонг дæ æви æфсæст?

– Стонг дæр дæн æмæ æфсæст дæр, дæхæдæг?

– Æз дæр, æфсæст дæр вæййын æмæ стонг дæр.

– Дæ хъуыддæгтæ куыд цæуынц?

– Хорз дæр æмæ æвзæр дæр. Дæуæн...

– Афтæ мæнæн дæр, æвзæрдæр æмæ хорздæр.

– რა გითხრა, ხან ასე, ხან ისე. შენიანები?..

– ისინიც ხან ისე, ხან ასე.

– საით გაგიწევია?

– საითაც თვალები იხედებიან. შენ, საით?

– საითაც ფეხები წამიყვანს.

ვერც ერთმა ერთმანეთისა, ვერც ქვეყნისა, ვერაფერი გაიგო.

წავიდნენ.

გულდაწყვეტილნი დაშორდნენ ერთმანეთს. არადა, ორივე ჭორიკანა იყო, მაგრამ ძნელია, როცა ორივე მატყუარაა და იცის, ვერც ერთი მოატყუებს და ვერც მეორე. სიმართლე კი, რომც თქვან, არც ერთს არ დაეჯერება, რაკი სიმართლის მთქმელი რომ იყვნენ, მატყუარებიც არ იქნებიან.

– Дæхиуæттæ та куыддæ сты?

– Цы дын зæгъон, куы афтæ, куы уфтæ. Дæхиуæттæ та?..

– Уыдон дæр куы уфтæ, куы афтæ.

– Дæ фæндаг чердæм дарыс?

– Кæййонг цæстытæ уынынц. Ды, чердæм?

– Кæцырдæм мæ къæхтæ хæссынц.

Кæрæдзийы ныхæстæй сæ дыууæ дæр ницы бамбæрстой. Ацыдысты.

Зæрдæсастæй ахицæнтæ сты кæрæдзийæ. Æнæуи та, дыууæ дæр хахуыргæнджытæ уыдысты, фæлæ зын у, дыууæ дæр сайæгойтæ æмæ йæ куы зонынц, нæдæр дзы иу фæсайдзæнис иннæйы æмæ нæдæр иннæ. Рæстдзинад дæр, куы дзурой, уæддæр сыл æууæндæн нæй, уымæн æмæ рæстдзинад дзурæг куы уыдаиккой, уæд сайгойтæ дæр нæ уаиккой.

## კუ და ლოკოკინა

დაღლილ-დაქანცული კუ, როგორც იქნა, ლოკოკინას გადაეყარა და სული მოითქვა.

– ძლივს არ გიპოვე?

– მოხარული ვარ, რომ მეძებდი. რა ხანია არავის გავხსენებივარ.

– არც მე ვახსოვარ არავის და ამიტომ არიან სულელები.

– სულელები არიან და იმიტომ?!

– შენსა და ჩემს გარდა ყველანი, რაკი არ იციან, ვინ უნდა ახსოვდეთ და ჭკუა ვისგან ისწავლონ.

ლოკოკინამ რქები მოწკურა.

– ვითომ, ასეთი ჭკუის კოლოფები ვართ?!

– სწორედაც სავსე ჭკუის კოლოფები!

– მოხარული ვარ, მაგრამ... ვითომ რითა ვართ ჩვენ ასე გამორჩეულნი და გონებით დაყურსულნი?

– იმით, რომ ჭკუა გვდის და გადაგვდის!

– საწყენად კი არ გეუბნები, მაგრამ ჭკვიანი და ბრძენიაო, ჩვენზე რომ ეთქვათ, რაღაც, არ გამიგონია.

– იმიტომ, რომ ჭკუა არ ეკითხებათ

## УÆРТДЖЫНХÆФС ÆМÆ СÆТÆЛÆГ

Фæллад – фæлмæцыд уæртджынхæфс, бирæ рацу-бацуйы фæстæ сæтæлæгыл фембæлд æмæ æхцонæй сулæфыд.

– Кæдæй нырмæ дæ агурын æмæ дæ тыххæйты ссардтон.

– Æхсызгон мын у кæй мæ агуырдтай. Кæдæй нырмæ мæ ничиуал æрхъуыды кодта.

– Нæдæр мæн ничи хъуыды кæны уымæн æмæ сты сæлхæртæ.

– Сæлхæртæ сты æмæ уый тыххæй?!

– Дæу æмæ мæн йеддæмæ алчидæр, иугæр нæ зонынц кæй хъуамæ хъуыды кæной æмæ зонд кæмæй сахуыр кæной.

Сæтæлæг йæ сыкъатæ фæгæмæл кодта.

– Цымæ, æцæгдæр ахæм зонды къуыбæрттæ стæм?!

– Бæгуыдæр йедзаг зонды къуыбæрттæ!

– Æхсызгон мын у, фæлæ... Мах цæмæй стæм ахæм æвзæрст æмæ зондæй æххæст?

– Уымæй, æмæ нæ зонд нæ сæры нал цæуы!

– Хъыгагæн дын æй нæ дзурын, фæлæ махæй зæндджын æмæ дам куырыхон сты, цыдæр, никæмæй фехъуыстон.

– Уымæн, æмæ уыдонæй зонд не 'рфæрсдзынæ, алцыдæр сæхимæ ссивынц, стигъджытæ, æнæфсис тонагæнджытæ сты.

და მომხვეჭელები, მძარცველები, გაუმაძღარი მგლეჯელები არიან.

– ასეთი, რა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ გონიერება და სიბრძნე კუსა და ლოკოკინასი კი არა, გველისა გამიგონია.

არც ისაა ბრძენთა ბრძენი. ვეძებე, სანამ შენთან წამოვიდოდი.

ვიპოვე ხვრელი და ვუძახე, მაგრამ შინ არავინაა. იქვე ხვლიკი ბრიცავდა თვალებს და ვკითხე: ბრძენი, სად დაბრძანდებ-მეთქი? რატომ ბინაში არაა-თქო?!

– აქ თუ არაა, მეორე ხვრელში იქნებაო. – და მიმასწავლა.

– იქ რომ არ იყოს-თქო?

– მაშინ მესამეშიო.

– გადაიარა?! ეგ თუ ბრძენია, მაშინ მე და ლოკოკინა ბრძენთა ბრძენი ვყოფილვართ! რად უნდა სამი და ოთხი ბინა. ჩვენ, მე და ლოკოკინას, თითო ოთახი დაგვაქვს, ისიც პერანგივით მორგებული და ზურგზე მოკიდებული.

ხვლიკმა ისევ დაბრიცა თვალები:

– თქვენს გარდა ყველას ასე აქვს: ორი, სამი, ოთხი...

ამიტომა ხართ ჯოჯოები, ქვეწარმავლები-მეთქი!

რატომ ჯოჯოები და ქვეწარმავლები?! არწივი რომ არწივია, სამი-ოთხი უშველებელი ბუდე აქვს – ხან ერთში დებს კვერცხებს, ხან მეორეში და ხანაც მესამე-მეოთხეშიო.

ის არწივიც თქვენნაირი გაუმაძღარი ყოფილა! – ჩავიქნიე ხელი და შენსკენ გამოვწიე.

– ესენი ვინ არიან? ვისა აქვს მასეთი, მშვენიერი სადაფის სახლი, ან ჩემისთანა ბაკანი, მაგრამ მესამე-მეოთხეზე რომ გვქონდეს, რა ვქნათ, რომელში ვიცხოვროთ, ორად გავიხლიჩოთ, სამად თუ ოთხად?

– დახლეჩისა და დანაწევრებისაგან ღმერთმა დაგვიფაროს!

– ჩვენ ჩვენი სახლები გვიფარავს, მაგრამ ესენი ღმერთმა რომ დაიფაროს, ხვრელები, სოროები, ბუდეები და ბუნაგები დახლეჩთ და დაანაწევრებთ, გააორებთ და გააორგულებთ...

– Ахæм, кæй зæгъын æй хъæуы, бирæ ис, фæлæ зонындзинад æмæ куырыхондзинад уæртджынхæфс æмæ сæтæлæгæй нæ фæлæ, калмы тыххæй фехъуыстон.

Нæдæр уый у ахæм зæндджынтæй зæндджын. Фæцагуырдтон æй, цалынмæ дæумæ хъуамæ рацыдаин. Ссардтон ын йæ хуыкком æмæ йæм дзырдтон, фæлæ, хуыккомы ничи разынд. Уым æввахс мæкъулæг йæ цæстытæ дзагъултæ кодта æмæ йæ бафарстон: нæ куырыхон, кæдæм фæцыдис – зæгъын? Цæмæннæ ис хæдзары – зæгъгæ?!

– Ам кæд нæй, иннæ хуыккомы уыдзæнис. – Æмæ мын æй бацамыдта.

– Уым дæр куы нæ уа – зæгъын?

– Уæд та йæ æртыккаджы фен.

– Аивгъуыдта?! Кæд уый куырыхон у, уæд æз æмæ сæтæлæг та куырыхонтæй куырыхондæр куы стæм! Цæмæн æй хъæуы æртæ æмæ цыппар хæдзар. Мах, æз æмæ сæтæлæг, фæйнæ уаты хæссæм немæ, уый дæр хæдонау бæзгæ æмæ уæхсчытыл æккойвæрд.

Мæкъулæг та сдзагъултæ кодта йæ цæстытæ:

– Сымах йеддæмæ алкæмæн дæр афтæ ис: дыууæ, æртæ, цыппар...

Уымæн стут гуылмызтæ, хилджытæ – зæгъын!

Цæмæн гуылмызтæ æмæ хилджытæ?! Цæргæсæн дæр ма æртæ – цыппар егъау ахстоны куы ис. Куы иуы æрыфтауы æйчытæ, куы иннæйы æмæ куы та æртыккаджы – цыппæрæмы.

Уыцы цæргæс дæр сымахау æнæфсис у! – Атылдтон мæ къух æмæ дæумæ рараст дæн.

– Адон чи сты? Кæмæн ис ахæм, рæсугъд, фидауцджын налхъуытæй конд хæдзар, кæнæ мæноны хуызæн, фæлæ æртыккаг – цыппæрæм дæр нын куы уа, уæд куыд кæндзыстæм, кæцыйы дзы хъуамæ цæрæм, дыууæйыл адих уæм, æртæ æви цыппарыл?

– Ныддихтæ кæнынæй нæ стыр хуыцау бахизæд!

– Мах нæхи хæдзæрттæ хизынц, фæлæ адон хуыцау куы бахиза, уæд хуынчъыты, хуыккомты, ахстæтты æмæ лæгæтты ныххæйттæ æмæ ныддихтæ кæндзыстут, дыгай æмæ сæ фылдæр скæндзыстут...

*თარგმნა*

***რაზიათ ქუმარიტოვმა***




# ჩვეულებრივი ვარსკვლავები

წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ჟურნალისტი ან/და ფოტოგრაფი ჩვენით დაინტერესდა. გვთხოვს, დავუთმოთ დრო, ვაჩვენოთ, სად ვმუშაობთ, როგორ ვცხოვრობთ, რითი ვსულდგმულობთ, ვუამბოთ საკუთარი თავის შესახებ... ამ ხნის მანძილზე (რამდენიმე საათი ან ერთი-ორი დღე) ის ძალიან ბევრ ფოტოს გადაიღებს, შემდეგ დაახარისხებს და ჩვენი ცხოვრების ამბავს ფართო საზოგადოებას გაუზიარებს. დავარქვათ ამას ფოტორეპორტაჟი, გნებავთ ფოტო-ნოველა – One person, one story (ერთი ადამიანი, ერთი ამბავი). ვიქნებით კი თანახმა? ყველა ადამიანს როდი სურს, გახდეს ხილული, თუნდაც, „ჩვეულებრივი“ ვარსკვლავის სახით...

ამის შესახებ მომითხრობდა დოვილე ბერლინსკაიტე, ლიტველი ფოტოჟურნალისტი, რომელმაც თანამემამულე ლოლიტა კირიჩენკოსთან ერთად შექმნა საერთაშორისო, სოციალური, დოკუმენტური, ფოტოგრაფიული პროექტი „ჩვეულებრივი ვარსკვლავები“. ორი ახალ-



გაზრდა ქალი, ორი მეგობარი გამოფენის ერთიანი კონცეფციის მომზადებიდან პრეზენტაციამდე მხოლოდ მიმოწერით ხელმძღვანელობდა. სამწუხაროდ, თბილისის გამოფენაზე ლოლიტამ ჩამოსვლა ვერ მოახერხა, დოვილე კი ბოლო ერთი წლის მანძილზე საქართველოში ცხოვრობდა, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა გაცვლითი სტუდენტური პროგრამით და, ამავდროულად, ბ-ნ გურამ წიბახაშვილთან ფოტოხელოვნებას ეუფლებოდა. გამოფენის გახსნა გურამ წიბახაშვილის გალერეა „კონტეინერში“ 3 თებერვალს შედგა ფოტოგრაფების, ჟურნალისტებისა და დაინტერესებულთა ვიწრო წრეში. რაც მთავარია, მასწავლებელი იმდენად კმაყოფილია ნამოწაფარით, რომ საგამოფენო სივრცე დაუთმო.

ბოლო წლებში, ყველასათვის ცნობილი სოციალური და ეკოლოგიური გამოწვევების ფონზე, ამგვარი პროექტები ძალიან პოპულარული გახდა. ხელოვანთა ყურადღების ცენტრში სულ უფრო ხშირად ექცევიან ე. წ. პატარა ადამიანები, მათი მიკროსამყარო ყოველდღიური საზრუნავით, წუხილითა და სიხარულით, მაშინ, როდესაც ყოვლისმომცველ სიყალბეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ინტერნეტი კიდევ უფრო აუტანელს ხდის „ცნობადი სახეების“ გაფეტიშებით ანდა, პირიქით – დამხობით. ფილმის რეჟისორებიც, სწორედ ამ მიზეზების გამო, როლის შესრულებას სულ უფრო ხშირად მოყვარულ მსახიობებს ანდობენ. „ჩვეულებრივი ვარსკვლავები“, ფაქტობრივად, ორი საპირისპირო ცნების, მოვლენის გაერთიანების მცდელობაა. „შეიძლება ადამიანი, რომლის ცხოვრებისეული მიზნები არ არის ამბიციური, ჩაითვალოს „ჩვეულებრივად“, როგორც პიროვნება?“ – ამ შეკითხვაზე პასუხს პროექტის ავტორები ეძებდნენ საქართველოში, ლიტვაში, რუსეთში, ბელორუსში – იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რომელთა გზებიც, დიდი ხანია, გაიყო, მაგრამ საერთო წარსულის გავლენა მაინც ყველაფერს ემჩნევა: არქიტექტურას, ყოფას და რაც მთავარია, მოქალაქეთა ცნობიერებას. დოვილე ბერლინსკაიტემ და ლოლიტა კირიჩენკომ ცალ-ცალკე იმოგზაურეს დიდ და პატარა ქალაქებში, პროვინციულ დასახლე-



ბებსა თუ მაღალმთიან რაიონებში, რათა ეს ჩვეულებრივი, შეუმჩნეველი ადამიანები მათთვის ჩვეულ გეოგრაფიულ და ყოფით კონტექსტში გაეცნოთ ჩვენთვის. გამოფენის პრეზენტაციაში ვკითხულობთ: „პროექტის ავტორებს სურთ გამოამჟღავნონ თითოეული ადამიანის უნიკალურობა და ამავე დროს გვიჩვენონ, რომ ყველანი მსგავსები ვართ, მიუხედავად ჩვენი სოციალური სტატუსისა, ეროვნებისა თუ სხვა განმასხვავებელი ფაქტორებისა.“ ფოტოების შინაარსი, სტილისტიკა, ფერთა გამაც კი იმის მიხედვით განსხვავდება, თუ ვისი დახატვა სურს ხელოვანს. მკაცრ, თითქმის გეომეტრიულ ფორმებს რბილი, ნაზი ხაზებისა და ფერების თანაარსებობა ცვლის. ჩანს, რომ ფოტოგრაფები ყოველ ჯერზე ცდილობდნენ, ჩაღრმავებოდნენ თავიანთი გმირების შინაგან სამყაროს და, საბოლოოდ, სავსებით რეალისტური, სახასიათო პორტრეტები შექმნეს.

„ჩვენს ყველა გმირთან მუშაობა როდი იყო ადვილი. ზოგმა ფოტოგადაღება თავიდან აირიდა, ზოგიერთის „გახსნა“ რთული საქმე აღმოჩნდა... ყველა ფოტო წინასწარი შეთანხმებითა და დაგეგმვით გადავიღე, მხოლოდ მწყემსებთან შეხვედრა იყო შემთხვევითი“, – ამბობს დოვილე და ზემო იმერეთში ნანახი ორი ახალგაზრდა მწყემსის ნათქვამს იხსენებს: „სინამდვილეში არ ვართ მწყემსები, თვეში ერთხელ 76 ძროხას უნდა მოვუაროთ და, განრიგის მიხედვით, დღეს ჩვენი ჯერია. ხვალ რომელიმე სხვა ოჯახი მიხედავს ნახირს. ყველა ვალდებულება უნდა გავიზიაროთ, ისევე, როგორც ბედნიერება.“

რამდენად გულწრფელია ალექსანდრე – ლიტვის მოქალაქე, წარმოშობით ქართველი, რომლის ოჯახიც, რა ხანია, საქართველოში დაბრუნდა და რომელიც ვილნიუსის ერთ-ერთ სუპერმარკეტში მუშაობს – როცა ამბობს, რომ მოსწონს ეს სამუშაო და არ სურს, რამე შეცვალოს: – „სამუშაო დროს არაფერზე ვზრუნავ, გარდა კალათებისა. ჩემი გონება აბსოლუტურად თავისუფალია, ვის არ უნდა, იყოს თავისუფალი?“

აი, ისიც, კალათების შემგროვებელი, აი, როგორია მისი ჩვეულებრივი სამუშაო დღე...



ფოტოებს, ლეგენდის ნაცვლად, თავად პერსონაჟების მონათხრობი ახლავს.

ეიმუტისი (ვილნიუსი, ლიტვა) თეატრის მცველი და მსახიობი, ლოლიტას გმირი:

„მე ბედნიერი და კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით მსახიობი გახლავართ, 15 წელი დამჭირდა, სანამ თეატრს დავუბრუნდებოდი. თავიდან თეატრში კარისკაცად მოვეწყვე, ახლა მცველად ვმუშაობ და ამავე დროს ორ სპექტაკლშიც ვთამაშობ. რეპეტიციები, სპექტაკლები და აპლოდისმენტები – ეს არის ჩემი ცხოვრების ყველაზე შესანიშნავი მომენტები.

ერთხელ ძალიან ლამაზი ციტატა მოვისმინე: „მეომარი სვლას აგრძელებს იმდენ ხანს, რამდენიც შეუძლია და რამდენიც მოეთხოვება“. იცით, მსახიობის ცხოვრებაც ზუსტად ასეა. მსახიობი უნდა იყოს მეომარი, გლადიატორი.“



საინტერესო მონათხრობი ახლავს შემდეგ ფოტოსესიასაც: „სამი კომეტა, ნათელა და სხვები (დუისი, პანკისის ხეობა, საქართველო) მასწავლებლები“. აი, რას ყვებიან დოვილეს გმირები:

„პანკისის ხეობა ყველაზე მშვიდობიანი ადგილია დედამიწის ზურგზე. აქ შენ დაცული ხარ, რადგან ყველა ყველას იცნობს და ქუჩებში „აკ-47“-ით შეიარაღებული ხალხი აღარ გაშინებს. ერთადერთი, რის შეცვლასაც აქ ვისურვებდით, არის გადაჭარბებული ყურადღება რელიგიის მიმართ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თითოეული პიროვნება თავად უნდა ირჩევდეს სარწმუნოებას.(...)“

ზოგიერთი პერსონაჟის მონათხრობმა სულის სიღრმემდე შემძრა. მაგალითად, პაველი, რომელიც დერტნიკის (ბელორუსი) ტექნიკურ სკოლაში სწავლობს და სკოლის დამთავრების შემდეგ კომბაინის მძღოლი იქნება, მშობლიურ სოფელში დაბრუნებას გეგმავს და ამბობს: „ჩემი მიზანია, ვიმუშაო საკუთარი თავისთვის და ვაკეთო ის, რაც მიყვარს. ვერ იქნები ნამდვილი კაცი, სანამ ჩინებული მძღოლი არ გახდები. ჩემს ოჯახში კარგი მაგალითი არავის მოუცია ჩემთვის, მე ვეცდები, ვიყო კარგი მაგალითი ჩემი პატარა ძმებისთვის.“ მეორე ახალგაზრდა, სახელად ვიქტორი, ლიტვის პატარა ქალაქის, ვისაგინასის მკვიდრია, პროფესიით შემდუღებელი. ჭაბუკივით კი არა, გამოცდილებით დახუნძლული, ხნიერი მამაკაცივით მსჯელობს: „ვერ ენდობი შენს მეგობრებს, რადგან ისინი რეალურად არ არსებობენ. ყველა, უბრალოდ, შეპყრობილია ფულისა და პატივისცემის მოპოვებაზე ფიქრით. ჩემი უახლოესი მეგობარი ჩემი ძაღლი ჰაშია. მას ყველაფერი ესმის, უბრალოდ, საუბარი არ შეუძლია. სულერთია, მე არ მეშინია, რომ ვინმე გამომიყენებს, იმიტომ, რომ მინდა გავავრცელო სიკეთე და დავეხმარო ადამიანებს, სანამ მჯერა, რომ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი სწორედ ეს არის“...

თბილისურმა გამოფენამ გალერეა „კონტეინერში“ მხოლოდ 5 თებერვლამდე გასტანა, სამაგიეროდ, შემდეგ ლიტვაში, ვილნიუსში გადაინაცვლა და 10-დან 24 თებერვლამდე საკმაოდ ვრცელი საგამოფენო სივრცე მოიცვა: UMI GALLERY KALNAS.

# გალერეა „მაგის“ ყელსახვევების გამოფენა

*ლამაზი, ნაირფერი აბრეშუმის ყელსახვევი ქალის გარდერობიდან საგამოფენო დარბაზში გადაინაცვლებს და მისი გამჭვირვალე, ჰაეროვანი ფაქტურა შუშის მიღმაც განაგრძობს ბზინვარებას...*

12-22 თებერვალს თბილისის ეროვნულ მუზეუმთან არსებული დიმიტრი შევარდნაძის სახელობის სურათების ეროვნული გალერეა მსოფლიოში სახელგანთქმული ფრანგული გალერეა „მაგის“ (Maeght) აბრეშუმის ყელსახვევების კოლექციას მასპინძლობდა. გამოფენას მხარს უჭერდნენ: საქართველოს მხრიდან თბილისის მუნიციპალიტეტი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საფრანგეთის საელჩო და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი, აგრეთვე კომერციული ორგანიზაციები. პროექტის ორგანიზატორია საფრანგეთში მცხოვრები ქართველი მხატვარი გელა წულაძე. 80-იანი წლების დასაწყისში 20 წლის ჭაბუკი მხატვრობის შესწავლას პარიზში განაგრძობს. მის პირველ ნამუშევარს ახალგაზრდა ქალი, სახელად ფლორანსი ყიდულობს. ბატონი გელა მანდილოსანს ტილოს სახლში მიტანაში დაეხმარება და აღმოაჩენს, რომ მისი ბებია-ბაბუა გალერეა „მაგის“ დამაარსებლები ყოფილან, გალერეის, სადაც იფინებოდნენ: მატისი, შაგალი, მირო, ბრაკი, კანდინსკი, კალდერი...

„იმ ფაქტმა, რომ ემე მაგის შვილიშვილი ჩემი ნამუშევრით დაინტერესდა, გამბედაობა მომცა, ხელოვანი ვყოფილიყავი. დღემდე განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ამ ოჯახთან. იზაბელ მაგმა, რომელიც ხელმძღვანელობს ბაბუამისის მიერ დაარსებულ გალერეას, ყელსახვევების ეს კოლექცია მომანდო“, – წერს გელა წულაძე. სერიოზულ გადაწყვეტილებებთან ერთად ჩვენს ცხოვრებას ხშირად შემთხვევითი შეხვედრები გარდაქმნის და ისეთი დეტალიც კი, როგორიცაა გულითადი ღიმილი, უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

ბატონ გელასთან ერთად თბილისში ჩამოვიდნენ მაგის ოჯახის წარმომადგენელი, ბენუა ფერო და ლიონის აბრეშუმის საწარმოს ხელმძღვანელი, სედრიკ



ბროშიე. უკვე 60 წელზე მეტია, „ბროშიეს" საწარმოში, რომელიც 1890 წელსაა დაარსებული, უდიდესი მხატვრების ესკიზების მიხედვით, მზადდება მაგის გალერეის ყელსახვევები. როგორც აღვნიშნე, ბატონი ბროშიე ლიონიდანაა. ეს ფრანგული ქალაქი საუკუნეების მანძილზე მეაბრეშუმეობის უდიდეს ცენტრს წარმოადგენდა. თბილისის აბრეშუმის მუზეუმი ლიონის მუზეუმის მიხედვით შეიქმნა და მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობა არსებობდა. ალბათ, სასურველია, რომ ეს ურთიერთობები განახლდეს – საქართველო, როგორც „აბრეშუმის გზის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანა, თავადაც აბრეშუმის ქსოვილის მწარმოებელი, მრავალმხრივ მიმზიდველი შეიძლება გახდეს ფრანგი მეწარმეებისთვის.

11 თებერვალს გელა წულაძე, ბენუა ფერო და სედრიკ ბროშიე თბილისის აბრეშუმის მუზეუმს ეწვივნენ და მისი დირექტორის, ქ-ნი ნინო კუპრავას თანხლებით დაათვალიერეს ექსპოზიცია, საცავი, მდიდარი ბიბლიოთეკა. ბატონი ბროშიესთვის, როგორც მეაბრეშუმეთა ოჯახის წარმომადგენლისთვის, ბევრი რამ ბავშვობიდან ნაცნობი იყო, იქნებოდა ეს აბრეშუმის პარკები, ჟაკარდის დაზგა თუ ათასგვარი დიდი და მცირე მოწყობილობა, რომლებიც წარსულში აბრეშუმის წარმოების გრძელ პროცესში გამოიყენება. იმავე დღეს საინტერესო შეხვედრა შედგა სასტუმრო „რუმსში". გამოფენის წარდგენა და მასტერკლასი: სედრიკ ბროშიემ გვაჩვენა ფილმი, რომელიც მის საწარმოში აბრეშუმის ქსოვილზე ნახატის დატანის ორიგინალურ მეთოდს ეხება. ბენუა ფერომ კი, თავის მხრივ, მაგის გალერეისა და ფონდის შესახებ გვიამბო.

ბენუა ფერო: „ემე მაგის არაფერი უქადდა, რომ მხატვრული ტილოებით ყველაზე დიდი მოვაჭრე გამხდარიყო მთელ საფრანგეთში. ის და მისი მეუღლე მარგა-



რეტი საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიის მეპატრონეები იყვნენ და, ალბათ, ყველაფერი ასე გაგრძელდებოდა, რომ არა მეორე მსოფლიო ომი. ემე ფრონტზე წავიდა და მალე სხვებთან ერთად ტყვეთა ბანაკში აღმოჩნდა. საფრანგეთის სამხრეთი, ნიცა და მისი შემოგარენი, სადაც მეუღლეებს მაღაზია ჰქონდათ, ჯერ კიდევ არ იყო ოკუპირებული ნაცისტების მიერ, თავისუფალ ზონად რჩებოდა და ამიტომ იქ ვაჭრობისთვის შედარებით უკეთესი პირობები არსებობდა, თუმცა ის დღეც დადგა, როდესაც რადიომიმღებებს ალარავინ ყიდულობდა... სწორედ ამ დროს მარგარეტის ცარიელი მაღაზიის წინ მხატვარმა ჩამოიარა და შესთავაზა, ჩემს ტილოს დაგიტოვებთ, იქნებ, გაყიდოთო. შემდეგ მას სხვა მხატვრებიც მოჰყვნენ. მოგეხსენებათ, ნაცისტებს გამოქცეულმა ბევრმა ხელოვანმა სწორედ ამ რეგიონს შეაფარა თავი, ხოლო ის ებრაელი ვაჭრები თუ ხელოვნების ექსპერტები, რომლებიც ადრე მათ ნამუშევრებს ყიდულობდნენ ან ემიგრაციაში წავიდნენ, ანდა ფიზიკურად გაანადგურეს... მალე ემე მაგი გაათავისუფლეს, შინ დაბრუნებულს კი მარგარეტის კომერციული ნიჭის წყალობით შექმნილი სურათების მაღაზია დახვდა, რომელმაც მალე, გალერეად ქცეულმა, ომის დასრულებისთანავე პარიზში გადაინაცვლა.“

მაგის გალერეა პარიზში – მე-20 საუკუნის მხატვრობის მაჯისცემა, 1945 წლიდან მოყოლებული, აქ იზომებოდა... 60-იანი წლები... ემესა და მარგარეტს ვაჟის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრების ხალისი დაეკარგათ. მეგობარი მხატვრების: ჟორჟ ბრაკის, ჟოან მიროს, ფერდინანდ ლეჟეს რჩევითა და მხარდაჭერით მეუღლეებმა გადაწყვიტეს, ნიცის მახლობლად მდებარე საზაფხულო სახლში მაგის ხელოვნების ფონდი მოეწყოთ. ამ საქმიანობამ, მართლაც, შვება მოჰგვარა უნუგეშო წყვილს და უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა! მაგის ხელოვნების ფონდი, რომელმაც ორი წლის წინათ ნახევარი საუკუნე მიითვალა, თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი უმსხვილესი კერძო კოლექციაა მსოფლიოში – დაახლოებით 120.000 ხელოვნების ნაწარმოებს ითვლის და საშუალოდ 200.000 დამთვალიერებელს მასპინძლობს ყოველწლიურად.

12 თებერვალს თბილისში საზეიმოდ გაიხსნა გამოფენა. მას უამრავი დამთვალიერებელი ესტუმრა. გამომსვლელთა სიტყვებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ „აღნიშნული ექსპოზიცია ხაზს უსვამს აბრეშუმის გზის მნიშვნელობას და მის მხატვრულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება



ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობების გაღრმავებასაც ისახავს მიზნად.“ გასულ შემოდგომაზე მაგის ყელსახვევებს ბათუმი მასპინძლობდა. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისია, რადგან გალერეის ექსკლუზიური კოლექცია მანამდე მხოლოდ ორჯერ წარსდგა ფართო საზოგადოების წინაშე: 1984 წელს ლიონში და 1990 წელს, ტოკიოში.

კიდევ ერთხელ ვეწვიე გამოფენას, რათა მშვიდ გარემოში შევხვედროდი მის ბინადრებს. დარბაზებში ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ყოველი ჩქამი გუგუნს გამოსცემდა... მაგის აბრეშუმის მაგია! რას შეიძლება შევადარო ეს მშვენიერი, მანათობელი ნამუშევრები თუ არა თეთრ, ფითქინა ღრუბელს, რომელიც თითქოს გამოჭრეს, გააუთოვეს და ზედ ნახატი დაატანეს?.. იფიქრებდა კი ჟოან მირო, რომელმაც 1953 წელს 11 მეტრის სიგრძის ჩინური აბრეშუმის ქსოვილზე თავისი ნახატის „გაშლა“ გადაწყვიტა, რომ ამით არაჩვეულებრივ ტრადიციას ეყრებოდა საფუძველი – უდიდესი მხატვრების, მეაბრეშუმეების და დახელოვნებული მბეჭდავების ერთობლივ, ნაყოფიერ შემოქმედებას, რომელიც ხშირად სულ არ იყო ადვილი საქმე. შაგალის გამჭვირვალობა, კალდერის სკულპტურული მხატვრობა, მიროს ექსპრესიულობა, სტეინბერგის დახვეწილობა... აბრეშუმის არამდგრადი ფაქტურა ყოველი ახალი ინტერპრეტაციისას პრობლემებს ქმნის. ბრაკი თავისი „მტრედების“ ცისფერი ფერით მუდმივად უკმაყოფილო იყო და მხოლოდ 17 ცდის შემდეგ შეარჩია მისთვის მოსაწონი ტონალობა! ახლა ისიც წარმოვიდგინოთ, კალდერის, ფოლადის ქანდაკებების ავტორის ნახელავი როგორ უნდა მორგებოდა აბრეშუმს, სიოს ქროლას რომ მოგვაგონებს? ჯაკომეტი გატაცებით საუბრობს თავისი ნამუშევრის ამგვარ ინტერპრეტაციაზე, ახალი ტექნიკით, ცოტა არ იყოს, დაბნეული კუროდა ერთის ნაცვლად ექვს ესკიზს ქმნის – საქმისადმი ასეთ კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას იშვიათად შეხვდებით! კოლექციას აგვირგვინებს ჩვენი თანამემამულის, გელა წულაძის ნამუშევარი – აბრეშუმის კიდევ ერთი ყელსახვევი, რომელიც 2015 წელს შეიქმნა და მხატვრის ძმის, გასულ წელს გარდაცვლილი ლუკა წულაძის ნათელ ხსოვნას ეძღვნება.



# ფერში გამოხატული ქარი, ჰაერი და სული



მას განსხვავებული პალიტრის მხატვარი უწოდეს და ამ ფრაზაში მისი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი ჩანს; სამყაროს აღქმის მისეული განცდა იმდენად მრავალფეროვანი, ესთეტიკური და ფაქიზია, რომ შეუძლებელია არ მოგხიბლოს. ნატიფი, მსუბუქი, თბილი და ამაღელვებელია მისი ფერადი სამყარო, რომელშიც ყველას და ყველაფერს სული აქვს.

„ჩემთვის ეს ნივთები, მცენარეები, ეს ბროწეული საგანი არ არის, ესენი პერსონაჟები არიან, რომლებიც რაღაცას წარმოადგენენ. ძალიან მიყვარს გადაღებები, ფოტოები, იმიტომ რომ ის სამყარო, რომელსაც თითქოს ვერ ამჩნევ, სინამდვილეში ძალიან დიდი და საინტერესოა. აი, ფოთოლიც შეიძლება იყოს პერსონა და იყოს საინტერესო“, – ამბობს მხატვარი.

Baia Gallery-ში **ნინო ფერაძის** პერსონალური გამოფენა –**„სიყვარულის გზავნილები“** – მოეწყო და მისმა ნამუშევრებმა კიდევ ერთხელ მოხიბლა დამთვალიერებელი.

ნინო ფერაძეს მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენაში მონაწილეობდა. მინიჭებული აქვს პრიზები და პრემიები. მისი ნამუშევრები იფინებოდა მსოფლიოს დიდ ქალაქებში: მოსკოვში, მადრიდში, ჰამბურგში, სტამბულში, აგრეთვე კერძო კოლექციებში.



ქალბატონმა ნინომ თბილისის სამხატვრო აკადემიის (სახვითი ხელოვნება) დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვში, დაამთავრა „ВГИК“-ის ანიმაციური ფილმების ფაკულტეტი. ათ წელზე მეტი მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ანიმაციის დამდგმელ მხატვრად. ამჟამად მუშაობს წიგნების ილუსტრაციებზე; დასურათებული აქვს სკოლის სახელმძღვანელოებიც. როგორც თავად მხატვარი ამბობს, მისი ყველაზე სერიოზული და საყვარელი ნამუშევარია ვაჟა-ფშაველას წიგნი, რომელიც 1994 წელს გამოვიდა მცირე ტირაჟით.

ნინო ფერაძე რელიგიურ თემებზეც მუშაობს, კანონიკურ ხატებზე არასოდეს უმუშავია, მაგრამ საშობაო თემატიკა უყვარს და რამდენიმე ნამუშევარი ამ სფეროშიც აქვს შესრულებული. მისი ერთ-ერთი წინა გამოფენა რელიგიურ დღესასწაულს – ხარებას – დაეთმო.

მხატვრის ნამუშევრები თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. როგორც ქალბატონმა ნინომ განაცხადა, მის მიერ გამოსახული ყველა საგანი პერ-

სონაჟია თავისი ხასიათით – ხდება მათი პერსონიფიკაცირება. ფოთოლმა და ყვავილმა იცის, რომ უყურებ; უხარია, რომ მოგწონს და ასე მყარდება კონტაქტი, რომელსაც ხელოვნების აღქმას ვეძახით.

ურიკა და ოთხი უცნაური მგზავრი მძიმე ხელჩანთებით ზამთრის ქარბუქში გზაზე მიდის. ერთი ქოლგის ქვეშაა, დანარჩენ სამს უცნაური თავსაბურველი ახურავს, მიდიან... ურიკით დარდები მიაქვთ, ჩანთებით – რაღაც ძვირფასი და მნიშვნელოვანი. იქნებ, ოჯახური ალბომები, საყვარელი ადამიანების ფოტოები ან სამახსოვრო ნივთები აქვთ?! ფიქრობ და იცი, რომ აუცილებლად გაივლიან ზამთრის ქარბუქიან გზას და მივლენ იქ, სადაც ელიან.

სამოთხის ვაშლი... ცოდნის ხე – ეს მარადიული თემა და ჩვენი დიდი წინაპრები: ადამი და ევა... კიდევ ის, ავადსახსენებელი მესამე – მაცდური გველი, ხეზე შემოხვეული. უყურებ ნახატს და ფიქრობ... კიდევ ერთხელ ფიქრდები სიკეთისა და ბოროტების არსზე, ასევე მთავარზე – სიყვარულზე.

ნინო ფერაძის განსხვავებული სამყაროდან „სიყვარულის გზავნილები“ მოდის. სიყვარული მოაქვს ყველა მის პერსონაჟს, რომლებიც ბევრი და მრავალფეროვანია და არ მეორდება, ერთის გარდა – ბროწეული გამორჩეულია მის შემოქმედებაში.

„ბროწეულის ძალიან ბევრი სხვადასხვა ვარიაცია მაქვს დახატული, თუმცა ეს ერთ-ერთი გამორჩეულია. მინდოდა, რომ ეს ბროწეული ყოფილიყო ჩემი შეგრძნებებიდან გამომდინარე და არა უბრალოდ ნატურმორტი“, – ამბობს მხატვარი.

დიდ ტილოზე დიდი ბროწეული მართლაც გამორჩეულია. მისი მწიფე მეწამული მარცვლებისკენ თვალი გაგირბის და გინდა, პირი ჩაიგემრიელო ან იქნებ ტრფობის არსსაც ჩასწვდე. ნინოს შემოქმედებაში ხომ ესთეტიკასთან ერთად ალეგორიები და მეტაფორები ერთმანეთშია ჩაწნული.

ამჟამად ნინო იტალიურ-აზერბაიჯანულ პროექტ „ვერონაზე“ მუშაობს. აზერბაიჯანული სტუდია „ნარიმანფილმი“ და იტალიური სტუდია „ტორი“ ერთობლივ ანიმაციურ ფილმს იღებენ, რომლის დამდგმელი მხატვარი ნინო ფერაძეა. ფილმი სიყვარულზეა და მოქმედებები ბაქოსა და ვერონაში ხდება. „ფილმს ძალიან საინტერესო სიუჟეტი აქვს. მასში მოთხრობილია რომანტიკული ისტორია სიყვარულზე, მეგობრობაზე, ურთიერთობაზე. ის რეალურ ამბავზეა აგებული“, – ამბობს მხატვარი.

რატომ ხდება, რომ ზოგჯერ ანიმაცია უფრო დიდ გავლენას ახდენს მაყურებელზე, ვიდრე მხატვრული ფილმი. ამის მაგალითები საკმაოდ გვაქვს. 2002 წლიდან „ოსკარის“ გაცემაც კი დაიწყეს. პირველი ოსკაროსანი ანიმაციური ფილმი „შრეკი“ სიყვარულზეა. წლევანდელი ოსკაროსანი კი „ბატკანი შონი“ გახდა.

ნინო ფერაძის სახით ქართველებს გვყავს შესანიშნავი ხელოვანი, რომელსაც ანიმაციურ მხატვრობაში დიდი გამოცდილება აქვს. როდესაც ნინოს ნამუშევრებს უყურებ, კიდევ ერთხელ რწმუნდები სიტყვა „ანიმაციის“ განმარტებაში, რომელიც ლათინურიდან მოდის (ანიმა – ქარი, ჰაერი, სული. ანიმატუს – გაცოცხლება, სულის ჩადგმა).

ნინო ფერაძე ქარის, ჰაერის, სულის მხატვარია. შეიძლება ეს ყოველივე დახატო?! – რა თქმა უნდა, შეიძლება, თუ სულს ჩაუდგამ...

